

ცირა კაპანაძე

ჩვენ გამარტინობა...

თბილისი
2022

მესნიურებაში აკვეთილი საქონიშვილი

1946-1950 წლებისა და დღეს

თბილისი

მონათხრობში, რომელსაც მე გთავაზობთ, სამოცდაათზე მეტი წლის წინანდელი ძველი თბილისური და არა მარტო თბილისური ამბებია ასახული. ის, რაც ჩემ მეხსიერებას საკმა-ოდ ნათლად შემორჩია მაშინდელ ყოფაზე, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე.

ხშირად საუბრისას გამხსენებია, ისეთი რამე, რითაც ბევრი დაინტერესებულა და ურჩევიათ, რომ ეს ყველაფერი დამენ-ერა. მაგრამ საამისო გამოცდილება არ მქონდა და ამიტომ თავს ვიკავებდი მკითხველისთვის წიგნის სახით შემეთავა-ზებინა ამბები, რომლებიც დიდი სამამულო ომის შემდგომსა თუ ძველისა და ახალი ცხოვრების ფონზე ასე შთამბეჭდავად აისახა ჩემს მეხსიერებაში.

ალბათ, პანდემიის ხანგრძილვმა პერიოდმა და მისჯილმა „შიდა პატიმრობამ“ გამაბედვინა კალმის ხელში აღება.

საუბარია, ძირითადად ძველ თბილისურ ყოფასა და ცხ-ოვრების ნირზე, წესჩვეულებებზე, ტრადიციებსა და ურთ-იერთობებზე. ისეთ დროს მომიხდა ცხოვრება, როცა ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ეს არის დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდის ხანა, ძველი სისტემის თანდათანობითი რღვევა, შემდევ კი ახალ სისტემაზე გადასვლა და ომები – საშინაო თუ საგარეო.

წინა თაობის ხალხს ბევრი რამ გეცნობათ, ბევრიც გაგახ-სენდებათ. იქნებ ახალი თაობისანიც დაინტერესდნენ ჩვე-ნი გუშინდელი დღით; ის ხომ ჩვენი ქალაქური და სოფლური ყოფა-ცხოვრების ისტორიაა, თავის ავითა და კარგით. არა-და დამერნმუნეთ, კარგიც ბევრი რამ იყო გასახსენებელი არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ახალგაზრდული წლების ნოსტალ-გია გვეძალება! – სხვა ურთიერთობები იყო თბილისში, სხვა ეშნი და ხიბლი ჰქონდა ამ ჩვენს ქალაქს, თბილისი თბილისუ-რი ცხოვრების ყაიდით ცხოვრობდა, „ყველა ერთმანეთისანი ვიყავით“ – მეთქი, თხრობისას ვთქვი ერთგან. ერთმანეთით

ვცხოვრობდით, ერთმანეთით ვიიოლებდით და ვიხალისებდით ყოფას. ერთმანეთის ჭირისუფალი ვიყავით და რაც მთავარია, ერთმანეთის კარგი გვიხაროდა, ცუდი კი გვწყინდა, ჭირსა თუ ლხინში მხარში ვუდექით ერთმანეთს.

ბევრს ენიშნება აქ მონათხრობი ამბები, განსაკუთრებით ოთხმოცდაათიან წლებზე და თუ ვინმე გამინანყენდება, მომიტევონ. იქნება ჩემი განსასჯელი არაა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ჩვენ გადავიტანეთ და შედეგს დღესაც ვიმკით, ზოგი რამ დღესაც გრძელდება. იქნებ დრომ და ვითარებამაც უბიძგათ იმ გადაცდომებზე, რაც იმ ქაოსის დროს ჩაიდინეს, ან უფრო სერიოზული მიზეზი ახლდა იმდროინდელ განუკითხაობას. მთავარია, გუშინდელი დღის გათვალისწინებით, ხვალინდელი დღე გამოვასწოროთ და გამოვასწოროთ ყველამ ერთად. მინდა, ძალიან მინდა ამასაც მოვესწრო.

ძალიან გთხოვთ, ჩემ აზრებსა და დასკვნებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. აი, ფაქტების წაკითხვა-გახსენებისას კი თუ ბევრი რამ გენიშნათ ალბათ უკეთეს დასკვნებს გამოიტანთ.

ზოგიერთი თავის ბოლოს, მონათხრობს მისადაგებული ლექსი ახლავს და ნუ განმსჯით, პოეზიის ნიმუშები რომ არ არის ვიცი, რადგან არც მე ვარ პოეტი, უბრალოდ მონათხრობი გავრითმე.

უინტერესო არ იქნება დღევანდელი გადასახედიდან და-ნახული თბილისისა და სოფლის ასე თუ ისე შორი წარსული, მოყოლებული 1945-50 წლებიდან, იმ თვალშისაცემი ცვლილებით, რაც ჩემმა მეხსიერებამ საკმაოდ ნათლად შემოინახა. ეს ჩვენი გუშინდელი დღე იყო.

მიუხედავად იმდროინდელი რთული ყოფისა, საყოველთაო გაჭირვების ფონზე მაინც ცდილობდნენ თბილისისათვის საკუთარი სახე შეენარჩუნებინათ. თბილისს ხომ თავისი ტრადიცია-რიტუალებიც ჰქონდა და ამითაცაა საინტერესო მაშინდელი თბილისის ყოფა-ცხოვრება.

ვიდრე წარსულში მოგზაურობას დავიწყებდე, ერთ რამეზე

მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. თხრობისას ხშირად შეგხვდებათ რუსული სიტყვები, დასახელებები და სახელწოდებები, რომლებიც მაშინ ისე იყო დამკვიდრებული, როგორც ახლა, ამ ბოლო დროს შემოსული ინგლისური სიტყვები. წარმოიდგინეთ რა დაემართებოდა ქართულს რუსეთან თანაცხოვრების ორი ასეული წლის განმავლობაში?!

ქართულად საუბრისას რუსულ სიტყვებს თუ საგნის სახელებს გაქართულებულივით ვიყენებდით, მაგალითად: „სპალნა“, „ზალა“, „პადიეზდი“, „აკოშკა“, „სტოლი“, „მაროჟნი“, „პოლი“, „ლამფუჭკა“, „სპიჩკა“, „ვედრო“, „ნაჩნიკი“ და კიდევ უამრავი რამ.

ამასთან დაკავშირებით შემოგთავაზებთ ნიკო გომელაურის ლექსის:

„საროჩკა“, „ნასკი“, „კრაოტი“, „პოლი“
მართლაც რომ ქართველს არა ჰყავს ტოლი
„კუხნა“, „ბალკონი“, „ზალა“, „პადვალი“
– მითხარით ენა ამის ბადალი.
„პესოკი“, „სუმკა“, „ტუფლი“, „იუბკა“
„რომელი გოდა ხარ?“ – თხუთმეტი სუტკა“
მოვიპარე „სპიჩკა“ – მაქვს ეს „„პრივიჩკა““
„ლამფოჩკა“, „ჩაინიკი“, „კრაოტი“, „სტოლი“
– ამბიცია ულევია, ინტელექტი ნოლი
„შოთერი“, „მატორი“, „პაკრიშკა“, „ლიუები“
საბა და ილია – „იმენა“ გიუები.

ასეთი რუსულ-ქართული ლექსიკით საუბრობდა მაშინ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენამდე. ამიტომ ვერ ავუვლი გვერდს მაშინ დამკვიდრებულ სიტყვებს და სახელწოდებებს.

ამასთანავე ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა მშობლიურ ენას, ზოგჯერ რუსულად საუბარს ამჯობინებდა. ზოგი კი რუსულ-ქართულად

საუბრობდა, თუმცა, ქართულად საუბრისას ნაკლებად ანაგვი-ანებდა ქართულს გაქართულებულად დამკვიდრებული რუ-სული სიტყვებით. ესე იგი, ამ მხრივ, ნაკლებად აზარალებდა ქართულ ენას.

ზოგი, ალბათ, უმაღლესი განათლების შემდგომი სპეცია-ლობის სრულფასოვნად დაუფლება-გაღრმავებისას, რადგან შესაბამისი ლიტერატურა ყოველთვის არ იყო თარგმნილი, ან დედანს ამჯობინებდა, ან რუსულად ნათარგმნი უცხოური ლიტერატურით სარგებლობდა.

ეს ხომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდებოდა, ამასთან ეს შერეული რუსულ-ქართული ხანდაზმულ, გიმნა-ზიადამთავრებულთაგანაც იყო შემორჩენილი. მოგეხსენებათ, მაშინ გიმნაზიაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ქართულად ლაპარაკი მკაცრად იყრძალებოდა. ამან გამოიწვია შემდეგ თაობის ლექსიკის შეცვლა. თავისთავად რუსულენო-ვანი სახელმწიფოს გავლენაც დიდი იყო, ან იქნებ, სულაც მოდად იქცა მაღალი წრის ერთ ნაწილში რუსულ-ქართულად საუბარი. ერთი კი ფაქტია, პატრიოტობაში არავის ჩამოუვარ-დებოდნენ რუსულ-მოქართულები. დრო იყო ასეთი. დრომ და ვითარებამ მოიტანა ესეც. იმ დრომ და იმ ვითარებამ...

ახლა კი, იმ დროსა და იმ ვითარებაზე. დავინყოთ იქიდან, რომ სოფლების დიდ ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდებო-და და ნავთის ლამფებს იყენებდნენ, თუმცა იმ დროს თბილი-სის გარეუბნებშიც იყო გამონაკლისი ოჯახები ლამფა რომ ენ-თოთ. ზოგი იყენებდა ნახშირის უთოსაც, რომელსაც, ცეცხლი რომ არ მინავლებულიყო, გასაღვივებლად დროდადრო მთელი ძალით აქეთ-იქით აქნევდნენ: ნაკვერჩალი ღვივდებოდა და დიდხანს ინარჩუნებდა სიმხურვალეს. ნავთქურაზე გასაცხე-ლებელი მძიმე უთოებიც იყო, რა თქმა უნდა, ელექტროუთოე-ბიც.

საქართველოში მაშინ გაზი არ შემოდიოდა და ამდენად, არც თბილისში იყო, მთელი თბილის მაშინ შეშით და ქვანახ-შირით თბებოდა. კერძო ბინებში შეშის ან ქვანახშირის ლუ-

მელები ედგათ. მოგვიანებით ნავთის ღუმელიც შემოიღეს. იყო ფილებით მოპირკეთებულიც და კედლის ასეთივე ბუხარ-ღუმელები (ჭერამდე).

საცხოვრებელ კორპუსში, ისევე როგორც სკოლებში, საავადმყოფოებსა და სხვა დაწესებულებებში ყველგან ავტონომიური ცენტრალური გათბობა იყო. ყველა შენობას საკუთარი საქვაბე ჰქონდა სარდაფში, სადაც ვეება ღუმელში ცეცხლფარეში ნახშირით აცხელებდა უზარმაზარ წყლის ქვაბს, იქედან კი ცხელი წყალი მილებით მთელ შენობას მიეწოდებოდა და ბინები თუჯის მასიური რადიატორებით თბებოდა.

მახსოვს, ნახშირის სხვადასხვა სახეობა: შავი ქვანახშირი, ანტრაციტი და კოქსი. საქართველოში გაზის შემოსვლის შემდეგ დიდი საქვაბები ააშენეს. და ეს უკვე იყო ცენტრალური გათბობა, რომელიც მასივების დიდ მონაკვეთსა და მთელ უბნებს უზრუნველყოფდა ცხელი წყლითა თუ გათბობით.

საცხოვრებელი კორპუსის ბინაში სამზარეულოს ერთ-ერთ კუთხეში იდგა ცეცხლგამძლე აგურით ნაგები, თუჯის თუ სქელი რკინისზედაპირიანი დიდი ღუმელი, რომელიც შეშითაც ინთებოდა და ქვანახშირითაც.

იყო, აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ნავთქურა: ორ და სამ ფითილიანი, წრიულ ფითილიანიც. იყო კიდევ ე. წ. „პრიმუსები“ და „კეროგაზები“ (არ ვიცი, სწორად ვამბობ თუ არა). სააბაზანოში კი, მაღალ, ლამის ჭერამდე აღმართულ რკინის მრგვალ და გრძელ ავზს ქვემოთ შეშის შესაკეთებელი ჰქონდა. დანთების შემთხვევაში წყალი ცხელდებოდა ავზში და ზემოდან შხაპით მოდიოდა.

ვიდრე გაზი შემოვიდოდა ქვეყანაში, ცოტა რთული იყო საოჯახო აბაზანების მოწყობა, განსაკუთრებით კერძო ბინებსა და კომუნალურ ბინებში, ე. წ. „კომუნალკებში“, სადაც ერთ იზოლირებულ საცხოვრებელ რამდენიმეოთახიან ბინაში რამდენიმე ოჯახი იყო შესახლებული საერთო სარგებლობის ტუალეტ-აბაზანით და სამზარეულოთი. მაშინ ასეთი „კომუნალკები“ ბევრი იყო ქალაქში. ამიტომ ქალაქის მოსახლეობის

დიდი ნაწილი სარგებლობდა აპანოებით, რომლებიც თითქმის ყველა უბანში იყო.

აბანოს პირველ სართულზე საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ჰიგიენის ოთახები იყო განთავსებული; ასევე კუპირებული ნომრები ერთსაათიანი მომსახურებით. მეორე სართულზე კი – საერთო სარგებლობის დიდი დარბაზი, ტიხებით და ცემენტის ტახტებით. ყველა ტიხარს ჰქონდა რამდენიმე საშხაპე. შესასვლელში განთავსებული იყო კარადები. აბანოს თავის მომსახურე პერსონალი ჰყავდა: დალაქები, მექისები... ყველაზე ცუდი, რაც აბანოებთან დაკავშირებით მახსოვს, ისაა, რომ ჩვენ უბანში, ნაძალადევში, ვაგზლიდან არცთუ ისე შორს, გახსნილი იყო აბანო ყოფილ ეკლესიაში და სამწუხაროდ მეც მიწევდა ბავშვობაში იქ სიარული. ახლაც ნათლად მახსოვს ეკლესის თაღებს შორის ჩამონტაჟებული საშხაპები, ქვის ტახტები და ამ ტახტების გადასარეცხი თუ გადასავლები ხის ნაჭრებისგან შეკრული ჩანახის მაგვარი სათლები, ხისძირიანი ქოშები. ჩემთვის უსიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ, საბედნიეროდ, ტაძარი დღეს უკვე აღდგენილია და მოქმედი.

თბილისი მაშინ არცთუ ისე დიდი იყო, არც ერთი მასივი არ არსებობდა და არც შემოერთებული სოფლები: ბაგები, ავჭალა, დილომი, გლდანი, ლილო, ვეძისი. თუ არ ვცდები, ვარკეთილიც სოფელი იყო და რაღა თქმა უნდა, არც ქალაქის ტრანსპორტი მოძრაობდა ამ სოფლებში. სოფლად თუ ქალაქად საზოგადოების ხელმოკლე ნაწილი უმთავრესად ერთოთახიან კერძო საცხოვრებელს იშენებდა, არცთუ ისე იშვიათად ორი და სამ ოთახიანებიც შენდებოდა, მთავარი კი ის იყო რომ ყველა სახლს ჰქონდა ერთი გამაერთიანებელი რამ – თბილისური შუშაბანდი, რომელიც როგორც წესი, ოთახებს წინა მხრიდან მთელ სიგრძეზე ჩაუდიოდა და გარე ფასადს ქმნიდა. შუშაბანდებს მუქი ფერის ზეთის საღებავით ღებავდნენ, მაგალითად, მუქი ლურჯით, შემდეგ გააღიავეს თეთრამდე და სპილოსტვლისფრამდე. პარკეტის დაგება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ამიტომ

უხშირესად იგებოდა გარანდული ფიცრის იატაკი, იგი ბევრ კორპუსში მინახავს. მაგ. ე. წ. „სტალინკებშიც“. მას წითელი ფერის ზეთიანი საღებავით ლებავდნენ და მასტიკით აპრი-ალებდნენ. ნელ-ნელა წითელი ფერი ჩაანაცვლა ყავისფერმა, რაც არცთუ ისე ურიგოდ გამოიყურებოდა. მაგრამ ადგილებ-ზე, სადაც ფეხი ხშირად ხვდებოდა მალე ცვდებოდა და კვლავ უნევდათ შეღებვა. ეს კი გარდა ხარჯისა, ძნელად შესასრულე-ბელი იყო, ავეჯის დაცლა გადაადგილებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. იატაკს „პალუბნოის“ ეძახდნენ, შპაკლავდნენ, კარგად ამუშავებდნენ და პარკეტს ახატავდნენ ზემოდან. საკმაოდ ლამაზი კი გამოდიოდა, მაგრამ ისიც მალე ცვდებოდა და იქუცებოდა. კედლებს ნაირფერ ყვავილწნულებს ახატავდ-ნენ სხვადასხვა სახის ტრაფარეტის მეშვეობით; განსაკუთრე-ბით ჭალის გარშემო წრეები და ჭერის კუთხეები გამოჰყავდათ კარგად. ელექტრო სადენებს კედლის ნალესში არ მალავდნენ, პირიქით, შეღებილ კედლებზე ზემოდან თეთრ თაბაშირის კოჭებზე გადაცმული ორად დაგრეხილი სადენები გაჰყავდათ. ჩამრთველ-გამომრთველებიც ზემოდან მაგრდებოდა, თანაც კედლის ზედა ნაწილში.

კერძო სახლებს, თითქმის ყველას ჰქონდა დიდი თუ პატარა ეზო. საცხოვრებელ კორპუსებს სარდაფები, ე. წ. „იტალიურ ეზოებს“ უფრო სწორად ქართულ ეზოებსაც ჰქონდა საკუთარი სათავსოები, სადაც იმარაგებდნენ და ანყობდნენ შეშას საზამ-თროდ „საჟენობით“ თუ კუბ. მეტრობით ყიდულობდნენ, რო-გორც მახსოვს... „მალაკენების ბაზართან“ მუდმივად იდგნენ მხერხავები დიდი თუ პატარა ხერხებით. დიდ ხერხს „ბირდ-აბირი“ ერქვა, მაგრამ უფრო ხელის, ძელიანი ხერხები და სამ-კუთხა ქლიბები ჰქონდათ, ხერხის პირის ასაწყობად. დაჩეხვით კი, ხშირად თვითონ ჩეხდნენ მამაკაცები. მაშინ ბევრს ეხერხ-ებოდა, უნევდა ფიზიკური შრომა და საოჯახო საქმეები, რა-საც სიყმანვილიდანვე ხედავდნენ და ითვისებდნენ. ვისაც არ ეხერხებოდა, მხერხსავებს აჩეხვინებდა, მაშინ ხომ ასე ორგანი-ზებული არ იყო ხელოსანთა ჯგუფები. გამოძახებითაც ჭირდა,

რადგან ტელეფონი იშვიათობას წარმოადგენდა და ქალაქის მცხოვრებთა დიდ ნაწილს არც ჰქონდა თუ მაღალი თანამდებობა, სამსახურეობრივი აუცილებლობა არ მოითხოვდა, ისე იოლად არ იდგმებოდა ტელეფონი და თან გვარიანი რიგიც იყო. მოგვიანებით, უბნებში სახლმართველობები შეიქმნა, რომლებსაც ხელოსნებიც მიამაგრეს... არსებობდა კიდევ ნახერხის ღუმელიც. მას ნახერხით ტენიდნენ, შუაში ცარიელ ქილას ამაგრებდნენ, ანთებისას ქილას ამოილებდნენ. ნახერხი მანქანით მიჰქონდათ და სარდაფში ან ე. წ. „სარაიებში“ ინახავდნენ.

სამოციან წლებამდე „ტუალეტის ქალალდი“ არ არსებობდა და არც ინარმოებოდა. თვითონ ხალხი ზრუნავდა, ვის რისი და როგორი საშუალებაც ჰქონდა, დაჭრილი გაზეთის ნაჭრებიდან – რბილ ხელსახოცებამდე. ალბათ, უხერხულიცაა, დღეს ამაზე საუბარი და წარმოდგენაც, მაგრამ ასე იყო.

ასევე სუფრის ხელსახოცები ხშირად ნაჭრის იყო, ოჯახში სახმარი უფრო სადა იყო, სასტუმრო ხელსახოცები კი უფრო ლამაზი და ხარისხიანი, ხშირად კუთხეში მონოგრამებიც ამშვენებდა.

... გლდანი მაშინ სოფელი იყო, დილომიც. სანზონაში თვალისუნივერსიტეტი ატმის ბაღები იყო, დღევანდელი კ/თ „საქართველო“, რა თქმა უნდა, არ იყო მაშინ და ტრანსპორტიც საერთოდ არ მოძრაობდა. ავტალის მიმართულებით გადაადგილება შეიძლებოდა მხოლოდ რკინიგზით, მაშინ ხომ მსუბუქი მანქანებიც ნაკლებად იყო.

დღევანდელი მეტრი „დიდუბის“ ზედა ამოსასვლელთან იყო „კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა“. იქ იყო №6 და №12 ტრამვაის ბოლო გაჩერება, აქედან ბრუნდებოდა ცენტრალური რკინიგზის სადგურის მიმართულებით მიმავალი.

ორმოცდაათიანი წლების ტრამვაი სულ სხვანაირი იყო და ძალიან უხდებოდა მაშინდელ თბილის. არ ვიცი, ნოსტალგიის ბრალია და იმიტომ მეჩვენება ძველი, „შუშაბანდიანი“, მოყავის-ფრო-მოწითალო ფერის ტრამვაი ასე ლამაზი თუ მართლა

ლამაზი იყო. სკამებიც კი მახსოვს, გრძელ-მომრგვალებულ და წვრილ თამასებისგან აწყობილ-შეკრული, კარებიც ასე-თივე წვრილი თამასებით იყო შეკრული, გაღება-დახურვისას ორად იკეცებოდა. ფანჯრები ზაფხულობით ბოლომდე იღებოდა, თითქოს დარაბიანი აივნიდან იყურებოდი ღია სივრცეში, მართლა „შუშაბანდივით“ იყო შემინული. ტრამვაის ვატმანის სკამი სამკუთხა და წრიულად მოძრავი იყო. ამსვლელები როგორც წესი, უკანა კარიდან ადიოდნენ და წინიდან ჩადიოდნენ. ბავშვების, მოხუცების, ინვალიდებისა და ფეხმძიმეების გარდა ამ წესს თითქმის ყველა თბილისელი იცავდა. უკანა კარის ას-ასვლელთან იყო კონდუქტორის სკამი (მაშინ არც სალაროები იყო და მითუმეტეს არც არანაირი ავტომატები). კონდუქტორი ჰყიდდა ბილეთებს. ტრამვაის ხრინნიანი და მაღალი ხმა ჰქონდა. მაშინ ქალაქში სიგნალი არ იკრძალებოდა და ამიტომ, ცენტრალურ ქუჩასა თუ მის სიახლოესებს გაუთავებელი პიპინი აყრუებდა. ტრამვაის მგზავრობის ფასი 3 კაპიკი იყო.

ავტობუსი ცოტა გვიან შემოვიდა. მახსოვს, ნაძალადევში ისე უხაროდათ უბნის ბიჭებს, რომ პირველივე დღეს წრეებს უვლიდნენ ქალაქს. კონდუქტორს ბილეთების რამდენიმე ხვეული ეკიდა გულზე, სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა ფასიანი. მგზავრი ფულს იმის მიხედვით იხდიდა, თუ რა მანძილზეც უნევდა მგზავრობა. ნაძალადევიდან №18 ავტობუსით დავდიოდით „პიონერთა სასახლეში“ (დღევანდელი მოსწავლე-ახლგაზრდობის სასახლე) ბერიას მოედნამდე (მოგვიანებით ლენინის, ახლა კი თავისუფლების მოედანი). კონდუქტორი რამდენიმე ფერის ბილეთს მიხევდა. შემდეგ კი ავტობუსით მგზავრობის ბილეთის ღირებულება 5 კაპიკი გახდა. ტროლეიბუსიც მოგვიანებით შემოვიდა და ისიც დამსახურებულად ჩაენერა, თბილისის იერსახესა და ყოფაში. თავიდან უფრო ცეტრალურ რაიონებში მოძრაობდა და მოგვიანებით კი მასივებსაც ესტუმრა.

ტროლეიბუსით მგზავრობა 4 კაპიკი ღირდა. იმ დროისთვის ქალაქში კანტიკუნტად, მაგრამ მაინც მომიკრავს თვალი ე. წ. „ლინეიკისათვის“. მახსოვს წინამურის ქუჩაზე ერთ-ერთ მცხ-

ოვრებს ბოლომდე შემორჩა „მელინეიკეს“ სახელი. „ლინეიკები“ ცხენებშებმული საზიდრები იყო წითელი ფერის ორმხრივი გრძელი სკამებით და ტაქსის ფუნქციას ასრულებდა. ისინი ქალაქში მაღლე გაქრა, მაგრამ არდადეგებზე მატარებლით მგზავრობისას ხშირად დამინახავს კასპის სადგურზე რამდენიმე ერთად რომ ელოდებოდა მატარებლის ჩამოდგომას, რათა სხვადასხვა სოფლამდე მიეყვანა მგზავრები, რა თქმა უნდა, გარკვეულ საზღაურად.

ბავშვობაში მატარებლით მგზავრობისას ფანჯრიდან ხშირად დამინახავს რკინიგზის განაპირას, ვაკე ადგილზე გაშლილი ბოშათა ბანაკები ცხენებით, ფურგონებით, თუ საზიდრებით სოფლების სიახლოვეს გადაჭიმული თეთრი, ბრეზენტის წყალგაუმტარი ქსოვილის დიდი კარვები. მატარებელში კი ხშირად ამოდიოდნენ დიდი კალათებით თეთრხალათგადაცმული ვაჭრები და გვთავაზობდნენ „კორუიკებს“, ფოჩიან კანფეტებს, „პეჩინია“ ნამცხვრებს; აგრეთვე ხშირად გვამოწმებდნენ გამცილებლები, რომ არ გვყოლოდა ფრინველები (თუნდაც ერთი წინილა) ან ცხოველები, ეს სასტიკად იკრძალებოდა მაშინ.

ორმოცდათიან წლებში სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რომ წერა-კითხვა არ იცოდა, გასაგებია, რადგან უნინ სოფლებში წერა-კითხვას ეკლესიებში ასწავლიდნენ და რაკი იმ დროს ეკლესიები უმოქმედო იყო, ამიტომაც რჩებოდა დიდი ნაწილი უცოდინარი. თბილისის მოსახლეობის მცირე ნაწილმაც არ იცოდა წერა-კითხვა, ძირითადად ხანდაზმულებმა და შორეული სოფლებიდან გამოოთხოვილებმა. თბილისში მაშინ, გამოთხოვილ ქალთა გარდა, მთლიანი ოჯახებიც ჩამოდიოდნენ საცხოვრებლად და მკვიდრდებოდნენ ძირითადად გარეუბნებში, რადგან ფაბრიკა-ქარხნები ხშირად გარეუბნებში იყო განლაგებული და ამდენად, დასაქმებაც – გაიოლებული იყო. მართალია, ეს ისე მასიურად არ ხდებოდა, როგორც ახლა; არ იცლებოდა და უკაცრიელდებოდა სოფლები. ეს თითქოს გეგმაზომიერად ხდებოდა.

იმ დროს რუსულ-სომხური მოსახლეობის სიჭარბე იგ-

რძნობოდა და ამიტომ ეს არცთუ ისე ცუდად აისახებოდა თბილისზე, რადგან მცირე რაოდენობა უცებ ადაპტირდებოდა ქალაქურ ცხოვრებასა და ყოფასთან, ნელ-ნელა „თბილისელ-დებოდნენ“. ეს ხდებოდა არა ისე, როგორც ახლა, დიდი ნაკადი რომ ჩამოდის ყველა მხრიდან, თავისი ცხოვრების წესით, თავისი პრობლემებით, დასამკვიდრებელი ფაციფუცით. ახლა პირიქით ხდება, თბილისმა შეიცვალა იერი და თბილისური სახე, თბილისი უმრავლესობას ველარ მოერია. ეს გარემოებამაც განაპირობა, დრომ და ვითარებამ. ხშირად ახალაშენებული ფაბრიკა-ქარხნებიც მოითხოვნენ მუშა-ხელს. იმ დროს სასწავლებლად ჩამოსულთა დიდი ნაკადიც ჩამოდიოდა. ბოლოს კი ყოველივე ამას ჩაწერის ინსტიტუტის მოშლამაც შეუწყო ხელი. მართალია იქამდეც ახერხებდნენ სხვადასხვა გზით ჩაწერას, მაგრამ ეს მაინც სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, საკმაოდ სერიოზულ თანხებთან. ფიქტური ქორწინების შემთხვევებიც იყო, მაგრამ არც ისე მასიურად, ერთეულებს კი „ინელებდა“ თბილისი.

მაშინ არ იყო ამდენი გასართობი. მე ხომ ძირითადად ომის შემდგომი პერიოდის ამბებს გიყვებით, ჩემი თვალით დანახულ-დამახსოვრებულს და იმდენად განსხვავებულად მეჩვენება დღეს, რომ თვითონაც მიკვირს, თითქოს გუშინ იყო და ხდებოდა ეს ყველაფერი. დღეს კი სხვა სამყაროში ვარ, მაშინ არ იყო ტელევიზია და ადამიანებსაც უშუალო ურთიერთობისთვის მეტი დრო ჰქონდათ.

თეატრში რომ მიღიოდნენ, სპექტკალი ხომ იყო სანახაობა და თეატრში წასვლაც თითქმის ერთგვარი რიტუალი იყო. ქალები ცდილობდნენ გამორჩეულად მოკაზმულიყვნენ. აუცილებლად „სათეატრო კაბა“ უნდა სცმოდათ, თუნდაც თავისით „გათეატრალურებული“, გადაკეთ-გადმოკეთებით თუ სხვადასხვა აქსესუარით და შესაფერისი ფეხსაცმლით. თუ სეზონისა და ამინდის გამო არაშესაფერისად თვლიდნენ, მაშინ იქვე გარდერობში იცვლიდნენ მას. შენობაში შესვლისთანავე ახალი განწყობა ეუფლებოდათ, თითქოს სხვა სამყაროში შე-

დიოდნენ, ან თვითონ იცვლებოდნენ; სპექტაკლამდეც კი სასი-ამოვნო შეგრძნება ეუფლებოდათ.

ხშირი იყო სტუმრად ოჯახითურთ ერთმანეთთან სიარუ-ლი. ტრადიცია იყო თითქოს. წინასწარ შეტყობინების გარეშეც მიღიოდნენ სტუმრად, ეს თითქოს უხერხულიცაა დღეს, მაგრამ ტელეფონი ხომ არ ჰქონდა ყველას და მასპინძლის ზედმეტ ხარჯსა და ფაციუფსაც ერიდებოდნენ; ნაირნაირ კერძებისა და პროდუქტებისგან გადაზნექილ სუფრას არც ელოდნენ და უიმისოდაც მშვენივრად ატარებდნენ დროს. ხოლო ზეიმსა და წვეულებაზე მოსულ სტუმრებს, ვიდრე სუფრასთან მიიწვევდ-ნენ, გართობის მიზნით, საოჯახო ალბომს სთავაზობდნენ. მა-შინ ყველა ოჯახში იყო ფოტოსურათების საოჯახო ალბომები. მახსოვს, სანათესაოში სტუმრად წასვლისას ბავშვებს რატომ-ლაც სკოლის ფორმას გვაცმევდნენ და ეს მარტო ჩვენი გარ-დერობის სიხალვათის გამო არ ხდებოდა, თითქოს საპატიოდ ითვლებოდა, თორემ თოჯინების თუ მოზარდმაყურებლის თე-ატრში წასვლისას ე. წ. „საგარეო“ კაბას ვიცვამდით.

ერთხელ სიღნალელები თავისი ქალაქის ცხოვრების არც თუ შორეულ წარსულზე მიყვებოდნენ: თუ როგორი ურთიერ-თობები იყო მათ ულამაზეს, კოლორიტულ ქალაქში, როგორ ატარებდნენ დროს აქ მაცხოვრებელი ქალბატონები, როგორ იკრიბებოდნენ საღამოობით ერთმანეთთან (რიგრიგობით) ეგრეთწოდებულ „ჩაიპიტიაზე“ წაირ-წაირი მურაბებისა და ნუგბარის თანხლებით. თამაშობდნენ ბანქოს, უფრო კი ლო-ტოს, თან ქალაქის ჭორებს განიხილავდნენ, ჩაცმა-დახურვაზე საუბრობდნენ და გრამაფონით ერთობოდნენ. იმ დროისათვის იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ფაეტონები. ამ ფაეტონებით მიჰყავდათ მეუღლეებს ეს ქალბატონები გასართობად, თვი-თონ კი შუშაბანდში ელოდებოდნენ და მათ მოლოდინში მუ-საიფობდნენ, ვიდრე მანდილოსნები ინებებდნენ წასვლას. ესეც იმდროინდელი ქალაქური ცხოვრების ერთეულთი სურათია ჩემი მოსაუბრის ნანახ-გადმოცემული. მხოლოდ არ ვიცი ომამდელი თუ ომის შემდგომი, რადგან მე ფაეტონებს არ მოვსწრებივარ,

– მხოლოდ „ლინეიკის“ ერთეულ შემთხვევას შევესწარი. აი, მანქანებიდან კი ემადინებიც მახსოვს და შემდეგ გამოსული „ჭიჭიკო მოსკვიჩები“, „პობედები“ და „ზიმები“.

ასევე იკრიბებოდნენ თბილისში. ჩემ მეზობლად მცხოვრები ქალბატონი – კატუშა სუნდუკიანი, რომელიც ერთ დროს მდიდარი კომერსანტის ქალიშვილი გახლდათ და უკვე გაღარიბებული, ნაძალადევში გადმოსახლდა ერთ ლამაზ ეზოიან ბინაში. მასთან ხშირად იკრიბებოდა მისი სამეგობრო, კვირაობით ისხდნენ ღია ვერანდაზე და მსჯელობდნენ ახალ წაკითხულ წიგნებსა და მათს პერსონაჟებზე, საუბრობდნენ სხვადასხვა ამბებზე, ხალისობდნენ, რა თქმა უნდა, ჩაისაც მიირთმევდნენ თავის მურაბებ – „პეროგებიანად“ და ხშირად გრამაფონის მუსიკაზე ევროპულადაც ცეკვავდნენ. მე ძალიან ვუყვარდი ამ ქალბატონს და ხშირად ვიყავი მასთან, რადგან მამაჩემთან მეგობრობდა და თანამშრომლებიც იყვნენ. ამ ცეკვების დროს ზოგჯერ ფეხებში ვეხლართებოდი მოცეკვავეებს, მოგვიანებით კი მისი ბიბლიოთეკით ვსარგებლობდი. ერთადერთი, რაც მას დარჩა ბავშვობის უზრუნველყოფილი ცხოვრებიდან, წიგნები და ფერწერული ტილოები იყო, ზოგი მათგანი ლამის ჭერამ-დეც კი აღწევდა.

ამ ქალაქის ცხოვრებასა და ქალაქურ ურთიერთობებზე საუბრისას გამახსენდა კიდევ ერთი რამ: მაშინ თბილისში ძალიან ცოტა მსუბუქი ავტომანქანა მოძრაობდა ზაფხულობით, როცა სააგარაკოდ მივდიოდით ან ვბრუნდებოდით, ტრასაზე სიხალვათე იყო დღევანდელთან შედარებით, მაგრამ კარგად მახსოვს, საკმარისი იყო რაიმეს გულისოვის შეგვეჩერებინა მანქანა, რომ ტრასაზე მოძრავ მანქანებს თვითონაც არ შეეჩერებინათ და არ ეკითხათ, ხომ არაფერი გიჭირსო (ხშირად მანქანიდან გადმოდიოდნენ კიდეც). თითქოს დაუწერელი კანონი იყო, თავს ვალდებულად თვლიდნენ არა მარტო ეკითხათ, დახმარებოდნენ კიდეც. ასეთი ყურადღებიანი იყვნენ მაშინ თბილისელები, სითბოსა და სიყვარულს ასხივებდნენ. თანადგომაც იცოდნენ და სხვისი წარმატებაც უხაროდათ.

წარმატებულს პატივს სცემდნენ, არ შურდათ და მახეს არ უგებდნენ. ჭირსა თუ ლხინში გვერდში ამოდგომა ისე იცოდნენ, ნათესავებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ერთგულება და პატიოსნება იყო ყველაზე მთავარი და ამ ნიშნითაც შესამჩნევად გამოირჩეოდნენ მაშინდელი თბილისელები. იშვიათი იყო ოჯახი, ვისთანაც სოფლიდან არ ჩამოდიოდნენ ხანგრძლივად საცხოვრებლად, სასწავლებლად, სამუშაოდ ან თუნდაც ფეხის მოსაკიდებლად. ზოგჯერ წინასწარ არც კი უთანხმდებოდნენ – ისე ჩამოდიოდნენ, არამარტო ახლო ნათესავები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მასპინძლებიც შეზღუდული იყვნენ ფართით, ჩამოსულს ისე ლებულობდნენ როგორც ოჯახის წევრს. ახლა ასე მასობრივად ოჯახებში აღარ ჩამოდიან, მიუხედავად იმისა უჭირთ თუ ულხინთ დამხვდურებს. შეიძლება ვეღარც თბილისელებს შეუძლიათ იმ სიამით თანაცხოვრება, გაჭირვებაც რომ არ ადგეთ, ჩვეული რიტმის შეცვლა დისკომფორტს უქმნით. ალბათ, ჩვენც შევიცვალეთ ადამიანები: დროებითი მყუდროების დარღვევაც გვიჭირს და სხვის გამო თავის შეზღუდვაც. იქნებ ცხოვრებამაც მოიტანა?! არადა, სოფლელებიც უანგაროდ იღებდნენ ქალაქელებს დასასვენებლად თუ სტუმრად. კურორტებზე ცოტა უჭირდათ წასვლა, რადგან როცა სააგარაკოდ ქირაობდნენ ბინას, დიდი სატვირთო მანქანის ძარა ძლივს იტევდა მაცივრებს, ნავთქურებს, ლოგინს, საოჯახო ჭურჭელს და ისე მიღიოდნენ დასასვენებლად. ასეთ სიამტკბილობაში ვიყავით სოფლელები და ქალაქელები, ერთმანეთი გვეძვირფასებოდა.

ზოგიერთი დღეს ჩვენ ხან მონებს გვეძახის, ხან გადმონაშთებს და ცდილობს ახალ თაობასაც ჩააგონოს ეს. ნუთუ მშობლები ან წინა თაობები არ ჰყავთ, რომ მათ ცხოვრებას გადახედონ?! დარწმუნებული ვარ, ბევრ დადებითს და საინტერესოს აღმოაჩენენ.

მახსოვს, დაახლოებით 1945-50 – იან წლებში ჩემს ბავშვობაში, სოფლის დღეობების მსგავსი თბილისშიც იმართებოდა ხუდადოვის ტყეში. სხვადასხვა უბნიდან მოედინებოდა ხალხ-

ის ნაკადი, პროდუქტებითა და ნუგბარით გამოტენილი ჩან-თებით („პრავეზიონკებით“) მთელი ოჯახებით და ტყეში აქა-იქ სის ძირში იშლებოდა სუფრები, ისმოდა დოლ-გარმონისა და დუდუკის ხმა მთელ ხუდადოვზე. ზოგს საკუთრად მიჰყავდა მუსიკოსები („დამკვრელები“), მაგრამ სხვა სუფრებზე გად-ამსვლელ-გადმომსვლელი დამკვრელებიც დადიოდნენ.

მოსიარულე მოვაჭრე ბოშები ნაირ-ნაირ სათამაშოებს, საჭყვიტინოებს, ფერად ბუშტებს, „მამალოებს“ და წვრილ რეზინზე გამობმულ ბრჭყვიალა ბურთებს დაატარებდნენ გასაყიდად. იყო ბავშვების ხეებს შორის სირბილი, ყიუი-ნა, სიცილ-კისკისი და საერთო სადღესასწაულო განწყობა, ალაგ-ალაგ ცეკვა თამაში და გაწვევ-გამოწვევა. ასეთი დასახელებებიც მახსოვს მაშინდელი ცეკვების: „ბალდალური“, „ლეჟური“, „კინტოური“. იყო ახალგაზრდების გაცნობა, შეთვალიერება, რაღაც სახალხო ზეიმის მსგავსი. შეიძლება ეს იმ ხანგრძლივი, საშინელი ომის დამთავრების აღსანიშნავი ზეიმი იყო „სამამულო ომს“ რომ ვეძახდით და შეიძლება უფრო ადრეც იღებდა სათავეს, მაგრამ ნამდვილად დიდი ზეიმი კი იყო. არ ვიცი ამ ზეიმში მთელი ქალაქი იღებდა მონაწილეობას თუ ერთი ნაწილი ქალაქისა, მაგალითად, მტკვრის გამოღმა მხარე. მაშინ ხომ მტკვრის გამოღმა თბილისელები როცა მისამართის დაუკანერეტებლად საუბრობდნენ, „გაღმა“ გა-მოთქმას იყენებდნენ ხშირად: „გაღმა მივდივარ“, „გაღმა შე-ვიძინე“, „გაღმა ვიყავი“ და ა. შ.

შემდეგ რაც იორი დააგუბეს და „თბილისის ზღვა“ უწოდეს, იქ გადაიტანეს ეს ზეიმი 2 მაისს, მაგრამ დიდხანს ვერ მოიკიდა ფეხი და რამდენიმე წელში გადავარდა.

დღევანდელ თამარ მეფის სახელობის ხიდს – ჩელუსკინელების ხიდი ერქვა. ზაარბრუკენის მოედნიდან მშრალ ხი-დამდე ხიდს – მარქსის ხიდი, მოედანს კი მარქსის მოედანი. მუხრანის რკინის კონსტრუქციის ხიდი, რომელიც იყო 1966 წლამდე და შემდეგ ბარათაშვილის ხიდი ააშენეს, მაშინდელ თბილისს ძალიან უხდებოდა. მარჯანიშვილის ხიდიდან (დღე-

ვანდელი „გალაქტიონის ხიდი“) ელბაქიძის აღმართზე, ზემელზე რომ ავდიოდით, იქ მოედანთან იყო თბილისელებისთვის საყვარელი კაფე-რესტორანი „მეტრო“. საკმაოდ ორიგინალური ნაგებობა, დიდი წრიული ვერანდითა და შემინული ფასადით, ვერანდიდან კი, რომელზეც ცაში გადმოკიდებულივით გრძნობდი თავს, საკმაოდ სასიამოვნო სამზერი იყო სივრცე. ფილარმონია კი ყოფილ პლესანოვის პროსპექტზე იყო, იქვე იყო „გოფილექტის“ ბალიც.

ზემელზე რომ ლამაზი შენობაა, რატომძაც მელიქ კაზარიანცის სახლს ვუწოდებდით, არადა გვარად აზარიანცი ყოფილა. მოგვიანებით გავიგე ამ შენობის აგების ისტორია: ამ ადგილზე ჯერ კიდევ არ იყო ასეთი განაშენიანება. აქ ღრმა ხევი ყოფილა, რომლის ამოვსებასა და გამაგრებას, დიდი ძალისხმევა და დასჭირვებია, შემდეგ კი თუ არ ვცდები მაშინდელ ქალაქის თავს, (ალბათ მერს) ხელი რომ შეეშალა მშენებლობისთვის, წყალი გადაუკეტავს. მელიქ აზარიანცს კი კახეთიდან ღვინის შესყიდვა დაუწყია და ურმების ქარავანი დაძრულა თბილისისკენ. ე. ი. ღვინით ყოფილა ნაგები ეს გამორჩეული შენობა. ამ შენობის ფასადს ცრემლის ფორმები და სამგლოვიარო გვირგვინები ამშვენებს, რომელიც აზარიანცმა ერთადერთი ქალიშვილის დაღუპვის გამო შეუკვეთა.

თვითონ აზარიანცის ბედზე კი მოგეხსენებათ, ეს მდიდარი კომერსანტი, ისევე როგორც არამიანცი ასეთივე დიდებული შენობების ამშენებლები სიღარიბეში გარდაცვლილან.

მართალია კომუნისტები არასოდეს ახსენებდნენ მათ სახელს, როგორც ასეთი შესანიშნავი შენობების ამშენებლებს, მაგრამ ხალხს არც მაშინ და არც დღეს არ დავიწყებიათ მათი სახელები, ისევე როგორც გრაფ ვარანცოვის თბილისისთვის გაწეული კეთილი საქმეები, რის გამოც დღემდე მათი გვარით მოიხსენიებენ მათ მიერ აშენებულ ნაგებობებს თუ ქალაქისთვის გაწეულ სხვა სიკეთეს.

კარგად მახსოვს ახალგაზრდა ჯუნა დავითაშვილი, მოსკოვში წასვლამდე იმ კაფეში რომ მუშაობდა ოფიციანტად. ფართო

მასებისთვის ჯერ კიდევ უცნობი შესაძლებლობებით. თუმცა ზოგმა მაშინაც იცოდა უკვე მისი რაღაც განსაკუთრებულობა, თბილისში ხომ არაფერი იმაღებოდა. კაფე „მეტროს“ სიახლოვეს, ასეთივე შემინული მეორე კაფეც იყო. მას „გაზაფხული“ ერქვა და იქიდანაც საკმაოდ სასიამოვნო გადმოსახედი იყო.

ვერაზე, დღევანდელ „მაკდონალდსის“ ადგილზე, მოსკოვისა და ჯავახიშვილის ქუჩების კუთხეში „ავიაბილეთების“ საღარები იყო, იმის წინ კი ავტოვაგზალი, გალაკტიონის ხიდის სანაპიროდან გადმოტანილი და აეროპორტშიც აქედან დადიოდა ავტობუსები, მანამდე კი ჩემი სიძის ბებია-ბაბუა ცხოვრობდა მაგ ადგილზე, ცხვედიანები. ავტოვაგზალი კი ორთაჭალაში გადაიტანეს, სადაც დიდი ტერიტორია დაუთმეს. თბილისი ისე გაიზარდა და გაფართოვდა, რომ პატარა სადგურები ვეღარ აუდიოდნენ გაზრდილ მოთხოვნებს, ამიტომაც მაღე დიდუბის მეტროპოლიტენთან კიდევ ერთი ახალი კერძო ავტოვაგზალი – „ოკრიბა“ აშენდა.

ლალიძის წყლები ხომ თბილისელთათვის და არა მარტო თბილისელთათვის ყველაზე საყვარელი ადგილი იყო. ცალკე წყლებისთვის განკუთვნილი დარბაზი თუ სახაჭაპურე დარბაზები ზემოთ-ქვემოთ. ალბათ, ისეთი გემრიელი ხაჭაპური არსად ცხვებოდა, წყლებზე რომ არაფერი ვთქვათ, დღემდე ახსოვს და ენატრება თბილისელებს. იქვე კაფე „ნარგიზიც“ თითქმის სულ სავსე იყო. ვაგზლის მოედანთან კუთხეშიც იყო პატარა კაფე „ია“, თავის სარდაფიანად, სადაც აჭარული ხაჭაპური ცხვებოდა, მეორე სართულზე კი ლვეზელ-ფუნჩულები („პონჩიკები“). მოპირდაპირე მხარეს დიდი გასტრონომიის კუთხეში კი იყიდებოდა „გლიასე“, რომელსაც ზაფხულში დიდი მოწონება და გასავალი ჰქონდა, მუდამ რიგი იდგა.

თვითონ ვაგზლის დღევანდელი შენობის წინამორბედიც საკმაოდ დიდი და ლამაზი იყო, ამბობენ, გერმანელ ტყვეთა აშენებული იყოთ და ძალიან გამიკვირდა, იმის დანგრევა რომ დაიწყეს ახლის ასაშენებლად. ამ წინას, კიდევ წინაც მახსოვს.

მართალია, ის არ იყო ისეთი დიდი, როგორიც ეს ორი მომდევნო შენობა, მაგრამ მაინც კარგი იყო.

დღევანდელი ფილარმონიის ადგილზეც ლამაზი, განსხვავებული არქიტექტურის ნაგებობა იდგა.

და საერთოდ, თბილისში რამდენი კარგი შენობაა, მართლა ძეგლებია, თუნდაც ძველი „დიდი უნივერმაღის“ შენობა მარჯვანიშვილზე თეატრის ნინ. გარდა ლამაზი ფასადისა და ინტერიერისა, კიბეებიც კი ლამაზი ჰქონდა და თითოეული კიბის თავზე ძველებური დიდი, მაღალი სარკები იყო სადგამებით. ახლა ეს შენობა გაყიდულია და იქ „თბილისი“ ბანკია განთავსეაბული. ასევე, „ბავშვთა სამყარო“ მაშინდელ ლენინის მოედანზე, რომელიც ხანძარმა შთანთქა; „პასაჟი“ მეტროპოლიტენ „რუსთაველის“ გვერდით, რომელიც დაანგრიეს და ჯერ უნივერმაღი „თბილისი“ ააშენეს, შემდეგ კი ისიც დაანგრიეს და „გალერეა“ ააშენეს. იმ „ბავშვთა სამყაროს“ შესასვლელთან, დიდ ვიტრინაში ექიმი აიბოლიტი იყო დასკუპებული ცხოველებთან ერთად და ბეჭემოთს სინჯავდა ფონეიდოსკოპით.

ქალაქის პარკებში კვირაობით (მაშინ შაბათი სამუშაო და სასწავლო დღე იყო და არა უქმე) იმართებოდა სახალხო სეირნობები, უკრავდა სასულეო ორკესტრი. ხშირად იმართებოდა ლია, საზაფხულო ნახევრადნოიულ ესტრადაზე კონცერტები, უფასოც კი. დიდ პარკებში საცეკვაო მოედნები იყო ევროპული ცეკვებისათვის მაგ: „მუშტაიდში“, „სტელაში“ – სოლოლაკში და სხვაგან. მიყვარდა ყურება, როგორ ლამაზად ცეკვავდნენ. მაშინ ცეკვავდნენ კლასიკურ ცეკვებს: ეს იყო „გალსი“, „გალს-ბოსტონი“, „ფოქსტროტი“, „ტანგო“, „ლიფსი“, „ბლიუზი“; შემდეგ „ბუგი-ვუგი“ შემოვიდა, მაგრამ მას და „როკ ენ როლს“ ოჯახებში უფრო ცეკვავდნენ, ვიდრე ასეთ ლია საცეკვაო მოედნებზე, ისევე როგორც „ჩარლსტონს“, „ტვისტის“, „ბრეიკანსს“. ამ ცეკვებს უფრო ვიწრო წრეებში ცეკვავდნენ და ცოტა ალმაცერადაც უყურებდნენ, ისევე როგორც ახალ შემოსულ „ჯაზს“. ასაკოვან მელომანებსა და ცეკვის მოყვარულებს უკეთ ემახსოვროებათ ყველაფერი.

უქმე დღეებში და სამსახურის შემდეგაც განსაკუთრებულად ჩატყოფებული ხალხი სეირნობდა, ერთმანეთს ხვდებოდნენ ნაცნობ-მეგობრები, მიიკითხ-მოიკითხავდნენ და ამასაც კულტურული დასვენება ერქვა. ფეხს ვერ აუქცევდით, იმდენი ხალხი სეირნობდა პარკებში, განსაკუთრებით უქმე დღეებში. გაზონები ლამაზად იყო მოვლილი, გაკრეჭილ-მოწერიგებული, მუაგულ პარკში ცენტრალური შესასვლელიდან მოყოლებული დიდ-პატარა მოედნებზე, თითქოს ყვავილების ფარდაგიაო დაფენილი, მაშინდელი დეკორატიული დიზაინით იყო გამოყვანილი სხვადასხვა სახის მხატვრული გამოსახულება, ორნამენტი და ზოგჯერ ციტატებს ან ლოზუნგებსაც კი ამოიკითხავდით; იყო პატარ-პატარა დეკორატიული კუთხებიც. საყურადღებოა, ხალხი როგორ უფრთხილდებოდა ამ მცენარეულ ხალიჩებს თუ ნარგავ-გაზონებს, იცავდნენ სისუფთავეს.

ასევე საღამოობით ხალხი, უფრო მეტად კი ახალგაზრდობა გამოდიოდა რუსთაველისა და პლეხანოვის (ალმაშენებლის) პროსპექტებზე სასეირნოდ. თითქოს მთელი ქუჩა მიჰქონდა ფეხით მოსეირნე ხალხის ნაკადს. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, ხშირად მიწევდა მოხვედრა ამ სეირნობებში და ახლაც მახსოვს, ამაღლებული ადგილიდან ქუჩის თავიდან ბოლომდე რომ გავხედავდი, მეჩვენებოდა, რომ თითქოს ნემსი არ ჩავარდებოდა ხალხის სიმჭიდროვის გამო, არადა. ასე შორიდან ჩანდა თორემ ზომიერი სიხალვათე იყო მოსეირნეთა შორის.

განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო აგვისტოს ბოლო დღეებში, რადგან მაშინ სწავლა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში 1 სექტემბრს იწყებოდა შეუცვლელად და ამ დროს ყველა სტუდენტი, სკოლის მოსწავლეები, შვებულებიდან დაპრუნებული ერთმანეთს მონატრებული ხალხი იკრიბებოდა, იყო მიკითხ-მოკითხვა, სიცილ-კისკისი და ხალისი.

ახალგაზრდები უფრო მოკრძალებულნი იყვნენ, ღამის კლუბებიც არ არსებობდა. იკრიბებობდნენ ერთმანეთთან. არ-სებობდა მრავალნაირი თამაში და ჯგუფურად ერთობოდნენ.

იყო ასეთი თამაში „ბრის ილი მიაუ“. ასევე, ბოთლს ატრი-ალებდნენ, ექსკურსიებზე კი უფრო „ფანტიანობას“ თამაშობდნენ – „ამის პატრონმა რა ჰქინას“, თან ზოგჯერ ფანტების ჩაწყობით ამოღებაც ხდებოდა, როგორმე ვინმეს კოცნა რომ დაემსახურებინა ან პირიქით, ვინმე დაესაჯათ ამის ხილვით.

ასევე, ფლირტის თამაშითაც ერთობოდნენ, ეს ე. წ. ფლირტი – დაბეჭდილი ფურცლების დასტა იყო. ფურცლებზე სხვადასხვა ყვავილის დასახელების გასწვრივ, საარშიყო კითხვა-პასუხები და მხატვრული ნაწარმოებებიდან ამოღებული სასიყვარულო ფრაზები ან ლამაზი გამონათქვამები იყო დაბეჭდილი. იმდენად მრავალფეროვანი მოსახერხებელი იყო შერჩევა, რომ კაი გვარიანი საუბარი გამოდიოდა და მიზნამდეც მიდიოდა ზოგჯერ. დღევანდელ ახალგაზრდებს ალბათ სასაცილოდაც არ ეყოფათ მსგავსი გასართობები, მაგრამ მაშინ ერთობოდნენ.

თბილისში ყოველ ნაბიჯზე მაღაზიები იყო (მაშინ მაღაზიები ერქვათ და არა მარკეტები) განთავსებული. სამრეწველო და სასურსათო და ძალიან იშვიათი იყო ბანკები, ალბათ, მთელ რაიონში – ერთი. მართალია, მაშინ მხოლოდ სახელმწიფო ბანკები იყო და არა კერძო, მაგრამ დღეს ასეთი სიმრავლე ბანკებისა თუ აფთიაქების, ნამდვილად თვალში საცემია. აფთიაქები, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ბანკები, მაგრამ არა ამდენი. წამლების დიდ ნაწილს თვითონ აფთიაქი ამზადებდა იქვე, თავისი ფარმაცევტები ჰყავდა და ცალკე განყოფილება ჰქონდა. ახლა პირიქით, სამრეწველო მაღაზიები იშვიათია, სამაგიეროდ, აფთიაქები და ბანკებია სოკოებივით მომრავლებული.

უნინ პროდუქტების შესაძენად უფრო ბაზრებში დადიოდნენ. თბილისის თითქმის ყველა უბანში იყო ბაზარი, ადრე „საკოლმეურნო ბაზრები“ ერქვათ და არა „სუპერმარკეტები“, ახლა იმ ორიოდ შემორჩენილ ბაზარსაც სუპერმარკეტი დაარქვეს, „დეზერტირებს“ ვგულისხმობ და „ნავთლულის“ ბაზარს. თუმცა ამათ ის ელვარება აკლიათ, რაც მართლა დიდ

„სუპერმარკეტებს“ აქვთ. ფასებში კი არ ჩამოუვარდებიან დიდად, არადა, ზოგს ისეთი მოჩირკნილ-კუსტარული დახლები აქვს ან მიწაზე გაშლილი გასაყიდი პროდუქტი, მტერსაც არ მოეწონება. თუ მატყუარა სასწორებსაც გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ თითქმის ყველა გადამყიდველია და არა ამ პროდუქტების მომყვანი გლეხი, აღარც ფასები გაგაკვირვებთ.

ადრე ბაზრებში ძირითადად გლეხები ყიდდნენ თავის მოწეულ ხილს, ბოსტნეულს თუ სხვა პროდუქტს, გარდა იმისა, რომ მოტყუებას არ კადრულობდნენ, მეტსაც აჭანდნენ კლიენტს. მაშინ გადამყიდველებს „სპეკულიანტებს“ ეძახდნენ და სდევნიდნენ კიდეც.

უნინ „დეზერტირების“ ბაზრის წინ ფეხებზე მდგარი ფოტოაპარატივით დანადგარი იდგა, მას „კალეიდოსკოპს უნიდებდნენ“. რომ ჩაიხედავდით განათებული ჩანდა დიდი ქალაქების სურათები და ერთმანეთის მიყოლებით მოძრაობდნენ... გარდა „დეზერტირების ბაზრისა“, მაშინ იყო „მალაკნების ბაზარი“, „ვერის ბაზარი“, „საბურთალოს ბაზარი“, „ნავთონულის ბაზარი“, „პატარა ბაზარი“, „ავტალის ბაზარი“ – (ძირითადად საქონლის ბაზარი იყო), „დილმის ბაზარი“, „დახურული ანუ „სალდატსკი ბაზარი“, „ცენტროლიტის ბაზარი“...

ორმოცდაათიან წლებში საბურთალოზე გ. პ. ი – ის ზემოთ (დღეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) დაუსახლებელი ტერიტორია იყო, სადაც ახლა „სპორტის სასახლეა“, დიდ მინდორზე იმართებოდა უზარმაზარი ბაზრობა, რომელსაც „ტალკუჩა“ ერქვა. იქ ყველაფრის ყიდვა და გაყიდვა შეიძლებოდა. იქ ვაჭრობდა ომის შემდგომი თბილისი. „პატარა ბაზრის“ (ნაძალადევში) ირგვლივ კი წრიულად ათასნაირი სახელოსნო იყო განლაგებული სხვადასხვაგვარი კარ-ფანჯრის (მაშინ მეტალოპლასმასი არ არსებობდა), თუნუქის, მილებისა თუ ღუმელების. იქვე იყვნენ შემკეთებელი ხელოსნებიც. დახლები კი შუაში, ცენტრში იყო განთავსებული. „ავტალის საქონლის ბაზარში“ შეიძლებოდა მიცვალებულის ქელეხის, ორმოცის ან წლისთავისათვის ცხვრის ან ღორის თუ სხვა პირუტყვის ყიდ-

ვა. შემოდგომაზე სოფელშიც და ქალაქშიც ბევრი ყიდულობდა ღორს დასაკლავად, ნაწილს ამარილებდნენ ან მარილწყალში ინახავდნენ. გაზაფხულის პირს ბარკლებს მზეზე ჩამოკიდებდნენ და შაშხი გამოჰყავდათ. ზამთარში დამარილებულს კარგა ხნით ალბობდნენ თბილ წყალში, რათა მარილი გამოსცლოდა. ცივად მოხარულის გარდა, ზოგჯერ სადილშიც იყენებდნენ. ასე გაჭერნდათ თავი იმ გაჭირვების უამს, არც შიმშილობდნენ და არც ბავშვებს აკლდათ კვება. „ნავთლულის ბაზარში“ კი უფრო სიიაფის გულისთვის დადიოდნენ, (კახეთთან სიახლოვის გამო).

სხვადასხვა ღონისძიებასა თუ ქალაქის ყოველდღიურობასა და სიმშვიდეს მაშინდელი მილიცია აწესრიგებდა (დღევანდელი პოლიციის წინაპარი). მაშინ არც პატრულები იყო, არც მილიციის გამოძახება არსებობდა, რადგან მობილური კი არა, ტელეფონიც იშვიათად ჰქონდათ და მით უმეტეს, ეკიპაჟით არ დადიოდნენ. ყველა უბნის გარკვეული მონაკვეთის პოსტზე მიმაგრებული იყო ერთი მილიციელი, რომელიც მთელ უბანს ფრთხილად დარაჯობდა. სასტვენით, „შვიმტოქს“ რომ ეძახდნენ, ამცნობდა იმ ტერიტორიას თავის სიფხიზლეს და მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში კი საშველად მოუხმობდა მეზობელი უბნის მილიციელს, მაშინ ნაკლებად იძარცვებოდა ბინები და საერთოდაც, წესრიგის დარღვევის ნაკლები შემთხვევები იყო. ბევრი, სახლიდან ახლო-მახლო გასვლისას საერთოდ არ კეტავდა კარს, და თუ ვკეტავდით, გასაღებს კარის წინ დაფენილ ფეხის საწმენდის ქვეშ ვტოვებდით. არც ამდენი რკინის გისოსი „ამშვენებდა“ ქალაქს. ახლა მარტო პირველი სართულის ფანჯრები კი არ ზის მეორე, მესამე და უფრო ზედა სართულისაც.

მაშინდელ თბილისს დილაადრიანად ალვიძებდა სხვადასხვა შეძახილი: უფრო კვირაობით ცხენშებმული საზიდრებით დადიოდნენ უბან-უბან ეგრეთწოდებული მეძველმანეები და მაღალ ხმაზე გაპეიოდნენ – „შევიძენთ ძველ ნივთებს“. უფრო ხშირად რუსულად გვიხმობდნენ: „სტარიე ვეშჩი“, „სტარიე ადიო-

უდი პაკუპაიუ“ და ათასნაირ ძველმანებს იძენდნენ მოსახლეობისაგან, მიზერულ ფასად. უფრო კი შესაკეთებელ ნივთებს ყიდულობდნენ. ასეთივე საზიდრებით ჩამოივლიდნენ ხოლმე მკალავები. დაზიანებულ ქვაბებს, სათლებს, ტაფებსა და სხვა საოჯახო ნივთებს აახლებდნენ, „კალავდნენ“. თან ბოლო ხმაზე გაჰკიოდნენ „მოსაკალი ქვაბები“ როგორც მახსოვს, თუთიის და თუჯის ჭურჭელს არ იღებდნენ).

მაშინ ძირითადად ნავთქურებს ხმარობდნენ. ამიტომ ნავთიც ცხენშებმული საზიდრით დაპქონდათ ცოტა შორეულ უბნებში. საზიდარზე იყო შემოდგმული ლითონის ნავთით სავსე დიდი კასრი ონკანით და გაისმოდა ხმამალალი შეძახილი – „ნავთი“, „კერასინ“... ისეთი შემთხვევაც მახსოვს, უბნის ონაგარ ბავშვებს ჩუმად მიპარვით ონკანი რომ გაუხსნიათ და ნავთი დაულვრიათ. სიარულის დროს, როცა მედროვეს ცხენის სა-დავეები ეჭირა და ბუნებრივია, ვერ ხედავდა, უკან რა ხდებოდა.

თბილისურ დილის მრავალხმიანობას მლესავების შეძახილიც ავსებდა... „ვლესავ დანებს და მაკრატლებს“, „ტაჩიატ ნაჟი ი ნოჟინიცი“. სალესი დაზგა ცალ მხარეს დიდბორბლიანი იყო და ასე ზურგზე მოკიდებული დადიოდნენ კარდაკარ. „ყვავილების მიწის“ გამყიდველები ზურგზე ტომარამოკიდებულიც მინახავს, ხშირად პატარა ჩოჩორსაც აჰკიდებდნენ მძიმე ტვირთს, „პანტა, პანტა“ – გაისმოდა გვიან შემოდგომით. პანტა ახლო-მახლო სოფლებიდან მოპქონდათ და ნახევარ კილოიან შუშის ქილით ჰყიდდნენ. ამასაც ორთვალა შებმული ჩოჩორით დაატარებდნენ ან თვითონ – ხელის პატარა ურმით. ისევ შემოდგომობით თიანელები სკოლების და ფაბრიკა-ქარხნების სიახლოვეს წიფელს ჰყიდდნენ ორასგრამიანი ჭიქით. მზესუმზირას ხომ თითქმის ყოველი ქუჩის კუთხეში ჰყიდდნენ ორასგრამიანი თლილი ჭიქით და 1 მანეთი ანუ 10 თეთრი ღირდა მაშინდელი კურსით.

ნახშირსაც დაატარებდნენ: შეშის, ხის ნახშირს, უთოებისა თუ მაყალისათვის, მაგრამ იშვიათად მინახავს სხვებთან შე-

დარებით.

„საკერავი მანქანის შეკეთება“ – ეს ხმაც ეწერებოდა თბილისურ შეძახილებში, ესენიც დადიოდნენ კარდაკარ და საკმაოდ ხშირადაც ასაქმებდნენ საკერავი მანქანის ხელოსნებს. მაშინ ხომ ყოველ მეორე ოჯახში იყო „ზინგერის“ ფირმის საკერავი მანქანა, ხელის თუ ფეხის, მრგვალმაქონიანი თუ გრძელმაქონიანი. იშვიათად იყო ქალისთვის მზითევში რომ არ გატანებინათ, თუ ძალიან გაჭირვებული არ იყო ოჯახი. მოგვიანებით კი „პოდოლსკის“ მარკის საკერავი მანქანებიც გამოჩნდა, სსრკ-ის ნანარმოები სხვადასხვა ფორმის და არც-თუ ურიგო.

„სურათების გადიდება“, ფოტოგრაფებიც დადიოდნენ უბნებში, პატარა ფოტო-სურათები მიჰქონდათ გასაღიძებლად. ჩარჩოებში სვამდნენ, ან ფერად პასპარტუში, ზოგჯერ კი ფაიფურის ან პლასტმასის თეფშებზე გადაჰქონდათ სურათი, თან აფერადებდნენ კიდეც.

ხალიჩების შესასყიდადაც დადიოდნენ ქალაქსა თუ სოფლებში, ხელით ნაქსოვ, ძველებურ, შალის ხალიჩებში ცვლიდნენ ახალ ხალიჩებს, ერთ ძველებურ და ზოგჯერ დაზიანებულ ხალიჩებშიც კი ორ-სამ ხალიჩას აძლევდნენ ან ყიდულობდნენ.

„მკითხავი, მკითხავი“, ეს უკვე ბოშა ქალების საქმე იყო. მათ იცოდნენ, როგორ უნდა დაეინტერესებინათ ხალხი და ხშირადაც გამოსდიოდათ. ათასნაირ ტყუილ-მართლით შოულობდნენ კაპიკებს, ზოგჯერ ჩასაცმელზე ან საკვებზეც მკითხაობდნენ. მოგვიანებით კი, ალბათ, სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში, ხალხმრავალ ადგილებზე ერთმანეთში ირეოდნენ და ათასგვარ წვრილმანს ჰყიდდნენ, თან არემარეს აყრუებდნენ: „უვაჩა-უვაჩა“, „პედრო, პედრო“, „მალბორო“, „ბრიტვა-ბრიტვა“ და ისეთ წვრილმანებს ჰყიდდნენ, რისი დეფიციტიც იყო.

ცირკი „შაპიტოც“ ხშირად მართავდა ქალაქის ამა თუ იმ უბანში უზარმაზარ, მაღალ კარავს და საცირკო სანახაობებს აწყობდა რაღაც გარკვეული დროით, ვიდრე მნახველთა რიცხვი ამოიწურებდა.

„სტიოკლი სტავლიატ“, „შუშების ჩასმა“, „მანონი-მალაკო“, „ესკიმო მოროუნი“, „ბატი-ბუტი ნა ბუტილკი“, ბატი-ბუტი ბურთულებივით იყო, დახლილი სიმინდის მარცვლები დამ-რგვალებული და სიტკბოთი შეკონიწებული, თან ვარდის-ფერიდან-წითლამდე ღვიოდა და ბავშვებს ძალიან უყვარდათ. შაქრით გაკეთებულ წითელ წვრილ ჩხირზე წამოსკუპებულ „მამალოებივით“. ბოთლებზეც ყიდდნენ, მაგრამ მკაცრად აკონტროლებდნენ წავთის სუნი რომ არ ჰქონოდათ, აუცილებ-ლად ჩაყნოსავდნენ ხოლმე და არც შამპანურის ბოთლებს იღებდნენ.

ქუჩის პირას ვცხოვრობდით და დილაადრიანად გვალვი-ძებდა „მეეზოვეების რისხვა“, ჩია ტანის ქალბატონის ჩხ-უბი, წიკვინა ხმა ჰქონდა, თან „უანგიანივით“ ულერდა. იგი არც თავს ზოგავდა და არც მეეზოვეებს. უთენია ამონმებ-და და თუ რამე არ მოეწონებოდა, ბოლო ხმაზე თათხავდა მათ. მეეზოვეები დილის ექვს საათზე და მგონი, უფრო ადრეც ასრულებდნენ თავის სამუშაოს, რადგან ექვს საათზე უკვე დაწერიალებულიც კი იყო ქუჩა. დაგვა-დასუფთავების შემდეგ, საკმაოდ დიდი ზომის სარწყავებით, ძლიერ რომ ერეოდნენ, სა-გულდაგულოდ რწყავდნენ. იქვე მაცხოვრებლების ეზოებიდან მოჰქონდათ წყალი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მაშინ არც ეზოებს კეტავდა ხალხი. თან ისეთი გამოპრანჭული იყვნენ, თუ მე მეჩვენებოდნენ ასეთად... მაშინ ყველა ქურთს თუ იეზიდს ეცვა ეროვნული სამოსი, რომელიც იმდენად მრავალფერო-ვანი და ჭრელა-ჭრულა იყო, რომ სადლესასწაულოდ გამოწყო-ბილს ჰგავდნენ. ატლასის ქვედა ბოლოები რამდენიმე, ალბათ, ორი-სამი დამოუკიდებელი, სხვადასხვა ფერის ნაჭრით იყო აწყობილი, მაგ: ერთი თუ ხასხასა მწვანე იყო, მეორე შეიძლე-ბა წითელი ან სხვა ფერის ყოფილიყო. ნაჭრები წვრილად იყო ჩაპლისული, ბოლოში კი ყველას ფერადი წვრილი ლენტები ჰქონდა რამდენიმე წყებად შემოკერებული. ასეთივე ფერ-ადოვანი, ზედა მოსაცმელები ეცვათ თავისი აქსესუარებით, ყურებზე კი ბურთულა, კონწიალა და დიდ-პატარა საყურეე-

ბი ეკეთათ. როგორც მახსოვს, ფეხზე თეთრი წინდები ეცვათ. ისინი არა მარტო ასუფთავებდნენ და უვლიდნენ, არამედ უხ-დებოდნენ კიდეც იმდროინდელ მრავალსახოვანსა და მრავალ-ფეროვან თბილისს.

პაპა და ბებო ცხოვრობდნენ დიდ ეზოში, სადაც სხვადასხ-ვა ეროვნებისა და კუთხის ხალხი იმ გაჭირვებულ დროსაც ერთმანეთის ზნეჩვეულებას და ტრადიციებს პატივს სცე-მდა. მეზობელი სომხების – მათთვის ერთ-ერთ ლირსშესან-იშნავ თარიღზე, და ეს თუ არ ვცდები „სუბსარქისი“ იყო, ერთმანეთისგან რიგ-რიგობით მოჰქონდათ უზარმაზარი ქვის დოლაბები, რომელთაგან ერთ-ერთს ხელის მოსაკიდი ჰქონ-და ზედა მხარეს. დოლაბებ შუა რას ფეხვავდნენ, არ მახსოვს, რაღაც მოხალულივით იყო. შემდეგ დაფქვილ-დაღერღილ ფხვნილს შაქარს ურევდნენ და ჯამებით გვირიგებდნენ მე-ზობლებს. გვასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა აგვეგუნდავები-ნა, მოგვემუჭა, რათა ფორმა მისცემოდა და ხელში დაგვეჭირა, რომ უფრო მოხერხებულად მიგვერთმია. ამ ტკბილ გუნდებს „ქუმელა“ ერქვა.

ოსი მეზობლების სოფლელ ნათესავს მათთან ჩამოჰქონდა პანტის ფქვილი. ალბათ, კარგად დამწიფებული, ჩამტკპარი პანტა იყო გამხმარი ან გახუსული, იქნებ თონეშიც კი და შემ-დეგ ისე წმინდად ფქვილივით დაფქვილი, თითქოს ჰეროვან-იც კი. პირში შეყრისას სუნთქვა გვეკვროდა, ლამის დავმხ-რჩვალიყავით. ისინიც გვასწავლიდნენ, როგორ უნდა გვეჭამა: აუცილებლად ცივ წყალში უნდა გაგვეხსნა და ჩაის კოვზით მიგვერთმია. ბავშვებს ძალიან მოგვწონდა, ტკბილიც იყო და გემრიელიც. არ ვიცი, მაშინ ბავშვებს დიდი არჩევანი რომ არ გვქონდა, იმიტომ მოგვწონდა, თუ მართლა ასე გემრიელი იყო. როგორც მახსოვს, „ცილყანი“ ერქვა იმ სასუსნავს.

კასპელებთან შემოდგომით ხილი ჩამოჰქონდათ ნათესავებს. ჩვენი მეზობლები მთლიან კომშებს ხარშავდნენ და ბავშვებს გვიმასპინძლდებოდნენ. სოფლიდან ჩამოტანილი, თონეში გა-მომცხვარი „ჭადპურაც“ შემოუთავაზებიათ. იგი ყვითელი ფერ-

ისა იყო, ხორბლისა და ყვითელი სიმინდის ფქვილის ნარევი.

ქართლელ მეზობელთან კი თეთრი, შაქრის ჭარხლის თა-თარა გვიჭამია, ოლონდ ცხელ-ცხელი. აგრეთვე, თუნუქის ღუმელის ფურნაჟში შემწვარ-შებრაწულითაც გვიმასპინძლ-დებოდნენ. მაშინ ქართლის მინდორ-ველები გადაჭრელებული იყო ჭარხლის ნათესებით მწკრივებად აზოლილ-ჩაზოლილები. მოსავალს აგარის შაქრის ქარხანას აპარებდნენ გადასამუშავე-ბლად.

აი, რუსებს კი, ეზოს ერთ კუთხეში უზარმაზარი ქვის ღუმე-ლი ედგათ, ე. წ. „რუსსკაია პეჩა“ და აღდგომას მორიგეობით, ღამეების თევით პასკებს გვაცხობინებდნენ ყველას.

ომის შემდგომ პერიოდის თბილისის ისეთი სიდუხჭირე და გაჭირვება დავხატე, რომ ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა კვე-ბასა და კვების პროდუქტებზე, თავის გატანის სიძნელეებზე. პროდუქტების ნაკლებობა არ იგრძნობოდა მაღაზიებში, ხი-ზილალაც კი იყიდებოდა და ძვირფასი თევზეულიც. პლეხ-ანოვზე სპეციალიზებული მაღაზია იყო თევზისა და თევზ-პრო-დუქტების, ათასნაირი კონსერვის. მაგრამ ხალხს ხანგრძლივი ომის გადატანის შემდეგ უფულობის გამო ყიდვა უჭირდა.

მაშინ მთავრობა ხალხისგან სესხს იღებდა და შესაბამისად ობლიგაციებს ურიგებდა იმის მიხედვით ვის რამდენი ხელფა-სი ჰქონდა. სანამ ქვეყანა წელში გაიმართებოდა და ბოლომ-დე გაისტუმრებდა სესხს, ნელ-ნელა გათამაშების სახითაც უბრუნებდნენ ფულს. გაზეთში ქვეყნდებოდა სერიის, ნომრის და მონაგები თანხის ცხრილი. ზოგჯერ მოულოდნელად დიდ თანხასაც იგებდნენ, თითქმის ლატარიასავით. ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა, ვიდრე ქვეყანას სათავეში ბზარი გაუჩნდე-ბოდა და ნელ-ნელა უკან-უკან ნავიდოდა ქვეყნისა და ხალხის საქმე. გაზაფხულზე ფასების კლების ცხრილიც კი ქვეყნდებო-და გაზეთებში. ერთი პერიოდი ის ობლიგაციები გაყინეს და მოგვიანებით, გათამაშების გარეშე რაღაც სახით გაანალდეს.

იმას მოგახსენებდით, რომ მაღაზის თაროებზე ყველაფერი იყო და რაც მთავარია, სალი, ნატურალური მარტო ღორის

შაშხი სამნაირი ხარისხის და ფასის იყო; ყველის ნაირსახეობანი შვეიცარულ-ჰოლანდიურიდან დაწყებული რამდენიმე სახითა და ფასის; ასევე კარაქიც – ხარისხიანი, შედედებული რძის პირამიდები... ყველაფერი ნელ-ნელა ხელმისაწვდომიც ხდებოდა. ამ გაჭირვების დროს ხალხი სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, ოჯახი რომ გამოეკვება. მაგალითად, ზაფხულში მწვანე, ნედლი და უფხო ლობიოს ჯიშის პარკებს შუა-შუა ტებდნენ, ძაფზე ასხამდნენ და ჩრდილში ჰკუდებდნენ გასაშრობ-გასახმობად. ზამთარში კი ამ ჩენჩირიან ხმელ ლობიოს წინა დღეს თბილ წყალში ალბობდნენ და მეორე დილით ჩაადგამდნენ მოსახარშად. დიდი დრო კი უნდოდა, მაგრამ შინ გამოყვანილ შაშხს და ხმელ სუნელებსაც რომ ჩაახარშავდნენ საკმაოდ გემრიელი გამოდიოდა. ასევე, მწიფე, უთესლო ბადრიჯანს დათლიდნენ, დაჭრიდნენ და მასაც ჩირივით ახმობდნენ. ზამთარში კი შაშხთან ერთად, პომიდვრის ბაქმაზითა და საკმაზი ხმელი სუნელებით შეაზავებდნენ. ისე ოდნავ მწლაკე გემო კი ჰქონდა, მაგრამ მაინც კარგი იყო.

ერთხელ დიდმა მსახიობმა: კახი კავსაძემ თქვა: ისეთი გაჭირვება იყო ომის შემდგომ პერიოდში რომ, პურის ერთ მოზრდილ ნაჭერზე პატარა ყველს მოგვიტეხავდნენ და ის უნდა გვემყოფინებინა პურის ნაჭრისთვის. ჩვენ კი ყოველ პურის ლუკმაზე ისე პატარას ვაციცენიდით ყველს, რომ პატარა-ვდებოდა ბურთივით მრგვალდებოდა და ლამის მოგვრჩენიდა კიდეცო.

ვ. კიკაბიაძე კი იხსენებდა, ისე გვიჭირდა, პურის გარდა როცა არაფერი გვქონდა საჭმელი, პურის ნახევარს წვრილ კუბებად ვჭრიდით, ტაფაზე ზეთში ვხრაკავდით და სადილივით პურით მივირთმევდითო.

ზოგჯერ ჩვეულებრივ ლობიოს რომ ჩაადგამდნენ, ნავთქურაზე, მოგეხსენებათ, გვიან იხარშება და შეკაზმვამდე მარცვალი რომ მოიხარშებოდა, რამდენიმე ნაჭერ პურს ამ მდუღარე ნახარში ალბობდნენ და მარილ-მოყრილით ბავშვებს გვანაყრებდნენ. სიმინდი და ლობიოც მოუხარშავთ ერთად,

ნიგვზით და სანელებლებით შეუგემებიათ. ცოტა უხერხული საჭმელი კი იყო, რადგან სიმინდი უნდა გამოეჩურჩათ, მაგრამ გაჭირვებაში ამასაც აკეთებდნენ. მოგვიანებით, დაკონსერვება შემოვიდა და მთელი ზამთრის სამყოფელ პროდუქტს აკონ-სერვებდნენ. აგრეთვე შემოდგომაზე არა მარტო სოფელში, არამედ თბილისშიც კლავდნენ ღორს, ამარილებდნენ და მთე-ლი ზამთარი იოლად გადიოდნენ.

ქორწილები

იმდროინდელი ქალაქურ-თბილისური ქორწილი ძალიან წაგავდა სოფლის ქორწილს. იმდენად გადატვირთული იყო რიტუალებით, რომ მარტო საქეიფო წვეულება კი არა, ლამის მინი-სპექტაკლები იმართებოდა. ამას თავისი ახსნაც ჰქონდა, ხალხს რომ არ მოეწყინა, მაშინ ხომ ღამისთვევით იმართებოდა ქორწილიც და სხვა დიდი წვეულებებიც.

გადახუნდლულ სუფრას სანახაობრივ-გასართობი დატვირთვაც ჰქონდა. თუმცა ნაკლებად თეატრალიზებული ქორწილებიც მახსოვს, ეს მგონი, ქალაქის უბნებზეც იყო დამოკიდებული და რაღაც წილად იმ უბანში მაცხოვრებელი ეთნიკური თუ კუთხური უმრავლესობიდანაც გამომდინარეობდა. ამ თვალსაზრისით უფრო ქალაქის ძველი ან განაპირა რაიონები გამოირჩეოდნენ. მაგალითად: ავლაბარი, ორთაჭალა, ნაძალადევი, დიდუბე...

მაპატიეთ, მაგრამ ისევ მინდა შეგახსენოთ, რომ თითქმის სამოცდაათზე მეტი წლის წინანდელ და შემდგომი პერიოდის ამბებს გიყვებით. ბევრი რამ შეიძლება უჩვეულოდ, დაუჯერებლად ან ზედმეტადაც მოგეჩვენოთ, ან პირიქით, ხანდაზმულებს ზოგი რამის გახსენება-დამატების სურვილიც გაგიჩნდეთ, მაგრამ მე მხოლოდ ჩემ ნანახ-დამახსოვრებულს გიამბობთ და არა ვინმეს მოყოლილ-შეკრებილ ამბებს.

მაშ ასე, დავუბრუნდეთ ტრადიციულ რიტუალს, რომელთა დანიშნულება მხოლოდ სტუმრების მოლხენა-გახალისებაზე იყო გათვლილი, სანახაობითობაზე და არა უზომო ჭამა-სმა-თრობაზე. ისე შემოათენდებოდათ ვერ იგებდნენ. ეს რიტუალი შემდეგ თანდათან დამახინჯდა, დრომაც დააძველა და გადააგვარა. ვთიქრობ, რიტუალების რალაც ნაწილი სოფლებიდან შემოვიდა და უფრო მეტად პერიფერიებში მოიკიდა ფეხი. იქ ხომ ნაკლებად იყო გასართობი: თეატრი, კინოფილმების ჩვენება, კონცერტები, ამაზე ქალაქშიც ბევრს ვერ მიუწვდებოდა ხელი. ამიტომაც გადმოიღეს ერთმანეთისგან ქალაქ-

ის უბნებმა ან ქალაქმა სოფლიდან და ქორწილებიც დამშვენდა სხვადასხვა სანახაობით.

ქორწილი ინიშნებოდა ღამის ათ საათზე ქალის ოჯახში. ამ დროისთვის გაშლილ-გამზადებული სუფრა თუ გამოპრანჭული სტუმარ-მასპინძელი, მორთულ-მოკაზმულ პატარძალ-დედოფლიანად ათი საათისათვის ელოდებოდა ნეფეს თავის მაყრიონით დოლ-გარმონის თანხლებით. ამ დროს პატარძალი უკვე ცალკე ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი მის მეგობრებს, ეგრეთწოდებულ „პადრუკებს“ ისინი კარში იდგნენ, რათა ნეფესთან გაემართათ ხანგრძლივი ვაჭრობა პატარძლის მორთვა-მოკაზმვის საფასურისთვის. ეს ვაჭრობა იყო სიმბოლური, ახალგაზრდა მაყრების, როგორც გოგონების, ისე ვაჟების გაცნობა-შეთვალიერება. ამ დროს გოგონები ენამზეობდნენ, კეკლუცობდნენ; ცდილობდნენ, თავი გამოეჩინათ ენამახვილობით, სიტყვამოსწრებულობით და სასაცილო სიტყვა-პასუხით. ამით მექორწილე მაყურებლებიც ერთობოდნენ. იქმნებოდა ხალისიანი საზეიმო გარემო. ბოლოს თანხმდებოდნენ თანხაზე, რომელსაც ხელისმომკიდე, ანუ მეჯვარე იხდიდა. თანხა, რა თქმა უნდა იყო მიზერულ-სიმბოლური. სანახაობრიობა კი – გასართობად გათვლილი.

შემდეგ გადავარდა ეს რიტუალი, ნელ-ნელა სულ სხვა სახე მიიღო: ყაჩაღანა გოგონებს საამაყოდ მიაჩნდათ, რაც უფრო მეტს აქტიურობდნენ, და ხელჩართულ ვაჭრობას აჩალებდნენ, რათა მეტი წაეგლიჯათ ნეფის ნათლიისთვის. ხშირად ეს „თავდასხმა-გამოძალვა“ ნებადართულ დაყაჩალების სახეს ღებულობდა და უხერხულობას ჰქმნიდა.

სოფლებში კი სხვაგვარადაც ხდებოდა: მაგალითად: მაყრებს კართან პურის მცხობელები ხვდებოდნენ საცრით და ეგრეთწოდებულ „საცრის ფულს“ მოითხოვდნენ. აქაც სიმბოლური ვაჭრობა მიდიოდა და ენამოსწრებულთა მარათონი იმართებოდა, საცერში კი ხურდა ფულები ცვიოდა, მაყრებისგან გაღებული.

ასეთივე რიტუალი ტარდებოდა „ჯვრის პურზე“, ესეც სანახ-

აობითი და სალალობო იყო. შემდეგ კიდევ, ნეფე-დედოფლის სკამზე პატარა ბავშვს დასვამდნენ და მანამ არ ათმობინებდნენ ადგილს, სანამ არ მორიგდებოდნენ... ნეფე-დედოფალს ოთახში შესვლისას ჩვილ ბავშვსაც აწვდიდნენ ხელში, მრავალშვილიანობა რომ დაბედებოდათ... გაჩაღებული იყო ცეკვა-თამაში, კარგი ცეკვითაც იწონებდა ბევრი თავს. მოკლედ, მთელი ლამე ასეთი პატარ-პატარა წარმოდგენები იმართებოდა. ხალხი ერთობოდა, ხალისობდა და დიდხანს, დიდხანს მიჰყევებოდა სალაპარაკოდ, გასახსენებლად ქორწილებში ნათქვამ-ნანახი. ხდებოდა სტუმრებისა და მასპიძლის ახალგაზრდებში საცოლეებისა თუ საქმროების შეთვალიერება, შერჩევა, შეგულება და კვლავ და კვლავ იმართებოდა ქორწილები.

ქართველებში, ალბათ, თავიდანვე იყო ჩადებული არტისტული ბუნება. ბერიკაობა-ყენენობიდან მოყოლებული, ქორწილებიც და დაკრძალვებიც არტისტული იყო. ავილოთ თუნდაც დატირება, გამწარებული ჭირისუფლებიც ისე გულში ჩამწვდომად დასტიროდნენ თავის მიცვალებულს, რომ პანაშვიდსა და დაკრძალვაზე მოსული უცნობი მოსამძიმრეებიც კი გულამოსკვნით ატირდებოდნენ ხოლმე. ხომ არსებობდნენ საგანგებო კარგი მომტირლებიც?

დიდებული ქართული ხალხური ცეკვების სანახაობრიობაც საყოველთაო აღიარებას და აღტაცებას რომ იწვევს იქნებაქედან იღებს სათავეს. ზოგი ხალხური სიმღერა, რა თქმაუნდა, სპეციალისტი არ ვარ, ცეკვის თანხლებითაც სრულდებოდა, მხოლოდ გაკვრით და ზედაპირულად ვეხები ამ საკითხს. საქმეში ჩახელულთ რა თქმაუნდა უკეთ მოეხსენებათ.

ცხადია, ქალაქში უფრო სადად იმართებოდა ქორწილები „საცრის ფულისა“ და „ჯვრის პურის“ გარეშე, მაგრამ დილამდე ნამდვილად არც აქ იწყენდა ხალხი: ქალის ოჯახში ლამის ათ საათზე მოსული ნეფე თავისი მაყრიონით კარგად მოილხენდა და ლამის თორმეტ საათზე მიჰყავდა პატარძალი (მაყრებიანად) თავის ოჯახში, სადაც მექორწილეები ელოდებოდნენ. პატარძლის მაყრები სიძის თანხლებ მაყრებზე ორჯერ მეტი

შეიძლება ყოფილიყო. ძირითადად რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა მიღიოდა მაყარში. ასევე ინიშნებოდა უფროსი მაყარი. პატარძლის ოჯახში ქორწილი დილამდე გრძელდებოდა. ამიტომაც ვერ მიღიოდნენ პატარძლის მშობლები სიძის ქორწილში. იქაც სხვადასხვა რიტუალი იყო ღამის განმავლობაში, ძილი რომ არ მორეოდა სტუმრებს და უაზრო სმას არ გადაჰყოლოდნენ. მთავარი იყო გართობა, ცეკვა-თამაში...

ნეფე-დედოფლის ბინაში შესვლისას, ზღურბლზე ფეხის შედგმისთანავე იდო თევში, რომელიც უნდა გაეტეხა ორივეს ერთად ფეხით, თუ რომელიმე დაასწრებდა, ამბობდნენ, ის დაჯანის ცოლ-ქმრულ ცხოვრებასა თუ ურთიერთობაში. ოჯახში შესვლისთანავე კანფეტებს აყრიდნენ აქეთ-იქიდან, ალბათ სიტკბოს აბედებდნენ.

თბილისის ზოგიერთ უბანში (უფრო ძველ უბნებში) იცოდნენ ე. წ. „ჩირალდნები“. ჩირალდანი იყო დიდი, ლამაზად დატოტვილი ხის კარვასი, ნაჭდევებით თუ ლამაზი კუნუბებიანი ხის ფირფიტებით დამშვენებული. მას ნაირ-ნაირი ნუგბარით რთავდნენ და სამშვენისებით ალამაზებდნენ. ჩირალდნის ორივე მხარეს დასკუპებული იყო ხის თხელი ფირფიტებითვე ან ყობილი ორი მტრედი. ერთი ასეთი ხის მტრედების ხელოსანი ჩვენს უბანში ცხოვრობდა, „მემტრედე შაქრო“ ერქვა. იგი ულამაზეს მტრედებს აკეთებდა ხის ფიგურულად დაჭრილი ფირფიტებით და ხეში გამოყვანილი მაქმანებით. ამ „ჩირალდნებს“ ნეფე-დედოფლის მაგიდაზე დგამდნენ.

ახალ შექმნილ ოჯახს, ცხადია, ქორწილში მოწვეული სტუმრები საჩუქარს ჩუქნიდნენ, შეარჩევდნენ ენაკვიმატ, ხალისიან ვინმეს, რომელიც იდგა ცენტრში, თითოეულ საჩუქარს აიღებდა ხელში, დაანახებდა ყველას, რამდენიმე სიტყვას საჩუქარზე იტყოდა, მჩუქნელს დაასახელებდა, თან რაიმე მისადაგებულ სხარტულას ან ანეკდოტსაც დაურთავდა. საჩუქრები ხვავდებოდა ერთ ადგილზე, საიდანაც თანდათანობით გაჰქონდათ, ბოლოს ეს ადამიანი დააყოლებდა: „ააშენოს იმის ოჯახიო, ბარაქა არ მოუშალოსო“. სხვებიც აყვებოდნენ „ააშენოს, ააშ-

ენოსო“.

მაშინ ფულის ჩუქება არ იყო მიღებული, ძირითადად საოჯახო ნივთებს, ჭურჭელს და მისთანებს ჩუქნიდნენ. საჩუქრების დემონსტრირებისას, ფასობდა ის, რომელიც უფრო ორიგინალური იყო და საინტერესო. ესეც სანახაობითი, დროის გასაყვანი რამ იყო. მართალია, ცოტა უხერხულობაც ახლდა დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ მოგეხსენებათ, მაშინ ნაკლებად იყო სხვა გასართობი, მარტო რადიოს ამარა ვიყავით, მიუთუმეტეს სოფლებში.

ერთი ცოტა საჩოთირო რიტუალიც გამიგია და მახსოვს ბავშვობიდან, მხოლოდ სოფლად: თუ რომელიმე მაყარი შეყვარებული იყო, ქორწილი დან სულ უმნიშვნელო ნივთი ან თუნდაც ყვავილი დედოფლის თაიგულიდან, უჩუმრად უნდა წამოელო და თავისი გულის სწორისათვის მიერთმია. ალბათ, ეს იმ ქორწილის სამახსოვროდაც, და რაც მთავარია, „თქვენი წყალი გადაგვესხასო“ – იგულისხმებოდა, ისევე როგორც ევროპაში პატარძალი რომ თაიგულს ისვრის. ქართლის სოფლებში ისიც მინახავს, ხის გრძელ შამფურებზე წამოგებული შემწვარი დედალი, წიწილა, გოჭის თავი ან მწვადის მოზრდილი ნაჭრები შუა-შუა მწვანილ-ბოსტნეულით და ხილით შევსებული, მექორწილე მაყრებს რომ ეჭირათ ხელში.

თბილისში კი, კერძოდ, ნაძალადევში, რამდენჯერმე შევსწრებივარ ტრამვაის ხაზთან მაცხოვრებელ მექორწილეებს როგორ გამოუტანიათ პურ-მარილით გაწყობილი პატარა მაგიდა დილის ექვს საათზე, ზედ ტრამვაის ხაზზე დაუდგამთ ცოტახნით, რომ შეეჩერებინათ ტრამვაი და გამასპინძლებოდნენ ვატმან-კონდუქტორს და მგზავრებს, თან ალოცვინებდნენ ახალ ოჯახს. მაშინ ტრანსპორტის სიმცირის გამო მოძრაობა ნაკლებად ფერხდებოდა.

ბავშვობაში ოქროს უბანში ვიყავი სტუმრად ქორწილში, სადაც პატარძალს ფატად თეთრი ქათქათა უნაზესი და ულამაზესი პანაწკინტელა ცვილის ყვავილების წნული, დიადემასავით ამშვენებდა, მხრებამდე დაშვებული, არ ვიცი ბავშვი

რომ ვიყავი, იმიტომ მელამაზებოდა, თუ მართლა ლამაზი იყო.

ასეთი დიადემა გირლიანდებივით წვრილ-ყვავილა ფატა, რუსების ქორნილშიც მინახავს თბილისურ ეზოში, გარეთ ცეკვისას. ასეთივე ქათქათა წვრილ ყვავილთა კუნწულა ნეფებსაც ჰქონდათ პიჯაკის ზედა ჯიბესთან მიმაგრებული. ატელიების ვიტრინებშიც მინახავს შესაკვეთად თუ გასაყიდად გამოფენილი.

სამოცან წლებში ფატა საერთოდ გადავარდა. თმებში მხოლოდ ყვავილებს იბნევდნენ ლამაზად, ან მოკლე (კისრამდე) ფატას ირგებდნენ.

ასევე დამოკლდა ფატასთან ერთად საქორნილო კაბებიც, მუხლზე ან მუხლს ზემოთაც აინია. მოკლე კაბის პირობაზე ცდილობდნენ განსხვავებული და ორიგინალური ყოფილიყო საპატარძლო კაბა.

დიდხანს მაინც ვერ შეელივნენ პატარძლები გრძელ, მართლაც სადედოფლო კაბებს და კვლავ დააგრძელეს. ფატის მაგიერ კი, ფართო ფარფლებიანი „შლაპები“ შემოიღეს, წვრილი ყვავილებით ან ბაფთებით დამშვენებული, თუმცა ესეც მალე გადავარდა.

ქორნილში აუცილებლად პირველი მოდიოდა „მახარობელი“, რომელსაც ღვინის დოქით და ფიალით ხვდებოდნენ, უმასპინძლდებოდნენ ღვინით და წითელ ხელსახვევს, უფრო პატარა ზომის თავსაკრავს ახვევდნენ მკლავზე... ბევრგან იცოდნენ ეგრეთნოდებული „შაბაში“. ეს იყო ფული ქალალდის კუპიურით, რომელსაც ცეკვის დროს აქეთ-იქიდან ხელებში აწვდიდნენ პატარძალს. ბოლოს, ხელები რომ აევსებოდა პატარძალს ფული „დამკვრელებთან“ მიჰქონდა და მათ წინ მაგიდაზე ახვავებდა. თუ რომელიმე მექორნილე ცეკვას შეუკვეთდა „დამკვრლებს“, ფულს ზოგჯერ ყურს უკანაც უდებდნენ. ხალხი კი გაიძახოდა: „შაბაშ, შაბაშო!“. ძირითადად ესეც გარეუბნებსა და სოფლებში უფრო ხდებოდა.

აი, ჩემი ქორნილი კი რატომლაც ჭიათურის რაიონის ერთერთ სოფელში გადაიხადა ჩემი მეუღლის ოჯახმა. ულამაზე-

სი ქორწილი იყო. ზესტაფონიდან ამ სოფლამდე კარგა დიდ მანძილზე, ტრასის ორივე მხარეს, ერთმანეთის მიყოლებით ჩაამწკრივეს თითქმის ადამიანის სიმაღლის ჭაობის მცენარე, რომელთა გრძელი ყავისფერი დაბოლოებები ნავთით იყო გა- ულენთილი. გზადაგზა ბავშვები დაუყენეს. თბილისიდან საქორ- წილო კორტეჟის მოახლოებისას, სიგნალის გაგონებისთანავე დაანთეს და ასე გაჩახჩახებულ-გაჩირალდნებულ დერეფანში მოუხდა მანაქანების კოლონას სიბნელეში გამოვლა. მაღალი ყორეებით შემოვლებულ ეზოს ჭიშკართან სოხუმიდან საგანგე- ბოდ ჩამოტანილი ქათქათა, უზარმაზარი ქრიზანთემებით დამშვენებული საქორწილო სუფრა იყო გაშლილი, სანაქებო იმერულ სუფრას გიტარაზე ნამღერი ქალაქური სიმღერები ამშვენებდა.

მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიალი

დავიწყოთ იმით, რომ მაშინ (50-იან და მომდევნო წლებში) ჭირი იყო თუ ლხინი, რაიმეს აღსანიშნავი სუფრა ყოველთვის შაბათ-კვირას გადაჰქონდათ. მიუხედავად იმისა რომელ დღეს უწევდა ეს თარიღი. მაშინ ხალხი ნაკლებად დადიოდა ეკლესი-აში და არც ამდენი მოქმედი ეკლესია იყო, რელიგიური წესები რომ ეკარნახათ. არსებობდა მხოლოდ ხალხში გავრცელებულ-დამკვიდრებული საყოველთაო ტრადიცია, რომელსაც მტკიცედ იცავდნენ. მაგალითად, მიცვალებულს დაახლოებით ერთ კვირამდე არ ასაფლავებდნენ. ბალზამირება და მითუმეტეს არც მაცივრები არსებობდა.

ზაფხულობით ქირავდებოდა მეორადი, უზარმაზარი საყინულე კუბოები. მათ „ლედნიკები“ ერქვა. შიგ დიდი ზომის ყინულის ზოდებს აწყობდნენ. დაკრძალვამდე ამ თავდახურულ „ლედნიკებში“ ესვენა მიცვალებული. ყინულს ცვლიდნენ, გამონაჟონ წყალს კი საკაცის ქვემოთ სათლებს უდგამდნენ და ყვავილებში მალავდნენ. ზაფხულის დღეებში ოდნავი სუნი თუ მაინც შეიგრძნობოდა, სხვადასხვა მძაფრი სუნამოებით ანეიტრალებდნენ.

სოფლად თუ ქალაქად რამდენიმე მყარად დამკვიდრებული წესი არსებობდა. ადამიანის გარდაცვალებისთანავე სანათესაო-სანაცნობოში სხვადასხვა კუთხეში აგზავნიდნენ დეპეშებს, რომ ეუწყებინათ ეს სამწუხარო ამბავი. ოჯახის ახლობლებს ე. წ. „შემტყობინებლებს“ უგზავნიდნენ. მათ „მოპატიუებსაც“ უწოდებდნენ.

მიცვალებულის გაპატიოსნებაში შედიოდა გაბანვა. გამბანავები კიდეც აცმევდნენ ჩასაცმელს. ნაწილს კუბოში უფენდნენ ჩასატანებლად და ნაწილს საახლობლოში არიგებდნენ, რომ მის სახელზე გაეცვითათ... მიცვალებულის სამეზობლო თავზე იღებდა ქელების მომზადება-გაძლოლას და სხვა საორგანიზაციო საქმეებს.

მაშინ სარიტუალო დარბაზები არ იყო და არც ბრეზენტის

უზარმაზარი სეფა-კარვები, ამიტომ პირველ რიგში იწყებოდა ოთახების გამოთავისუფლება ავეჯისგან, როგორც მიცვალებულის ოჯახში, ისე ახლო მეზობლის, რათა ჭირის სუფრა გაეშალათ. შემდეგ იწყებოდა მაგიდების, სკამების და ჭურჭლის შეგროვება, რადგან მაშინ არც ჭურჭლის გამქირავებელი პუნქტები იყო და არც უბნებს ჰქონდათ საერთო ხმარებისთვის შეძენილი ჭურჭელი. ამიტომ შეგროვებული ჭურჭელი ერთმანეთში რომ არ არეოდათ ნიშნებს უკეთებდნენ, გადმობრუნებულ თევზს რელიეფურ წრიულ ზოლს ერთ-ორ ან მეტ ნაჭდევს უკეთებდნენ ქლიბით, დანაჩანგალსაც აგრეთვე თანაც მაშინ ქელეხებს ორას, სამას და მეტ კაციანს არ იხდიდნენ, მხოლოდ საახლობლო და სანათესაო რჩებოდა ჭირის სუფრაზე.

დაკრძალვამდე ოჯახის ჭირისუფლების და რაიონიდან ჩამოსული სტუმრების კვებასაც მეზობლები უძღვებოდნენ, დაკრძალვამდე მიცვალებულის ოჯახში ხორციანი კერძი არ შეიძლებოდა, აღმოსავლეთ საქართვლოშიც კი.

ადამიანის გარდაცვალებისთანავე ახლობლები ადგენდნენ როგორც მისაპატიუებელთა, ისე საქელებო სუფრის პროდუქტების სიებს. ხდებოდა ხარჯთაღრიცხვაც, სად, რამდენი უნდა შეეძინათ „საკლავი“ ან ლვინო.

თბილისში „საკლავად“ მხოლოდ ცხვარი ითვლებოდა, საქონლის ხორცი ბაზარში შეიძინებოდა, რაიონსა და სოფლებში კი მსხვილფეხა საქონელიც იკვლებოდა.

დახმარების მიზნით სამეზობლოში ფულსაც კრებდნენ მიცვალებულის ოჯახისთვის, რომელიც ზოგჯერ მთელ უბანს ან მთლიან კორპუსს მოიცავდა.

მოგვიანებით, სამოციანი წლების შემდეგ, ქელეხებისა და ქორწილების სუფრა, უკვე უზარმაზარ გრძელ სეფაში იშლებოდა. გაჩნდა სკამ-მაგიდებისა და ყველანაირი ჭურჭლის გამქირავებელი პუნქტები და მოპატიუებულთა რიცხვიც საკმაოდ გაიზარდა. სამოცდაათიან წლებში ისეთი დიდი სეფა იშლებოდა მიკროფონებს ამონტაჟებდნენ ერთმანეთის ხმა რომ

გაეგოთ. ალაგ-ალაგ შეშით დასანთებ თუნუქის ღუმელებს დგამდნენ ზამთარში. ზოგი ორას, სამას და ოთხას კაციან სუ-ფრასაც კი შლიდა.

აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც თბილისში, ქელებზე „საკლავი“ ხორცი აუცილებლად უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა მარხვა იყო თუ არა. ხორცად მხოლოდ ცხვარი და საქონელი მოიაზრებოდა. ღორის ხორცი, შემწვარ-შებრაწული წინილა, გოჭები არ შეიძლებოდა, არც ხაჭაპური, არც ნამცხვარ-ტკბილეული (კოლიოს გარდა).

ნელ-ნელა, დაახლოებით ორი ათასი წლიდან შესაძლოა უფრო ადრეც, რაც მრევლი მომრავლდა და ყველა ეკლესია ამოქმედდა, დაიწყეს მარხვის დაცვა ქელებზე და ცხოვრება-შიც. არამარტო ხორცი აიკრძალა მარხვის პერიოდში, არამედ ყველა არასამარხვო პროდუქტი: ყველი, კვერცხი, კარაქი... შეიძლება გამონაკლისიც ხდება, მაგრამ, ალბათ, იშვიათად.

არ ვიცი რატომ ხდებოდა თბილისში და საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოში რომ მარხვა ხორცს არ გამორიცხავდა ქელებში. იქნებ იმიტომ რომ სულის შესაწირად ითვლებოდა და ამიტომაც ერქვა „საკლავი“ ან სულაც ურნმუნო კომუნისტების გავლენით დადუმებული, ეკლესიების უმოქმედობა იყო მიზეზი... მე მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ. აკრძალვის მიუხედავად, ხალხმა მაინც მრავალი ეკლესიური რიტუალი შემოინახა. თითქმის ყველა წმინდანის დღეს აღნიშნავდნენ, სანთლებს ანთებდნენ, ლოცულობდნენ, განსაკუთრებით სოფლებში. დღეობები ხომ წმინდანების სახელობისა იყო, აშკარად ზემობდნენ „ნიკოლოზობას“, „ლვთისმშობლობას“, „გიორგობას“ და სხვა წმიდანების სახელობის დღეობებს.

მიცვალებულის ოჯახში თუ ბავშვი იყო მოუნათლავი, – ნათლავდნენ. დედაჩემი, ბებიაჩემი და მათი ხნისანი მტკიცედ იცავდნენ წესს: შაბათს ხუთი საათის შემდეგ „მზის ჩასვლის შემდეგ“, ნემსს ხელში არ აიღებდნენ მეორე დღის, კვირის ხუთ საათამდე – „კვირაძალიაო“ – ასე ამბობდნენ.

თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოში ქელები იმართე-

ბოდა დაკრძალვის შემდგომ, სასაფლაოდან მობრუნებულ ხალხს ხვდებოდა რამდენიმე ქალი, პირსახოცებითა და წყლით, რათა ყველას ხელი დაებანათ, თუნდაც უსაპნოდ. ეს ალბათ, ჰიგიენის აუცილებლობის გარდა, ერთგვარი რიტუალიც იყო. აქვე უნდა ითქვას ერთი უხერხული წესის შესახებ: თვალსაჩინო ადგილზე იდგა პატარა მაგიდა, სადაც ორი კაცი შესანირს კრებდა და სიაში აფიქსირებდა. დასავლეთში ამ „შესანირავს“ „გადასახური“ ერქვა.

დასავლეთ საქართველოში ხორცი გამორიცხული იყო ქელებზე, მარხვაშიც და უმარხვოდაც. ქელები იმართებოდა დაკრძალვამდე. დაკრძალვის დღეს მუდმივად განახლებადი სუფრით ხვდებოდნენ მოსულს, მითუმეტეს შორს მაცხოვრებელს, რომელსაც ზოგჯერ დაკრძალვამდეც კი უხდებოდა უკან გაბრუნება.

ისევ თბილისს დავუბრუნდეთ. თბილისში მაცხოვრებელს, დასავლელი იყო თუ აღმოსავლელი, ყველას ერთი წესი ჰქონდა – „თბილისური“. გარდაცვლილის ოჯახში მეორე დღიდანვე იწყებოდა სხვადასხვა წეს-ჩვეულების აღსრულება.

მიცვალებულის სურათს ადიდებდნენ და კედელზე კიდებდნენ. მასთან ერთად პასპორტის სურათის ზომის მომცრო სურათებსაც ამრავლებდნენ, დაახლოებით 30-40 ცალს. მათ მკერდზე პალტოსა თუ კაბის გულზე იბნევდნენ და ორმოც დღემდე ატარებდნენ მიცვალებულის ხსოვნისა და პატივის-ცემის აღსანიშნავად. ამ პატარა სურათებს შავი ქსოვილის ვიწრო ლენტის არშიას შემოავლებდნენ ანაოჭებულად და ისე აბნევდნენ ტანსაცმელზე. მამაკაცები გლოვის ნიშნად პალტოს ან პიჯაკის ცალ სახელოზე შავ, საკმაოდ განიერ ლენტს ან ქსოვილს აკერებდნენ წრიულად იდაყვს ზემოთ, ამასაც ორმოცამდე.

დაკრძალვის დღეს მიცვალებულის ყველა ჭირისუფალი იპარსავდა პირს, რადგან ორმოცამდე არ შეიძლებოდა გაპარსვა. მოშვებული წვერი გლოვის ნიშანი იყო.

ქალები, თუ გარდაცვლილი მათი ოჯახის წევრი იყო ან ახ-

ლობელი, გარდა შავი ტანსაცმელისა თხელი ნაჭრის გრძელ და განიერ მანდილს, „შარფს“ ატარებდნენ. ძაძები მხოლოდ შავ კაბასა და ფეხსაცმელს არ ითვალისწინებდა, ივლის-აგვისტო-შიც კი შავი წინდები უნდა სცმოდათ, ისე, რომ ფეხი ბოლომ-დე ყოფილიყო დაფარული და ეს ყველაფერი წლამდე უნდა ეტარებინათ ან ორმოცამდე მაინც. ძაძები მთლიანად ახალი შეძენილი და ახალი შეკერილი უნდა ყოფილიყო, ამ მიცვალე-ბულის სახელზე. მეორე დღიდანვე იჯერდნენ თადარიგს: მიდ-იოდნენ მაღაზიაში ქსოვილის, ფეხსაცმლის, შარფის, წინდების შესაძენად. პარალელურად გვერდით ოთახში ჰყავდათ მკერა-ვი, რომელსაც ყველა ჭირისუფლისთვის და ახლო ნათესავები-სთვის უნდა შეეკერა კაბა, (მოკლე თავსაფრები – ნათესავები-სთვის). რა თქმა უნდა, მკერავს ეხმარებოდნენ პანაშვიდამდე რომ მოესწრო ყველფრის შეკერვა.

პანაშვიდებზე ვიდრე მაგნიტოფონი შემოვიდოდა, ცოცხალ შემსრულებლებს იწვევდნენ. რამდენიმე მუსიკოსისგან შემდ-გარი მინი-ორკესტრები, თავისი ინსტრუმენტებით მოდიოდნენ და კლასიკურ, სამგლოვიარო ნაწარმოებებს ასრულებდნენ. ეს უფრო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ხდებოდა. განაპირა რაიონებში, პერიფერიებში კი ძირთადად მეღუღუკეთა ანს-ამბლები ე. წ. „დასტები“ დადიოდნენ. მათს რეპერტუარშიც შედიოდა სამგლოვიარო, გულის ამაჩუყებული სიმღერები: დედაზე, მამაზე, შვილზე, და-ძმაზე და ა. შ. იმისდა მიხედ-ვით მიცვალებულს რომელი მოერგებოდა, ზოგჯერ სახელსაც კი მიუსადაგებდნენ ხოლმე. ერთმანეთს ცვლიდა ჭირისუფ-ლის დატირება და მათი სიმღერა. დატირება, მოთქმა-გოდება ერთ-ერთ და მთავარ რიტუალად ითვლებოდა. რიგ-რიგობით დატირებისას ისეთ გულის ამაჩუყებულ სიტყვებს ამბობდნენ, ხალხი ტირილით გამოდიოდა. ასეთ მიცვალებულზე ამბობდ-ნენ – „ცრემლიანი მკვდარიაო“. არსებობდნენ აგრეთვე „კარგი მოტირლები“, რომლებიც მკვდარს „აპატიოსნებდნენ“.

ეს ყველაფერი უფრო სოფლად ან განაპირა უპნებში ხდებო-და. ნელ-ნელა გადავარდა ხმამალლა მოთქმით ტირილი. ყველა

მიეჩვია, გულში ჩაეკლა ახლობლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი.

დაკრძალვამდე მიცვალებულს ლამეს უთევდნენ მამაკაცები სამეზობლოდან, სანათესაოდან თუ სამეგობროდან. სახლიდან გამოსვენება ხდებოდა 4-5 საათზე ზამთარ-ზაფხულის მიხედვით და არა როგორც ახლაა მიღებული, 2-3 საათზე.

პროცესიას წინ მედროშე მიუძღვოდა დიდი დროშით. მეც მახსოვს ერთი ასეთი „მედროშე შურკა“. პროცესიას მიჰყვებოდა სასულე ორკესტრი უზარმაზარი „ბარაბნით“, დასარტყმელი გონგებით. სასაფლაომდე როგორი შორი მანძილიც არ უნდა ყოფილიყო, მიცვალებული ნებისმიერ ამინდში ხელით მიჰქონდათ. ესეც ერთგვარ გაპატიოსნებად ითვლებოდა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც შუა გზიდან მანქანაზე გადაპქონდათ.

გვირგვინები ზოგჯერ იმდენი იყო, რომ დიდი სატვირთო მანქანის ძარაზე გვერდებს („ბორტებს“) სამივე მხარეს ჩამოშლიდნენ და ზედ მაღალ ხარიხებს ამაგრებდნენ იარუსებად. ბოლოს ხარიხები სახურავივით დამრეცად ერთდებოდა და ზედ ისე მაგრდებოდა გვირგვინები, ყვავილების სახლს მოგაგონებდათ. ზოგჯერ პროცესიას რამდენიმე ასეთი მანქანა მიჰყვებოდა. საფლავს რომ ამოთხრიდნენ, სილრმეში ცემენტით და ქვიშით თაღებს აკეთებდნენ წინა დღეებში, შემრობა რომ მოესწრო. კუბოს ამ თაღებში ათავსებდნენ. საფლავში ჩასვენებამდე იწყებოდა დეპეშების კითხვა ტექსტებით, სარკ-ს ყველა კუთხიდან თუ საქართველოს ქალაქებიდან.

როგორც კანონი, დაკრძალვის მეორე დღეს ჭირისუფლები საფლავზე გადიოდნენ. ამ დღეს „შვიდი“ ერქვა, მიხუდავად იმისა მეშვიდე დღე იყო, მეექვსე თუ მერვე. ეკლესიურად ახლა მეცხრე დღეს გადიან. ორმოც დღემდე არც მაშინ და არც ახლა შეიძლება საფლავზე გასვლა.

„ორმოცის“ და „წლისთავის“ სუფრაზე უკვე ყველანაირი საკვები იყო მიღებული: გოჭი, ქათამი, ხაჭაპური, ნამცხვარი და ხილი. წლისთავის ალანიშნავად სუფრაზე წესით „ჭერი იხდებოდა“. ასე უწოდებდნენ, რადგან ამ სუფრის დასრულები-

სას უნდა ემლერათ თუნდაც ერთხელ, „ჭერი აეხადათ“ რათა მწუხარება და უპედურება დამთავრებულიყო ამ ოჯახში. ზოგ-ჯერ ჭირისუფალს უჭირდა ამასთან შეგუება და თავს იკავებდა ე. წ. „ჭერის ახდის“ გამო წამოწყებულ სიმღერაზე.

... იმ დროისათვის თბილისის მოსახლეობა საკმაოდ განსხვავებულად იმოსებოდა. მაგალითად, ქალები ჩექმას საერთოდ არ იცვამდნენ და არც არსებობდა ქალის ჩექმა. იყო მხოლოდ რეზინის ბოტები ყელიანი და უყელო, ქუსლიანი და უქუსლო. ქუსლიანს და ცოტა მაღალ ყელიანს ჩექმა-ბოტი ერქვა. ბოტების ქუსლებში სიცარიელე იყო, ამიტომ მენაღებს აჩარხვინებდნენ შესაფერისი ზომის ხის ქუსლებს და თვითონ დებდნენ საქუსლეში ან პირდაპირ ქუსლიან ფეხსაცმელზე იცვამდნენ ბოტს. ბავშვები ბოტებს ხმარობდნენ, მხოლოდ დაბალს და გადასაჭერშესაკრავიანს. ისე კი, მთელი ზაფხული მსუქუბი სანდლები გვეცვა. წითელი ან ყავისფერი, საძირეც და ზედაპირიც ტყავისა იყო.

მოზრდილები საზაფხულოდ ასეთივე გადასაჭერიან ე. წ. „ტანგეტკა“ ქუსლიან ფეხსაცმელს ატარებდნენ, ძალიან მოდაში იყო და პრაქტიკულიც. მას „ვენგერკებს“ ეძახდნენ. „ვენგერკებს „მოკასინები“ მოჰყვა“. გამოჩნდა სპორტული ფეხსაცმელებიც ე. წ. „ტაპოჩკები“ და „კედები“. „მოკასინების“ შემდგომ მოდაში ფრაგნულქუსლიანი ფეხსაცმელი შემოვიდა ე. წ. „ფრანცუსკები“, რომელთა წვერი და უფრო კი ქუსლი ძალიან დაწვრილდა, კალაპოტიც დავიწროვდა. „ფრანცუსკები“ გამოსასვლელ ფეხსაცმელად დამკვიდრდა. კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა მსხვილცხვირიანი ფეხსაცმელი, რომელსაც „ბულდოგები“ შეარქვეს. გოგონები მთელი დღე, თითქმის ყველგან უქუსლო, ტილოს ღია ფერის „ჩუსტიკებით“ დადიოდნენ. ეს მსუბუქი ფეხსაცმელი უცხოეთიდან შემოდიოდა და ხელზე იყიდებოდა ხელმისაწვდომად, მაგრამ, არა თავის ფასად. შემდეგ კი თბილისში დაიწყეს, ე. წ. „ბეზრაზმერნი“ ჩუსტიკების კერვა, რაც საკმაოდ იაფი და მოხერხებული იყო.

გავრცელებული იყო აგრეთვე „გალოშები“. სატუცავი ჰქვია ქართულად, მაგრამ „კალოშებს“ ეძახდნენ. განსაკუთრებით მამაკაცები ხმარობდნენ და უამინდობაში ფეხსაცმლის გარე-დან იცვამდნენ, რათა შენობაში შესვლისას კართან გაეხადათ და შიგნით სუფთა ფეხსაცმლით შესულიყვნენ. ასეთ ამო-საცმელ „გალოშებს“ ქალებიც ხმარობდნენ, უქუსლოსაც და ქუსლიანსაც.

აი, მამაკაცები კი ჩექმას ხმარობდნენ, უბრალო დრაგუნი-დან, „კირზი“ ერქვა, აზიურებამდე, „აზიაცკებს“ ეძახდნენ. მათ სქელი და მაგარი ტყავი ჰქონდათ გამოკრული საძირებე. თუ არ ვცდები, „პადოშს“ ეძახდნენ. „აზიაცკებზე“ შარვალი უნდა სცმოდათ, ე. წ. „გალიფე“, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო. ეცვათ აგრეთვე ჩაშვებული, სწორი შარვლები, რომელსაც „ჩასტონს“ ეძახდნენ; „აფშლაგინს“ კი, თუ სწორად ვამბობ, ნა-კეცებს ტოტების ბოლოში. უფრო მოგვიანებით ახალზარდებ-ში ვიწრო შარვლები შემოვიდა, ე. წ. „ბუტილკა“, პირველად ძალიან გაუჭირდა ფეხის მოკიდება, რადგან უსიამოვნებაც ახ-ლდა ამ მოდელის შემოსვლა-დამკვიდრებას. უფრო წარმოუდ-გენელი იყო მოკლე შარვლის – „შორტის“ ჩაცმა, მით უმეტეს ქალაქში. ასევე მიუღებელი იყო მამაკაცისთვის ჭრელი, რაიმე გამოსახულებიანი პერანგის ჩაცმა, რადგან დამკვიდრებული იყო სადა პერანგები, სხვადასხვა ფერის, ან კუბოკრული.

ზედა სამოსად უფრო ზრდასრული და ასაკოვანი ადამიანები „კიტელს“ ხმარობდნენ. ეს იყო ჩაღილული სახელოიანი ზედა ჩასაცმელი, გარედან მიკერებული დიდი და პატარა ჯიბებით. იგი თეთრი ფერის ტილოსგან იკერებოდა, ან ჩესუნჩისგან. ამ-იტომ „ჩესუნჩის“ კიტელს ეძახდნენ. ტილოს ფეხსაცმელებიც ეცვათ მაშინ, უფრო მამაკაცებს, თუმც ქალებსაც ეცვათ. მასოვს, თითო-ოროლასლა ეცვა მამაკაცის ზედა პერანგი, რომლის მარცხნიდან წამოსული წვრილი ღილებით შეღილუ-ლი ირიბი ჭრილი მარჯვენა მხარეს პატარა მდგარ საყელომ-დე ადიოდა. კალთები შარვალში ჩასატანებელი ან ქამრით შე-მოსარტყმელი ჰქონდა მას „გალიფე“ შარვალზე იცვამდნენ.

ერთხელ ვიკითხე: – რა ჰქვია ასეთ პერანგს-მეთქი. მოდელს ვგულისხმობდი და „ერთი მუჭა საქართველო“ – მომიგეს. ეს მოდელი მალე გადავარდა.

ზამთარში მამაკაცებს ჩასათბუნებლად ე. წ. „ტელეგრეიკები“ ეცვათ, ალბათ, რუსეთიდან შემოვიდა, მაგრამ აქაც კარგად აითვისეს, რადგან იოლი იყო მისი შეკერვა. ამ დაბამბულ-დალიანდაგებულ სამოსს უფრო ხელმოკლე ხალხი: მუშები და სოფლის გლეხობა ხმარობდა.

იყო ასეთი სამოსი „მაკენტოფი“ – საზაფხულო პალტო მამაკაცებისათვის, „გაბარდენის“ საზაფხულო პალტოები. ქალებისა და მამაკაცებისათვის. (ხალხი „კაბარდინის“ ეძახდა). ასევე „დრაფის“ ზამთრის პალტოები, შემდეგ შემოვიდა „ტრიკოტინის“ პალტოები, რომლებიც მხოლოდ ხელზე იყიდებოდა დახლს ქვემოდან ან „სპეცულაანტებთან“. ამავდროულად, შესაძლებელია ოდნავ ადრეც, მოდაში შემოვიდა თხელი ლაბადა, იტალიური „პლაშჩი“, რომელიც მიუხედავად სიძვირისა, ძალიან სწრაფად გავრცელდა და დიდი გასავალიც ჰქონდა. ყველას ყველგან ეცვა, თუმცა თხელი იყო და ლაბადათ უფრო გამოდგებოდა. სამოცდაათიან წლებში საკმაოდ ძვირადღირებული, რბილი ტყავის საზაფხულო პალტოები ანუ „ლაკის პლაშჩები“ შემოვიდა და რადგან თითქმის ყველა შავი ფერის იყო, ლამის მთელი თბილისი გადაშავდა. ბატონ ბიძინა კვერნაძის არ იყოს, როგორც ამბობდნენ, ერთ-ერთ პანაშვიდზე მთავრობის შეგვიანებულ წევრებს ელოდებოდნენ. ბოლოს რომ გამოჩნდნენ, ცხონებულ კომპოზიტორს უთქვამს: „გვეშველა, მოშავდნენო... თბილისელები სიძვირის გამო ბოლომდე ვერ გაუშინაურდნენ. უფრო ადრე ქუდების ასეთი სახეობებიც იყო, მაგალითად: „გალიბანდი“, „კრაველის ქუდი“, „ბუხრის ქუდი“.

იმ დროს ძირითადად ქსოვილებს ყიდულობდნენ და მკერავებს აკერინებდნენ. მზა ნაწარმი შედარებით ნაკლებად იყიდებოდა. მკერავები საკმაოდ მომრავლებული იყო თითქმის ყველა უბანში და ქუჩაზეც კი. რა თქმა უნდა, ატელიებიც იყო, მაგრამ ხალხი უფრო კერძო მკერავებს ეტანებოდა. იყვნენ

სახელგანთქმული მკერავებიც და იყო შემკვეთების „პრიმერკებზე“ (მოზომება-ჩასწორება) სირბილი. კლიენტს თითო კაბის შეკერვისას ორ-სამჯერ მაინც იპარებდნენ. ქსოვილების დიდი არჩევანი იყო, ძალიან ბევრი სპეციალიზებული ქსოვილის მაღაზიებიც მახსოვს. ზოგ მათგანში მოგვიანებით ე. წ. „გამომჭრელებიც“ ჰყავდათ, ისინი იქვე შეძენილ ან მიტანილ ქსოვილს სახელდახელოდ აღებული ზომებისა და კლიენტისვე არჩეული მოდელის მიხედვით ჭრიდნენ და ქინძისთავებით კინძავდნენ. იმ დროინდელი ქსოვილების ზოგიერთი დასახელებაც მახსოვს: „მარკიზეტი“, „კრეპულრუეტი“, „კრეპ სატინი“, „იაპონუა“, „შატლანგა“ (ეს ალბათ რადგან კუბოკრული იყო, შოტლანდიიდან მოდიოდა სახელწოდება), „ქიშმერი“, „კაშმირი“, „შტაპელი“, „ამერიკო“ (ეს მგონი იარდალივით ქსოვილი იყო), „პომ ბარხატი“ თუ „პოლ ბარხატი“, ჩესუნჩი და სხვა ბევრი. ისე, გაცილებით ადრე ყოფილა, და მე მხოლდ გამიგია „ფაიდაშენის“ კაბა ან „ფილტიკოზის“ წინდები ეცვაო.

ქალს კაბის ან ნებისმიერი ბლუზის ქვეშ პერანგი ეცვა, უბრალო თუ ბრალიანი, ადგილობრივი ტრიკოტაჟის თუ ძვირადლირებული გერმანული „გარნიტურები“ თუ „კორსეტები“ – „გერმანულ“ ან „ესპანურ“ მაქმანებით. ასეთივე იყო საღამურები. ქალები თვითონაც იკერავდნენ ან აკერინებდნენ ღამის პერანგებს. გულისპირს თავად უქარგავდნენ ნაირ-ნაირ სახეს („უზორებს“) ფერადი „მულინეს“ ძაფებით.

მამაკაცებიც პერანგის შიგნით აუცილებლად მაისურს იცვამდნენ, ხშირად მაისურებს ქალები ქსოვდნენ ყაისნალით და №10 თეთრი კოჭის ძაფით, სხვადასხვა „უზორებითა“ თუ ორნამენტებით – ირმებით, ყვავილებით და სახელებით.

არც. ე. წ. „კოლგოოტკები“ არსებობდა მაშინ, თხელ მოკლე წინდებს წვივებზე იმაგრებდნენ რეზინის დამჭერებით, რომლებიც ხშირად უნდა გამოგეცვალა ხარისხიანი თან ლამაზი რეზინით, ქუჩაში რომ არ ჩაჩაჩულუყო. არსებობდა სპეციალური ქამარიც ორი წინ და ორი უკან ჩამოშვებული ფართო რეზინებით, რომლის დამჭერის სამაგრები წინდის ბოლოებს

იმაგრებდა. და ეს ჩამოშვებული სამაგრი რეზინები თეძოებთან ოდნავ გამოყვანილ მოკლე ქამრებზე იყო დამაგრებული. ერთი უხერხულობაც ახლდა ამ თხელ, კაპრონ-ნეილონის წინდებს: უკანა მხარეს მთელს სიგრძეზე ქუსლიდან ბოლომდე ჰქონდა წვრილი ნაკერი („შოვი“), რომელიც წვივის შუაზე უნდა ყოფილიყო, ქალებს ხშირად უხდებოდათ შემოწმება-შესწორება, რათა არ დაბრეცილიყო ეს „შოვი“.

თხელ წინდებს ხშირად მისდიოდა თვალი, ზოგჯერ ახლად ნაყიდს პირველივე ჩატარებულ კი. ამისთვის არსებობდა თვლების ამოყვანი ხელის სპეციალური ნემსი. მას ხშირად იყენებდნენ, რადგან თვალწასული წინდით სიარული უხერხულად ითვლებოდა. სამოციან წლებამდე მოზარდები და ახალგზარდა ქალები, ისევე როგორც ბავშვები, ზაფხულობით ფეხსაცმელს იცვამდნენ „ნასკებზე“ ანუ მოკლე წინდებზე, რომლებსაც სამაგრი რეზინი არ ჰქონდა და ამიტომ ორ-სამჯერ იკეცავდნენ წინდის ყელს. ორმოცდაათიან წლებში ქალის ზედა სამოსზე – კაბა იქნებოდა, ბლუზი თუ პალტო, მხრების შესამაღლებლად მოდაში იყო სამკუთხა დალიანდაგებული პატარა ბალიშები, რომლებსაც „ლიპებს“ ეძახდნენ. თხელ საზაფხულო კაბებზე კი საკმაოდ მოზრდილი ლიპები ეკეთათ და კარგა გვიან გადავარდა მოდიდან. შემდეგ კი, ოთხმოცდაათიანი წლები იქნებოდა, ალბათ, კვლავ შემოვიდა მოდაში – ჯერ მომრგვალებული ფორმის, შემდეგ კი პატარა ზომის და აპრეხილი, თუმცა დიდხანს ვერც ამჯერად გასტანა. გავრცელებული იყო აგრეთვე, თეთრი, აბრეშუმის ან ახლადშემოსული კაპრონ-ნეილონის მოქარგული გულის პირები, „ვსტავკებს“ ეძახდნენ და თხელი პიჯაკის ტიპის შემოსაცმელის ან გულლია კაბის შიგნით ხმარობდნენ.

ახალგაზრდა ბიჭები და ზოგჯერ გოგონებიც იცვამდნენ ლურჯი ან შავი შტაპელის თავბოლოში მჭიდროდ ანაოჭებულ, რამდენიმე მწკრივად რაზინგაყრილ შარვლებს. საერთოდ, ქალები შარვლებს არ ხმარობდნენ. იშვიათად, გამონაკლისის სახით ექსურსიებზე და ალბათ, ექსპედიციებში. ასეთ შარვ-

ლებზე ქალებიც და კაცებიც ხშირად იცვამდნენ „უკრაინკებს“, ფერადი მულინე ძაფებით კანვაზე მოქარგულგულისპირიან ბლუზ-პერანგებს. ამგვარად მოქარგული პერანგები საკმა-ოდ გავრცელებული იყო ისევე, როგორც ბავშვებისთვის „მა-ტროსკები“.

50-იან წლებამდე და შემდგომაც, ვისაც ახალი პალტოს შეძენის საშუალება არ ჰქონდა, ხშირად ძველ პალტოს არღვე-ვდა, გადმოაბრუნებდა და უკულმიდან კერავდა, გახუნებულ, გაქუცულ ნაჭერს ახლის იერი რომ ჰქონოდა. მაგრამ ზოგჯერ ვერაფერს უხერხებდნენ ლილ-კილოებს, რადგან ამობრუნები-სას სხვა მხარეს ხვდებოდა და როგორ აკურატულადაც არ უნდა ამოეკერათ, მაინც გასცემდა თავს.

ხელმოკლე ხალხი ლოგინის თეთრეულს – საპირეებს, შალითებს, ზენრებს და საცვლებსაც კი საკერებლებითაც აკერებდა, რომ გაეხანგრძლივებინათ ხმარების ვადა. ასევე მინახავს მამაკაცის გაცვეთილი ფეხსაცმლის ზედაპირზე პანაწკინტელა წმინდად დადებულ-დაკერებული საკერებელი, ფეხსაცმელი კი გულმოდგინედ იყო გაპოხილ-გაპრიალებული შავი პასტით. მახსოვს კიდევ, როგორ ფასობდა და მოგვწონ-და კიდეც ფეხსაცმელი, რომელიც ჭრაჭუნობდა. რაც აშკარას ხდიდა ხარისხიანი ტყავის ძირის ე. ი. „პადოშის“ ქონას. იგი რეზინის ძირიანზე მეტად ფასობდა. როგორც ამბობდნენ, ფეხსაცმლის მკერავები საძირებს შუა სახამებლს ყრიდნენ საჭრაჭუნებლად. მაშინ ტანსაცმელს აკერინებდნენ მკერავებს, ე. წ. „პარტნიხებს“, ფეხსაცმელს კი მენაღეებს, ანუ „საპოუნი-კებს“.

ვიდრე მთანმინდაზე ცნობილი „ცეკას“ ინდკერვის ფეხსაც-მელების ატელიე გაიხსნებოდა, მანამდე ალექსანდრე ჭავჭავა-ძის ქუჩის ერთ-ერთ ეზოში იყო ფეხსაცმელების შემკეთებელი პატარა სახელოსნო, მას უწოდებდნენ პირველად „ცეკას“ ატე-ლიეს, სადაც შეკვეთებს ღებულობდნენ. გამორჩეული მასალ-ისგან იკერებოდა განსაკუთრებული ხარისხის ორიგინალური მოდელების ფეხსაცმელი. ისეთს ვერცერთ მაღაზიაში, ვერც

ადგილობრივს და ვერც იმპორტულად შემოტანილს ვერ ნახავდით.

მახსოვს კიდევ მაშინდელი ფულის ზოგიერთ ოდენობას ხალხში თავისი სახელები ჰქონდა: მაგალითად 5 კაპიკს – „შაური“ ერქვა, 20 კაპიკს – „აბაზი“, 100 კაპიკს – „მანეთი“, 10 მანეთს – „თუმანი“.

სამოციან წლებში ფეხსაცმელზე ნალების დაკვრა შემოიღეს. სულ ახალ ფეხსაცმელსაც და ახალშეკეთებულსაც თავსა და ბოლოში აკრავდნენ ორ-ორ ნალს. დეზებივით წკაპა-წკუპი გაჰქონდა ამ ნალებს, მაგრამ კიდევ კარგი, მალე გადავარდა.

ძველ თბილისში ბვერგან, უფრო ხალხმრავალ ადგილებზე იდგა ფეხსაცმლის მწმენდავის ე. წ. „ჩისტილშჩიკის“ სავარძლები, ორ მოპირდაპირე სავარძლიდან ერთში თვითონ მწმენდავი იჯდა, მოპირდაპირე ბახრამიან სავარძელში კი – კლიენტი. „ჩისტილშჩიკი“ რამდენიმენაირი ჯაგრისით, დახელოვნებული მოძრაობით, სხვადასხვა ფერის კრემ-პასტებით თუ გრძელი ხავერდის ნაჭრით საგულდაგულოდ წმენდად და აპრიალებდა, ლამის აახლებდა ფეხსაცმელს. ბევრს საკუთარი ჯიხურიც ჰქონდა, მაგალითად ე. წ. „გადასასვლელი ხიდის“ (ცენტრალურ ვაგზალთან) თავში იდგა ერთი ასეთი ჯიხური, შიგნიდან თუ გარედან სულ ცნობილი ფალავნების მედლებით მკერდდამშვენებულთა სურათები იყო გამოკრული, ერთმანეთის მიჯრით განლაგებული ისე, რომ ერთ სანტიმეტრსაც ვერ ნახავდით აუთვისებელს. თვითონ ხელოსანი კი სოლიდური ასაკის, დიდულვაშა, შავგვრემანი იყო ასირიელი, თუ არ ვცდები. მე პატარა ვიყავი მაშინ, თორემ მას მთელი უბანი იცნობდა. იქ მაშინ დიდი მოედანი იყო, ბევრი ხალხი იყრიდა თავს, რადგან იქვე რკინიგზის სადგური იყო, ტრამვაიც იქ ბრუნდებოდა დროებით. „მალაკნების“ ბაზრის მიმართულებით ყოფილი საბჭოს ქუჩის ეს მონაკვეთი ძალიან ვიწრო იყო და აგანივრებდნენ, რათა „მალაკნების“ ბაზრის შემდგომი მონაკვეთი ისედაც ვიწრო ქუჩის გავლით ტრანსპორტს თავისუფლად შესძლებოდა ვაგზალთან დაკავშირება. შუა პლეხანოვზე კი გვიანობამდე

შემორჩა „ჩისტილშჩიკი“ თავის სავარძლებით.

იმ დროს გაჭირვების გამო, ახალი ავეჯის შექენა და ძველის შეცვლა თუ არ შეეძლოთ, გენერალური დალაგების – „გენუბორკის“ – დროს (უფრო კი რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებით) სასტუმრო ოთახში ავეჯს ადგილს უცვლიდნენ „პერესტანოვკებს“ ვაკეთებთო ან „დეკორაციებს ვცვლით“. იმის შემდეგ ათასნაირი ნაქარგებით განყობილ-დამშვენებულ ოთახში ისეთი სიახლის ილუზია ჩნდებოდა, თითქოს მართლა ახალი ავეჯი შეუძენიათო. სასიამოვნო სიახლის განწყობა იქმნებოდა. მაშინდელი ავეჯი ადგილობრივი წარმოებისაც კი, მოჩუქურთმებული იყო უმეტესად და ართცთუ ძვირი. მაგიდის ოთხივე ფეხზე ყურძნის დიდი მტევნები და ვაზის ფართო დიდ-პატარა ფოთლები იყო ამოტვიფრული. ასევე ბუფეტების ზედა და ქვედა კარები მოჩუქურთმებული იყო სხვადასხვა ფიგურებით. უფრო სადა ბუფეტის ზედა ნაწილი კი დეკორა-ტიული შუშის ჭრილებით იყო დამშვენებული.

მაშინდელ დივან-ტახტებს „ატამანკებს“ უწოდებდნენ და ცოტა განსხვავებულიც იყო, საზურგიან-მისაყუდებლიანი. თავზე, მთელ სიგრძეზე ფიგურულ შუშიანი ვიტრინა ჰქონდა. ტყავით თუ ტყავის შემცვლელით გადაკრული ორი მუ-თაქა იდო თავ-ბოლოში, დივანი რბილი იყო, რადგან ფოლადის საკმაოდ მაღალი ზამბარები ჰქონდა. იყო უზურგო „ატამანკებიც“ თავის ანჯამებზე დამაგრებული მუთაქებით. „ატამანკებზე“ ანყობდნენ სხვადასხვა ტექნიკით ნაქარგ ნაირფერ პატარა ბალიშებს, რომლებსაც „ყურთუკებს“ ე. ი. ყურთბალიშებს ეძახდნენ. იყო აგრეთვე „ეტაზერკა“ წიგნებისა და სხვადასხვა სამშვენისების დასაწყობად. მას გადაბმული ბურთულებივით გამოჩარხულ ოთხ სვეტზე დამაგრებული თაროები ჰქონდა. დეკორატიული „ვაზების“ და ლარნაკებისთვის, ოთხ მაღალ ფეხზე დამაგრებული იყო პატარა მოცულობის სადგამი, რომლის ზედა ნაწილი ლამაზი ფორმის ფიგურებით იყო განყობილი. ასეთ სადგამებს მგონი „კონსოლი“ ერქვა. ზოგჯერ ქოთნის ყვავილებიც ეწყოთ ზედ. იყო შიფონერები, მაშინ

„შიფანერკებს“ ეძახდნენ. ცალ მხარეს ჰქონდათ ტანსაცმლის საკიდი განყოფილება, მეორე მხარეს შუამდე უჯრები, უჯრებს ზემოთ კი შემინული თაროები.

მოდაში იყო ნიკელის საწოლები, შედარებით სადა, ნაკლებრიკულებიანი და ხის დაფიანიც. შეკვეთით გაკეთებული ნიკელისვე ორნამენტებით და ფიგურებით უხვად განყობილი კი საკმაოდ ძვირადღირებული იყო, დასაწოლი ბადეც ზამბარებიანი ჰქონდა, შედარებით უბრალო საწოლებს კი უზამბარო, რაღაც გადაბმული მარყუჟების მსგავსი. იყო აგრეთვე საკმაოდ ლამაზი ე. წ. „ფრაჟის“ საწოლები განყობილი, მოყვითალო, კუთხური სხვადასხვა ზომის და ფორმის ლითონით და ნიკელით. საწოლის თავების ოთხივე დაბოლოებას ნიკელის ოვალურ-წვერიანი ბურთულები ჰქონდა დამაგრებული, საკმაოდ ლამაზი იყო ეს ყვითელი „ფრაჟის“ საწოლები. სულ უბრალო რკინის საწოლები სადა იყო და ზეთის საღებავით შეღებილი. საკმაოდ გავრცელებული იყო მაშინ პირსაბანები, თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა. ეს იყო ნიჟარიანი კარადა მარმარილოს ზედაპირითა და სარკიანი მარმარილოს დაფით, ლამაზად მოპირკეთებული. ზემოთ მარმარილოს სარკიანი დაფის უკან იყო წყლის ჩასასხმელი ავზი, საიდანაც წყალი ონკანში მოდიოდა, ნიჟარის ქვემოთ ტუბმბოში იდგა სათლი, სადაც ნაბანი წყალი ჩაედინებოდა, ავსებისას სათლს ცლიდნენ.

დღეს რომ ქუჩებში ნაგავ-ნარჩენების ურნები დგას, ადრე არ იყო, მხოლოდ დიდ საცხოვრებელ კორპუსებში იდგა ხის დიდი ნაგავსაყრელი ყუთი, რომელიც დროგამოშვებით იცლებოდა. ყოველ დილას ადრე და ზოგჯერ შუადლესაც ყველა უბანში ნაგვის მანქანა დადიოდა. გაისმოდა სხვადასხვა სიმჭახის საყვირ-სასტვენების ხმა, რაც ბევრს აღვიძებდა კიდეც. მანქანას რომ არ გაესწრო სახლებიდან გამორბოდნენ დილის ხალათებით, ბიგუდებით, „ფოსტლებით“, ზოგი გამოპრანჭულიც იყო და ზოგი – ჯერ კიდევ პირდაუბანელი.

მართალია, სამოციან წლებამდე უფრო გაჭირვებულ პერიოდშიც ცდილობდნენ თბილისელები შეძლებისდაგვარად

„ეკეკლუცათ“, მოწესრიგებულ-მოკოხტავებული ყოფილიყვნენ შინ და გარეთ. იმ დროს მოდასაც საკმაოდ უწყობდნენ ფეხს. ეს ალბათ, უცხოური ფილმებისა და ნაირ-ნაირი მოდის უურ-ნალების გავლენაც იყო. მაგრამ სამოციანი წლებიდან ბევრად გაუმჯობესდა ამ მხრივ მდგომარეობა.

შეძლებული ახალგაზრდა ქალბატონების დიდი ნაწილი ზამთარში შავ ბუკლეს წელში გამოყვანილ პალტოებზე ატარებდა ეგრეთნოდებულ „ჩორნაბურკებს“. მთლიანი მელია ჰქონდათ მხრებზე მოგდებულ-ნამოგორებული, ოთხივე ფეხით და თავით, დაჭყეტილ თვალებით მომზირალი, და ეს კუდფუმფულა მელაკუდები შავი ფერისანი უფრო ჭარბობდნენ, თუმც თეთრი და ვერცხლისფერიც გამოერეოდა აქა-იქ. როგორც მახსოვს, ბაკურიანშიც იყო სპეციალური მელიათსაშენი, სადაც გამოჰყავდათ საამისოდ საუკეთესო ჯიშები და ამარაგებდნენ ბენვის დამამუშავებელ საწარმოებს. ყველა მოზარდს და ახალგაზრდა ქალბატონს კაბის და ბოლოკაბის ქვეშ ეცვათ დოლბანდისგან (მარლისგან) შეკერილი ანაოჭებული ე. წ. „პოდიუბკა“ (ბოლოკაბის შიგნით ჩასაცმელი), თან ისე გახამებულ-გაშეშებული, რომ ბოლოკაბის კალთები მას გაშლილ ქოლგასავით ეფინებოდა. ბალერინის „პაჩკებივით“ ეცვათ, ოღონდ არა ასე მოკლე. ცოტა ხანში კაბებიც ძალიან დამოკლდა. ტრანსპორტში სკამზე ჯდომისას უფრო ზემოთ გარბოდა და ხელჩანთით იფარავდნენ. მიკვირს, მაშინ ასე თამამად არ იცვამდნენ და ასე ძალიან როგორ მოიკიდა ფეხი ამ ე. წ. მინი-კაბებმა, მაქსისა და მიდისგან განსხვავებით. შუა ხნის ქალბატონებს ასე მოკლე არ ეცვათ, რა თქმა უნდა, მაგრამ დღევანდელთან შედარებით მაინც ბევრად მოკლე იყო.

მინი-კაბებთან ერთად და მგონი, ცოტა უფრო ადრეც შემოვიდა „დეკოლტე“, საკმაოდ თამამად მოღებული გული, კაბებსა და ბლუზებზე. ესეც მკვეთრად გაბედული ნაბიჯი იყო, რადგან მანამდე ყველა ერიდებოდა ოდნავ გულმოხდილ კაბასაც კი. სიგამხდრე, თან ცოტა მომეტებული, არ იყო იმ დროს მოდაში და თუ ლავინის ძვლები ოდნავ მაინც ეტყო-

ბოდათ, საგულდაგულოდ მალავდნენ ყელთან მიბჯენილ გულისპირით. სამაგიეროდ, ქალბატონები თავს იწონებდნენ გამოკვეთილი თეძოებით, ბუნებრივად ხვეული („გრუზა“) თმებით, ასევე დატალღულით. სწორი თმა არ იყო მოდაში, უფრო ადრე ნაწილის ატარებდნენ, შემდეგ კი თმების ექვსთვიანი დახვევა – „ზავივკა“ – შემოვიდა და თმების ხელოვნურად დატალღვა „ელექტრომაშით“, ან ნავთქურაზე გაცხელებული „მაშით“ ხდებოდა. გაშლილი თმა, მითუმეტეს მხრებს ჩამოცდენილი, ასეთი ვარცხნილობა მაშინ არ არსებობდა; ატარებდნენ შეკრულს და მოკლედ. გრძელ თმას კი უკან, კეფასთან მრგვლად მოხვეულს, ლითონის სამაგრებით „შპილკებით“ იმაგრებდნენ. გაშლილზე ე. წ. „ჩოლეკას“ შუბლთან იჭრიდნენ, დაახლოებით სამოციან წლებში მოდაში იყო აჩეჩილ-აბულულებული თმა, რომელსაც „ნაჩოსს“ უწოდებდნენ, პირველად კი „ბაბეტასაც“ ეძახდნენ, ფრანგული ფილმიდან მსახიობ ბრიუიტ ბარდოს ვარცხნილობის გამო.

მამაკაცების დღევანდელი თმის ვარცხნილობა მაშინაც იყო მოდაში; უკან თითქმის გახოტრილი, ან ძალიან დაბალი თმა, წინ კი – ქოჩორი, რომელსაც ჯერ გვერდით და შემდეგ ზემოთ აივარცხნიდნენ. ამ ვარცხნილობას „პოლბოქსი“ ერქვა... ასევე ერთი პერიოდი ზომიერად მოშვებულ თმას მთლიანად უკან ივარცხნიდნენ. მოზრდილი თმა რომ ასე გაეჩერებინათ, ზოგ-ჯერ ღამით წინდის ყელის ჩამოცმაც უწევდათ. შემდეგ უკვე თმასაც თითქმის მხრებამდე მოშვებულს ატარებდნენ.

მახსოვს, ორმოცდათათან წლებში ზაფხულობით, უფრო შეუახნის და ასაკოვანი ქალბატონები გამჭვირვალე და აუზურულ ხელთათმანებს იცვამდნენ, ხელჩანთებად კი ე. წ. „რედიკულებს“ და „კლატჩებს“ ხმარობდნენ. ზამთარში ნაირ-ნაირი მოდელის ბეწვით ან ვუალით დამშვენებულ ქუდებს ატარებდნენ. ერთ დროს „უშანკა“ ქუდებიც შემოვიდა, ბეწვის, თბილი, ყურებიანი და კისერთან თასმებით შესაკრავი. შემდეგ ცილინდრის ფორმის მაუდის თავსაბურავები გამოჩნდა. ასევე დიდ-ფარფლებიანი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის თეთრი „შლა-

პეპიც“.

ხშირად მსმენია ქალებისადმი მიმართვა – „მადამ“.

ზაფხულში თბილისელი ქალბატონები ნაირფერი საზაფხულო ქოლგებით დადიოდნენ ქუჩაში. ვიდრე რუკის ფერი შემოვიდოდა მოდაში, კანის თეთრი ფერი უფრო ხიბლავდათ, მე კი – სპილოს ძვლისფერი მომწონდა (ამბობდნენ არისტოკრატიული ფერიაო). ვინ იფიქრებდა, რომ მოგვიანებით, ქალები სოლარიუმებსა და თაკარა მზეში დაიხრუკავდნენ თავს.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, სავარაუდოდ, ამერიკული ფილმებიდან თუ ღია ბარათებიდან შემოიღეს ცალ მხარეს ორი ოქროს კბილის ჩასმა. კბილები მხოლოდ გაცინებისას ჩანდა.

ქალბატონები არც მაშინ იყვნენ მწყრალად კოსმეტიკასთან. თუმცა ასე დიდი არჩევანი არ ჰქონდათ. ერთი ნაწილი იყენებდა ე. წ. „ფერუმარულს“. რომელსაც გამსალებლები თავად ამზადებდნენ. როგორც ვიცი, ვერცხლის წყალზე მზადდებოდ, თეთრი ხსნარი იყო, კარგად უნდა შეგენჯლრიათ და ისე დაგეტანათ სახეზე. მათეთრებელ კრემებსაც ამზადებდნენ, არცთუ პატარა გასავალი ჰქონდა. ეს ყველაფერი სახლში დამზადებული საშუალებები იყო, მაგრამ გამოდიოდა ფაბრიკული წარმოების სახის კრემები: „ჩისტატელი“, „მეტამორფოზა“ და სხვ. იყო ლოკების შესაფერადებელი სითხე – „რუმიანა“ (ლოკებლა-ულაფა ქალბატონებიც მოსწონდა ზოგს). იყიდებოდა სხვადასხვა სახის პუდრი და ტუჩისაცხები.

მამაკაცები წვერის გაპარსვისას სამმაგ ე. წ. „ტრაინოი ოდე-კოლონს“ და „შიპრს“ იყენებდნენ; ქალბატონები ძვირადლირებულ სუნამოებს – „კრასნაია მასკვა“, „პოდაროჩნი“, „მალახიტოვაია ნოჩი“, „პიკოვაია დამა“, „მოჟეტ ბიტ“, „ბიტ მოჟეტ“. სულ უბრალო სუნამოც მახსოვეს, მოგრძო სამკუთხა სხვადასხვა ზომის ფლაკონში – „კარმენ“, ასევე „სირენ“ და „ფიალკა“.

სამოცდაათ-ოთხმოციან წლებში და მგონი, უფრო ადრეც, უკვე ფრანგული ძვირადლირებული სუნამოებიც შემოვიდა: „კლიმა“, „ფიჯი“, „დიორი“ და სხვ. თუმც ფრანგულამდე

არაბული სუნამოებიც დიდ პატივში იყო. „მანიკურიც გამახ-
სენდა, მაშინ ფერად ლაკს მთელ ფრჩხილზე არ ისვამდნენ,
ფრჩხილის ძირში თეთრი თალი შეუღებავი უნდა დაეტოვე-
ბინათ ნახევარწრიულად.

საინტერესო აღამიახები

თბილისში ერთი საინტერესო პიროვნება ცხოვრობდა – კოს-მეტოლოგი ქალბატონი ქეთევან იაშვილი. მას და მის მეუღლეს თითქმის მთელი ქალაქი იცნობდა. ქალბატონი ქეთევანი ადრე საზღვარგარეთ ცხოვრობდა. თბილისში რომ გადმოსახლდნენ, ვერაზე ფილარმონიის უკან, მელიქიშვილის ქუჩაზე ჰქონდათ ბინა. მათ ჩამოიტანეს ცნობილი მხატვრების ძვირადღირებული ტილოები. პირველად დეიდას ვახლდი ვიზიტისას და იმდენად მომენტისა ეს სურათები – , მორიდებით ვათვალიერებდი, რა თქმა უნდა, მაშინ ნაკლებად ვიცოდი ამ სურათების მხატვრული ლირებულების მნიშვნელობა, მაგრამ იმდენად მომენტისა და მესიამოვნა, რომ გაოცებული ვათვალიერებდი. ეს რომ ქალბატონმა ქეთევანმა შენიშვნა, თვითონ დამათვალიერებინა. შესანიშნავი მოსაუბრეც გახლდათ. ისე კარგად მიმასპინძლა, რომ მას შემდეგ არაერთხელ ვეწვიე.

ამ შესანიშნავმა მანდილოსანმა ტილოები უსასყიდლოდ გადასცა მშობლიურ თელავს.

გარდა ბევრი სათაყვანებელი, პატივსაცემი, ღირსეული პიროვნებისა, რომელთაც განსაკუთრებით ვაფასებდით, ქალაქს თავისი კოლორიტებიც ჰყავდა: ნიაზ დიასამიძე, ქართლოს კასრაძე, გიზო ნიშნიანიძე, გივი კარტოზია და სხვანი. ისინი თბილისს განსაკუთრებულ ეშვები მატებდნენ. ბევრი და მათ შორის მეც მათ პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ყველათვის ახლობლები იყვნენ, ყველა ოჯახის დაუსწრებელი სტუმრები. მათზე ისე ვსაუბრობდით, როგორც ჩვენიანებზე. თბილისში მცხოვრები ერთმანეთისთვის უცხო კი არა ერთმანეთისანი ვიყავით. შამბე რომ შამბეა (ერთადერთი თბილისელი „ზანგი“ მუშთაიდიდან), ისიც კი ჩვენიანი იყო, იმ თბილისს რომ გიუები ჰყავდა, ისინიც ჩვენიანები იყვნენ. ამიტომ რაღაც წილად, ისინიც ენერებოდნენ მაშინდელი თბილისის კოლორიტში.

ასეთი იყო „ბლეხანოველი“ კიკა, რომელიც გამუდმებით №2 და №3 ტროლეიბუსში იჯდა და ამ უბანს პატრულივით წრეს

უვლიდა. ხალხი ესალმებოდა და ესაუბრებოდა; თვითონ უწყინარი იყო, არავის არაფერს უშავებდა.

“მარინასაც” მთელი თბილისი იცნობდა. ის თვითონ არ ტოვებდა გამოულაპარაკებლად არავის. ქალებს ნაკლებად სწყალობდა. თუ ვინმეს რამე არ მოეწონებდა ან ჩაცმულობა, ან ვარცხნილობა, ან უბრალოდ, თვალში არ მოუვიდოდა გათათხავდა, ნაირ-ნაირ ეპითეტებსაც არ დაიშურებდა. მე არ მინახავს, მაგრამ ამბობდნენ, ჭიქას ისე საოცრად და ოსტატურად ატრიალებდა, სხვებს რომ ვერ გამოსდიოდათ.

ადრე, ნაძალადევის გადასასვლელი ხიდის მიდამოებში და უფრო ხშირად კი აბანოში (ყოფილ ტაძარში რომ იყო განთავსებული) ტრიალებდა ახალგაზრდა ქალი – „გიუი ცაცა“. გასაოცარი ის იყო, რომ სიცივეშიც სულ ფეხშიშველი დადიოდა ქუჩაში.

კოლონიალიზაცია შერევილებამდე

სამოციან წლებში სიგიურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ განსხვავებულობით (ან უცნაურობით) ნამდვილად გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ხშირად შევხვედრივარ ცისფერ გალერეაში. მას თხოვნა არ სჭირდებოდა, ისე უწევდა გიდობას დამთვალიერებელს, საკუთარი თვალთახედვით აფასებდა ნამუშევარს თუ ავტორს. მის ირგვლივ ყოველთვის იკრიბებოდა დამთვალიერებელთა და მსმენელთა წრე.

მახსოვს, ერთხელ ირაკლი თოიძის გამოფენა იყო და საკმაოდ ფიდხანს შეჩერდა თამარ ციციშვილის უზრამაზარ პორტრეტთან. მთელი ლექცია ჩატარა მის პიროვნებაზე, გენეტიკასა, მხატვრის ხელოვნებაზე, რომელმაც თ. ციციშვილის არაჩვეულებრივ გარეგნობასთან ერთად თვალნათელი გახადა მისი შინაგანი ბუნება.

იყო კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო პიროვნება – კოლაგოქაძე, რომლისთვისაც ლიტერატურა, მუსიკა, ფილოსოფია და მათზე მსჯელობა იყო მისი ცხოვრების არსი და აზრი, სხვა არაფერი აინტერესებდა: არც ჩაცმა-დახურვა და არც არანაირი ცხოვრებისეული საკითხი; სხვა მიზანი და მოთხოვნილება არ აწუხებდა და არც რამეზე ზრუნავდა. დაოჯახებულ დასთან ცხოვრობდა, ღამეს ათენებდა, თორემ მისი სახლი – თბილისი იყო. უფრო ხშირად სტუდენტულები ნიჭიერ სტუდენტებთან ატარებდა დროს. მსჯელობა-საუბრებში ჰყავდა თავისი აუდიტორია, თავის სტიქიაში იყო. ჰქონდა არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა და კლასიკური მუსიკის გრამფირფიტები დიდი დირიჟორების შესრულებით, ოპერების ძველი და უნიკალური ჩანაწერები გამოჩენილ მომღერლების მონაწილებით... კარუზოს, ტიტო გობის, ტიტო რუფას, ბენიამინო ჯილის, ტიტო სკიპას, მარიო დელ მონაკოს, მარია კალასის, მარიო ლანცას, ჯუზეპე დი სტეფანოს, აურელიო პერტილეს და სხვათა უნიკალური კონცერტები. ძველი აპრელევსკის ფირმის გრამფირფიტების კოლექციები... მთელი დღეები საჯარო ბიბლიოთეკა-

ში იჯდა და პირდაპირ ნთქავდა ძველ უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მასალას. ჩანაწერებიც ჰქონდა და საკმაოდ საინტერესოც.

ბავშვობაში მენინგიტი ჰქონდა გადატანილი, რის შემდეგაც წიგნების კითხვის გარდა აღარაფერი აინტერსებდა. შეიქმნა საკუთარი მიკრო-სამყარო, სადაც არავის უშვებდა და არც თვითონ აწუხებდა სხვებს.

მაშინ დიდ დღესასწაულებად ახალი წლის გარდა ითვლებოდა 1 მაისი და 7 ნოემბერი. ამ დროს სამსახურიდან 2-3 დღით ითხოვდნენ მუშა-მოსამსახურებს. ცდილობდნენ, სა-დღესასწაულო განწყობა შეექმნათ მათვის რადიოთი და კონცერტებით, მოგვიანებით კი სატელევიზიო გადაცემებითაც. ამ დღეებს ხალხი ნამდვილად დღესასწაულობდა გამორჩეული სუფრითა და სტუმარ-მასპინძლობით.

1 მაისს და 7 ნოემბერს ტარდებოდა პარადი და ეს საყოველთაო იყო. საკმაოდ ადრე იწყებოდა საორგანიზაციო სამსახურით მსვლელობა – ვარჯიშებით, რომლებიც ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობდა და „მარშიროვკები“ ერქვა.

ფაბრიკა-ქარხნების, კომპინატების, სკოლების, ინსტიტუტების, ხელოვნების დაწესებულების თანამშრომლები პარადზე გამოდიოდნენ ნაირ-ნაირი ფორმებით, ტრანსპარანტებით, ბუშტებით, ყვავილებით, დროშებით, ლოზუნგებით, სახელდახელოთ დადგმული ცეკვებით. მანქანის გადახსნილ ძარაზე ლამის მინი-სპექტაკლები ეწყობოდა. ყველა რაიონის კოლონას წინ ბელადების გადიდებული ყვავილებ-გირლიანდებით შემკული პორტრეტები მოჰქონდა ან იმისი ვისი სახელობისაც იყო რაიონი. სულ ადრე და კარგა ხანს, ყველგან და ყოველთვის „შესანიშნავი ოთხეულის“ სურათები გვხვდებოდა. ესენი იყვნენ: მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი ერთად ჩამოაკრიცებული. შემდეგ ნელ-ნელა სათითაოდ ჩამოაცილეს, სტალინით დაიწყეს და ლენინამდე დაიყვანეს.

ვიდრე თბილისი გაიზრდებოდა, ყველა რაიონი ცალ-ცალკე იკრიბებოდა თავის რაიონში და იქიდანვე მწყობრად ქალაქის მთავარი ქუჩებით მიემართებოდა დღევადნელი თავისუფლების მოედანზე, რომელსაც მაშინ ბერიას მოედანი ერქვა, შემდეგ კი ლენინის მოედანი.

მოვინანებით, როცა დედაქალაქი საკმაოდ გაიზარდა, უკვე ცენტრთან მიახლოებულ რომელიმე ქუჩაზე ან მოედანზე იკრიბებოდნენ. იქიდან იწყებოდა კოლონების მწყობრად სვლა ცენტრისაკენ. ტრიბუნასთან ჩავლისას ყველა ცდილობდა თავი გამოეჩინა სანახაობრივად, ტრიბუნაზე ხომ მთავრობის წარმომადგენლები იდნენ. პარადს ღებულობდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ამ დროს გაისმოდა გამაყრუებლად ხმამაღალი მარშები და კომენტატორების რიხიანი მოწოდებები თუ ლოზუნგები. ყველას ტრიბუნის წინ უნდა ჩაევლო „ვაშას“ ძახილით. კო-მენტატორები თავს არ ზოგავდნენ ხმამაღალი მოწოდებებით „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“ „გაუმარჯოს სახელოვან მუშათა კლასას!“ – „ახლა გვიახლოვდება ამა და ამ ქარხნის კოლონა, რომელმაც თავი გამოიჩინა შრომით ხუთწლედის ვა-დამდე ადრე წარმატებულად შესრულებაში გაღებული დიდი წვლილით, სტახანოვური მოძრაობით!“... ტრიბუნასთან მიახ-ლოების დროს „ვაშას“ თან ერთად იყო ყვავილების თუ პატარა დროშების ფრიალი. ტრიბუნიდან კი გვიქნევდნენ ხელს საპა-სუხოდ.

პირველად სამხედრო პარადი ტარდებოდა. ჯარისკაცთა მწყობრ კოლონებს საომარი ტექნიკა მოყვებოდა. მაშინ ხომ საბჭოთა კავშირის ჯარის ნაწილები იდგა საქართველოში და ჯავშან-ტექნიკაც საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი იყო. შემდეგ მუშათა რაიონი მოჰყვებოდა: ლენინის რაიონი იყო პირველი, მერე საქარხნო, 26 კომისრის, 1-მაისის, კალინინის, კიროვის, ორჯონივიძეს. ახლომახლო შემოერთებული სოფლე-ბი თბილისის შემადგენლპაში კი ითვლებოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი გარდაპნის რაიონს მიაკუთვნეს.

რელიგიური დღესასწაულები, გარდა აღდგომისა, შედარებით ჩრდილში იყო. აღდგომას, მიუხედავად იმისა, ოჯახში კომუნისტი (პარტიული) იყო თუ არა ყველაგან ღებავდნენ წითლად კვერცხებს. აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს ნაკლებმაურით. მეორე დღეს და აღდგომის დღესაც საფლავებზე ყველა გადიოდა, წითელ კვერცხებს გადააგორებდნენ და „პასკას“ (ხატისპურს) ტოვებდნენ ან მიირთმევდნენ. სანთელს ანთებდნენ, ჭიქას ნაუქცევდნენ. მეორე დღეს, ოშაბათი უფრო მიაჩნდათ გასასვლელად, მაგრამ რადგან სამუშაო დღე იყო ბევრი აღდგომასაც გადიოდა. ეკლესიებთან ნაკლები წვდომა იყო. თუმცავშვებიც ყოველთვის ინათლებოდა, ეკლესიაშიც და ოჯახშიც სანთლებს ვანთებდით.

კომუნისტური წყობის ბოლო წლებში ეკლესიაში ნელ-ნელა და თანდათან მომრავლდა მრევლი, განსაკუთრებით აღდგომის ლიტანიობაზე, ღამის თევით ბევრი იყრიდა თავს. პარტიულ მუშაკებს და თანამდებობის პირებს უშლიდნენ და ისინიც თავს იკავებდნენ. თუმცა მათ დიდ ნაწილს სწამდა ღმერთი.

ეკლესიებში მრევლის შეკავება-შეზღუდვის მიზნით აღდგომის ღამეს გამორჩეულად საინტერესო და საყვარელ ფილმებს აჩვენებდნენ ტელევიზიით. ხალხი სახლში რომ დაეტოვებინათ. მაშინ ხომ არ ჰქონდათ იმის ფუფუნება, რაც მოწონდათ და მოესურვებოდათ ის ფილმი ენახათ. არც კომპიუტერი არსებობდა და არც ამდენი ტელე-არხი იყო, მითუმეტეს საკაბელო. გადაცემა „ილუზიონიც“ იმიტომ უყვარდა ხალხს, რომ ნამდვილად კარგ ფილმებს აჩვენებდნენ. მისი წამყვანი სურათის დაწყებამდე, საინტერესოდ საუბრობდა ფილმზე. ბატონი ოთარ სეფიაშვილი ყველა ოჯახისთვის სასურველ და საყვარელ სტუმრად იქცა.

მალე თბილისში ვიდეომაგნიტოფონიც გამოჩნდა. ჯერ ყველას არ ჰქონდა, მხოლოდ ერთეულებს და ამიტომ სამეზობლო თუ სანათესაო ხშირად ვიკრიბებოდით ერთად ფილმების საყურებლად. ზოგჯერ ამ ვიდეო-აპარატსაც ვთხოვლობდით

მოზრდილ კასეტებზე ჩაწერილ ფილმებიანად. მაშინ საბჭოთა ცენზურა ლამის კოცნასაც კი ჭრიდა, ეროტიულ სცენებზე რომ არაფერი ვთქვათ. ამ ახალ ფილმებში კოცნა კი არა, პორნო-კადრებივით უხერხული სცენები იყო და ჩვენც უხერხულად ვგრძნობდით თავს.

თბილისში უამრავი კინოთეატრი იყო. ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს ახალი ფილმები გადიოდა და ხალხიც მრავლად დადიოდა საყურებლად. ბილეთებზე ყოველთვის რიგი იდგა, თუ უცხოური და კარგი ფილმი იყო, ხომ ანშლაგებით მიდიოდა. ბილეთები იაფი იყო; დღისით – 25 კაპიკი, ლამის სეანსებზე – 50 კაპიკი. მოგვიანებით, „რუსთაველსა“ და „ამირანში“ და მგონი „ოქტომბერშიც“ („აპოლო“) ფართოფორმატიან და სტერეოფილმებზე უკვე 70- კაპიკიანი ბილეთები შემოიღეს. ასეთივე დატვირთვით მუშაობდა ზაფხულობით ღია კინოდარბაზებიც, რომლებიც ბევრ დიდ კინოთეატრს ახლდა. დიდ კინოთეატრებს მოსაცდელ დარბაზში საკონცერტო მცირე სცენაც ჰქონდა. ფილმის დაწყებამდე იქ მინი-საესტრადო კონცერტი ტარდებოდა ცოცხალი შესრულებითა და ორკესტრით. ეს ნახევარსაათიანი კონცერტები ჯერ გააუქმეს, შემდეგ კვლავ აღადგინეს, მაგრამ მალევე დახურეს.

ალექსანდრეს ბალშიც იყო ასეთი საზაფხულო კინოთეატრი, რომელსაც „ეკრანი“ ერქვა, მისი წინამორბედიც კი მახსოვს. საკმაოდ ლამაზი იყო ეს კინოთეატრი, განყობილი ხის ცისფრად შეღებილი, ფიგურული, უჯრედად განლაგებული თამასებით. დაახლოებით 57-იან წლებში მახსოვს ამ კინოთეატრში ნანახი ფილმები: „ჩემი საყვარელი საბრალო დედა“ – იტალიური ფილმი, რომელშიც მარიო ლანცა თუ ბენიამინო ჯილი მღეროდა და თამაშობდა, კარგად აღარ მახსოვს, რადგან ათიოდ წლის ვიქენებოდი მაშინ, უფრო მარიო ლანცა მახსოვს. ასევე „მარია კანდელარია“, რომელიც მხატვარზე და მის მენატურე ქალზე იყო; „თოლიები კვდებიან ნავსადგურში“ და სხვები.

ფილმის დაწყებას კინოჟურნალის ჩვენება უსწრებდა. სხვადასხვა სახის სამეცნიერო, პოპულარულ-ტექნიკური; ხე-

ლოვნების, პოლიტიკის, მრეწველობის სიახლეებზე ან სულაც ახალი მულტფილმები. მოსკოვის კინოფესტივალის დროს ფესტივალის ფილმებზე იყიდებოდა აბონემენტები კინოთე-ატრ „რუსთაველსა“ და „ოქტომბერში“. ყველაზე მეტი მა-ყურებელი თბილისის ცენტრალურ რაიონებში განთავსებულ კინოთეატრებს ჰყავდა. ეს იყო: „რუსთაველი“, „სპარტაკი“, „ამირანი“, „ოქტომბერი“, „კომკავშირელი“, „ყაზბეგი“, „კოს-მოსი“, „გაზაფხული“, „ნაკადული“, „კოლხიდა“ და სხვები. გან-საკუთრებით ლამაზი იყო კინოთეატრ „ამირანის“ ინტერიერი მოხატული ჭერითა და კედლებით, აგრეთვე „სპარტაკიც“. „კოსმოსში“ და „გაზაფხულში“ გამორჩეულ ფილმებს უწევნ-ებდნენ. თან ორ-ორ ფილმს ერთად.

კულტურულ დაწესებულებებში იმართებოდა ე. წ. „პრას-მოტრებიც“ ზოგი უცხოური ფილმისა. იყო აგრეთვე ბევრი კლუბი, ფაბრიკა-ქარხნებსა თუ სხვა დაწესებულებებს თა-ვისი კლუბები ჰქონდა. რუსთაველზე იყო ჭავჭავაძის სახე-ლობის კლუბი; „პლეხანოვზე“ გორკის სახელობის კლუბი და კომპერაციის მუშავთა კლუბი; აგრეთვე სან-კულტურის თე-ატრი, სადაც იდგმებოდა ასეთი სახელწოდებით სპექტაკლი – „ცირუ“; ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბი „განთიადი“, სარ-თავ-სახვევი კომბინატის ე. წ. „ტრიკოტაჟის“ კლუბი; კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნის კლუბი და სხვ....

ამ კლუბებში მიმდინარეობდა საღამოს კინოსეანსების ჩვენ-ება. ამავე დროს აქ გახსნილი იყო საბავშვო წრეები და სპორ-ტული სექციები, ეს ყველაფერი უფასო გახლდათ. იმართებო-და სხვადასხვა ღონისძიება. იდგმებოდა საახალწლო ნაძვის ხე, რომელსაც ზეიმიც ახლდა. მაგრამ მაინც გული მწყდებოდა ამ ზეიმებზე, რადგან ყველაფერი რუსულად და რუსულ ენაზე მიდიოდა. თვითონ წამყვანებიც და სხვა დამხმარეებიც რუსე-ბი იყვნენ, მათ ქართული საერთოდ არც იცოდნენ, ქართუ-ლენოვანი ბავშვები თამაშგარეშე ვრჩებოდით. ასე ქარხნებთან არსებულ კლუბებში ხდებოდა, რადგან პიონერთა სასახლეში მახსოვს, ქართულად გვაზეიმებდნენ.

თბილისში უამრავი ფაბრიკა-ქარხნები, კომბინატები, სამეცნიერო კვლევითი თუ საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები, სამმართველოები, ტრესტები და ათასგვარი დაწესებულება ორგანიზაციები იყო.

უმაღლესი სასწავლებლები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გარდა, ძირითადად ვაკის ტერიტორიაზე იყო, ფაბრიკა-ქარხნები კი უფრო განაპირა უბნებში, ე. წ. მუშათა რაიონებში იყრიდა თავს, მაგალითად მაშინდელ ლენინის რაიონში, 26 კომისრის რაიონში და სხვაგანაც.

ნაძალადევის რაიონში დღევანდელ კინოთეატრ „საქართველოსთან“ ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა „პლასტმასის“ ქარხანა, „ელექტრო გამშვები“ ქარხანა, „მუს. კომბინატი“, კიროვის სახელობის „ჩარხმშენებელი“ ქარხანა. „სახელი ჩარხების“ ქარხანა, „ავტოშემკეთებელი“ ქარხანა. №7 სამკერვალო ფაბრიკა, „გაზ. აპარატი“ და ტრიკოტაჟის სართავ-საქსოვი კომბინატი 4000 თანამშრომლით. ეს უზარმაზარი ქარხნები ერთმანეთის მომიჯნავე იყო, დაახლოებით ტრამვაის რამდენიმე გაჩერების სიგრძე-სიგანეზე იყო განთავსებული.

ავჭალისკენ კიდევ ბევრი დაწესებულება იყო. „ელექტრო მშენებელი ქარხანა-თემქა“, კონიაკის ქარხანა, შამპანურის ქარხანა, ჩაის გადამზონი ფაბრიკა, ცენტროლიტის საკმაოდ დიდი ქარხანა და სხვა.

დიდ ქარხნებს ჰქონდათ საყვირები, რომლებიც მუშა-მოსამსახურებს სამსახურის დაწყება-დამთავრებას ან შესვენების დროს აუზყებდა. ისეთ ხმას გამოსცემდა, მთელ რაიონს ესმოდა. საყვირს „გუდოკს“ ეძახდნენ.

კინოთეატრ „საქართველოსთან“ მიჯრით მდებარე ფაბრიკა-ქარხნების შუა მთავარ გზასთან იყო კიკვიძის პარკი თავისი ღია საკონცერტო ნახევრად წრიული (ესტრადით). ბიბლიოთეკით, პარაშუტით, ფოტოატელიებით და სხვადასხვა ატრაქციონით. ფოტოატელიები იღებდნენ ე. წ. „კაბინეტი“ სურათებს, საპასპორტოებს და სხვა.

ქარხნების უმეტესობას თავისი პატარა მუშათა დასახლე-

ბები ჰქონდა საკმაოდ დიდ ეზოებში. ბარაკული ტიპის საცხოვრებელი გრძივი კორპუსები იდგა ბელეტაჟზე. ზოგან ძველი იყო ეს კორპუსები და მოუწყობელი, ზოგან კი შედარებით უკეთესად მოწყობილი – შუშაბანდიანი, სათავსოებიანი ბინები იყო. თუმცა თავდაპირველად საერთო სარგებლობის ტუალეტი და ონკანი ჰქონდათ. შემდეგ კი ყველამ თავის სახლამდე მიიყვანა წყალი, ვიდრე საერთოდ აიღებდნენ ყველა ბარაქს. ამ ბარაკებს გარდა მრავალსართულიან კორპუსებსაც აშენებდნენ და მუშა-მოსამსახურეებს ურიგებდნენ. მაგრამ ამას დრო სჭირდებოდა.

ერთ-ერთ ქარხნის საცხოვრებელი ეზოს შუა ნაწილში გამოყოფილი იყო კულტურისა და დასვენების ოთახი, რომელსაც „ლენინის ოთახი“ ეწოდებოდა. იგი ნაირ-ნაირი პლაკატით იყო განყობილი. ოთახში შეიძლებოდა შაშის, ჭადრაკის თამაში, გაზეთების კითხვა; ზოგჯერ ლექციებიც ტარდებოდა ამათუმი თემაზე, მეცადინეობები მოწვეული ინსტრუქტორით, პირველადი დახმარების სწავლება და ა. შ.

ტელევიზორი, რომელიც 1956 წლის 30 დეკემბერს შემოვიდა, ჯერ მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ და ამ ოთახში კი მაშინვე დაუდგეს ხალხს.

მუშათა ერთ-ერთ დასახლებას „კიტაისკი დვორს“ უწოდებდა ხალხი, ალბათ, სიდიდისა და სიმჭიდროვის გამო. საკმაოდ ძველი და მოუწყობელი იყო. ასეთი საერთო ეზოები მრავლად იყო მუშათა რაიონებში, ფაბრიკა-ქარხნების სიახლოვეს. ამ ბინებში ძირითადად სოფლიდან ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეებს ასახლებდნენ. ეს ეზოები განსხვავდებოდა ე. წ. „იტალიური ეზოებისგან“, რომლებშიც უმეტესად ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა.

„იტალიურ ეზოებს“ თბილისური ეზოები უფრო ესადაგება, რადგან ჩემი აზრით, თბილისურ ეზოებში ქართველებთან ერთად მცხოვრებ სხვადასხვა რჯულისა და ეროვნების ხალხს რაღაცნილად საერთო თბილისური ცხოვრების წესი ჰქონდათ. იტალიის ასეთივე ეზოებში – კი, ალბათ, უფრო ცხოვრობ-

და ერთნაირი სოციალური წყობისა თუ მდგომარეობის ხალხი, რომელსაც ჩვენებურად, თბილისური წესი და ნირი არ ექნებოდა.

მეც მიცხოვრია ასეთ ეზოში, შეუა თბილისში, ერთ დიდ წრიულ აივნებიან სამსართულიანი შენობის შუაგულში. დიდი საერთო ეზო იყო. ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ ცნობილი პროფესორის ოჯახი, ყოფილი კომერსანტის ოჯახი, და უბრალო მუშა-ხელოსნები. სხვადასხვა დონის განათლებისა და ეროვნების „თბილისელები“. მათ მართლა კეთილ მეზობლურ-მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. მახსოვს, კვირაობით ნარდს რომ მიუჯდებოდნენ, მესამე სართლიდან ცნობილი პროფესორის ვაჟი და პირველი სართულის დიდულვაშა აზერბაიჯანელი დალაქი.

ამ თბილისურ და არა „იტალიურ ეზოებში“ ერთად თამაშობდნენ და ერთად იზრდებოდნენ, მხატვრის, ხელოსნის, მეცნიერის, მუშის თუ მსახიობის შვილები. მყარდებოდა ერთგულება, ჭირსა თუ ლხინში თანადგომა, სიყვარული და თანაცხოვრების და მეზობლობის საერთო თბილისური იერსახე.

მაშინდელი თბილისური ურთიერთობები იმდენად თბილი და ახლობლური იყო რომ – მახსოვს, სამოციან წლებში მოსკოვის სასტუმრო „რასიაში“ უბინაოდ დავრჩით ერთ-ერთი კონფერენციის გამო. იმჟამად საზღვაგარეთიდან დაბრუნებული და თბილისში მიმავალი სუხიშვილისა და რამიშვილის სახელწმიფო ანსამბლი ამ სასტუმროში იყო გაჩერებული. გაიგეს ჩვენი გასაჭირო და დატრიალდნენ, ვისაც როგორ შეეძლო, შეეცა და ჩვენს დაბინავებას, მაგრამ ვერ მოხერხდა. შემდეგ ჰამლეტ გონაშვილი გამოჩნდა. ახლა ის დატრიალდა, ყველანაირად შეეცადა, მაგრამ ნომრები ფიზიკურად აღარ იყო. ჰამლეტმა ჩვენ აგვიყვანა საკუთარ ნომერში, რომელიც დედასთან ერთად ჰქონდა დაკავებული და საღამომდე, ვიდრე სხვა სასტუმროში ვიშოვიდით ადგილს არ გაგვიშვა. უნდა გითხრათ, რომ პირადად არც ჰამლეტს ვიცნობდით, არც მოცეკვავებს. არა-

და მთელი ჯგუფი დარბოდა ჩვენთვის ნომრის საშოვნელად. ასეთი იყვნენ თბილისელები.

მაშინ ოჯახებში ძირითადად გასართობ-საინფორმაციო წყაროდ რადიო ითვლებოდა. ადრე ბავშვობაში მახსოვს კედელზე ჩამოსაკიდი შავი წრიული დისკო ჰაერის თუ ხაზის რადიო იყო. ხაზის რადიო გვიანამდე შემორჩა და თითქმის აქამდე მოაღწია. იმ შავ დისკო-რადიოს შემდეგ მალევე გამოჩნდა რადიომიმღები, რომელიც სხვადასხვა ტალღაზე სხვადასხვა არხს იჭერდა.

მართალია თბილისს მაშინ სხვადასხვა არხები არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი არხი იყო – თბილისი, რადიოს, მოჭარბებულად ფაბრიკა-ქარხნებისა და სოფლის მეურნეობის მიღწევებზე გაუთავებელი საუბრების გარდა ჰქონდა ბევრი საინტერესო გადაცემა, რომლებსაც დიდი ინტერესით ველოდებოდით. გადაცემები ასეთი იყო: „ლიტერატურა და ხელოვნება“, „თეატრი მიკროფონთან“, „ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა“, „კლასიკური მუსიკის კონცერტი“, „საესტრადო მუსიკის კონცერტი“, „მსუბუქი მუსიკის კონცერტი“, „ხალხური მუსიკის კონცერტი“, „კამერული მუსიკის კონცერტი“, სპორტული გადაცემები, „კონცერტი რადიომსმენელთა შეკვეთით“, „პიონერთა დაფიონი“ და სხვა.

მაშინდელ ქალთა დიდი უმრავლესობა, ზოგჯერ განათლებული და პროფესიას დაუფლებულნიც კი, ოჯახის მოვლისა და შვილების აღზრდის გამო, სამსახურისგან თავს იკავებდა. ბოლომდე თუ არა, რაღაც პერიოდი მაინც. ძიძები უიშვიათესი მოვლენა იყო. ამიტომ დედისა და შვილების ურთიერთობაც უფრო დედა-შვილური იყო. ფიზიკურ სიახლოვესთან ერთად სულიერი სიახლოვეც დიდად განაპირობებდა ბავშვების სულიერ და პიროვნულ ჩამოყალიბებას, და ეს მათს ოჯახში ურთიერთდამოკიდებულებაზეც აისახებოდა. მოსამსახურე დედებს საკუთარ შვილთან ურთიერთობისთვის თითქოს დროის ლიმიტი ჰქონდათ დაწესებული, დრო ნამდვილად აღარ იყო საკმარი.

დედები და არა ძიები ჩვილობიდანვე ათას რამებს, ზეპირად გადმოცემულ გამონათქვამებს ეტიტინებოდნენ ბავშვებს და ართობდნენ, თანაც შესრულებით უყვებოდნენ, სხვადასხვანაირი უესტებით ყვებოდნენ. მაგალითად: „ყვავო-ყვავო ყვანჩალაოს“ მოყოლისას ერთი ხელის მტევნის ზედაპირის კანს მეორე ხელის ცერითა და საჩვენებელი თითებით დაწვდებოდნენ, ზემოთ აიტაცებდნენ და თითქოს მიფრინავდა ყვავი, „ყვავო-ყვავო ყვანჩალაო, აქ რა მოგაჩანჩალაო, ყვანჩალს დედა მოკვდომია დამჯდარა და უტირია, ამდგარა და უცინია, აფრენილა დაფრენილა, აქეთ მხარეს გაფრენილა.... ფრრრრ...“

მერე ვითომ ხელის მტევნები ყვავები იყო და მიფრინავდნენ ზემოთ. ჩვილები ინტერესით და გაფართოვებული თვალებით მისჩერებოდნენ ამ მოძრაობას.

„ლოლია-ლოლია ხბო წითელია, ამანა თქვა მშიაო (თან ხელის თითებს ჩამოთვლისას სათითაოდ უკეცავდნენ), ამანა თქვა შეშა მოვიტანოთ, ამანა თქვა ცეცხლი დავანთოთო, ამანა თქვა ხიჩი-ხიჩი (დავკლათო), ამან კი ჩიჩია შევჭამოთ (ხელით აჭმევს ბავშვს). დაკვლაზე რა მოგახსენოთ, ნამდვილად არ მსიამოვნებს ეს „ხიჩი-ხიჩი“, მაგრამ ასე იყო გარითმული. სხვა ვარიანტიც იყო, მაგალითად: „ლოლია-ლოლია ფური ჭრელია, ხბო წითელია, ამანა თქვა მშიაო, ამანა თქვა რომ არ გვაქვსო, ამანა თქვა ღმერთი მოგცემოსო, ამანა თქვა, რომ არ მოგვცესო?!... ამანა თქვა მოვიპაროთო და ტყაპ!... დაიჭირესო – იმიტომ რომ მოპარვა არ შეიძლებაო“.

მოკიდებდნენ ზურგზე პატარას, დაარბენინებდნენ ხელებ-გაშლილს, ვითომ ცხენზე იყო ბავშვი შემჯდარი, დააქანებდნენ აქეთ-იქით თან ილექსებოდნენ: „აჩუ კუდა, ოქროს ქილა“ თუ „ერბოს ქილაო“... და ა. შ. ან „აჩუ-აჩუ ცხენო, საით გაგაჭენო, ალაზანი დიდია, შიგ ბებერი კიდია, პური ვთხოვე არ მაჭამა. ჩემი ცოდვა კიდია“ და ა. შ. ათასგვარი ლექსებითა თუ გამონათქვამებით ეტიტინებოდნენ პატარებს; წამოჩიტულებს კი უყვებოდნენ ზღაპრებს, „წითელქუდას“ თუ „ხუთკუნჭულას“, „წიქარას“ თუ „კონკიას“, შემდგომ ანდერსენის, გრინი-

სა და ძმები გრიმების ულამაზეს ზღაპრებს უკითხავდნენ (ან აკითხვინებდნენ), ზღაპრულ სამყაროში შეჰყავდათ, ბავშვობას ულამაზებდნენ, პატარები ფიქრსა და ოცნებას სწავლობდნენ, ბოროტსა და კეთილს არჩევდნენ, უჩნდებოდათ სამყაროს შეცნობის სურვილი. შემდგომ კი მშობლები აკვალიანებდნენ, ურჩევდნენ წასაკითხ ლიტერატურას: „გულივერის მოგზაურობას“, „ბიძია თომას ქოხი“, „ტომ სოიერის“ და „გეკლბერ ფინის“ თავგადასავლებს. „კაპიტან გრანტის შვილებსა“ და სხვა. სათავგადასავლო ასაკობრივი ლიტერატურიდან მსოფლიო ლიტერატურის შედევრებზე გადადიოდნენ. ასე თანადათან ყალიბდებოდნენ პიროვნებებად, სხვა ძალისხმევა აღარ სჭირდებოდათ. ყოველივე ეს დედების დამსახურება იყო. მაგრამ დღეს აღარ და ვეღარ იცლიან დედები საამისოდ. კარგად ჩაცმა, კარგი კვება და თუნდაც პრესტიული სკოლები, მზრუნველობას და სიყვარულს ვერ ცვლის. თუ ბავშვი არ დაიბადა ინტერესიანი, მაძიებელი ბუნების, ამ შემთხვევაში მას ნამდვილად აკლდება რაღაც... და ეს „რაღაც“ სულაც არ არის რაღაც...

საერთოდ ბავშვებს ქალაქში, ტრანსპორტსა და საზოგადოებრივ ადგილებში საყოველთაო ქცევის წესებს, ოჯახის გარდა, სკოლებშიც ასწავლიდნენ. ყველას იმთავითვე ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი საზოგადოებრივი წესრიგი და ყოფა-ქცევის ელემენტარული ნორმები, ჩვევები (გამონაკლისს არ ვგულისხმობ, გამონაკლისი ყოველთვის ყველგანაა). ამიტომაც ჰქონდა მაშინდელ ქალაქს და ქალაქის მაცხოვრებლებს სულ სხვა იერი და სახე. დღეს კი სკოლაში კი არა, მგონი, ოჯახშიც არ უნერგავენ ბავშვებს კულტურული ქცევის ნორმებს. ვეღარ იცლიან თუ საჭიროდ აღარ თვლიან, არ ვიცი... უგულვებელყოფილია ადამიანის ზნეობრივი მხარე. ახალგაზრდობას ყოველმხრივ მიუღებელი დოზით და სახით უკისუნებენ პიროვნულ თავისუფლებას. სულ სხვაგვარად ეს-მოდათ იმ ავადსახსენებელ საბჭოთა ქვეყანაში პიროვნული თავისუფლება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ნამდ-

ვილად გვყავს ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდა, შესანიშნავი პედაგოგ-აღმზრდელები და მშობლებიც.

სასკოლო ასაკის ბავშვებს თავისი უბნის სკოლიდან სახლებში აკითხავდნენ, აღრიცხავდნენ, მშობლებს აკვალიანებდნენ. სკოლაშივე ტარდებოდა ყოველგვარი აცრა. სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს ან სწავლა უნდა გაეგრძელებინათ ან მუშაობა დაეწყოთ. (სკოლიდან სისტემატიურად ამონტებდნენ).

მახსოვს, მეოთხე კლასამდე, თუ ვინმემ გაკვეთილი არ იცოდა, ჩემი მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ დაღამებამდე ტოვებდა, ხელახლა უხსნიდა და მანამ არ ისწავლიდა, სახლში არ უშვებდა, ამას აკეთებდა ყოველგვარ ანაზღაურების გარეშე. ამას ერქვა „უსადილოდ“ დატოვება და მოსწავლისათვის ძალიან სამარცხინოდ ითვლებოდა.

სკოლები ყველა უბანში იყო და თან ერთმანეთთან ახლოს. ახლა კი ბავშვების უმეტესობა ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში დადის სკოლაში, საკმაოდ შორ მანძილზე. ამიტომ აღარც უბანში იცნობენ ერთმანეთის ტოლებს და აღარც ძველებური სიახლოვეა სამეზობლოში. ერთმანეთს გაუვლიდნენ, ხვდებოდნენ გზადაგზა და უკვილ-ხილით მიდიოდნენ უბნის სკოლებში. არც ამდენი ფასიან-პრესტიჟული სკოლა არსებობდა, არც ჯიპებით დაჰყავდათ მამებსა თუ ძიებს. ქალ-ვაჟთა სკოლებიც კი განცალკევებული იყო როგორც მახსოვს. 1954-1955 სასწავლო წელს შეაერთეს.

საწერი პასტები მამინ არ არსებობდა, ვიყენებდით კალმისტარს, რომლის წინ ლითონის ჩასამაგრებელში ვამაგრებდით კალამს. კალმები ნომრებისა და საწერის სისქის მიხედვით შეიძლებოდა შეგვერჩია. მაგალითად, ე. წ. „სემიჩკის პერო“ ყველაზე მსხვილად წერდა ასოებს. „№ თერთმეტი“ კი წვრილადაც და მსხვილადაც, რამდენადაც დააჭერდი იმის მიხედვით, უფრო რუსულში გვირჩევდნენ ამ კალმის გამოყენებას. წვრილად წერდა „ბაყაყი კალამიც“. კალმების საკმაოდ დიდი არჩევანი გვქონდა. მელანში ვაწებდით და ამიტომ თან

დაგვქონდა სამელნები. მიუხედავად იმისა, რომ სამელნეს ზედაპირი ჩაბრუნებული ჰქონდა და მარტო ვიწრო ხვრელი იყო კალმის ჩასაწებად, მელანი მაინც ხშირად გვეღვრებოდა და ხელებიც გვეთხუპნებოდა. საკლასო ოთახში მერხები იდგა, ორი მოსწავლისთვის განსაზღვრული, მერხს მაგიდა სკამთან ჰქონდა მიერთებული. თვითონ მაგიდა წარმოაგენდა დახრილ დაფას. მაგიდის თავზე მხოლოდ სამელნისა და კალმისტრის დასადები ადგილი იყო სწორი და ჩაღრმავებული. დაფის ბოლოს ზოგ მაგიდას პატარა ანჯამებზე დამაგრებული ფიცრები ჰქონდა გადასაკეც-გადმოსაკეცი, რათა დაფის ქვეშ მოთავსებულ სათავსოში ადვილად შეგვენახა ჩანთა და წიგნები. ზოგიერთი მერხი ბოლომდე იყო დაშვებული ამ ასაკეც-დასაკეცი ფიცრის გარეშე.

ხშირად სკოლის დაბალი კლასის მოსწავლეებს სხვადასხვა დავალებას აძლევდნენ, მესამე თუ მეოთხე კლასში ვიყავი (ორმოცდაათიანი წლები იყო), როცა თითოეულ მოსწავლეს დაგვავალეს ორ-ორი კილოგრამი ნებისმიერი ხილის, უფრო ატმის კურკების შეგროვება და მიტანა. ზოგმა მეტი შეძლო, ზოგს კი დააკლდა, ამიტომ ბავშვებმა, იქვე ეზოში გადაუნაწილეთ ერთმანეთს ორ კილოგრამზე ნაკლები რომ არცერთს ჰქონილათ.

მე მგონია, ეს ის პერიოდი იყო, როცა ხევსურეთიდან ხალხი მასიურად ჩამოასახლეს ბარში და იქ ახალი სოფლები დააარსეს. ალბათ, სოფლის მეურნეობის ასალორძინებლად... ჩვენ ზოგჯერ სკოლის დიდ ეზოსაც ვალაგებდით, ქვალორლისგან ვწმენდდით. სპორტის სასახლის მშენებლობა რომ დამთავრდა, საღებავით დასვრილი სკამების გასაწმენდად წაგვიყვანეს უკვე ზრდასრულები. ასევე ვიშრომეთ ახალ სტადიონზეც.

თბილისის დაარსებიდან 1500 წლისთავის ზეიმი კი ძველ სტადიონზე ჩატარდა. თბილისის თითქმის ყველა სკოლა იყო, მაშინ ხომ თბილისი პატარა იყო.

საკლასო და საკონტროლო წერის რვეულები თორმეტფურცლიანი იყო. მათში რვეულის ერთი გვერდის ზომის საშრობი

იდო, მელნით ნაწერის დასაშრობად. არ ვიცი, რატომ მაგრამ ხშირად დერეფნებში მასტიკის წასმის შემდეგ ნავთიან ნახერხს ყრიდნენ და ნავთის სუნი საკლასო ოთახებშიც აღწევდა.

მაშინდელ სკოლებს საკმაოდ დიდი ეზოები ჰქონდა. ხშირად ბავშვები ადრე მიდიოდნენ სკოლაში, რომ სწავლის დაწყებამდე ეზოში ეთამაშათ. ყოველ კუთხე-კუნჭულში სხვადასხვა თამაშით ერთობოდნენ. სკოლებში სამი ცვლა იყო, პირველ ცვლაში 09:30-დან 13:30 საათამდე იყო სწავლება. მეორე ცვლა იწყებოდა 13:45 საათზე და სადღაც შვიდამდე გრძელდებოდა. მესამე ცვლა კი მუშა-ახალგაზრდობის იყო და მეორე ცვლის ბოლოს იწყებოდა.

ზოგიერთ სკოლას სათამაშო ეზოს გარდა დიდი საბალ-ბოსტნე ნაკვეთიც ჰქონდა. ბოტანიკის სწავლებისას მცენარეებს უვლიდნენ, რგავდნენ, აკვირდებოდნენ; უშუალო შეხება ჰქონდათ მიწასთან. პიონერთა სასახლეში რადგან დავდიოდი, მიჩურინის ასი წლის იუბილეზე სკოლიდან მიმავლინეს სასახლეში, ქოთანში მოყვანილი კომბოსტოს უზარმაზარი თავით ხელდამშვენებული.

სხვა საგნებსაც თავისი კაბინეტი ჰქონდა, კედელზე გაკრული ამ დარგის მეცნიერთა დიდი პორტრეტებით და სხვადასხვა პლაკატით, ადამიანთა ფიზიოლოგიური ფერადი სქემებით. ჩამწკრივებულ კარადის თაროებზე კოლბებსა და ქილებში დასპირტული ქვენარმავლები, რეპტილიები „განისვენებდნენ“. ადამიანის ნატურალური ზომის ჩონჩხიც „ამშვენებდა“ იქაურობას. ასევე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხელგარჯილობის კაბინეტებიც არსებობდა თავისი მოწყობილობით, სპირტულებით, სინჯარებით, კოლბებით და ცდების ჩასატარებელ სხვადასხვა დანადგარ-ხელსაწყოებით ტარდებოდა ცდები ყოველი ახალი გაკვეთილის ახსნისას. ეს ძალიან საინტერესო იყო. ბავშვი, გაკვეთილიც რომ არ ესწავლა, მაინც სამუდამოდ იმახსოვრებდა ბევრ რამეს. გარდა ამისა, – იოლად იგებდა ახსნილს, ამიტომ – თითქმის ყველა ბიჭს შეეძლო ზოგიერთი საოჯახო ტექნიკის შეკეთება.

დღეს თუ ასე დაბალ დონეზეა სწავლა-განათლების საქმე, იქნებ იმის ბრალიცაა, რომ როგორც ინტერნეტში ამოვიკითხე, ჩვენი სახელმწიფოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემ-დეგ აფრიკის რამდენიმე ჩამორჩენილ ქვეყანასთან ერთად განვითარებადი ქვეყნის სტუტატუსი მიუციათ. მანამდე კი თითქმის, ყოველ ნაბიჯზე არსებობდა კვლევითი ინსტიტუტები თუ სხვა სახის სამეცნიერო დაწესებულება. გაურკვეველია, მაშინდელმა მთავრობამ თავი შეიკავა, თუ დათმობაზე წავიდა, რათა როგორც გაღარიბებულ ქვეყანას ფინანსურად დახმარებოდნენ. ფაქტია, რომ საშუალო სკოლები გააუქმეს და საჯარო სკოლებად გადააკეთეს. ალბათ იმ მოსაზრებით რომ ნაკლები დაფინანსება დაჭირებოდათ. ტექსტში ისიც იყო აღნიშნული რომ საჯარო სკოლების პროგრამა თითქმის გონიერაშეზღუდულთათვისაა შედგენილი. დღევანდელი პირველკურსელის განათლება მეშვიდე კლასის განათლებას უდრისო... ეს, ალბათ, ყველას არ ეხება, რადგან ვინც მონდომებულია, ის მაინც ღებულობს სათანადო განათლებას.

უნინ სტუდენტთა კონტიგენტი სპეციალისტების მოთხოვნებს დაახლოებით შეესაბამებოდა და კურსდამთავრებულებს ორი თუ სამი წლით სოფლებსა და რაიონებში ანანილებდნენ სამუშაოდ. შემდეგ, სურვილისამებრ იქ, რჩებოდნენ ან ქალაქში ბრუნდებოდნენ. ახლა, რაც ფასიანი გახდა სწავლება, ახალგაზრდებს განუსაზღვრელი რაოდენობით იღებენ და უფრო იოლადაც ეწყობიან, ეროვნულ გამოცდებს ჩაბარებ და მორჩა.

მაშინ სტუდენტებს ენიშნებოდათ სტიპენდია, ეს არც თუ ისე დიდი თანხა იყო, მაგრამ მაინც. რაიონებიდან ჩამოსულთა დიდი ნაწილი კი სტუდებინებში ცხოვრობდა. ახლა სწავლის საფასურს, ჩვენს შემოსავალთან შედარებით საკმაოდ სოლიდურს, სახელმწიფო იღებს.

არსებობდა ტექნიკური სასწავლებლები, სადაც საშუალო ტექნიკურ განათლებას ღებულობდნენ, ხოლო ე. წ. „პროფ. ტექნიკურ“ სასწავლებელში სხვადასხვა ხელობას ასწავლიდ-

ნენ. „პროფ.ტექნიკურის“ წინამორბედი იყო ომის შემდეგ გახ-
სნილი „ფეზეობის“.

მაშინდელი სკოლის მოსწავლეები ასაკის მიხედვით განევ-
რიანებულები იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციაში. მაგალითად:
დაწყებითი კლასის მოსწავლეები ირიცხებოდნენ „ოქტომბრელ-
თა“ რიგებში და თავისი სამკერდე ნიშანიც ჰქონდათ, ლითო-
ნის პატარა და მრგვალი მკერდზე მისამაგრებელი ფირფიტა
ლენინის ბავშვობის გამოსახულებით. შემდეგ მოდიოდნენ „პი-
ონერები“, აქაც მასობრივად ღებულობდნენ ყველას, მიუხე-
დავად სურვილისა, მათ ჰქონდათ ფიცი: „ხელი უშვი მუშათა
კლასის სისხლში ამოვლებულ წითელ ყელსახვევს“ და დევიზი
– „ბუდ გატოვ, ვსეგდა გატოვ“ ე. ი. იყავი მზად, მზად ვარ,
მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის. ეს სიტყვები სამ-
კერდე ნიშანზეც ეწერა „ილიჩის“ სურათთან ერთად და წითელ
ვარსკვლავში იყო ჩასმული, ზემოდან ალის ენები „ამშვენებ-
და“ ვარსკვლავს. ყველა პიონერი ვალდებული იყო, ეტარე-
ბინა სამკუთხა წითელი „სატინის“, „შტაპელის“ ან აბრეშუმის
ყელსახვევი. პირველ ორს უფრო ომის დამთავრების შემდეგ
იკეთებდნენ სიიაფის გამო, მოგვიანებით კი ყველას აბრეშუმის
ყელსახვევი ეკეთა. დაწყებით კლასებში ირჩევდნენ რამდენ-
იმე ბავშვს, რაზმის საბჭოსა და რაზმეულის თავმჯდომარედ.
იყვნენ რგოლის ხელმძღვანელებიც. ყველას წითელი ნაჭრის
ზოლები ეკეთათ: მთელი სკოლის რაზმეულის თავმდჯომარეს
სამი ზოლი, ორი ზოლი – „კლასკომს“ და თითო – რგოლ-
ის ხელმძღვანელს. (მთელი კლასი დაყოფილი იყო რამდენიმე
რგოლად) სულ პატარების „ოქტომბრელების“ ჯგუფიდან სანი-
ტრებად ირჩევნენ ორ-სამ ბავშვს. მათ მხარზე გადაკიდებული
ჰქონდათ წითელჯვრიანი პატარა თეთრი ნაჭრის ჩანთა, რო-
მელშიც იყო ბამბა და ბინტი.

კარგად რაც შემომრჩა მეხსიერებაში არის, პიონერთა ბანა-
კი სიონში, მაშინ მუშა-მოსამსახურებისა და ინტელიგენციის
შვილთათვის მრავლად არსებობდა ე. წ. პიონერთა ბანაკები.
საგზურების შეძენა არცთუ ძვირად, ხელმისაწვდომ ფასად შეი-

ძლებოდა. ბავშვები არდადეგების პერიოდში სამ ნაკადად ის-ვენებდნენ. ბანაკის რეჟიმი ასეთი იყო: ბავშვებს აღვიძებდნენ პიონერული საყვირ-დაფდაფებითა და სიმღერა-შეძახილებით. დილის „ხაზზე“ რგოლებისა და სიმაღლის მიხედვით ეწყობოდნენ მუსიკის, (აკორდეონის) თანხლებით. დილის ვარშიჯიც ამ დროს ტარდებოდა, იყო ოთხჯერადი კვება. ბავშვებს კვებაზეც და დაძინების დროსაც საყვირითა და რუსული წამღერებით უხმობდნენ: „ბირი ლოუკუ, ბირი ხლებ ი საძის ნა აბედ“; ან „სპაც, სპაც – პა პალატამ“. იყო ექსკურსიები ახლო-მახლო ღირშესანიშნავ ადგილებზე, შეჯიბრებები სპორტულ სახეობებში; ხელგარვილობის ოთახებში ყველას თავისი კუთხე უნდა მოეწყო საკუთარი ფანტაზიითა და უნარით. საამისო მასალა იქვე ინახებოდა, იყო ბიბლიოთეკაც... არსებობდა საკავშირო მნიშვნელობის პიონერთა ბანაკი „არტეკი“, თუმც მასზე ყველას ვერ მიუწვდებოდა ხელი მხოლოდ „რჩეულებზე“ იყო გათვლილი.

ყოველი ნაკადის დასრულებისას ბავშვები ახლომახლო ტყებიდან ხმელ ფიჩეს აგროვებდნენ და უზარმაზარ კოცონს ანთებდნენ. ამ საღამოს იმართებოდა კარნავალიც მუსიკის ფონზე. ყველა უნდა გამოწყობილიყო საკარნავალოდ მის მიერვე შექმნილი სამოს-აქსესუარებით: ფერად-ფერადი და-გოფრილი წელვადქაღალდებით, დოლბანდებით, საღებავებით თუ წებოთი. იმართებოდა ზეიმი. ზოგს ცეკვა შეეძლო, ზოგს – სიმღერა, კითხულობდნენ ლექსებს და საერთო მხიარულება სუფევდა. ბოლოს კი ყველა ერთად ცეკვავდა.

ისეთი შემთხვევაც იყო, როცა ნაკადის დასრულების წინა ღამეს, ბიჭები ჩუმად მიეპარებოდნენ მძინარე გოგონებს და კბილის პასტით თხუპნიდნენ ან ნახშირით „ამშვენებდნენ“ ალბათ, ბანაკის სამახსოვროდ. მეორე დღეს, თუ ხელმძღვანელი მკაცრი იყო, ხაზზე სჯიდნენ ამ ყმაწვილებს.

აი „კომკავშირის“ რიგებში მისაღებად უკვე რაიონულ კომიტეტში, ე. წ. „რაიკომში“ იწვევდნენ მაღალი კლასის მოსწავლეებს. ისინი სპეციალურ სხდომაზე გასაუბრებისთვის

სათითაოდ შეჰყავდათ. თუ სცნობდნენ ღირსად, იღებდნენ კიდეც. თუმც, მოგვიანებით აქაც ყველას იღებდნენ, აძლევდნენ კომკავშირის ბილეთს და საწევროსაც ახდევინებდნენ: მოსწავლეებს ორ-ორ კაპიკს და მუშა-მოსამსახურეებს კი – ხელფასის მიხედვით. მათაც ჰქონდათ სამკერდე ნიშანი – წითელ დროშაზე ლენინის გამოსახულებით. პერიოდულად იმართებოდა კომკავშირის კრებები, სადაც დასწრება სავალდებულო იყო და სხვადასხვა საკითხი განიხილებოდა. შემდეგ უკვე კომუნისტური პარტიის რიგებში ლებულობდნენ დამსახურების და მიხედვით. ხელმძღვანელ თანამდებობაზე კი მხოლოდ პარტიული ნიშნით ინიშნებოდნენ. პარტიის ნევრებს სპეციალური პარტბილეთი ჰქონდათ და საწევროსაც ყოველთვიურად იხდიდნენ. მაშინაც „პიონერთა სასახლე“-ში უამრავი წრე არსებობდა უფასო სწავლებით. არსებობდა „ნორჩ ტექნიკოსთა სადგური“-ც დღევანდელი მუსიკალური კომედიის თეატრის გვერდით (ყოფილ პლეხანოვის პროსპექტზე) და იქაც რამდენიმე წრე ფუნქციონირებდა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის.

სკოლებში შეფასების 5-ბალიანი სისტემა არსებობდა, ახლანდელი 10-ბალიანისგან განსხვავებით. ორიანი ნიშნავდა ცუდს, სამიანი საშუალოს, ოთხიანი კარგს და ხუთიანი – ფრიადს. იყო შემთხვევა, როცა დაბალი მოსწრებისას ინიშნებოდა საშემოდგომო გამოცდა ან სულაც იგივე კლასში ტოვებდნენ მოსწავლეს. მაგრამ როცა არასრული და საშუალო განათლება გახდა სავალდებულო უკვე ერიდებოდნენ მკაცრ ზომებს. და აი მაშინ ხელს უწყობდნენ, რომ როგორმე მოსწავლეს საშუალო სკოლის ატესტატი მიეღო...

ხშირად ტარდებოდა ექსკურსია სხვადასხვა ისტორიული ადგილის გასაცნობად. მაშინ ღვეზელით, ფუნთუშით ან ბუტერბროდით ნაყრდებოდნენ. წინა პლანზე სანახაობა იყო და არა მსუყე პურმარილის მოლოდინი. მახსოვს, სულ პატარები ბოტანიკურ ბაღში რომ დავყავდით, როგორი გულისყურით ვუსმენდით გიდს თუ მასწავლებელს, ვიმახსოვრებდით ჩვენთვის უცხო ჯიშების სახელწოდებებს და შემდეგ ნაირ-ნაირი

ფორმის და დასახელების ფოთლებით ლამაზ ჰერბარიუმს ვაკეთებდით.

სკოლებში რიგდებოდა თეატრის აბონემენტები დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის. მაგ. – თოვინების თეატრის, რომელიც მაშინ მელიქ აზარიანცის შენობის ქვედა მხარეს, კიბეებით საკმაოდ ქვემოთ ჩასასვლელთან იყო. აი, აქ უკვე სკოლის ფორმებით აღარ გვატარებდნენ, როგორც სტუმრობისას. შეგვეძლო ნაირ-ნაირი კაბები ჩაგვეცვა. მაშინ აუცილებელ აქსესუარად ითვლებოდა პატარა ხელჩანთები, საბავშვო „რედიკულები“. თეატრში შესასვლეთან ბუფეტში იყიდებოდა უგემრიელესი კრემიანი ღვეზელები. „პონჩიკები“ ე. ი. „ფუნჩულები“. დღევანდელ მეტრო თავისუფლების მოედნის გვერდით ორსართულიანი უნივერმაღი „პასაჟი“-ის რკინის გადასასვლელ კიბეებთან ასეთივე ღვეზელები იყიდებოდა 43 კაპიკად. პიონერთა სასახლიდან ხშირად ვსტუმრობდით იქაურობას. მგონი, მეხუთე კლასიდან გვირიგებდნენ მოზარდ-მაყურებელთა თეატრის აბონიმენტებს, რომლის ღირებულებასაც ნაწილ-ნაწილ, ვისაც რამდენი გვქონდა, ისე სრულ დაფარვამდე ვიხდიდით კლასის ხელმძღვანელთან.

სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში მოზარდ-მაყურებელთა თეატრის იმუამინდელი ღირექტორი – მაღალი, შავგვრემანი, მუდამ წელში გამართული, განსაკუთრებული მუდერი ხმით. იგი სულ დარბაზში ტრიალებდა და ხმამაღლა იძლეოდა მითითებებს, ეს თეატრიც მელიქ აზარიანცის შენობაში იყო განთავსებული (დღევანდელ „პანტომიმის თეატრის“ ადგილას). დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები თვითონ დადიოდნენ მარჯანიშვილის და რუსთაველის სახელობის თეატრებში.

მოგვიანებით საყოველთაოდ შემოილეს მუშა-მოსამსახურებზე თეატრის აბონემენტების დარიგება. ზენოლითაც კი ასაღებდნენ, ისევე როგორც უურნალ-გაზეთებს, (მიუხედავად იმისა უკვე გამოწერილი გვქონდა თუ არა) თანხა ხელფასიდან იქვითებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი ბოლო დროს ხდებოდა. თანდათან ირლვეოდა წესრიგი ყველა სფეროში და კანონიც.

ფაპრიკა-ქარხნებში თვის ბოლო შაბათ-კვირასაც იძულებით ამუშავებდნენ დამატებითი ანაზღაურების გარეშე, თვის ბოლოს გეგმის შესასრულებლად მუდამ ერთი ალიაქოთი იყო და ნაჩქარევად გამოშვებული პროდუქციაც ნაკლები ხარისხის გამოდიოდა.

ამ პერიოდში, ალბათ, 70 ან 80-იან წლებში, წიგნების ბუმი იყო. ზოგი არამკითხველიც კი იყო ჩასაფრებული (უფრო თაროების შესავსებად). მოგეხსენებათ, მაშინ მოდაში შემოვიდა და ბევრისთვის ხელმისაწვდომიც იყო უცხოური ავეჯის კომპლექტი, ე. წ. „ჟილაია“ და „სწენკა“, რომელთაც წიგნების თაროებიც ახლდა. უნდა ითქვას, რომ ნამდვილი მკითხველიც გაცილებით მეტი იყო მაშინ. წიგნის მაღაზიაში წიგნს ვერ იშოვიდი (ვგულისხმობ მხატვრულს და ალბომებს); ჩუმად, დახლს ქვემოდან იყიდებოდა გაზრდილ ფასად.

გამოწერითაც ბევრი იწერდა, თუმც არც ეს იყო იოლი. ზოგჯერ წიგნის მაღაზიასთან ღამის გათენებაც გვიწევდა, ე. წ. „პერეკლიჩკაზე“. დიდი მოთხოვნა განსაკუთრებით იყო – დასავლეთ ევროპულ ლიტერატურასა და ტომეულებზე. ბევრი მოსკოვიდან იწერდა ლიტერატურას. ამ პერიოდში ასევე დახლს ქვემოდან ყველა სახის იმპორტული საქონელი იყიდებოდა ზედმეტ ფასად. ბოლო პერიოდში თითქმის ყველა მაღაზია ასე ვაჭრობდა. მარტო თვის ბოლოს გეგმის შესასრულებლად შეიძლება გამოეტანათ რამე. საბჭოთა ნაწარმით კი სავსე იყო თაროები.

სკოლის მოსწავლეები ზოგჯერ „შატალოზეც“ ვიპარებოდით. იპარებოდა ყველა, დარჩენილ ერთეულებს ყოველთვის ალმაცერად უყურებდნენ, რადგან უმრავლესობის თვალში ეს საქციელი არ ითვლებოდა კარგ ტონად. თანხას ვისაც რამდენი გვექნდა, ვაგროვებდით და ერთად ვხარჯავდით. კინოთეატრში შევდიოდით, ან მივდიოდით მუშტაიდის პარკში, იქ უფასო შესასვლელი აღმოვაჩინეთ – პატარა კარები პარკის ბოლოს, სანაპიროზე. პარკში შესვლა, ატრაქციონების მსგავსად, ფასიანი იყო.

50-60-იან წლებში თბილისში ძალიან გავრცელებული იყო მემტრედეობა. ახალგაზრდებს საკუთარ ეზოებში ჰქონდათ მოწყობილი „სამტრედები“, მტრედებს ხორბლით კვებავდნენ, უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ. ყველა მტრედმა იცოდა თავისი სახლი, ზოგჯერ გაყიდვის ან გაჩუქების შემთხვევაშიც კი უკან ბრუნდებოდნენ. ახალგაზრდები სათითაოდ სცნობდნენ თავის მტრედებს და ამაყობდნენ კიდეც ამით. თან საოცრად უსტვენდნენ. მთელ თბილისში ყოველი მხრიდან ისმოდა ეს თავისებურად გამორჩეული და გაბმული სტვენა.

ზოგჯერ უქმე დღეებში დიდ თბილისურ ეზოებში მოდიონენ პატარ-პატარა საცირკო ჯგუფები. ისინი დილიდანვე ამზადებდნენ სამოქმედო არენას; ყრიდნენ ნახერხს, ამაგრებდნენ რკინის ძელებს ე. წ. „ტურნიკს“ მართავდნენ. შემდეგ კი იწყებოდა საცირკო წარმოდგენები უონგლიორებით, ტანმოვარჯიშებით, ილუზიონისტებით...

ბავშვებს გამორჩეულად მოსწონდა ჯამბაზები. იყო აგრეთვე, სხვა გასართობი თამაშობები, რომელთა შესაძენად ფული არ ჭირდებოდათ, თვითონ აკეთებდნენ. მაგალითად: „ავჭალური“: ილებდნენ ძველი წინდის ყელს და შიგ ყრიდნენ ლობიოს ან სიმინდის მარცვლებს. შემდეგ პირს უკრავდნენ და მზად იყო საკენწლაოდ. კენწლაობისას ვინც ცალი ფეხით გვერდულად მეტს აკენწლავდა თვლით, ის იყო მოგებული. გაკვეთილების დაწყებამდეც კენწლაობდნენ. უბანში საკუთარი ჩემპიონებიც ჰყავდათ, ისევე როგოც „კოჭაობაში“. თუმც „კოჭაობაში“ მეტნილად კოჭზე იყო დამოკიდებული მოგება-წაგება. იყო აგრეთვე ჩილიკ-ჯოხებით თამაში. ერთ მომსხო და მოკლე ჯოხს თავბოლოს წაუთლიდნენ ისე, რომ წათლილ დაბოლოებებში მეორე ჩიგანივით ჯოხის დარტყმისას ამხტარიყო და შორს გადავარდნილყო. ან კიდევ ქვებით თამაში, ე. წ. „სალკაობა“. ბრტყელ, მომცრო და მრგვალ სიპქვას, რომელსაც „სალკას“ ეძახდნენ, გადააგდებდნენ რაღაც მანძილზე, შემდეგ ასეთივე მეორე ქვას უმიზნებდნენ და ესროდნენ. ხშირად პატარები შოკოლადისა და კარამელის ფო-

ჩიანი კანფეტების ლამაზ შესახვევ ქაღალდებზე თამაშობდნენ.

„კოჭაობა“ ძალიან გავრცელებული იყო. ცხვრის გასუფთავებულ კოჭებს აგროვებნენ და რაღაც მანძილიდან ესროდნენ გადაგდებულ კოჭს. გარდა იმისა, რომ უნდა მოეხვედრებინათ, ეს კოჭი ფეხზე „ალჩუზე“ უნდა დამდგარიყო. წაგებული კოჭს კარგავდა. იყო „ალჩუ“ (ფეხზე მდგარი) და „თოხანი“ (წაქცეული) კოჭები. მოგებული იძენდა კოჭს განსაკუთრებით ფასობდა და ჯილა კოჭები, რომლებიც თავისი ფორმის გამო ხშირად „ალჩუზე“ ჯდებოდა.

„კლასობანა“ ხომ პატარების გავრცელებული თამაში იყო. ორგვარი კლასობანა არსებობდა: ქვით და უქვოთ. ერთ-ერთი ასეთი იყო: ასფალტზე ერთ დიდ მართკუთხეში ათი უჯრა იხაზებოდა სიგრძეზე ორ მწკრივად, ე. ი. ხუთ-ხუთი უჯრა. თითოეულში ეს ბრტყელი ქვა – „სალკა“ უნდა ჩაგეგდო რიგრიგობით და ხან ერთი ფეხით (ასკინკილით), ხან ორით უნდა მოგერბინა ყველა უჯრა და ქვა გადაგეადგილებინა. გადაგდებისას არც ქვა უნდა შეხებოდა უჯრების ხაზს და არც ფეხი. ასეთ შემთხვევაში თამაში წყდებოდა. დგებოდა მეორის რიგი, ერთ ციკლს ვინც დაამთავრებდა, ერთ-ერთ უჯრაში „სახლს იშენებდა“ დასასვენებლად, რომ გაადვილებოდა თამაში და კვლავ მოეგო.

მეორენაირი კლასობანა „უსალკო“ იყო. დიდ კვადრატში იხაზებოდა ცხრა უჯრა და თითოეულში, ახლოს იყო უჯრა, თუ შორს, წინ და უკან უნდა მოგერბინა. ჯერ ორი ფეხით, შემდეგ ასკინკილით და ბოლოს გადაჯვარედინებული ფეხებით. ისე, რომ ხაზს არ შეხებოდა ფეხით, იქაც ერთი ციკლის დასრულებისას სახლი იხაზებოდა.

იყო გორგოლაჭებიანი ხის სასრიალებელი, რითაც პატარები დაქროდნენ. გორგოლაჭებზე იდგა ხის დაფა ცალი ფეხისთვის, ხის ვერტიკალურ ძელს კი ხელებჩასაჭიდი საჭე ჰქონდა. ასე გამოიყურებოდა თვითნაკეთი „კანიოკი“, იგივე „სამაკატკა“. ზოგჯერ ბავშვები დიდ რკინის რგოლს წამოსდებლნენ გრძელ, ბოლომოკაუჭებულ მავთულის ჯოხს და სირბილით

დააქროლებდნენ ქუჩებში.

თბილისში რადგან საცურაო აუზები არ იყო და არც იორი იყო ჯერ დაგუბებული, ე. ი. თბილისის ზღვაც არ არსებობდა, მაშინდელი ბავშვები და მოზრდილი ბიჭებიც საბანაოდ მტკვარზე დადიოდნენ. (მაშინ ასე დაბინძურებული არ იყო მტკვარი) იქ სწავლობდნენ ცურვას და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კიდეც ცურვაში. სამწუხაროდ, ხშირი იყო დახრჩობის შემთხვევაც. ამიტომ მშობლები ყოველთვის უშლიდნენ მტკვარზე ბანაობას. ბავშვები კი მაინც არ იშლიდნენ და საბანაოდ იპარებოდნენ. მშობლები ასე ამონმებდნენ: წვივზე ფრჩხილს უსვამდნენ და ნაკვალევით ცდილობდნენ, გამოეაშკარავებნიათ შვილები, როცა თბილისის ზღვა ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო და თან სუფთა, მობანავეებმაც იქით გადაინაცვლეს. პირველ წლებში დახრჩობის შემთხვევა აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე მტკვარზე ბანაობისას. ვიდრე გაუშინაურდებოდნენ. ახლა, საბედნიეროდ საცურაო აუზები არსებობს (ცოტა ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ მაინც). მაშინ თბილისში ყოველ ზამთარს ხვავრიელად და ხშირად თოვდა. თოვლი სქელ ფენად იდო მინაზე და დიდხანსაც ძლებდა. დიდი და პატარა უივილ-ხივილით გამოდიოდა ქუჩაში ციგებით სასრიალოდ. დაღმართზე, საკმაოდ დიდი მონაკვეთი მოლიპული იყო, რადგან ღამით წყალს ასხამდნენ და ბავშვებიც იმდენს სრიალებდნენ, რომ გვიან ღამემდე არ შედიოდნენ შინ. ჯგუფურად დადიოდნენ პარკებში, მთაწმინდაზე და სხვა საგუნდაო თუ სასრიალო ადგილებზე.

ბავშვობაში დაწითლებულ-გაყინულ თითებში მგრძნობელობა საერთოდ მეკარგებოდა, მაგრამ მაინც არ მინდოდა სახლში შესვლა, გავარვარებულ ღუმელთან გავშრებოდით თუ არა, ისევ გარეთ გავრბოდით. დილით რომ ვიღვიძებდი ფანჯრებზე ისეთი ლამაზი ფიგურები იყო გამოსახული „ქირხლით“, მოზაიკასავით გამოიყურებოდა.

ბავშვებს სულ გვიშლიდნენ ყინულის ლოლუებს ნუ წუნით, არ გაცივდეთო! თან გვაფრთხილებდნენ ჭუჭყიანი წყლითაა გაყინულიო. ჩვენ კი ჩურჩელებს ვეძახდით, ჩუმად ვტეხდით

და ვწუნიდით. იმასაც გვეუბნებოდნენ, გუდრონის კევს ნუ ღეჭავთ, ბინძურიაო! მაგრამ მაინც ვღეჭავდით და არც ავად ვხდებოდით.

ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა გამახსენდა: ნა-თესავი მყავდა ხაშურში – ნოდარ ლომიძე, ცხოვრებისეული გამოცდილებით გამორჩეული, დარბაისელი და საკმაოდ მოწ-ერიგებული ადამიანი.

ერთხელ, როცა ბავშვებითურთ სტუმრად ვიმყოფებოდი მათთან, ბავშვებისადმი ჩემი ზედმეტი ყურადღების გამო (გა-რეთ რომ გაურეცხავი ხილი არ უნდა ეჭამათ და არ დასვრილი-ყვნენ) მან იმერული სიდინჯით მოგვმართა: „ჩემი დაკვირ-ვებით თქვენ ქალაქელები, რაც უფრო მეტად ცდილობთ ბავშვებს ყველაფერი გაწურულ-გაფილტრულ-დამდუღრული მიაწოდოთ, მათგანაც მოითხოვთ აბსოლუტურ სისუფთავეს, აკონტროლებთ, ზედმეტად ფუთნით, მით უფრო ხშირად შეი-ძლება გაგიცივდეთ, მოგეწამლოთ ან რაიმე ხიფათს გადაე-ყარონ.

ბავშვები თავისუფლად უნდა თამაშობდნენ ეზოში, უპანში, სიცივესა თუ სიცხეში; სულ იმის შიში არ უნდა ჰქონდეთ, რა-მემ არ აწყინოს ან დაავადოს.

სოფლის ბავშვები ბევრად უფრო ამტანნი არიან და უფრო იშვიათად ხდებიან ავად. იცი, რატომ? მთელი დღე გარეთ უწ-ევთ თამაში და ზოგჯერ საქმიანობაც. ხილს მოწყვეტენ, თუ ქარისგან ჩამოყრილს მიირთმევენ, ან ბოსტანში კიტრს, პო-მიდორს, სტაფილოს, მწვანილსაც კი მოწყეტისთანავე ერთს გაიქნევ-გამოიქნევენ, ხელით გაასუფთავებენ თუ სახელოზე გაისმევ-გამოისმევენ და ეგრევე მიირთმევენ გაურეცხავად, თავად ხელდაუბანელი და მტვრიანები, ან თამაშის დროს რომ გაიქნებს პირში თითებს დასასტვენად თუ კბილის გამოსაჩ-იჩქნად, (ხილის ჭამის შემდეგ) ფრჩხილებში ჩარჩენილი ჭუჭყ-იც ხომ ხვდება პირში? დაღლისას მინაზე სხდებიან თუ გაგ-ორდებიან არც ამით ცივდებიან.

ასე ნელ-ნელა ეგუება მათი კუჭ-ნაწლავი პატარა „გადაც-

დომებს“. წინააღმდეგობის უნარი კი თანდათანობით უმუშა-ვდებათ და უძლიერდებათ.

ამ ცოტა ხნის წინ, ინტერნეტში ერთ საკმაოდ ტიტულოვან უცხოელ მეცნიერს მოვუსმინე და მან თითქმის იგივე თქვა, რაც იმ ჩემმა ასაკოვანმა ნათესავმა წლების წინ.

„ადამიანი ბავშვობიდან რაც უფრო სტერილურად იცავს კვების რეჟიმს და ჰიგიენას, ორგანიზმი მით უფრო ერთგვა აბ-სოლუტურ სისუფთავეს, წინააღმდეგობის უნარი უქვეითდება და პატარა გადაცდომებზეც უცებ რეაგირებს, ადვილად ავად-დებაო“.

ამ ორ ადამიანს რომ არ დავეთანხმო არ შემიძლია თუმც, ვერც დაუბანელი ხელით ჭამას ვურჩევთ ბავშვებს და ვერც გაუწინდავ ფრჩხილებს მოვუწონებთ, სისუფთავე რომ აუცილებელია ამაზეც არ არსებობს ორი აზრი.

ზამთარ-ზაფხულს ყინვასა თუ სიცხეში ბავშვები სულ ეზოებში იყრიდნენ თავს, ათასგვარი თამაშებით ერთობოდნენ; მარტო საჭმელად ან სამეცადინოდ თუ შეიტყუებდნენ უფროსები სახლში. ზოგი სპორტით ან მუსიკით იყო დაკავებული, მაგრამ, ეზოში ან უბანში სათამაშოდ მაინც იცლიდა.

მოკლედ, ნოსტალგია მაქვს თბილი ოთახის ფანჯრიდან ფთილებივით ფაფუკი ფანტელების ხვავრიელი ბარდნის გამო, ალმაცერად რომ მოეფინება ჰაერში და ზოგჯერ ხილვადობა-საც ფარავს. ახლა კი მეტწილად თოვლ-ჭყაპიანი ზამთარია, სამწუხაროდ.

ერთობოდნენ „ჩიკორებით“, რომლებსაც მშობლებს აჩარხვინებდნენ და მთელი დღე აბზრიალებდნენ ქამრით. იყო, აგრეთვე, ხელით დასაქოქი ქარხნული გამოშვების ბზრიალა სათამაშოები. „ლახტით“, მათრახივით ქამრებით უფრო მოზრდილები უწვავდნენ ერთმანეთს კოჭებს.

იყო ჯგუფური თამაშები ბურთით და უბურთოთ. ჯგუფური იყო „ხიდობანა“, „ვისი სული გსურს“. უფრო პატარები კი რუსულ თამაშს „გუსი-გუსი-გა-გა-გა“-ს თამაშიობდნენ. ცოტა მოზრდილები კი – „კაზაკი რაზბოინიკი“ -ს, ან „რაზ, დვა,

ტრი – ფიგურუ პაკაფი“-ს. ამ თამაშისას ერთი იხუჭებოდა. ამ დროს დანარჩენებს რაღაც მინი-სცენები უნდა დაედგათ, ან უჩვეულო პოზა უნდა დაეჭირათ... ვინც საუკეთესო აღ-მოჩნდებოდა, საინტერესო რამეს მოიმოქმედებდა და აჩვენ-ებდა, იმას ირჩევდა უკვე თვალახელილი მოთამაშე. „გრძელ ჯორსაც“, „ბუთრი წრეში“ და სხვა თამაშებსაც თამაშობდნენ. პატარები კი – „ხეზე ჩიტს“, „სახლობანას“, „დამალობანას“, „გაშეშობანას“, „ჩაცუცქობანას“ და სხვ. იყო ასეთი სათამა-შოც – „ვანკა-ვსტანკა“, რომელიც როგორც არ უნდა მოგეს-როლა ან დაგეგდო, მაინც ფეხზე დგებოდა. გავრცელებული იყო სხვადასხვანაირი გათვლა ლექსად. მაგალითად: „ინილო, ბინილო, შრომანო გვრიტილო, ალხო, მალხო ჩიტმა გნახოს, შენი ფესვი ფესვმანდური, ადექ, დაჯექ, ნეფევ ჩაჯექ, პატარ-ძალო ფეხზე ადექ... გავიდა...“ ან: „ნაირ-ნაირები, ჭიქა საინე-ბი, ნარმა მიტყალი რა გინდა მითხარი... გავიდაა“. ასევე, „ანა ბანა ნიცა, რუსების ბალნიცა, ეი, გედევანჩო, ნაშე კაპიტანჩო, ბალანჩო... გავიდა...“ ან: „ნა ზოლოტომ კრილცე, ნა ბოლშომ სლონე სიდელი – ცარ, ცარევიჩ, კაროლ-კარალევიჩ, საპო-ჟნიკ, პორტნოი, კტო ტი ტაკოი... გავიდააა... : „ელია, მელია თვალი გამიხელია, ვინც არ არის დამალული ეს რა ჩემი ბრა-ლია“...: „როცა გეტყვი-ი-, მაშინ გამოდიი, როცა გეტყვი-ე-არ გამოხვიდეე“; „ია შლა, შლა, შლა ი კარზინაჩეუ ნაშლა, ვეტოი მალენკო კარზინე, ესტ პომადა ი დუხი, ლენტა, კრუჟევა, ბატინკი, ჩტო უგოდნო დლია დუში... გავიდაა...“

ასეთი თამაშიც იყო: წრიულად მდგარი და ხელჩაკიდებუ-ლი ბავშვები ბუქნავდნენ და მღეროდნენ – „ზილინა, ზილინა, პოპ ზილინა ზილინა“, დროდადრო ჩაცუცქდებოდნენ, შემდეგ გაიმართებოდნენ და ისევ „აი ამ სიმალლის, აი ამ სიდაბლის“ ხელებს ხან მალლა წევდნენ, ხან დაბლა. ვისაც შეეშლებოდა ხსნიდნენ წრიდან.

ყველა გათვლას და თამაშს ვერ ჩამოვთვლი. მთელი დღე ბავშვები ეზოში, უბანში თამაშობდნენ, დარბოდნენ, იგონებდ-ნენ ახალ თამაშებს: ჰაერზე დიდ დროს ატარებდნენ.

ახლა გადარბენა-გადმორბენის მარათონში ატარებენ ბავშვობას. (დადიან კერძო მასწავლებლებთან, წრეებზე). ბოლოს გასავათებული კომპიუტერს მიუსხდებიან.

რეპეტიტორებთან არ დაჰყავდათ ბავშვები. სკოლიდან გამოტანილ ცოდნას თვითონვე თავიანთი ძალისხმევით იღ-რომავებდნენ, მეცადინეობდნენ და ისე აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებელში. თუმცა ზოგჯერ მშობლები პროტექტორებ-საც მიმართავდნენ...

კომპიუტერი რომ კარგია, სასარგებლოც და საჭიროც ეს ცხადია, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ იგი ნარკოტიკის მსგავსად მთლიანად იმორჩილებს ადამიანს, უფრო მოზარდს, ნთქავს დროს და საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას.

სხვადასხვაგვარ თამაშობებზე საუბრისას იმასაც და-ვამატებდი, თუ როგორ უხაროდათ მაშინ ბავშვებს ახალი წლის მოსვლა და სამზადისი. განსაკუთრებით საინტერესო და სახალისო იყო საახალწლო ნაძვის ხის მორთვა. იმ დროს ხე-ლოვნური ნაძვის ხეები არ არსებობდა და ნამდვილ ნაძვებს დგამდნენ, თბილისი გაცილებით პატარა იყო და ტყეც ასე არ იჩეხებოდა. საახალწლო ნაძვის ხეს რთავდნენ ფორმიანი კან-ფეტებით, ნაყიდი სათამაშოების გარდა, შოკოლადით, ფე-რადი ქალალდებისაგან გირლიანდებსაც აკეთებდნენ და ბო-ლოს, ბამბის ბრტყელი ქულებით რთავდნენ – ვითომ ნაძვი დათოვლილი იყო. ახლა ისე ხუნძლავენ უამრავი სათამაშოთი, რომ ნაძვი აღარც ჩანს.

ერთ საჩითირო ამბავზეც მინდა გიამბოთ. ომის შემდგომ პერიოდში მიუხედავად ჰიგიენის დაცვისა, ძალიან გავრცელდა მკბენარი და ბაღლინჯო. მახსოვს, დეიდაჩემი უნივერსიტეტ-ში ზოგჯერ ფეხით მიდიოდა ნაძალადევის გადასასვლელი ხი-დიდან ვერამდე, ვინმესგან ტილი რომ არ გადასდებოდა.

სკოლაში ტარდებოდა რეიდები. რაიკომის განათლების გან-ყოფილებიდან კომისიის წევრები პერიოდულად შემოდიოდნენ გაკვეთილზე, ბავშვებს თავს უსინჯავდნენ (ხშირად აღმოუჩე-

ნიათ კიდეც).

საბავშვო ბალებს „კერები“ ერქვა, იქაც სისტემატიურად ამონმებდნენ ბავშვებს. ყველა ბავშვს ტანსაცმლის ზემოდან თეთრი ხალათი ეცვა, უკან ჩაღილულ-შეკრული, ეს ბალის ბავშვების ფორმა იყო. შემდგომ თეთრი ხალათები წინსაფრებით შეცვალეს და ესეც სავალდებულო იყო.

სკოლის მოსწავლეებსაც ფორმა ეცვათ. გოგონებს ეკრძალებოდათ უფორმოდ და უბაფოთოდ სიარული. რუსული სკოლის ბავშვებს ბაფთები უფრო ნაწნავში ჰქონდათ ჩანწული, ქართული სკოლის მოსწავლე გოგონებს კი ნაწნავის ბოლოს ეკეთათ ბაფთა. ბაფთის ბოლოს კი თმას ხვეულად ტოვებდნენ. ფორმის კაბა ყავისფერი იყო, ბოლო აუცილებლად დაპლისული ჰქონდა, ასევე იყო დაპლისული შავი თხელი ნაჭრისგან შეკერილი წინსაფრებიც, რომელთაც მხრებიდან იდაყვებამდე გადმოიფენილი და ღია გახსნილი ფართო სახელოები ჰქონდა. ფორმაზე სავალდებულო იყო თეთრი საყელო და სამაჯურები... ვაჟებს ნაცრისფერი მაუდის ფორმა ეცვათ, რკინის ბალთიანი ქამრით და ქუდით.

ქალებს მხოლოდ ერთი კვირა დღე ჰქონდათ დასვენება. შაბათი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. არც მოკლე შაბათი არსებობდა მაშინ (მოგვიანებით შემოვიდა მოკლე შაბათი, ე. ი. ორი საათით ადრე მთავრდებოდა სამსახური). გასაკვირია, როგორ ასწრებდნენ არამარტო მუშა-მოსამსახურე ქალები, არამედ თუნდაც დიასახლისებიც ამდენ საქმეს. მაშინ საოჯახო ტექნიკა ისე ვერ ანებივრებდა ქალებს, როგორც დღეს. სარეცხი ხელით ირეცხებოდა მოთუთიებულ დიდ ტაშტში – „ლახანკაში“ – და დიდ ქვაბში იხარშებოდა. შემდეგ თეთრეული ცალკე მოხარშულ სახამებელსა და ლილაში ივლებოდა. უთოთი გატკიცინების შემდეგ საბანზე უნდა შემოეკერებინათ მართკუთხა სწორი საშალითე ქსოვილი მთელ სიგრძე-სიგანეზე კუთხეების შემოკეცვით, რაც საკმაოდ შრომატევადი იყო. (მაშინ არ იყო კონვერტები, იოლად რომ შეეცურებინათ საბანი). ერთდროულად რამდენიმე იყო შემოსაკერებელი.

იმ დროისათვის ძალიან მიღებული იყო ფრანგული ქარგვის ერთ-ერთი სახეობა. ე. წ. „რიშელიეთი“ შესრულებული, თეთრ ტილოზე ან მიტკალზე. ნაქარგობებს „დაროუკებს“ ეძახდნენ და ზოგჯერ კედლებზე აკრავდნენ. ნაქარგობები დაფენილი იყო ბუფეტის თაროებზეც, ტუმბოებზე და სხვაგანაც. ზოგს, მაგალითად, აბაურებადაც ჰქონდა რკინის დიდ მრგვალ კარ-კასზე გადაფენილი. თუმც სოფლად უფრო იყო ასეთი აბა-ურები.

ჰო, კიდევ... მაშინ ალაგებულ ლოგინზე ბალიშები საწოლის გადასაფარებლის ზემოდან იდებოდა. გაქათქათებულ ბალ-იშებს ნაპირებზე ჰქონდა ოთხი-ხუთი სანტიმეტრის სიგანის თავისივე კანტი. ბალიშის პირების მსგავსად მოქარგული იყო ბალიშის გადასაფარებლები, რომელთაც რუსულის გავლენით ბალიშის „პაკრიშებს“ ეძახდნენ. განსაკუთრებით ნაქარ-გობების დაუთოვება იყო ძნელი, ათასგვარ „ობობა“ – „ბადუ-რებისა“ თუ „ხიდუკებისა“.

პიანინოს და სასადილო სკამებს – ტილოს შალითები ჰქონდა გადაკრული და კლავიატურის მთელ სიგრძეზე ჩაჭ-რილ-ჩალილული, სკამის შალითებიც ლილებით ან თასმებით იკვრებოდა.. პიანინოს თავს კი თეთრი სხვადასხვა ზომის სპი-ლოების ქარავანთან ერთად ამშვენებდა ე. წ. „ბეზელუშებიც“ – ფაიფურის ფიგურები. ამდენი შალითის ნაქარგობის თუ მა-ქმანის მოწესრიგებას დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა. ყველაფერი საპნითა და სარეცხი სოდით ირეცხებოდა.

დაახლოებით სამოციან წლებში და ოდნავ ადრე გამოვიდა სარეცხის ფხვნილები, ისიც მხოლოდ ჯერ შალეულის, მოგვი-ანებით კი სხვა სახისაც. დიდი სარეცხის რეცხვისას ყველა ოჯახს ჰქონდა თეთრი მსხვილი დაგრეხილი სარეცხის თოკი; ზოგნი ერთმანეთისაგანაც თხოულობდნენ. გაფენის წინ ეზო-ში აბამდნენ, შუა-შუა ხის გრძელ ბიჯგებს უყენებდნენ, რომ თოკი აეწიათ და სარეცხი მინას არ შეხებოდა. მოგვიანებით თოკებს მოძრავ გორგოლაჭებზე ამაგრებდნენ.

კომუნისტების და კომუნისტური წყობის ავ-კარგი ყველას მოგვეხსენება, მაგრამ ყველაფერი ასე შავ ფერებში არც მაშინ იყო. სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა ადამიანური ურთიერთობები, საყოველთაო წესრიგი, კანონგვალდებულებები, უფლება-მოვალეობები; ერთმანეთის ნდობა, პატივისცემა თუ სახელმწიფოებრივი ზრუნვა. ყველაფერი ეს მუვანაძის დრომდე უფრო მყარი იყო. თევზი თავიდან ყარსო. მაშინ ჩვენი თავი კრემლში იყო. იმ დროიდან დაიწყო თანდათან კანონის უგულვებელყოფა. მექრთმეობამ, პროტექციამ, ნეპოტიზმმა მოიკიდა ფეხი. მე მგონია საქართველოში უფრო იგრძნობოდა ეს ფერისცვალება. ამას ისიც დაერთო, რომ მოგვიანებით გამომჟღავნდა ინფორმაცია ხრუშჩივის ბოროტი ახირების შესახებ: განზრახული იყო საქართველოს ციმბირში გადასახლება, თითქოს მხსნელად მაშინ ცკ-ს | მდივანი ვასილ მუავანაძე და უშიშროების სამსახურის უფროსი – ინაური გამოჩნდნენ...

მაშინ სახელმწიფო რიგის მიხედვით არიგებდა საცხოვრებელ ბინებს, რომლებიც გაიცემოდა უფასოდ, განუსაზღვრელი დროით. გადასახადი მიზერული იყო: ცხელი წყლისა და ცენტრალური გათბობის გადასახადი იყო ორი მანეთი და ორ-მოცდათი კაპიკი: ამდენივე იყო ტელეფონის გადასახადიც, ელექტროდენის გადასახადი იყო ოთხი კაპიკი კილოვატზე და ვისაც ელექტრო ქურა-ლუმელები ჰქონდა დამონტაჟებული, ორ კაპიკს იხდიდა.

ბინებს აპარებდნენ საცხოვრებლად გამზადებულს, მაგრამ ხარისხი იმდენად დაბალი იყო, რომ უმეტესობა შესვლისთანავე არემონტებდა.

დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო ბინების პრივატიზაცია, საკუთრებაში გადაცემა, თუმცა ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან პრივატიზაციამდე ბინები მოქალაქეებზე შთამომავლობითაც გადადიოდა. მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, თუ არც შთამომავალი ჰქონდათ და არც ვინმე სხვა იყო ბინაში ჩაწერილი, კვლავ აღმასკომს გადაეცემოდა. ბინებს სულადობით აძლევდნენ და არა ფართის მიხედვით: ერთი სულ-

იდან სამ სულამდე – ერთ ოთახიანს ითვალისწინებდა, ოთხ-სულიანი ოჯახი – ორ ოთახიანს, ხუთიანი კი – სამიანს და ზემოთ. თუ ოჯახში ქალიშვილი ან ვაჟი დაქორნინებული იყო, მათ ცალკე ბინას აძლევდნენ, გადამდები სენით დაავადებულს დამატებით ერთ ოთახს უმატებდნენ.

თუ ბინა დანგრევას ექვემდებარებოდა, ერთ ოთახიანში რამდენი სულიც ცხოვრობდა (ჩაწერით, რა თქმა უნდა, და არა ფაქტიურად), იმდენზე გათვლილ ფართს აძლევდნენ. ომის შემდგომი გაჭირვების მიუხედავად, სამართლიანობა და ქვეყნის წინსვლა ყოველთვის იმედს აძლევდა ხალხს, უკეთესობისკენ უბიძგებდა, მაგრამ სათავეში მაღლენკოვ-ბულგანინის ცოტა ხნით და შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის, ბრეჟუნევის, ანდროპოვ-ჩერნენკოს მმართველობის საკმაოდ დიდმა პერიოდმა თავქვე წაიყვანა ქვეყნის წინსვლა, არა მარტო განვითარების მხრივ, არამედ მორალურ-ზნეობრივადაც. ამან მიიყვანა სსრკ დაშლამდე, რაც გორბაჩოვმა საბოლოოდ დააგვირგვინა. სწორედ ამ მმართველების დროს დაკანონდა უკანონობა, მექრთამეობა. ყველგან მხოლოდ ფული და პროტექცია ჭრიდა. გახშირდა ქრთამის აღება უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, ბინების გაცემასა თუ თანამდებობებზე დანიშვნაზე, ყველა სფეროში თავის ნიხრი („ტაქცია“) გაჩნდა, მაღაზიებში ყველაფერი კარგი და უცხოური დახლს ქვემოთ იყიდებოდა. შეიძლება კანონის ერთეული დარღვევები ადრეც იყო, მაგრამ ეს იშვიათობა იყო და ხალხში არ იგრძნობოდა, რადგან მცირე გადაცდომასაც არ პატიობდა მაშინდელი კანონი. დამნაშავენი მკაცრად ისჯებოდნენ, ეს ხდებოდა მანამ, სანამ წყალი შეუდგებოდა საბჭოთა სისტემას. თუმცა არც ძველი მმართველობის ცოდვები დავიწყებია ხალხს, თუნდაც 37-იანი წლები, ფსიქიატრიულში გამომწყვდეული არათანამოაზრები და ხალხში დასადგურებული გამუდმებული შიში...

ყოველგვარი სამედიცინო მომსახურება პოლიკლინიკებში უფასო იყო. უფასო იყო ასევე ბინაზე მომსახურება. წამლები კი უიაფესი, სამ, ოთხმანეთიანი უკვე ძალიან ძვირად ითვ-

ლებოდა. მაშინ ძირითადად წამლების დიდ ნაწილს აფთიაქ-ში იქვე ამზადებდნენ ფარმაცევტები. პროვიზორი რეცეპტზე გამოწერილი წამლის გასაკეთებლად საჭირო ნივთიერებებს, მათ ზომა-წონას, ფასს, იქვე მიაწერდა და თეჯირს იქით ფარ-მაცვეტების ბრიგადას გადასცემდა.

საავადმყოფოში მკურნალობაც და წამლებიც უფასო იყო. ზოგჯერ ზუსტი დიაგნოსტირებისთვის იწვევდნენ კონსილ-იუმსაც კი. საავადმყოფოები მაქსიმალურად მარაგდებო-და მედიკამენტებით, მკაცრად იყო დაცული შინაგანაწესი: არ შეიძლებოდა გარედან არანაირი წამლის შეტანა. თუმცა ბოლო დროს ზოგი წამლის დეფიციტიც შეინიშნებოდა. ასევე, ჩუქების სახით ნელ-ნელა ფულის მიცემაც დაიწყეს ექიმებზე და ბოლოს ისე გახშირდა რომ განსაზღვრული ოდენობაც კი დაწესდა, მკურნალობისა და ოპერაციების მიხედვით, მხოლოდ განერისას, ჩუქების სახით, თუმც უამისოდაც ტარდებოდა მკურნალობაც და ოპერაციებიც. ზოგი ექიმი კი საერთოდ არ იღებდა ფულს.

უნდა აღვნიშნო, რომ საავადმყოფოში ექიმები დიდი პა-სუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საკუთარ მოვალეობას და რა თქმა უნდა პატიენტს, რადგან პატარა გადაცდომაზეც შესა-ძლოა სამსახური დაეკარგათ და პასუხიც ეგოთ; მაშინდელი მედპერსონალი გაცილებით კვალიციფიური იყო.

მაშინ, სოფლებში და ზოგიერთ რაიონებში, მხოლოდ ერთი ექიმი მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რისი სპეციალისტი იყო, გინეკოლოგი, ფტიზიატრი, თერაპევტი, ქირურგი თუ სხვა. ეს ექიმი სხვადასხვა დაავადებით მისულ პატიენტებს უწევ-და სამედიცინო დახმარებას. წარმოიდგინეთ, ფტიზიატრს რომ აბორტის გაკეთება უხდებოდა, მაგრამ ართმევდნენ თავს. არ ვიცი ინსტიტუში მიღებული განათლებით უძღვებოდნენ ამხ-ელა პასუხისმგებლობას, გამოცდილებით თუ სპეციალური გადამზადების კურსებს გადიოდნენ.

მახსოვს, როცა ქოლერა მოედო საბჭოთა კავშირს, როგორი მკაცრი ლონისძიებები ჩაატარეს თბილისში. დასასვენებლად

ჩასული მთელი ოჯახი ერთ დამეში გამოგვასახლეს სოჭის ლენინგრადის კემპინგიდან. თბილისში კი შემოვასწარით, მაგრამ შემდეგ ისე ჩაიკეტა გზები, თბილისიდან დაკრძალვაზეც კი არავის უშვებდნენ სოფლებსა და რაიონებში. თუმც ეს ეპი-დემია დიდხანს არ გაგრძელებულა.

ადრე ომამდე „ისპანკაც“ ყოფილა, რომელმაც ბევრის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის ჩემი ბებიისაც. აი, ტუ-ბერკულიოზი კი მანამდეც და შემდეგაც შიშის ზარს სცემდა ყველას, რადგან განუკურნებელ სენად ითვლებოდა. (წამალი არ არსებობდა) და გადამდებიც იყო. ყველა ერიდებოდა ასეთ ავადმყოფს. წამლებზე საუბრისას გამომრჩა, რომ არსებობდა დეფიციტური წამლები, რომლებითაც ვაჭრობდნენ ებრაელები. არ ვიცი, საიდან როგორ, რა გზით შემოჰქონდათ ასეთი წამლები. ალბათ, კანონდარღვევითაც სარგებლობდნენ, მაგრამ „უშოვნელა“ წამლების შოვნა რომ ებრაელებთან შეიძლებოდა ეს ფაქტია. ასეთი პიროვნებაც კარგად ახსოვს თბილისს – „ჩაშკას“ ეძახდნენ და იგი ყველა წამალს შოულობდა. ლამის ქალაქის კოლორიტად იქცა. ვაჭრობასთან ერთად, ეტყობა, კარგი კაცობაც ეხმარებოდა.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. ამ ვერაგ და გადამდებ დაავადებასთან დაკავშირებით. ჩვენთან ახლოს ნათესავები ცხოვრობდნენ, მე განსაკუთრებით მიყვარდა მათთან სტუმრობა, რადგან მათაც ასევე უხაროდათ ჩემი მისვლა... მართობდნენ, მეთამაშებოდნენ, მეფეებოდნენ და ამის გარდა ათასგვარი ნუგბარით მიმასპინძლდებოდნენ. ახლაც მახსოვს, როიალზე მუდამ ედგათ კანფეტებით სავსე ვაზა. მე მაშინ პატარა ვიყავი – სკოლამდელი ასაკის. იმ დროს ბავშვებს „ბალიში კანფეტიც“ კი ენატრებოდათ, არა თუ ფორჩანი კანფეტი ან შოკოლადი. მეც გამირბოდა თვალი იმ ვაზისკენ. ოჯახს ორი შვილი ჰყავდა, ორივე სტუდენტი, ვაჟი პოლიტექნიკურში სწავლობდა, ქალიშვილი კი – კონსერვატორიაში. მოხდა საშინლება. ვაჟი კატასტროფაში დაიღუპა და სანუგეშებლად უფრო ხშირად გვიწევდა მისვლა, ცოტა ხანში გავიგეთ, რომ ქალიშვილიც

უკურნებელი სენით, ტუბერკულიოზით იყო დაავადებული და დედა ჩემ წაყვანაზე თავს იკავებდა. მარტო დადიოდა მათთან. ქალიშვილი კი სთხოვდა დედას მეც ვეტარებინე. მან ხომ არ იცოდა თავისი დაავადების ყველა სიავე. ბოლოს დედა იძულებული გახდა, მეც წავეყვანე, მისვლისას რომ შემომთავაზეს კანფეტები გამოვართვი, მაგრამ დედაჩემა მოიმიზეზა – სულ დამავიწყდა, ფოსტაში ვიყავი დაბარებულიოდა უცებ წამოვე-დით. იქვე სახლს გამოვცდით თუ არა, კანფეტები ურნაში გა-დაყარა და წყლის დასალევ სოკო-შარდევანზე (ისინი ყოველ ნაბიჯზე იყო ქუჩაში ისევე, როგორც ანძაზე დასამაგრებელი დიდი მრგვალი საათები) ხელები საგულდაგულოდ დამბანა. მე გამიკვირდა და გულიც დამწყდა, მან კი მითხრა – მუცელი გეტ-კინება, დღეს შენთვის კანფეტის ჭამა არ შეიძლებაო. გარდა იმისა, რომ მაშინ არ არსებობდა ტუბერკულიოზის წამალი და არ იკურნებოდა, ყველაზე საშინელება ის იყო, რომ გადამდები იყო და შიშით ყველა ერიდებოდა ავადმყოფს და მის ოჯახს. ბევრ რამეს გავუძელით და ბევრიც გადავიტანეთ, ქუნთრუშა, ტიფი, ქოლერა და ამ ავადსახსენებელ კორონასაც მოსახდე-ლივით მოვიხდით, მაგრამ მე გული იმაზე მწყდება თბილისი რომ თავის თბილისურ სახეს კარგავს, იმ ძველ თბილისს აღარ გავს, რა თქმა უნდა დრო ყველაფერს ცვლის და თბილისურ ყოფაშიც შეიცვლებოდა ბევრი რამ, მე მოძველებულ და სახ-ეშეცვლილ რიტუალებს კი არ მივტირი, არამედ ურთიერთობებს, ურთიერთპატივისცემას, შეურყყნელ ლექსიკას (არამარტო ბარბარიზმებს ვგულისხმობ) და ბევრს, ძალიან ბევრ რამეს რაც თბილისს სხვა ქალაქებიდან გამოარჩევდა.

საბჭოთა სისტემის შემდეგ მოპოვებული დამოუკიდებლობა უდავოდ ფასდაუდებელია, მაგრამ ის, რაც მოჰყვა ყოველივე ამას, არათუ დამაფიქრებელია, თავზარდამცემიც არის. აღარ არსებობს სოფლის მეურნეობა: მთელი დასავლეთი საქართვე-ლოს აბიბინებული ჩაის პლანტაციები დღეს გაველურებულია. კვალიც აღარაა, მძიმე ან მსუბუქი მრეწველობის, დანგრეულია უამრავი ფაბრიკა-ქარხნები. საზღვარგარეთ გაიტანეს და

ჯართად გაყიდეს ძვირადლირებული უზუსტესი ტექნიკა, დაზ-გა-დანადგარები, ჩარხები; დაჭრეს და დაჩეხეს ვაგონები, გე-მები, რასაც ხელი მოეკიდებოდა, ყველაფერი გაანიავეს.

გაწყალებულ-გაუფასურებული კუპონის ფასად შეიძინეს, უფრო სწორად მუქთად 1 ლარად დაირიგეს საერთო, სახალხო ქონება. ასეთი მაქინაციებითაც იმ პერიოდში ბევრმა საეჭვოდ გაიმდიდრა თავი; ბევრის ბიზნესს ამ დატაცებული საერთო ქონებიდან დაედო საფუძველი. მაშინ დაიტაცეს ხალხის ანაბრებიც. მოგვიანებით ის მიზერული ხელფასებიც გაყინეს და გვიან, ძალიან გვიან გაუფასურებული დააბრუნეს, ზოგს კი არც გვიან დაგვიპრუნეს. ქვეყანამ დიდი გაჭირვება, სიბრძლე, სიცივე და შიმშილი გამოიარა. მოსახლეობა დღემდე ტყუილში ცხოვრობს. სოფლები დაცარიელებულია, ასაკოვნებილა დარჩენენ, ისინიც „ცას ხომ არ გამოეკერებიან“. ქალების უმეტესობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია გაპნეული მოსამსახურებად ან მოხუცთა მომვლელებად, ზოგი აღარ აპირებს დაბრუნებას. ვინც აქ ნიჭისა და შრომის სათანადო რეალიზება ვერ მოახერხა ემიგრაციაში წავიდა. ალბათ ეს არის ე. ნ. „ტვინების გადინება“. მიგრანტთა დიდი ნაწილი რეპროდუქიციული და პერსპექტიული შრომისუნარიანი ახალგაზრდობაა. ეს არის ქვეყნის გენოფონდი.

– ასე რატომ დააქციეს ეს ღვთივკურთხეული ქვეყანა?

დღეს, სამწუხაროდ, უხერხულიც კია საუბარი მაღალ ზნეობაზე, ადამიანურ ღირებულებაზე. დღევანდელი თავისუფლება მარტო პირად სიამოვნებასა და სარგებელზეა ორიენტირებული.

ადრე ავტორიტეტებს ვაფასებდით, მისაბაძად მიგვაჩნდენ ისინი, რადგან ჩვენს საყოველთაო პატივისცემას სამართლიანად იმსახურებდნენ, გარდა სათანადო სფეროში დიდი მიღწევებისა, თუ დამსახურებისა, ისინი კულტურის, ზნეობის, სამართლიანობის, პატიოსნების მაგალითებიც იყვნენ, სათანადო ერუდიცითა და ინტელექტით, ეროვნული ცნობიერებით. დღეს აღარსად ჩანან ასეთი ნათელი ადამიანები, თითო-ორო-

ლა-ლა შემორჩა ქვეყანას, ამიტომ მათ კლება-სიმცირეზე მწყდება გული, რაც დღევანდელმა ყოფამ მოგვიტანა თორემ, დღესაც გვყავს დამსახურებულნიც და წარმატებულნიც.

თითქოს საზოგადოებაც შეიცვალა, დღეს ბევრს უჭირს. ირგვლივ უიმედობა – წუწუნი ისმის. ადრეც უჭირდათ, მაგრამ თავს იკავებდნენ, პირიქით, არ იმჩნევდნენ, თითქოს, ლირსება ელახებოდათ, რადგან ხედავდნენ რომ ერთი ნაწილის გამდიდრების და უსამართლობის ფონზე კი არ უჭირდათ, არამედ ომის შემდგომი კრიზისი იყო, საიდანაც მთავრობა და ხალხი ერთნაირად ცდილობდა თავის დაღწევას.

თითქოს საზოგადოებაც შეიცვალა, ამდენი ხელგაწვდილი არასოდეს მინახავს ქუჩაში. ადრეც უჭირდათ, მაგრამ მომავლის რწმენითა და იმედით განაგრძობდნენ ცხოვრებას, დღეს კი ესეც ამოენურათ.

კომპიუტერის ეპოქაში ვცხოვრობთ, მართალია, ახლა სხვა დროა, სხვა მოთხოვნილებებმა იჩინა თავი. ხალხი დაიღალა. დაიღია მოთმინების და იმედის ფიალა. გაქრა უკეთესის მოლოდინი, გემოვნებით არცთუ ვინმეზე ნაკლები ხალხი ჯერდება სხვა ქვეყნებიდან ტონობით შემოტანილ გამონაცვალ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თეთრებულსაც კი, ხელმოკლეობისა გამო. თუმც შეძლებული და პატიოსანი ხალხიც ბევრია და მათი ჩაცმულობა არავის აღიზიანებს.

იმატა ევროპის თუ ამერიკის ქვეყნებში გამონაცვალი, ძველი მანქანების რიცხვმა. დიდი ბიზნესია გაჩაღებული. ძველი მანქანების გამონაბოლქვი უარესად წამლავს და აბინძურებს ისედაც ბეტონის ურჩხულებით გადატვირთულ ოდესაც ულამაზეს ქალაქს, მისი გამწვანებისთვის ხელისგულისოდენა ადგილსაც ვეღარ იმეტებენ. მთებსაც და კლდეებსაც შეესივნენ.

დედების მიერ შვილების აღზრდის საპატიო საქმე მეორე პლანზე გადავიდა. ლუკმა-პურის საშოვნლად ქალების გასვლამ ოჯახები გადააგვარა.

მოსახლეობა ნატურალურის ნაცვლად გენომოდიფირე-

ბულ და შხამქიმიკატებით გაჯერებულ პროდუქციით იკვებება...

ისე, რა თქმა უნდა, კარგიც ბევრი მოხდა. გათავისუფლდა ქართული ენა რუსული სიტყვებისა და სახელწოდებებისაგან, ქალაქებს შეეცვალათ და დაუბრუნდათ სახელები, მაგალითად მახარაძეს – ოზურგეთი, წულუკიძეს – ხონი, ცხაკაიას – გეგეჭკორი, სტალინირს – ცხინვალი, ლენინგორს – ახალგორი და სხვა ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ ეს მაინც ცოტაა ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობა და წინსვლა მაინც შეფერხებულია.

ქველი თბილისის სურათები

გოგო-ბიჭებო
ჩემო კბილანო,
ხანდაზმულნო,
თუმც, გაუხუნარნო
ძველი თბილისის
ძველ ნატამალნო,
თქვენი ქალაქის
სურათს გთავაზობთ:

.

თბილისის პარკებს
ყოველ კვირა დღეს
ცეკვის ჰანგები
ახმიანებდა,
ან უკვე ბებრებს,
მაშინ ჯეელებს,
აცეკვებდა და
აბზრიალებდა.
ტანგო, ვალსბოსტონი,
ლიფსი და ჩარლსტონი,
ხის კენწეროებზე
ცა კონწიალობდა
დილას კი სისხამზე
თბილისის ქუჩებში
თბილისის ქურთები
პრიალა კაბებით
სულ ჭრელა-ჭრულებით,
დიდტარა ცოცხებით
და ბზრიალ-ბზრიალით
წინა დღეს ხვეტავენ
თითქოს და ცეკვავენ,
შემდეგ სარწყავებით

დილას პირსა ბანდნენ.
ამ დროს ხრინწიანი
ხის თამასიანი
შუშაბანდიანი
კონკების მემკვიდრე
წითელი ტრამვაი
ქუჩებში დაჰქროდა
ხან დარახრახობდა.
უანგიან, ზარის ხმით
გამვლელებს აფრთხობდა.
ავტომანქანების გაბმული
პიპინი,
სისხამს ფხრებს კივილით
დილას შობს სიგრილით და
ყოველი დღის შემობრძანებას
თბილისელები ვხვდებით
ღიმილით.

თბილისელობა

ყველას თავისი თბილისი ახსოვს
ყველას თავისი თბილისი უყვარს,
ყველას ბავშვობაც თბილისურია
და, „ბავშვობიდან მოვდივართ ყველა“.
ყველას ოცნების სათავეები
იქ იბადება, იქ გვეგულება,
სიყმანვილიდან – სიჭარმაგემდე
თბილისის ეშხი გვეთანახლება.
თბილისურ ხედვას, თბილისურ სუნთქვას,
გალალებას თუ, გვემას ან თმენას,
თბილის-ქალაქში თბილისურად,
აღმაფრენას, თუ დაღმაფრენას,
თუნდაც გაფრენას
– თბილისელობა ჰქვია.

ჩემი ქალაქის
მყუდრო ქუჩებში
დავხეტიალობ და,
თბილისს ვეძებ
დავეძებ, მაგრამ
ვერ მიპოვია.
ზოგჯერ მგონია
სული დავკარგე
თბილისის სული
მხოლოდ მისი და,
მისებური,
ნათესაური, მოკეთური,
ძველქალაქური.
ნიადაგ ვეძებ,
ღია ფანჯრებში
ხეივნებში
ბებერ ჭადრებში,
ეზოებსა თუ შუშაბანდებში
და, ვერ ვპოულობ,
რაღაცა უცხო შეჰპარვია
შეცვლილია, ფერნაცვალია
სულგამოცლილი.
მე ასეთ თბილისს
ვეღარა ვცნობ
ვერც ვეგუები,
სუნთქვა მიჭირს და, თბილისში
დავეძებ თბილისს.

ქველი თბილისი

ჩემი თბილისი
ძველი თბილისი
თავის ეშნით
და თავის თილისმით
მართლა ჩემი და,
თანაც ძველი
ძალიან ძველი
მამაპაპური,
რადგანაც პაპის
დედა და მამაც
კუკიაზეა დავანებული
პატარა იყო ჩემი
ქალაქი
ძალზედ პატარა, და,
ძალზედ თბილი
სულ ერთი მუჭა
ერთი სუნთქვა
ერთი ღიმილი,
და ერთი ლოცვა
ეროვნებაც კი ერთი
ჰქონდა
– თბილისელობა!
სადაც არ უნდა მოხვედრილიყო
აქაური, რა ქვეყანაშიც,
– თბილისელიო, პასუხობდა
წარმომავლობას.

სოფელის სურათები

ამ ცოტახნის წინ ვეწვიე ქართლის ერთ-ერთ სოფელს, სადაც ჩემ შორეულ ბავშვობაში სასკოლო არდადეგები მიტარებია. ყოველთვის ერთი სული მქონდა, როდის დამთავრებოდა სკოლაში სწავლა, რომ იქ ჩავსულიყავი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აი, უკვე 78 წლის ვარ და კვლავ მოვინახულე ეს სოფელი, სადაც მაშინ სულ სხვაგვარად ჩქეფდა სიცოცხლე და თითქოს ტყეც სხვაგვარად შრიალებდა.

სოფელი, რომელზეც მინდა გიამბოთ, ქართლში მდებარეობს – შერეულ, ფოთლოვან-წინვოვან, ტყის პირზე. სოფელს რამდენიმე უბანი აქვს; ზედა უბანში, სადაც ზაფხულობით ჩავდიოდი, ბექობზე განლაგებულ პატარა დასახლებაში ერთი გვარის ხუთი კომლი ცხვრობდა. აქეთ-იქით კი ორი მდინარე ჩამოუდიოდა – ყინცურა და ლაშეხევი, რომლებიც მიკულაკ-ნებოდნენ შინდით, თხილითა და სხვა ხეებით დაბურულ ღრმა ხევში.

თითქოს ამ პატარა მდინარეებსაც შეცვლოდათ ხმა; აღარც სარწყავი რუების რაკ-რაკი ისმოდა, ისინი საერთოდ გამქრალიყვნენ. აღარც სოფელი გავდა ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილ სოფელს. ის პატარა ხუთეომლიანი კოხტა უბანი საერთოდ დაცლილ-დამუნჯებული დამხვდა. თვითონ სოფელიც საქმაოდ შეთხელებულიყო, უფრო ხანდაზმულები ჭარბობდნენ. სახლების დიდი ნაწილი მიტოვებული ჩანდა, მხოლოდ ზაფხულობით თუ ჩამოაკითხავენ ცოტა ხნით, ზამთარში ისევ სიჩუმე ისადგურებდა. ერთ დროს სოფელი ცხოვრობდა თავისი სოფლური, სისხლსავსე ცხოვრებით: ტრადიციულ ყაიდაზე იმართებოდა ქორწილი, დაკრძალვა, ყოველთვის აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს: აღდგომას, მარიამობას, ნიკოლოზობას და სხვა.

სოფელ ყინწვისის ზემოთ, სადაც ადრე ყანები იყო, ტყის ბილიკების ნაპირებზე ჩამსხვრეული ქვევრები მინახავს

ბავშვობაში. ეტყობოდა, რომ ერთ დროს ეს სოფელი ბევრად უფრო მაღლა სახლობდა, ახლა უკვე გატყევებულ ადგილზე და შემდეგ კი ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოსახლებულიყო. ასეთი რამ სხვა სოფელზეც გამიგია და მინახავს კიდეც, მაგალითად, გორის რაიონში სოფელი ორთაშენი უნინ ძალიან მაღლა, მთაზე იყო გაშენებული. ბავშვობაში სტუმრადაც ვყოფილვარ იქ, ახლა კი ქვემოთ გზასთანაა ჩამოსახლებული.

საქართველოში სოფლები უმეტესწილად მთებში და ძნელად მისასვლელ-მისაგნებ ადგილებზე იყო გაშენებული. ეს ალპათ, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, მტრის გახშირებული შემოსევისაგან თავის დასაცავად. მოგვიანებით, კი უფრო სარკინიგზო და საავტომობილო ტრასის ახლომახლო სახლდებოდნენ, რათა უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო სავაჭროდ გადაადგილება.

ჩემთვის იქაური ყოფა განსხვავებული იყო ქალაქურისაგან, განსაკუთრებით მიმზიდველი და საინტერესო იყო რიტუალებით, ტრადიციებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოფელს ძალიან გაუჭირდა. იმდენად რომ პური არ იშოვებოდა და რაღაც პერიოდი გამუდმებით მჭადს მიირთმევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პურს ვერ ცვლის მჭადი; პური ნამცხვრის რანგში გადიოდა და ისიც იშვიათი ხილი იყო.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი სახლის უკან იყო ტყე და ხევები. ხევებს იქით კი – სიმინდის და ხორბლის თვალუწვდენელი ყანები. ერთი ხელისგულის ოდენა სავარგულიც არ იყო დაუმუშავებელ-დაუთესავი. ზოგან ტყეებშიც კი იყო შექრილი პატარა ნათესები. ამ ყანებს ვერც კომბაინი უდგებოდა და ვერც სატვირთო მანქანა. ხელით იცელებოდა და ითიბებოდა მარცვლეული, შემდეგ კი საძნე ურმებით ჩამოჰქონდათ სოფლის დიდ კალოზე გასალენად. ყოველწლიურად ნათესებს ადგილს უნაცვლებდნენ: ერთ ნელს, სადაც სიმინდის მოსავალი მოჰყავდათ, მომავალ ნელს ხორბლის ყანა ითესებოდა და ა. შ.

როგორც მახსოვს სხვადასხვაგვარი ურემი არსებობდა:

საძნე, საპალნე და ხელნა. ხელნა ხელით სატარებელი მცირე ზომის ურემია, საძნე და საპალნე კი ძარაზე დამაგრებული ღობის ანუ კოფოს მაღალი თუ დაბალი ხის შვერილებით – („ჭავლებით“) განსხვავდებოდა. მაღალი შვერილები საძნე ურემზე მაგრდებოდა, რათა რაც შეიძლება, მეტი ნათიბი და-ტეულიყო ურემზე.

მოგეხსენებათ, მაშინ კოლმეურნეობები იყო. ყველა გლეხი კოლმეურნეობის წევრად ითვლებოდა. ხვნა იყო თუ თესვა, სამკალ-საცელი თუ კალო, ყოველ დილით ბრიგადირის შემო-ძახებისთანავე სატვირთო მანქანა ჩამოივლიდა, წამოკრეფ-და კოლმეურნეებს და გალმა-გამოლმა ყანებში მიჰყავდა. თუ სამუშაო ახლომახლო იყო, ფეხით მიდიოდნენ. რა თქმა უნდა, მათ წასვლა-არნასვლას და მუშაობას ბრიგადირი ხელმძღვან-ელობდა. შემდეგ კი შრომადლებს უწერდა. ამ შრომადლების რაოდენობის მიხედვით ნაწილდებოდა შემოდგომის ჭირნახუ-ლი და კოლმეურნეობის წევრებს ურიგდებოდა.

ჩვენი სახლის აივნიდან საოცრად ლამაზად მოჩანდა გალ-მა-გამოლმა შეფენილი ხორბლის ყანები, ნიავის ქროლვისას მწყობრად ლივლივებდა მუქ და ლია მწვანე ფერებად, მზით აელვარებული და ზღვასავით მღელვარე.

ასევე კარგად ჩანდა ჩვენი აივნიდან, თიბათვეში ლაშეხევის გალმა ყანაში მწკრივში ჩამდგარი ათეულობით მთიპავი ერთ-დროულად როგორ იქნევდა ცელს. მოთიბული მწკრივ ზოლე-ბად ეფინებოდა მინას. ერთდროულად მოქნეული ცელების რიტმული სხეპის ხმა შხულით გაისმოდა და აივნამდეც კი აღწევდა. შესვენების დროს ცელებს პირს სალესით უწყობდ-ნენ. შემდეგ, სადმე ახლომახლო ხე თუ იდგა, იქ სხდებოდანენ და სადილობდნენ. სადილი ძირითადად ბავშვებს ამოჰქონდათ. მჭადი, ყველი, ღობიო ან მინდვრის მხალი თავის მწვანილებით და ხელადით ღვინო. თუ ღვინო არა, ცივი წყაროს წყალი მაინც იყო, სიმინდის ნაქუჩიდარჭობილი დოქით. ისე ღვინოს ზოგჯერ ჟიპიტაურიც ცვლიდა. აქ მევენახეობა ნაკლებად იყო განვი-

თარებული. არაყს უფრო ხშირად ხილისგან ან ხორბლისგან ხდიდნენ...

თევშების ნაცვლად იყენებდნენ თიხის მოჭიქულ ფიალის მსგავს ჯამებს, რომელთა ფსკერზე სხვადასხვა ასო ეწერა, ყიდვისას შესაფერის ასოებს იძენდნენ სახელის მისანიშნებლად.

საღამოს რომ მოდიოდნენ სათიბიდან ხშირად მწყერებიც მოჰყავდათ. დედა მწყერები ამ ბარაქიან ყანაში ისე სუქდებოდნენ., რომ გაფრენა უჭირდათ. ასეთებს ადვილად იჭერდნენ.

ერთხელ კალოზეც წამიყვანეს, დიდი უზარმაზარი კალო იყო იმ სოფლის კოლმეურნეობის. გლეხებს გასაბჭოებამდე თურმე თავისი კალოებიც ჰქონდათ, მაგრამ კოლექტივიზაციის შემდეგ საყანე მიწების ნაწილი ჩამოერთვათ. ამიტომ ყოფილი კალოები ბოსტნებად გადააქციეს. სახელილა შემორჩა მხოლოდ, იმ ბოსტანს თუ ბაღს მაინც კალოს ეძახდნენ.

დიდი კოლმეურნეობის კალოს და მის ახლომახლო არემარეს, სადაც უკვე გალენილი ხორბალი ხვავდებოდა ამუშავებდნენ წყლით. მიწა ისე ქვავდებოდა ასფალტი გეგონებოდათ. იმ ადგილზე გრძელტარა ორთითებითა და სამთითებით აგებდნენ საძნე ურმებით მოზიდულ ნათიბს და თან დროდადრო ამატებდნენ. ულელში შებმული რამდენიმე წყვილი ხარ-კამეჩი წრიულად დაატარებდა კევრებს მთელ ფართზე. კევრის ძირის მახვილ-წაწვეტებული ქვებისმაგვარი, ალბათ კაუის ხორკლი ჰქონდა დაკრული, რომ კარგად დაეფუშნათ და დაეცეხვათ თავთავები. ეს კევრებიც სხვადასხვაგვარ ძირიანი იყო იმისდა მიხედვით, როდის, რომლით უნდა დაეცეხვათ ნათიბი. კევრზე მეხრე იდგა და სახრით ხარებს აიძულებდა ერთ წრეზე ევლოთ გამუდმებით. საღამოს სწორი გრძივი ფიცრით გაკეთებული სახეტით, რომელსაც „კაბდო“ ერქვა, ხვეტდნენ ხორბალს და ერთ ადგილზე ახვავებდნენ მთებად. დამუშავებულ, ასფალტივით გამაგრებულ მიწაზე უზარმაზარი ხორბლის პირამიდები იდგა. ბავშვები ვცდილობდით კევრზე შევმხტარიყვავით და

გვესრიალა, ჩვენი სიმძიმით უკეთ იცეხვებოდა, მაგრამ თუ ოდნავ სიო დაუბერავდა, ნალენის ბზე თვალებში გვეყრებოდა და თვალები გვეწვოდა. ხდებოდა ისეც, რომ ხარი უცებ მოშარდავდა და ეს სიო შარდიან ბზეს გვაფრქვევდა, თვალები და კანი გვეწვებოდა. მაშინვე კისრიტებით ვხტებოდით კევრიდან თან გვერდულად, რადგან უკან მწკრივში მომდევნო უღელი მოჰყვებოდა და მათ შორის ჩავარდნის გვეშინოდა.

ერთხელ დილით მდინარე ძამის გაღმა მხარეს წამიყვანეს სათიბში მანქანით. იქ ნათიბი უნდა მოეგროვებინათ და დაებულულებინათ. მანქანა მდინარე ძამასთან გაჩერდა, უხიდობის გამო. მდინარის კალაპოტი ამ ადგილზე ძალიან შევიწროვებული და ღრმა იყო, რადგან იქვე მდებარე ელექტროსადგურის ჰესისკენ დიდი ვარდნით უნდა დაშვებულიყო მაღლიდან, დაქანებულიყო. ვინრო კალაპოტს კაცები იოლად გადაახტინებ, ზოგ ქალს კი გაუჭირდა. მე გამიკვირდა, ასეთ პატარა მდინარეზე რად მინდა გადაახტომა. ფეხსაცმელებს გავიხდი და გავტოპავ-მეთქი ვიფიქრე, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, სპეციალურად დავიწროვებულ კალაპოტში როგორ ღრმად მიედინებოდა მდინარე, მე ყინცურასავით მეგონა. გავიხადე თუ არა სანდლები, გასატოპად გადავდგი ნაბიჯი და ჩავყირავდი კიდეც. ცურვა არ ვიცოდი, ლამის ვიხრჩობოდი, ხალხი რომ მომცვივდა, ამოვყურყუმელავდი თუ არა, ორთითები, ფინლები და ვისაც რა ეჭირა ხელში, გამომიწოდეს, რათა მოვჭიდებოდი, ძლივს ამომიყვანეს. ამ ადგილიდან სულ ახლოს იყო ჰესისკენ ჩამავალი წყლის დასაშვები ვერტიკალური კალაპოტი. მამაკაცებმა გაიხადეს პერანგები, შემახვიდეს და გუწუნულ-შეშინებული ზვინებში ღრმად დამმალეს რომ არ გავციებულიყავი.

კალოზე ლენვისას დარჩენილ ბზეს კოლმეურნეობის წევრებს ურიგებდნენ. ისინი კი საბძელში ინახავდნენ ზამთარში საქონლის გამოსაკვებად. საბძელი შუა-შუა დახერხილი მორებით შეკრული სათავსო იყო, პატარა სახლუკასავით. სახურავი ჩვეულებრივი ჰქონდა – ყავრით გადახურული, მაგრამ ჭერიარ ჰქონდა: გადებული იყო ძელები, რასაც სახურავი ეყრდნო-

ბოდა. საბძელი ბზით სანახევროდ რომ შეივსებოდა, ბავშვებს ვეღარ გვაკავებდნენ, ზემოთ ძელამდე ვძვრებოდით და იქიდან ვხტებოდით ამ ფაფუკ ბზეში. ეს ძალიან გვახალისებდა, დიდი ურიამული იდგა იმ დროს საბძლის ირგვლივ.

ყინცურა ხევში რამდენიმე ადგილას უსურვაზები იყო ხეებზე გადახლართული. ამ ხეებზე ვძვრებოდით უსურვაზების ჰა-მაკში რომ მოვხვედრილიყავით. მთელი დღის მინდორ-ველებში ნახეტიალები, საამურად ვქანაობდით და ვისვენებდით მწვანე ჰამაკებში, თან რიგ-რიგობით ვუყვებოდით ერთმანეთს ზღა-პრებს თუ სხვადასხვა ამბებს.

ზაფხულში, ჯინი (ნალია), როცა დაიცლებოდა, სადაც ზამ-თარში სიმინდის ტაროებს გაზაფხულამდე ინახავდნენ, პეპელა რომ არ გასჩენოდა, იწყებოდა ჩვენი შესახლება. იქ სახლობან-ას ვთამაშობდით. ჯინი მაღალ ძელებზე შემდგარი, წელით მოწნული ყავრით გადახურული პატარა სახლუკაა, რომელ-საც შემდგომ სიმინდის ტაროებით ავსებდნენ, რომ არ ჩახ-ურებულიყო, იქ ხომ ჰაერი სულ ტრიალებდა. ნაწილ-ნაწილ ფქვავდნენ, რადგანაც ერთბაშად ბევრი რომ დაეფქვათ, ისიც გაფუჭდებოდა. წისქვილიდან წამოლებულ ფქვილს სიმინდის იყო თუ ხორბლის ბელელში (ამბარსაც ეძახდნენ) ინახავდნენ. ბელელი, მჭიდროდ შეკრული საკმაოდ გრძელი და მაღალი ხის ყუთი იყო – რამდენიმე განყოფილებიანი და საკუჭნაოში იდგა. კიდევ ერთი ასეთივე ბელელი – იდგა მეორე სართულის ღია აივნის თავში.

სახლი, რომელსაც ზაფხულობით ვსტუმრობდი, ორსართუ-ლიანი იყო. პირველი სართული ქვით კირის იყო, მეორე კი ხის, კერძოდ მუხის. შუა-შუა დაყოფილი მორებისგან მკვიდრად იყო შეკრული. საკმაოდ დიდი ოთახი, რომელსაც გვერდით საკუჭნაო ჰქონდა. განაპირას კი ფანჩატურს ეძახდნენ, იგი ძირთია-დად სათავსოს როლს ასრულებდა. ოთახის უკანა კედლის და-რაბებიანი ფანჯარა ყინცურა ხევს გადაჰყურებდა და ოთახში მდინარის შეუილი ისმოდა, განსაკუთრებით ღამით. წინ დიდი ეზო იყო. ის წინა ორი დიდი დარაბებიანი ფანჯარა ღია აივანზე

გამოდიოდა. აივანს მთელს სიგრძეზე ამშვენებდა ფიგურული რიკულებიანი ქვედა ნაწილი მოაჯირით. იატაკიდან ჭერამდე აღმართული ბოძების ზევით არშიებიანი დეკორატიული თაღები იქმნებოდა. ზედა აუზრული ხის დაფები ხის მაქმანებივით ლამაზი იყო. აივნის ბოლოდან პირველ სართულამდე გადახურული ფიგურულრიკულებიანი კიბე ჩამოუდიოდა. სახლს ჭერის მთელ სიგრძეზე აკრული ჰქონდა სუფთად გარანდული ფიცრები, რასაც „ლამფაპოლს“ ეძახდნენ. სახლი ყავრით იყო გადახურული, სახურავზე პატარა სამერცხულებიც ჰქონდა.

ყველაზე საინტერესო პირველი სართული იყო. სხვაგან არ მინახავს მსგავსად, ერთ ჭერქვეშ განაწილებული ფართი, ადამიანის და საქონლის სადგომი. წინა მხარეს იყო გამოსაზამთრებელი დიდი ოთახი, რომელიც მოზრდილი თუნუქის ფურნაკიანი ლუმელით თბებოდა. იდგა ორი ხის რიკულებიანი ტახტ-საწოლი, ერთი განიერი ტახტი კედელთან, შუაში დიდი მაგიდა ტაბურეტის სკამები; კედელში განჯინები იყო და კიდევ ორი სკივრი – დიდ-პატარა.

ამ ოთახის უკან ძროხის სადგომი იყო, გამყოფი ფიცრული კედლით. პირველ სართულზე, განაპირა კედელთან შედიოდა საერთო ორფრთიანი დიდი კარი. კარის გასწვრივ ჯერ ოთახ-სა და მერე სადგომისკენ დერეფანი გრძელდებოდა. ოთახიდან დერეფანში გამომავალი კედელი ხის დაბალი მესერით (დაახლოებით მეტრნახევარი სიმაღლის) იყო შეკრული, რათა სითბო გასულიყო დერეფანში. დერეფნის ბოლო, სადაც ოთახი თავდებოდა და სადგომი იწყებოდა, ლია იყო, კარი არ ჰქონდა შესასვლელს, რადგან ოთახიდან გამოსული სითბო დერეფნის გაყოლებით საქონლის სადგომამდე მისულიყო. სადგომი ყოველ დილას იწმინდებოდა, ბოლო კედელთან სანათური იყო პატივის გადასაყრელად, უკან კედელთან, სადაც ბაგა იყო მიმაგრებული, დამრეცად, ერთმანეთის მიჯრით მრგვალი მორები დახრილად იყო იატაკად ჩალაგებული, სისველე მორებს შუა ლარებიდან არხამდე რომ ჩამოდენილიყო. დახრილი არხით შარდი მიდიოდა კედლამდე, იქიდან კი გარეთ ხვრე-

ლით გადიოდა, რომელიც სანათურს ქვემოთ იყო. ასე რომ სისველეში აღარ უხდებოდა ძროხას ძილი, მშრალ მორებზე ეძინა სველი მიწის მაგივრად.

დღეს ეს ყველაფერი აღბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ მაშინ ასე იყო და ამის მომსწრე-მნახველი თავად ვარ. ეს სახლი შემორჩენილი იყო. იმ დროს ასე ადამიანისა და საქონლის სადგომს ერთ ჭერქვეშ, თუნდაც ასე განცალკევებულს აღარავინ აშენებდა.

სახლის წინ ეზოებს ჭიშკარი არ ჰქონდა, ეზოს წინა მხარე ბევრს ღია ჰქონდა. ამ ორსართულიან სახლს გვერდით ასე-თივე სახლი ედგა, ოდნავ განსხვავებული. მეორე სართულის კიბე შიგნიდან ქვედა, ღია აივნიდან ადიოდა; ბოსელი გვერდით, კედელთან იყო მიდგმული. ამ ორივე მოსახლეს ერთი დიდი საერთო ეზო ჰქონდა. მართალია, ამ მომიჯნავე სახლებში ძმები სახლობდნენ, ისინი საერთო ჭირითა და ლენინთ და საერთო ყოველდღიურობით ცხოვრობდნენ. სტუმრებსაც კი თითქმის ერთად მასპინძლობდნენ. მეორე სართულზე სასტუმრო და საზაფხულო ოთახები ჰქონდათ მოწყობილი. დიდ მამა-პაპურ ტახტზე გადაფენილი იყო ხალიჩები ან ფარდაგები რომლებიც ჭერამდე ადიოდა. ტახტზე მუთაქები და ყურთბალიშები ეწყო. ვიდრე შიფონერი შემოვიდოდა, ლამაზფიგურებიანი და ხვეულად გამოჩარხული დეტალებით დამშვენებული კარადები ჰქონდათ. გარდა ორსართულიანი სახლებისა, ქვითკირის ერთსართულიანი სახლებიც იყო. მაგალითად, იმ ჩვენი უბნის ხუთი მოსახლიდან, ორს ერთსართულიანი ქვითკირის სახლი ჰქონდა. ოთახი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ რაოდენობრივადაც დიდი ოჯახები ცხოვრობდნენ. ერთი ექვსი შვილით. ე. ი. რვა სული და მეორეში კი ოთხი შვილით, სამი ობოლი ძმისშვილით, ერთი გაუთხოვარი შინაპერა დით და მოხუცი დედით, ე. ი. თერთმეტი სული, ამ სახლებს ხის ფიცრის იატაკი არ ჰქონდა, პირდაპირ მიწის მოტკეპნილ იატაკზე ედგათ ავეჯი და დაგვასთან ერთად ხშირად რწყავდნენ, მტვერი რომ არ დამდგარიყო. ყოველთვის იდეალური სისუფთავე და თქვენ

წარმოიდგინეთ სიმყუდროვეც კი იყო. ოთახში კუთხურად იდგა შიფონერი, რომლის კარსაც წეროსთან დახრილი ლამაზი ქალის ფიგურა ამშვენებდა, თითქოს ესაუბრება და ეფერებაო; საკმაოდ ფერადოვანი იყო ეს ნახატი. სახლის წინ კი დიდი საერთო სახურავის ქვეშ მოქცეული უმოაჯირო, უშუშაბანდო, ხის ფიცრის იატაკიანი ლია აივანი ჰქონდათ. აივანი ფართობით ოთახისას დიდად არ ჩამოუვარდებოდა. მიკვირს, ოთახში უფრო სასურველი არ უნდა ყოფილიყო ხის იატაკი?! ორსართულიანი სახლების პირველი სართულის ოთახებიც მიწის იყო. ასეთმა უიატაკო ბინებმა თითქმის სამოციან წლებამდე მოაღწია...

სოფელში ხშირად შეამჩნევდით სახლის შესასვლელთან მიჭედებულ ცხენის ნალს, რაც ავი თვალის თუ კეთილდღეობის, დაცულობის, ბარაქის ან რაიმე სიკეთის მანიშნებელი იყო.

ქართლში კიდევ ორ სოფელში მიწევდა სტუმრობა, ეს იყო სკრა და კოშკები. მათ შუა იყო ერთი სოფელი, თავის სახელი კი ჰქონდა, მაგრამ ყველა „ფრანგებს“ ეძახდა. ჩველებრივი ქართული სოფელი იყო ქართველებით დასახლებული, მაგრამ გარკვეული დროის წინ, ალბათ, რომელიმე კათოლიკე მისიონერმა კათოლიკური სარწმუნოება მიაღებინა სოფლის მოსახლეობას, ისევე როგორც ახალციხის მოსახლეობის ერთ ნაწილს. ბავშვები ამბობდნენ, რომ ამ სოფლებში ლოკოკინებს და ბაყაყებს მიირთმევნო, რაც მაშინ ძალიან გვიკვირდა... გა-საკვირი არაფერია კათოლიკები ხომ მიირთმევენ, თუმც ქართლელი კათოლიკები არ ვიცი მიირთმევდნენ თუ არა.

ცოტა რამ რაჭაზეც... რაჭაშიც ხშირად ვყოფილვარ... ბიძიას მამა, რომელიც რაჭის ერთ ულამაზეს სოფელში ცხოვრობდა, მღვდელი ყოფილა და მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდა. როდესაც შვილები თბილისში სასწავლებლად წავიდნენ, ოჯახებიც იქვე შექმნეს. დროთა განმავლობაში რაჭის სახლი დაცარიელდა. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ბიძია კვლავ დაუბრუნდა მამა-პაპისულ კერას და როგორც აგარაკი განახლა. ულამაზესი ეზო ჰქონდა, მრავალგვარი ხეხილით

დაბურული. რამდენიმე ადგილას თხილის იმოდენა ძირები იდგა, რომ პუჩქის შიგნით პატარა მაგიდა და სკამი ეტეოდა. თონეც განაახლეს, დეიდამ თონეში პურის ჩაკვრაც ისწავლა. ასე რომ მთელ ზაფხულს იქ ატარებდნენ.

ეს სახლი სოფლის ცენტრში იდგა. სოფელს ცოტა შორეული უბნებიც ჰქონდა. ერთ-ერთ ასეთ უბანში თბილისიდან სტუმრად ჩამოსულმა ყმანვილმა, ასევე სტუმრად ჩასული ჩემი უფროსი და შეათვალიერა, გაიცნო და მაღლე იქორწინეს კიდეც. ჩემი სიძის ბებია-ბაბუა ზემელზე ცხოვრობდა. მათი ერთ-ერთი ვაჟი სამამულო ომში რომ გაიწვიეს, ჩემი სიძის დედამ მეორე ვაჟს მოჰკიდა ხელი და მეუღლის წინაპართა კერას დაუბრუნდა რაჭაში. ბულალტერ-ეკონომისტი იყო. იქ დასაქმდა, თან სოფლის მეურნეობასაც უძღვებოდა.

ულამაზესი იყო მაღლობზე შეფენილი უბანიც და ძველი მამა-პაპური სახლიც. ზემოთ უზარმაზარ დარბაზულ ოთახს საძილე ოთახები ეკვროდა, შუაში კი დიდი ბუხარი თანაბრად ემსახურებოდა ყველა ოთახს. მას ყოველი მხრიდან ჰქონდა ღია სანთური. ბინას გარშემო როგორც წინ, ასევე უკან მთელ სიგრძეზე დიდი აივნები აკრავდა. ხისგან აგებული ეს ულამაზესი ნაგებობა ბოძებად აშენებულ საბჯენებზე იდგა. უკან პირველ სართულზე იყო ერთი მოზრდილი ოთახი, რომელსაც „პალატს“ ეძახდნენ. აქაც ის დიდი ბუხარი ბუხრობდა, რადგან სადილსაც აქ ამზადებდნენ, ვიდრე გაზი გამოჩნდებოდა. მოკლედ, სამზადივითაც იყო, ზამთრის საცხოვრებლად-აც გამოდგებოდა და ზაფხულშიც არ აკლდა სიგრილე. კარა-და-თახჩების გარდა, დიდი ტახტიც იდგა. სახლს წინ დიდი და ლამაზი ეზო ჰქონდა. ხშირად გამიგია, ჩემი სიძის მამა, ვიდრე ომში წავიდოდა, ცხენს ეზოდანვე, ხუთი-ექვსი საფეხურის არბენით პირდაპირ დიდ დარბაზულ ოთახში შეაჭენებდაო.

გვერდით მოსახლედ ასაკოვანი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, მოგვარეები იყვნენ – ე. ი. სახლიკაცები. ამ დარბაისელ, დიდულვაშა მოხუცს იასონი ერქვა და მისი კეკლუცი მეუღლე კი უფრო იმით დამამახსოვრდა, რომ დილაობით, ვიდრე

საძოვარზე წაიყვანდა საქონელს, ეს ხანდაზმული ქალი ჯერ მოიკაზმებოდა, ფერუმარულს წაისვამდა, თმებს მოიწესრიგებდა, მზის ქოლგას მოიმარჯვებდა და ასე მიჰყავდა საბალახოდ საქონელი. ამ კოპნია ქალს საუბარიც და სიტყვა-პასუხიც საკმაოდ მოკრძალებულ-მინაზებული ჰქონდა.

მახსოვს, ბავშვობაში ამ სოფლიდან ჩვენთან სტუმრად ჩამოდიოდა ერთი ახლობელი, სახელად დიომიდე. როგორც მახსოვს აგრონომი იყო. ერთ ხანს თბილისში დასახლება დააპირა, მუშაობაც დაიწყო, მაგრამ სოფელში მოხუცი დედა ჰყავდა მოსავლელი და ვეღარ მიატოვა, კვლავ თავის კერას დაუბრუნდა. მასზე ამბობდნენ, დღესაც შუა ცეცხლი აქვს სახლშიო. რაჭველი კაცის შუა ცეცხლი ვის გაუკვირდება, შუა ცეცხლზე ლორის გამომყვანებისგან, მაგრამ მათ ცალკე აქვთ ალბათ საამისოდ ადგილი და არა საცხოვრებელ ოთახში, ამიტომ ყოველთვის ძალიან მიკვირდა, თუმც მე არ მინახავს.

გამიგია, გაჭირვებისას რაჭველი კაცები, უფრო კი ალბათ ხელოსნები, სამუშაოდ ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდნენო, გაუვალ ტყეში მხოლოდ მათ იცოდნენ მოკლე ბილიკები და ასე ტყე-ტყე მიდიოდნენო. შემოდგომით კი, ფინანსურად მოლონიერებულნი ლორებს კლავდნენ. იმდენი ლორი გამოჰყავდათ, რომ მთელი წელი ოჯახს ჰყოფნიდაო. რამდენ გაჭირვებას უძლებდნენ და სოფელს ასოფლებდნენ მაინც. მაგრამ ახლა მარტო რაჭა კი არა – ყველა კუთხის სოფელი ცარიელდება. არადა რაჭაც რიონის ხეობას შეფენილი ულამაზესი გაუკაცრიელებული სოფლებია და გული მოგიკვდებათ, ზამთარში რომ არცერთი საკვამურიდან კვამლი არ ამოდის და ძალლი არ ჰყეფს. არც თუ ისე შორეულ წარსულში კი აქ სიცოცხლე სჩექფდა.

სამოციან წლებში უფრო სწორად კი ორმოცდაცხრამეტ წელს, ზემო ქართლის სხვა სოფელშიც მომიხდა სტუმრობა. „ნაბაკევი“ ერქვა ამ პატარა, ლამაზ სოფელს. ბელეტაჟზე შემდგარ კოხტა ოდა სახლს წინ ფართო და ლამაზი რიკულებიანი აივანი ჰქონდა მთელ სიგრძეზე. გვერდით მიშენებული იყო

დამხმარე ოთახი, სადაც ძირითადად საოჯახო საქმიანობას ეწეოდნენ, მთელი დღე თითქმის იქ უწევდათ ყოფნა. მათმა იატაკმაც ძალიან გამაკვირვა, რადგან პირველად ვნახე ასეთი რამ. ეს იატაკი იყო მყარი, რაღაც, ასფალტივით. ასეთ იატაკს, როგორც მითხრეს „სოხანე“ ჰრქმევია. მიწის ზედაპირი პატივისა და ბზის ნარევით ისე იყო გადალესილ-გადაპრიალებული და გაქვავებული, ასფალტი გეგონებოდათ. მიუხედავად ამისა, არანაირი სუნი არ იდგა იმ ოთახში, ალბათ გადამწვარი პატივი იყო და ფქვილივთ დაფშვნილი, ვიდრე ბზეს გადაურევდნენ. იქ მაგიდაც ედგათ, ღუმელიც ზაფხულში და ტახტიც, რძეს დღვებდნენ, ყველი ამოჰყავდათ, ბოსტნეულს არჩევ-აბინა-ვებდნენ და ბევრ საოჯახო საქმეს აკეთებდნენ.

სოფელ ყინწვისში კახეთისგან გასხვავებით, ვენახები და ზვრები ნაკლებად იყო. უფრო შავი ყურძენი სჭარბობდა, თეთრს კი, მგონი, თეთრი ადესა ერქვა. სულ მეგონა, რომ ბაღლინჯოს გემო ჰქონდა ამ ჯიშის თეთრ ყურძენს, სულმნა-თი ნოდარ დუმბაძის არ იყოს. ხშირად ხდიდნენ არაყს. იქვე სახლის გვერდით, სარწყავი რუ მორაკრაკებდა. იქ დგამდნენ საარყე დიდ ქვაბს. ზედ ახურავდნენ მილიან ამობურცულ სახ-ურავს და ირველივ ნაცრით შემოლესავდნენ, რათა ორთქლი შიგთავსის დულილისას გარეთ კი არა სახურავს მიერთებულ გეჯაში გამავალ მილში გასულიყო. გეჯა კი წყლით ივსებოდა, რათა მილში გამავალი არყის ორთქლი სითხედ ქცეულიყო. ეს სითხე კი – არაყი იყო და მილიდან მონანწარებდა, მილის ბოლოს ქვეშ შედგმულ ჭურჭელში ბამბის მეშვეობით ჩადიოდა და ავსებდა. სპილენძის ქვაბს ზომიერად უნთებდნენ ცუცხ-ლს, რადგან სიმხურვალე მეტი რომ მოსვლოდა ორთქლის მა-გივრად შიგთავსიც გამოჰყებოდა. თან გეჯაში სულ უცვლიდ-ნენ შემთბარ წყალს ცივით. გამოხდის შემდეგ ნახადს, ისევე, როგორც შრატს ყველის ამოყვანის შემდეგ, ღორებს აჭმევდ-ნენ, ნახადს კი ქათმებიც მიირთმევდნენ და „შექეიფიანებული“ ნახევრად მთვრალები დაკრიახ-დაფრთხიალობდნენ ეზო-მიდ-ამოში. ეს, როცა ხილის კი არა, ხორბლის არაყს ხდიდნენ.

არ ვიცი, ადრეც ხდიდნენ ლუდს, თუ რაც ამ სოფელში გახშირდა ოსი პატარძლების მოყვანა, მას შემდეგ დაიწყეს. შიდა ქართლის ეს სოფელი, მგონია, ბარად ითვლება. მიყურებია, ოჯახში როგორ ხდიდნენ ლუდს. ზაფხულში დამბალ ხორბალს აღოჯებდნენ და ეზოში საფენებზე ფენდნენ ამ ალაოს გასაშრობად. თან წკეპლამომარჯვებულ ბავშვებს უყენებდნენ დარაჯად ფრინველებს რომ არ აეკენკათ. მთელ ეზოში მოფენილი იყო გაღოჯებული ხორბალი – ალაო, რომელსაც პატარა ფესვუკები ჰქონდა გამოსული და ისეთი ტკბილი იყო, ხელებზე გვენებებოდა. აი ამ დაფესვიანებულ-დამტკბარ ხორბალს უზარმაზარ ქვაბებში ხარშავდნენ, შემდეგ შიგთავსს ტილოს დიდ ტომრებში ასხამდნენ და წურავდნენ სუფთა ვარცცლებში. ვარცლებიდან კასრის მსგავს ჭურჭელში გადაპქონდათ. გამონურულ ლუდის მასალას სვიას უმატებდნენ ლუდის სპეციფიური გემოს თუ სიმწარის მისაღებად. ჭურჭელს თბილად ფუთავდნენ, რომ მალე დადუღებულიყო. ამას კიდევ როგორც მახსოვს, გადაღებაც უნდოდა, დადუღების შემდეგ უკვე დაწმენდილს, საბოლოოდ გრილ სარდაფში ინახავდნენ. განსაკუთრებით სადღეობოდ ხდიდნენ ლუდს. დღეობა კი ქართლის სოფლებში წლის სხვადასხვა დროს იმართებოდა, უფრო გაზაფხულ-შემდგომბით...

... ყველიანი ხაჭაპურის გარდა ხაბიძგინებსაც აცხობდნენ, რქეში გადაზელილ მოხარშულ კარტოფილსა და ყველ-შერეულ ერბოგადასმულ ხაჭაპურებს. აცხობდნენ „ჭახრაკინებსაც“. „ჭახრაკინა“ მოუხდელი რძიდან ახალამოყვანილ ყველში გადაზელილი, დაჭრილი ჭარხლის ლორთქო ფოთლებით ცხვებოდა; ჭარხლის ფოთოლს ბევრად სჭარბობდა ყველი... პატარძლებმა ყველის ფაფაც იცოდნენ და ხავინიც. ყველის ფაფა ძალიან გემრიელია, დაახლოებით მეგრულ ელარჯს ჰგავს, ახალამოყვანილი მოუხდელი ყველით, ერბოთი და ფქვილით კეთდება. ხავინი ასე მზადდება, რქეს ასხამენ ხის გამოლრუტნულ სუფთად გარანდულ მორში, რომელიც ჭერშია ჩამოკიდებული თავბოლოს გამობმული თოკებით; სიგრძის მხრიდან გაუჩერებლად

ხელის კვრით ქანაობისას სადღვებელში კარაქი და დო ცალკე-ვდება. ეს სუფთა, ნამდვილი კარაქია, იგი ქარხნულად დაპრე-სილი არ არის, ვერ ინახება. ამიტომ მას ცეცხლზე ადნობენ და ოდნავ ფქვილს მოაფრქვევენ, რომ დაიწმინდოს, დალექვის შემდეგ ზემოთ ექცევა სუფთა ერბო, რომელსაც ქილებში ასხამენ. ასეთი ერბო დიდხანს დარჩენითაც ინახება. ნალექს კი ცოტა ფქვილს და მარილს უმატებენ და კარგად შუშავენ, ხავინი გემრიელი საჭმელია, ოღონდ უნდა იყოს ცხელ-ცხელი, როგორც ყველის ფაფა.

იმ დროს იმერეთის მიუვალი სოფლებიდან ქარელში ბევრი იმერული ოჯახი დასახლდა. იმერელმა რძლებმა თავისებურად გაამრავალფეროვნეს ქართლური სამზარეულო. მათ ნიგოზს სულ სხვა დანიშნულება მისცეს, რომელსაც ქართლში ხილივ-ით მიირთმევდნენ, სუფრაზეც მიჰქონდათ; მხოლოდ ნიგვზის შეჭამანდს ან ნიგვზიან ქადებს აცხობდნენ, რაც შეეხება მხ-ლებს, ნაცარქათამას, თეთრ მხალს, თუ სხვას, ცხიმში მოშუ-შული ხახვით და ქინძით კმაზავდნენ. იმერლებმა კი ნიგვზით შემოიღეს ყველანაირი მხლის მომზადება. ადრე თუ ქართლში წინილ-ვარიებს ერბოსა და ხახვში ხრაკავდნენ, ახლა ნიგვზის გამოხდაც დაინყეს და ნიგვზიან ბაჟუშიც დებდნენ შემწვარ-შე-ბრანულ ფრინველს. მწვანე ლასტ ლობიოსაც ნიგვზით ან კვანარახით ამზადებდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო შემდგომის დასაწყისი. თუ გაზაფხულზე ქალები ტყეში ჯონჯოლს კრეფდნენ და მინდორში „კობჩილოს“ სახელდახელოდ დასამწნილებლად, აგვისტოში, ტყიდან უკვე შინდი მოჰქონდათ, თან იმდენი, რომ ნაწილს ქარელის მიმდებ პუნქტში აბარებდნენ. (მიმ-ღებ პუნქტს თუ სწორად ვამბობ „ზაგუძერნოს“ ეძახდნენ). ნაწილს კი თუთქავდნენ და მოწნულ ლასტებზე აშრობდნენ კერკად, ზამთარში რომ შინდის შეჭამანდისთვის გამოეყენე-ბინათ. ყველანაირ წვრილ ხილს, ქლიავს, ღოღნოშოს, ჭან-ჭურს, ოტურს, გაიპარას, დამასხს თუ თეთრ ქლიავს კრეფ-დნენ და ზამთრისთვის ასე ამზადებდნენ: საღამოობით პურის

გამოცხობის შემდეგ ოდნავ მინავლებულ თონეში უზარმაზარ მაღალ თიხის ქილებს აწყობდნენ. სხვადასხვა ქლიავს სხვა-დასხვა ქილაში ათავსებდნენ, ზოგს კი შერეულადაც. ტყემლის ქილასაც დგამდნენ. დილით ხილი უკვე გათუთქული და შეგ-რილებულიც იყო. შემდეგ შავი ქლიავის ქილიდან ასხამდნენ წვენს – „წუას“ და ბავშვებს გვასმევდნენ. შიგთავსს კი დიდ ცხრილებზე ხეხავდნენ, გახეხილ, სუფთად გარანდულ ფართო ფიცრებზე ცალ-ცალკე ასხამდნენ ქლიავის ტკბილ ტყლაპს და მუავეს – ტყემლისას. ფიცრებს ლობებზე, ჯინის შვერილებზე შემოდგამდნენ და აშრობდნენ. გაშრობის შემდეგ დანით აახ-ვევდნენ. მერე ამ ამძვრალ გრძელ ტყლაპებსაც ისევ გასაშ-რობად გადაკიდებდნენ, რომ ზამთრამდე არ დაობებულიყო; ტყემლის ნაწილს კი ბოთლებში ინახავდნენ წინაკით, ნივრით და მწვანილებით შეკაზმულს. ქართლში, იმერულისგან ოდნავ განსხვავებულად, მოტკბო ტყემალ-საწებელს აკეთებდნენ. ზოგჯერ ტყემალს ლოლნოშოს ურევდნენ, ძირითადად ლორ-ის ხორცისთვის. ლორის დამარილებული ხორცი კი ზამთარში მუდმივად ჰქონდათ.

კერქს გათუთქულს აკეთებდნენ და დასერილსაც. შინდის-გან განსხვავებით უფრო ქლიავის კერქს სერავდნენ და ისე აშრობდნენ ლასტებზე. უფრო მსხვილ სახლეჩ ქლიავს, მაგ-ალითად, ოტურს (შავქლიავას) შუა-შუა აპობდნენ და ისე აშ-რობდნენ ჩირად. ეზოში მიმოსხდებოდნენ ახლო მეზობლები, თან ჭორაობდნენ, იხილავდნენ სოფლის ამბებს, თან სერავდ-ნენ და აპობდნენ გასაჩირ ხილს, მაშინ ჯერ კომპოტების და-კონსერვება არ იცოდნენ.

შემოდგომაზე ასევე, ბინავდებოდა ჭირნახული, რომელ-საც ზოგი „ჭირნახულს“ ეძახდა, მარნისა და ნახევარ სარდაფე-ბის ძელებზე კიდებდნენ „აკიდოებს“, ჩხებს, ნივრისა და ხახ-ვის გალებს, ასხმულ წინაკებს, დაწნულ პიტნას და ლოლოს ზამთარში შექამანდისთვის, აგრეთვე კომშის ტოტებს, კუნ-წულებს. ივსებოდა ბეღლები და ჯინები. თაროები კი საწებ-ელ-ბაქმაზებით. სათავსოები ივსებოდა ზამთრის ნობათით.

აქ იყო ყოველნაირი ჩირები, კერკები და ტყულაპები, აგრევე ზამთრის ვაშლები და ხეჭეჭური. კვახები, თათრულა ღია ნაცრისფერ თხელკანა თუ სქელკანა, ყვითელი მუქი ზოლებით. მწნილები, მკვახე ან შემრაშული პამიდვრის. შუაზე გაჭრილი და ნივრითა და მწვანე წინაკით გამოჩრილები. ჰო, ზღმარტლი ჩამოჰქონდათ ტყიდან და მკვახეს ქატოში ინახავდნენ დასამნიფებლად. თეთრ ჭარხალსაც იმარაგებდნენ ზამთარში შესაწვავად; ფურნაკებში წვავდნენ ვაშლებივით, ძალიან ტკბილი და გემრიელი იყო. წვრილი ხილის გახეხვისას ზოგი ქლიავის კურკა მომრგვალო, ტკბილი თუ არა მნარეც არ იყო, ქვითკირის კედლებზე ალაგ-ალაგ სველს მიატყებდნენ, ზედ მაგრდებოდა და ახმებოდა. ბავშვები ზამთარში იმასაც გემრიელად მიირთმევდნენ, თავს იქცევდნენ. ეს მაშინ, თორემ ახლა ვიღა გააკეთებს ან ვის სჭირდება, ათასნაირ ნუგბარზე მიუწვდებათ ხელი. კაკალს სადგისით ხვრეტდნენ და მსხვილ ძაფზე კრიალოსანივით ასხმულს გულზე გვკიდებდნენ ბავშვებს და ამას „ხრიალა“ ერქვა.

ზამთარში სამეზობლოში რიგრიგობით სხვადასხვა ოჯახში იკრიბებოდნენ, ანთებული ღუმელის გარშემო სხდებოდნენ ისევე, როგორც ზაფხულის წვიმიან დღეებში. საუბრობდნენ, მასხრობდნენ, ერთობოდნენ, თან ან ლობიოს ძირიანად მოგლეჯილ ბარდებს მარცვლავდნენ ან სიმინდის ტაროებს ფშვნიდნენ. დასაფქვავად წინსაფრის კალთებში. როცა წისქვილში ბევრი მიჰებონდათ დასაფქვავად, მაშინ ცეხვავდნენ. შიგადაშიგ როცა სჭირდებოდათ, თუნდაც ფრინველთა გამოსაკვებად ან დასაფქვავად, მაშინ ხელითაც ფხვნიდნენ, ნაქუჩებით კი ღუმელს ახურებდნენ.

იმ გაჭირვების დროს ვაზის სახვევებს დიდი რაოდენობით ვერ ყიდულობდნენ, ამიტომ მებალე-მევენახე მამაკაცები ტყეში დადიოდნენ და რომელიღაც ჯიშის ხეს ნედლ კანს აცლიდნენ. (მგონი თელას). ჰოდა, წვიმიან ამინდში ღუმელის გარშემო შემომსხდარი მეზობლები ზომაზე დაჭრილ ნედლ ქერქს ხელით წვრილ თასმებად ხევდნენ, მთელი ვენახის საკმარ კონებს

ლამაზად კრავდნენ და იმარაგებდნენ. ამ დროს ღუმელის ფურნაკში კი იწვოდა მათთვის ან კვახი, ან შაქრის ჭარხალი ან ვაშლი, კომში და სხვა რამ ნუგბარი.

ხორბლეულს რომ დაურიგებდნენ კოლმეურნეობის წევ-რებს კომლებისა და შრომადლების მიხედვით, მაშინ მთელ სოფელზე ნაწილდებოდა კოლექტივში მოწეული ჭირნახული, ყველას დიდი ზომის ცხრილი ეჭირა. აბა, სათითაოდ ხომ ვერ გადაარჩეუდნენ ხორბალს სარეველებისა და სხვა წვრილი თესლებისგან. ცხრილის რიტმული მოძრაობით სარეველა მარცვლები ცხრილის ერთ კუნძულში გროვდებოდა. მას ცალკე ინახავდნენ ფრინველთა გამოსაკვებად და „ნაკმაზს“ ეძახდნენ. მინარევებისგან გაცხრილულ და გასუფთავებულ ხორბალს ბეღლის ცალკე განყოფილებაში ათავსებდნენ, იქ ხომ ფქვილების განყოფილებაც იყო.

საინტერესო იყო კიდევ ღვინის დასაწური ხის ვეება ჭურჭელი, რომელსაც „ნავი“ ერქვა ანუ საწნახელი. ეს იყო დიდი, მსხვილი ხის გამოლრუტნული, თავ-ბოლო ამოქლოლი გრძელი და ტევადი ჭურჭელი, (რაც შეიძლება ბევრი ყურძენი უნდა ჩატეულიყო). ქართლის სხვა სოფლებში უფრო ფიცრისგან მკვიდრად შეკრული საწნახელებიც იცოდნენ. შემდეგ საგულ-დაგულოდ დაბანილი და გამშრალებული ფეხებით ჩადგებოდნენ ყურძნით გავსებულ ნაკ-საწნახელში და ჭყლეტნენ. „ნავის“ ბოლოს ხვრელიდან გამოდიოდა ყურძნის წვენი, რომელსაც „ტკბილი“ ერქვა დამაჭრებამდე; თუ ამ „ტკბილს“ ნახევარზე დაადუღებდნენ, ეს უკვე „ბადაგი“ იყო. ბადაგი ნებისმიერ დრომდე ინახებოდა ბოთლით თათარის ანუ ფელამუშის გასაკეთებლად და საჩურჩხელედ.

ღუმელს ან თონეს კვარით ანთებდნენ, ნავთის მაგივრობა-საც წევდა და იმ გაჭირვებაში შეღავათიც იყო. კვარი რომელი-ღაც წიწვოვანი ხისგან მზადდებოდა, ჩხირებად იჭრებოდა. ჩხირის კონები, რომელსაც ცეცხლი ბრიალით ეკიდებოდა ყველა ოჯახის თახჩებზე იდო. კვარით ნედლ შეშასაც კი დაანთებდი, ისე ბრიალდებოდა.

გასანათებლად კი სახლში თუ შუშიან ლამფებს იყენებდნენ, გარეთ, ბნელ ლამეში ხმარობდნენ სანათურს, რომელსაც „კრუ-შვას“ ეძახდნენ. პატარა თუნუქის ფინჯანზე იყო დამაგრებული პატრუქი; უშუშოდ ხმარობდნენ, სახელდახელოდ ფარანივით ნავთით ინთებოდა. მგონი „ჭრაქი“ ერქვა ქართულად, მაგრამ როგორც სხვა სიტყვები, ესეც ასე ფეხმოკიდებული და დამკვიდრებული იყო სოფლებში

განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ტკბილმოუბარი მოხუცები, რომლებსაც საოცარი ლექსიკა ჰქონდათ. ასაკოვანი სიტყვაძუნწი მოხუცი ცხოვრობდა იმ ოჯახში, სადაც საზაფხულო არდადეგებს ვატარებდი. მახსოვს, ლევანი ძია თავისზე ბევრად ახალგაზრდებს როგორ მიმართავდა; ყველას თქვენობით ესაუბრებოდა, თუ ვინმე რამეს შესთავაზებდა – გმადლობთ, მე უკვე გეხელითო, პასუხობდა. თითქოს არაფერია ამაში გასაკვირი, მაგრამ სოფელში დაბადებულ-გაზრდილ-დაბერებული ადამიანი „მე უკვე ვჭამეო“ კი არ გეუბნებათ, არამედ გეახელითო. თქვენობით მიმართავს ბავშვებსაც. და ასეთი სუფთა, დაუნაგვიანებელი ქართულით დინჯად და დარბაისლურად საუბრობდა ყოველთვის – „თქვენ უკვე მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ...“ და დაინყებდა რაიმეზე ლაპარაკს. „ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი და...“ მერე ასე აგრძელებდა საუბარს. არ ვიცი, სხვაგან თუ იყო ნამყოფი ან სასწავლებლად და ან საცხოვრებლად, თუნდაც დროებით... ისე პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო.

მაშინ, ყველა სოფელს, თავის ჭუუის საკითხავი კაცი ჰყავდა. ყველაფრის, ჭირისა და ლხინის მოთავე-მომწესრიგებელიც, თავის ყოჩი ბიჭებიც, მასხარებიც, ჭორიკნებიც, კარგად მოტირლებიც, რომლებიც ქვასაც კი დაადუღებდნენ დატირების დროს. იყვნენ ხელმრუდებიც, ბრძენკაცებიც, ზარმაცებიც, მკითხავებიც, კუდიანებიც, მახინჯებიც, ლამაზებიც, ცოტა ზნეობა-ნამუსზე ხელგაშლილი ქალებიც და ამიტომ, შრომის გარდა, არც გართობა აკლდათ. ყველა გამორჩეულ-განსხვავებული ზნის, ჩვეულებების ბუნების ადამიანი უფრო მრვალ-

ფეროვანს და საინტერესოს ხდიდა სოფლის ყოფას. ზოგიერთი ცეკვით გამოირჩეოდა, ზოგი სიმღერით, მასხრობით, ყველას მიმბაძველობითა და გაშარქებით, კარგი თამადობით; შემ-ლოცველებიც ჰყავდათ.

მაგალითაც, ვარდო ძალო, ლევანის მეუღლე, აიღებდა თიხის ჯამს, ჩაასხამდა წყალს, გახსნიდა თავის პატარა ნაჭრის ტომსიკას და იქიდან რიგრიგობით იღებდა რაღაც სასწაულ-მოქმედ ფერად კენჭებს. მათ შორის მოგრძოებზე ამბობდა: „ეს, შვილო, გველის რქებიაო“. მერე სათითაოდ ჩახეხავდა თიხის წყლიან ფიალაში და თან ბუტბუტებდა, რაღაცას, აღარ მახსოვს რას. რაიმეთი შეწუხებულ ან შეშინებულ ბავშვს ამ ნალესს და შენალოც წყალს გვასმედა და თითქოს ყველაფერი გვიამდებოდა. თუ მუცელი გვტკიოდა, გულალმა დაგვაპირდა, მუცელზე ცერა თითით ჭიბს მოგვიგრეხდა, თან მოკუმავდა ტუჩებს და რაღაც წუილის მაგვარ ხმას გამოსცემდა. არ ვიცი, მართლა ეს გვშველოდა, თუ ჩაგონება იყო, ტკივილი ნადმ-ვილად გვიამდებოდა. ბებიაჩემა მაკინემ ნახშირით იცოდა შელოცვა...

ზემოთ ვთქვი, ქართლის ამ პატარა სოფელში მასობრივად მოსულმა იმერელმა და ოსმა პატარძლებმა მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნეს-მეთქი აქაური მენიუ, მაგრამ იმ ძნელბე-დობის ჟამს ომგამოვლილ ქვეყანაში ქართლურმა სამზარეუ-ლომ მართლა ბევრი ოჯახი იხსნა შიმშილისგან. ისეთი შექ-ამანდებით, როგორიც იყო: რძის, მაწვნის, შინდის, ნიგვზის, ლოლოს, ლობიოს, დოს შექამანდები; პურის ხარშო, ტყლა-პის შექამანდი, ხმიადები, ჩიხირთმა (მათ შორის ტყყილიც); იყო მინდვრის მხალი სხვადასხვა სახის: ჯონჯოლი, სატაცუ-რი, კობჩილო და სხვა. ალაოს ფქვავდნენ და ნამცხვარივით ტკბილ ბისკვიტს აცხობდნენ. პური თუ მოძველდებოდა, დიდ ქვაბში ფიჩხს ჩააწყობდნენ აბურდულ-დაბურდულად, სულ ცოტა წყალს ჩაასხამდნენ და ფიჩხის ზემოდან დაძველებულ, გამაგრებულ პურებს აწყობდნენ; ორთქლზე პური რბილდებო-და. ახალივით იყო და ისე მიირთმევდნენ.

ყველაფერი ეს, რასაც მე ვყვები, ქალაქიდან არდადეგებზე ჩასული ბავშვის თვალითაა დანახული. იმ დროის ამბები, ალბათ, ჩემი ხნის სოფლის მკვიდრებმა უკეთ იციან. მეტად შთამბეჭდავი იყო იმდროინდელი სოფლის ყოფა. ეს არა მარტო ჩემი ბავშვობის მოგონებებია, არამედ იმ დროის სისხლ-სავსე ბარაქიან-მადლიანი სოფლური ცხოვრების საინტერესო და მრავალფეროვანი სურათებია. ყოველივე ეს ძველი ქართული სოფლის, მისი ტრადიციებისა და მოთუხთუხე ყოფის ჩამწრალჩანავლებული, ვნებადაცლილი ცხოვრების შემხედვარის ნოსტალგიაა. დიახ, მაშინ ჯანმრთელ და მხიარულ სოფლის ბავშვებს ვპატავდი. მშობლების ჩუმად ვიხდიდი სანდლებს, სადმე ხის ძირში ვმალავდი და იქაური ბავშვების მსგავსად ფეხშიშველი დავდიოდი სოფლის უბნებსა თუ მინდვრებში, ტყეში და ახლად მოთიბულ ნაწვერალშიც კი, ისე მივერვიე სოფლის ყოფას, რომ მახათივით მჩხვლეტავი „ნაწვერალის“, ნათიბის წვეტივით ძირებისაც კი არ მეშინოდა. ვცდილობდი, მეც ისევე კუთხური კილო-კავით მესაუბრა, ტოლებს ვპატავდი და ხეებზე დავძვრებოდი. ადრე გახაფხულზე, ქლიავ-ჭანჭური ვიდრე დამწიფდებოდა, ჯერ თეთრდებოდა და სწორედ მანამდე შიგა-დაშიგ ზოგი ნაყოფი თითქოს სოკოვდებოდა, ფორმას იცვლიდა, უკურკოც ხდებოდა. ეს გადაგვარებული ნაყოფი მუავე კი არა, ტკბილივით იყო, არც კბილებს ჭრიდა. მას „ბოყვი“ ერქვა. აი, ამ „ბოყვებისთვის“ დავძვრებოდით ხეებზე, ვიდრე ხილი შემოვიდოდა. ბლის და ალუბლის ხეს ზოგჯერ მსხვილი ფისივით მოტკბო გემოს, უელეს მსგავსი რაღაც გამოსდიოდა გამჭვირვალე კოურებად და ამასაც სიამოვნებით მივირთმევდით, პირდაპირ ხიდან კბილებით ვკბეჩდით. ვიდრე მოსათიბი გახდებოდა, ნედლ ყანაში ვიპარებოდით მეველის ჩუმად. (ყანის გათელვას გვიშლიდნენ და დასჯით გვემუქრებოდნენ), რათა ნედლი გარეული ცერცველა დაგვეკრიფა. ცერცველა წვრილ-პარკა იყო, პარკებით უბეებს ვივსებდით, ძალიან გვეგემრი-ელებოდა. ხან ნარეკლებს ვთიბავდით სახრით, რადგან ხელს ვერ ვკიდებდით. შემდეგ ფოთლებს და ეკლებს ფრთხილად

ვაცლიდით და გაფცქნილ ღეროებს მივირთმევდით. ხან თხილზე დავდიოდით; ვიდრე უბეებს არ ამოვივსებდით დაკროლილი თხილით, არ გამოვდიოდით ტყიდან. წაბლა თხილებს, რომლებიც მუქი ყავისფერი და მოგრძო ფორმის იყო ცალკე ვინახავდით, ასევე, მაყვალზე გუნდად დავდიოდით უბნის ბავშვები, დავიმურებოდით და მინდორში წამოვწვებოდით დასასვენებლად. ყაყაჩოსგან ნაირ-ნაირ ლამაზ დედოფლებს ვაკეთებდით. მინდორში ბალახის გრძელ ღეროებზე ვასხამდით მარწყვს, ვაგროვებდით ამ ასხმულ ღეროებს და შემდეგ მივირთმევდით. ასკილის ყვავილის ფოთლებსაც და მოგვიანებით თვითონ ასკილსაც ვეტანებოდით, თუ ძალიან მწიფე და ტკბილი იყო. ისე კი ძალიან მსუსხავი იყო. მოტკბო კურკები კი მეორე დღეს ბედს გვაწყევლინებდა ქავილით. ასკილის ტოტისგან სტვირს, სალამურს ვაკეთებდით. ძალიან მიხაროდა, როდესაც კარგი ხმა ჰქონდა ჩემს გაკეთებულ სტვირს.

ზოგჯერ ტყეში კევზე დავდიოდით და წიწვოვნებზე ფისს ვაგროვებდით, შემდეგ დიდ სიპ ქვაზე ცეცხლით გამოვხდიდით, ყველაზე კარგ კევს „კოკობა“ ერქვა. სალამოობით კი ყინცურა ხევში ციცინათელებს დავდევდით, უამრავი იყო იქ, განსაკუთრებით ტაძრის სიახლოესე.

მთელი დღე კი ხეტიალით დალლილ-დასიცხულები, სადაც წყაროს წავაწყდებოდით, ან თხილის ფოთლით ვსვამდით თუ მონანწაკარებდა, ან პირდაპირ პირქვე დაწოლილი ვეწა-ფებოდით. და ასევე ვსვამდით მდინარიდანაც, წინ წაწეული ტუჩებით, ცხვირი რომ არ ჩაგვჩროდა წყალში.

აი, „დანაობა“ კი ვერ ვისწავლე. არ გამომდიოდა. სიცხეში გამხმარ მინას წყლით არბილებდნენ, შემდეგ მოტკეპნიდნენ და დანაობაში დახელოვნებული იწყებდნენ თამაშს. თავის სათამაშო წესებით უნდა ჩაესოთ ვერტიკალურად მიწაში დანა - ცხვირიდან, შუბლიდან, კბილებიდან, ყურებიდან ხელუკულმა, ისე უნდა გესროლა დანა, რომ ამოტრიალებული პირით დარჭობილიყო მიწაზე. ასევე, ხელის ზურგიდან, საქმაოდ რთული ილეთები იყო. ბოლოს, ვისაც შეეშლებოდა, რიგს კარგავდა.

წაგებულს სჯიდნენ; მოტკეპნილში ყველა ილეთის გამოყენებით, რაც შეიძლება ღრმად არჭობდნენ ხის წვრილ პალოს, რომელიც წაგებულს მიწიდან კბილებით უნდა ამოელო, არადა, ცხვირი უშლიდათ ამოლებაში და ძალიან წვალობდნენ.

მდინარე ყინცურაზე ერთი ორგან „ჩახრიალა“ იყო, ჩანჩქერივით ეშვებოდა რაღაც სიმალლიდან და სიცხეში იქ ვგრილდებოდით. ცოტა ზემოთ თუ ავუყვებოდით ყინცურა ხევს იქეთ ძახველის ხეებთან „სლიპი“ ქვა-იყო. იმდენად ლიპი იყო ზედ ვერ დადგებოდი. საკმაოდ გრძელი, დიდ გლუვ კლდესავით მიხვეულ-მოხვეულად დაქანებული, გალიპული ქვის თავში დავსხდებოდით და სასიამოვნოდ ჩამოვსრიალდებოდით. თავშიც და ბოლოშიც პატარა ღრმულები იყო, წყლით გალიცლიცებული. ბოლოში უფრო დიდი იყო ღრმული და ჩამოსრიალებულნი იმაში სიამოვნებით ჩავტყაპუნდებოდით ხოლმე. იქ სრიალით ქვედა საცვლები გვიცვდებოდა და გვეხეოდა, სახლში კი გვეჩხუბებოდნენ – მაშინ ხომ უჭირდა ხალხს. მახსოვს, წელიწადში ერთხელ გაზაფხულზე მეზობლის თანატოლ გოგონასთვის ყოველთვის ყიდულობდნენ საკაბე ნაჭერს, რათა თვითონ დედას შეეკერა კაბა. იცით, რა მიკვირდა, ეს ნაჭერი, ბამბაზიის (ფანელის) რბილ-ხაოიანი ქსოვილი იყო, რათა მეტხანს გაედლო. მომავალ წლამდე არ გასცვეთოდა. არადა, მოგეხსენებათ, რა თბილია ეს ნაჭერი. რას იზამ, მიუხედავად ფეხჩაუდგმელი შრომისა ჯერ კიდევ ძალიან უჭირდა ომგამოვლილებს. უფრო პატარები კი იქვე სახლთან ახლოს მდინარე ყინცურას ვაგუბებდით, დიდ ლოდებს ჩავამნკრივებდით მდინარის სიგანეზე და შუა-შუა ძირიანად მოგლეჯილ ანწლის ლეროებს ვაყოლებდით, წყალი რომ ქვის სიმაღლეზე დაეგუბებინა. ამ გუბურაში ვჭყუმპალაობდით, მეორე დღეს გუბურა უკვე ილამებოდა და იმღვრეოდა.

სოფელში ზაფხულობით ხშირად იმართებოდა ლხინი. იყო ცეკვა-თამაში. „სოფლის მუსიკოსები“ თავს არ ზოგავდნენ და იმართებოდა დიმპიტაურ-დამპიტაური, განვევ-გამოწვევა. ზოგს ვინმეს გამოჯავრება ეხერხებოდა, ან ანეგდოტების კარ-

გად მოყოლა, იკრიბებოდა სოფლის ახალგაზრდობა, გასათხოვარ-დასაქორწინებლები. განსაკუთრებით ქალაქიდან ჩამოსულ დამსვენებლებს ეპრანჭებოდნენ და ცდილობდნენ კარგი მხრიდან დაენახვებინათ თავი. თუ სოფელში ვინმეს ბალში საუკეთესო ხილი ეგულებოდათ, გადაიპარებოდენ, ცოტას მოპარავდენ, თუ ვინმეს გულის მოგება უნდოდათ, განსაკუთრებით იმას უმასპინძლდებოდნენ ამ ნადავლით.

სოფელში დროდადრო მოჰქონდათ ფილმები და კინოფილმის ჩვენება მოსაზღვრე სოფელ ზღუდერში იმართებოდა. იყო ერთი გადაძახილ-გადმოძახილი უბნებში, როცა მოსალამოვდებოდა, გუნდგუნდად დაადგებოდნენ შარას, თითო-ოროლა სტუმარი თითქმის ყველა ოჯახში ჩამოდიოდა დასასვენებლად. ისინიც უერთდებოდნენ და იყო ხალისიანი სვლა სოფლის შარაგზაზე. თავად ფილმი კი სპექტაკლივით რამდენიმე ნანილად იყოფოდა. ელექტროდენი თუ არ იყო, დიდი სატვირთო ავტომანქანის აკუმულატორით ცდილობდნენ ფილმის ჩვენებას. იქიდან კი კარგა შუალამეს ბრუნდებოდნენ სახლებისკენ ყივილ-ხივილით.

სოფლის ყველაზე დიდი და ნამდვილი საყოველთაო დღესასწაული იყო სოფლის დღეობა, რომელიც წელიწადში ერთხელ – გაზაფხულზე იმართებოდა, 22 მაისს. ამ დროს იკვლებოდა ცხვარი, ქათმები, გამტკიცებული ფქვილით ცხვებოდა ნაზუქები, ქადები, ხაჭაპურები, ლავაშები; აუცილებლად იხდებოდა ლუდი და არაყი; ჯონჯოლი და კობჩილოც ასწრებდა დამწილებას, ლავაშები და დედას პურები ხომ ყოველდღე ცხვებოდა. თითქმის ყველა ოჯახს მოსდიოდა სტუმარი ქალაქიდან თუ სხვა სოფლებიდან. ეს იყო გათხოვილთა ახალი სანათესაო, სამოყვრო თუ სხვა სტუმრები. ყველას „მოკეთეებს“ ეძახდნენ და „სახლიკაცებს“. „სახლიკაცები“ ერთმანეთის სტუმრებს საკუთარ ოჯახში ეპატიუებოდნენ და უმასპინძლდებოდნენ. იყო შეუსვენებელი ქეიფი. ზუსტად 22 რიცხვში კი ყველა წმინდა ნიკოლოზის ტაძრისკენ მიემართებოდა. ტაძარი სოფლიდან ორ კილომეტრში – შუა ტყეში მდებარეობდა. ეს იყო წმინდა ნი-

კოლოზის სახელობის საყოველთაოდ ცნობილი ტაძარი თავისი უნიკალური ფრესკით – „ყინწვისის ანგელოზი“. ეს დიდებული ტაძარი, ამაღლებულ ტაფობზე პატარძალივით იყო დაბრძანებული. გარს საკმაოდ დიდი ეზო ეკრა. ეკლესია მოქმედი არ იყო (დღეს იქ მამათა მონასტერია). მაშინ მხოლოდ ერთი დარაჯი დარაჯობდა. ამ ეზოში ბევრი უზარმაზარი კაკლის ხე იდგა და თითქმის მთელ ეზოს ჩრდილავდა. ეზოს უკანა მხარეს კი, დიდ ბლის ხეს ვერავინ ეკარებოდა, ვიდრე არ დამნიფდებოდა დაჩამიჩებამდე. ეს გარეული ბალი იყო და ძალიან ტკბილ-მწარე ნაყოფი ჰქონდა, იმდენად მწარე, რომ სიმწიფეც ვერ ერეოდა. ეზოში ალაგ-ალაგ შეგხვდებოდათ ღრმა თვალუწვდენელი სილრმის ორმოები, რომლებიც მოგვიანებით არმატურის გისოსებით გადახურეს, რომ არავინ ჩავარდნილიყო. შემოსევების დროს ამ ორმოების მეშვეობით გაურბოდნენ მტერს. როგორც მოგახსენეთ ტაძარი და ეზო შემაღლებულ ადგილზე იყო, გვერდით კი საკმაოდ ღრმა ხევი ჩაუდიოდა – მდინარე ყინცურას კალაპოტი. სწორედ აქ გამოდიოდა, იმ მაღლობის ღრმა ჭებიდან გამომავალი გვირაბები თავის საშველად გაქცეულთათვის.

თავის სტუმრებიანად ადიოდა თითქმის ყველა ოჯახი ამ დღეს ტაძარში, იშლებოდა სუფრები, ყველა მხრიდან თუ კუთხე-კუნჭულიდან ისმოდა დოლგარმონის ხმა, იმართებოდა ცეკვა-თამაში, ცეკვადნენ კინტაურს, ბალდადურს, ლეკურს, თავს არ ზოგავდნენ ცეკვით.

ქარელიდან ამოდიოდნენ წვრილი მოვაჭრეებიც. მაშინ ქარელში მრავლად ცხოვრობდნენ ებრაელები, რომელთაც ამოჰქონდათ ფოჩიანი თუ უფოჩი კანფეტები; ბალიშის კანფეტები, რომელიც კარამელის იყო და ბალიშის ფორმა ჰქონდა, შიგნით კი სხვადასხვაგვარი ჯემის შიგთავსი იყო. წითელი მამალოები, საჭყვიტინოები, ქალალდის ფერად-ფერადი და-გოფრილი სხვადასხვა გამოსახულებიანი სათამაშოები, ქალალდის გარმონები, პატარა ბრჭყვიალა წითელი და ვერცხლის-ფერ ქალალდშემოკრული, ნახერხით გამოტენილი ბურთები.

ზემოდან რეზინის ზონარი ჰქონდა, რომ ბურთი არსად გაქცეოდათ. ათასი რამ ამოჰქონდათ გასაყიდად ამ დღეს, ასაღებდნენ კიდევ და თვითონაც არანაკლებ ილხენდნენ.

იყო დიდი ხნის უნახავი სტუმრების ხვევნა-კოცნა, მიკითხვ-მოკითხვა, გადაპატ-გადმოპატიუება. სახელდახელოდ ბალახებზე გაშლილ სუფრებზე, ბევრი ღამესაც ათევდა. მაშინ ტაძარში ღამის თევით სალოცავში ცხვრის შესანირად (შეთქმულით) ბევრი დადიოდა. მარიამობამდე არანაირ ხილს არ უსინჯავდნენ გემოს. მარიამობას კი ახალშემოსული ხილი და ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ხის თაბახით მიჰქონდათ სასაფლაოზე.

ასეთი წესიც მახსოვს, გაზაფხულის პირველ ქუხილზე ახალი მიცვალებულის საფლავზე გარბოდნენ. თუ მიცვალებულის ქვრივ ქმარს ახალი ცოლი ჰყავდა, შერთვის პირველ წელს, პირველ ქუხილზე მიცვალებულის პატრონს წყალი მიჰქონდა საფლავზე დასასხმელად, თითქოს საიქიოში მიცვალებული იწვებოდა და ამ დროს წყლით აქრობდნენ.

სოფლის ბავშვები უფროსებს საოჯახო საქმეში ეხმარებოდნენ; მწყემსავდნენ საქონელს. სათონე და საღუმელე ფიჩხი ტყიდან ჩამოჰქონდათ. (მაშინ ღუმელს ზაფხულშიც ხმარობდნენ, ოღონდ გარეთ ედგათ და კერძს ამზადებდნენ მასზე). აგვისტოს ბოლოს ფიჩხს და შეშას ნალოებად კრავდნენ წენელით. წენელისთვის თხილის წკეპლებს ჭრიდნენ, გრეხდნენ თოკივით, ელასტიური რომ გამხდარიყო, ნალოებს კრავდნენ და ზურგზე მოიგდებდნენ (ბოლო კი მინაზე მითრევდათ) და ასე ჩამოჰქონდათ ტყიდან სახლამდე. შემდეგ კი, ღამით ხელის ურმებით ჯგუფურად დაადგებოდნენ გზას და ქარელში ჩაჰქონდათ გასაყიდად. აღებული თანხით კი სასკოლო ტანსაცმელს, წიგნებს და რვეულებს იძენდნენ. ბავშვები ტყეში შინდსაც კრეფლნენ ჩასაბარებლად.

ზაფხულში, როცა ყანა ითიბებოდა, კოლმეურნები თივას ფოცხით ერთ ადგილზე ხვეტდნენ, აგროვებდნენ და აბულუებდნენ, რათა, მოგვიანებით, ეს ზვინები საძნე ურმებით

კალოზე ჩაეტანათ. მოფოცხვის დროს სულ პირწმინდად ვერ იკრიბებოდა თავთავები. რაც რჩებოდა აქა-იქ ნაწვერალზე, იმას ბავშვები კრეფდნენ, მოზრდილ კონებად წნავდნენ. ყველა ერთნაირი ზომის უნდა ყოფილიყო. ბრიგადირი ოცდაოთხ ცალზე ერთ შრომადღეს უწერდა ბავშვებს. თითქმის მთელი დღე უნდებოდნენ, მაგრამ ერთი შრომადღე ცოტა არ იყო. შემოდგომით მარცვლეულის განაწილებისას ბავშვებს საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდათ ოჯახში. რამდენჯერმე მეც გავყევი თავთავების ასაკრეფად, მაგრამ ოთხ-ხუთ ცალზე მეტს ვერ ვახერხებდი. სადმე ჩრდილში ვჯდებოდი და ვინმე ჩემნაირთან ვკენჭაობდი. კენჭაობა კი ასეთი იყო: ხუთი პატარა მრგვალი კენჭი თანაბარი ზომის უნდა შეგვერჩია. ცალი ხელის ცერით და მინაზე დაბჯენილი საჩვენებლით თაღი უნდა გაგვეკეთებინა და თაღის წინ ხუთივე დაგვეყარა. მეორე ხელით კი ერთი ცალი უნდა აგველო, დანარჩენი ოთხი ამ კენჭის მაღლა აგდებისას დაჭერამდე უნდა შეგვეყარა მეორე ხელით გაკეთებულ თაღში სათითაოდ. ისე, რომ ერთმანეთს არ შეხებოდნენ ამ სისწრაფე-ში. შემდეგ ორ-ორის შეყრა ერთად უნდა მოგვესწრო, შემდეგ სამიც და ოთხის მოსწრება შეუხებლად უკვე ჭირდა.

ზაფხულობით ბავშვები ფეხშიშველი დადიოდნენ, რომ ფეხ-საცმელი სასკოლოდ შეენახათ. წვიმიან ამინდში და ტალახში მოზრდილებიც ასე იქცეოდნენ: ფეხშიშველი და შარვალაკაპი-წებული დადიოდნენ ფეხსაცმლის დასაზოგად.

იმ დროს სოფლებში გამომცხვარი პური არ იყიდებოდა, რადგან ფქვილი ყველას ჰქონდა განაწილებით. პურს თონეში აცხობდნენ. ახალ დაფქვილი ფქვილით გამოცხობისას იმ არე-მარეზე ძალიან სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. თბილის-ში პურის ქარხნის სიახლოვეს გავლის დროსაც მიგრძვნია ეს მადისალმძვრელი სურნელი. ასევე იყო ოქროს უბანში ერთი პურის ქარხანა, რომლის ირგვლივ ლამის კილომეტრის დია-მეტრზე მსგავსი სურნელი ტრიალებდა. ახლა ქარხნის შიგნი-თაც არ იგრძნობა სამწუხაროდ.

დილით ცომს მოზელდნენ საკმაოდ დიდ ვარცლში პურის

ხაშით. ხაში იყო საფუარი – გამოცხობამდე გაფუებულ ცომს პატარა გუნდას მოაგლეჯდნენ და ფქვილიან ჯამში ინახავდნენ ნებისმიერ დროს გამოსაცხობად. შინ დამზადებულ ხაშს, (ის-ევე როგორც ყველის ამოსაყვან საკვეთს), მგონი გოჭის კუჭით აკეთებდნენ – „მაჭიკით“), რომელიც დღევანდელი „დროუს-გან“ განსხვავდებოდა, შემდეგ გასაღვივებლად სუფთა ტილოს დააფარებდნენ. ამასობაში თონეს ახურებდნენ., ჯერ ჩინჩხ-ვარს ჩაყრიდნენ, შემდეგ წვრილ ფიჩხს და ბოლოს, მომსხოსაც მიაყოლებდნენ. ნაკვერჩხალი რომ დაედო, თუ ჩინჩხვარი არ იყო, კვარით ანთებდნენ. ვიდრე არ ჩანავლდებოდა, ჩაკვრა არ შეიძლებოდა. თონეს წყალში მოზელილ ნაცარს მოაყრიდნენ ხოლმე. ან გავარვარებულ ნაკვერჩხალს კრამიტს დააფარებდნენ რომ, ზომიერი ტემპერატურა შენარჩუნებულიყო თონეში. კედლებს ჯერ მშრალი სათონე ცოცხით კარგად მოასუფთავებდნენ, შემდეგ სველით, იქვე სათლით წყალი ედგათ. გავარვარებულ თონის თავზე ცხელი ჰაერის ლივლივი შეიმჩნეოდა. გაფუებულ ცომს თანაზომიერ გუნდებად ორომზე ფქვილში ააგუნდავებდნენ და ორ რიგად ჩამოამზრივებდნენ. მერე სათითაოდ ზომაზე აბრტყელებდნენ და აკრავდნენ თონეში „დედას პურს“. ქართლში უფრო „დედას პურებს“ აცხობდნენ ისე, როგორც კახეთში „შოთებს“, ლავაშებს კი ორივეგან, ალბათ. ბოლოს ბავშვებისთვის „კოკორებს“ აცხობდნენ. „კოკორას“ ეძახდნენ საბურავივით მომრგვალებულ და შუაში გახვრეტილ, „ბუბლიკის“ ფორმის პურებს. ისე გვიხაროდა ბავშვებს ეს „კოკორები“, თითქოს პურისგან განსხვავებული გემო ჰქონდა. თუ პური ჩავარდებოდა, იმას ეძახდნენ „კუტს“. კუტ პურს ცუგები მიირთმევდნენ.

ამოყრიდნენ თუ არა პურს თონიდან „ასტამით“ აფხეკდნენ, გაასუფთავებდნენ და სათითოად ალაგებდნენ ორომზე, რომ არ ჩაცომებულიყო. სათონესთან ოჯახის წევრები თუ შემოსწრებულები, ყველი თუ არ ჰქონდათ ცხელ პურს ცივ წყალს გადაასხამდნენ და მარილმოყრილს ისე გემრიელად შეექცეოდნენ, თითქოს ნაზუქი ყოფილიყოს. ზოგჯერ ერთ-ორ ჭიქა უიპ-

იტაურსაც მიაყოლებდნენ.

ყველგან, სადაც რამდენიმე ადამიანი ერთად მოიყრიდა თავს, თითქოს ყველაფერი სალალობო იყო, შრომაც კი. ასე იყო დალაქთან ვიზიტის დროსაც. დალაქად ძია ლევანის ვაჟი, ჭიჭილო ჰყავდათ ამოჩემებული ზედა უბნელებს. კვირაობით დილაადრიან რიგში დგებოდნენ პირის გასაპარსად თუ თავის „გასაკეთებლად“ (ასე ეძახდნენ თმების შეკრეჭ-შემოკლებას). ჭიჭილო სამართებლის გასალესად სქელ ტყავის ქამარს ღია რიკულებიან აივანზე ჩამოკიდებდა. არადა წამდაუწუმ იყო საჭირო სამართებლის „პირის ანყობა“. ფიალაში საპონს ააქაფებდა და რიგ-რიგობით ალამაზებდა უბნელებს, თან მომლოდინეთა საუბარ-მასლაათით ირთობდა თავს. ეგ იყო, ალბათ მისი ხელობისა და შრომის საზღაური, რადგან ამაში ფული არასოდეს აუღია. უბნელები თუ ვინმეს ამოილებდნენ თვალში, ან ვინმეს რამე თუ შეეშლებოდა, ცოტა შეაფერადებდნენ, გააზვიადებდნენ და არტისტული შესრულებით გამოაჯავრებდნენ ხოლმე. და შემდეგ კარგა ხანს ატრიალებდნენ ამ ამბებს, ვიდრე ახალი „საკბილო“ არ გამოჩნდებოდა. ხშირად პატარა პურმარილიც ახლდა ამ „ღონისძიებებს“.

იმ სოფელს და უფრო ოჯახს, საიდანაც ქალი გამოთხოვდებოდა, „სამშობლო“ ერქვა. მაგალითად: „თავის სამშობლოში იყონ“ ან „სამშობლოში მიდისო“. სოფელში მოსულ პატარძლებს კი, სახელის მაგივრად, ოდნავ გადასხვაფერებული გვარით მიმართავდნენ. ეს ისე იყო დამკვიდრებული, რომ ზოგიერთი ხანში შესული ქალის სახელი აღარც ახსოვდათ. მაგალითად რძლად მოსულ ლომსაძის ქალს ლომსაური ერქვა, კაპანაძეს – კაპანაური, ჭანკოტაძეს – ჭანკოტაური, ბალაშვილს – ბალაური, ყესაური, ქარქიული და ა. შ.

რძლებს და ბიცოლებს „ძალოთი“ მიმართავდნენ, ბიძას – „ძიას“, დედ-მამის დედას – ბაბოს, ხოლო დედ-მამის მამას – პაპას ეძახდნენ, დიდ ბაბოს – დიდედას. მახსოვს, ჭანკოტაურს უკვე გვარითაც აღარ მიმართავდნენ, ისეთი ხანდაზმული იყო „დიდედოს“ ეძახდნენ.

„სახლიკაცებს“ თუ არ ვცდები, მოგვარეებს ეძახდნენ, „მოკეთეებს“ მგონი – შორეულ ნათესავებს, შეძენილ ნათესავებს კი „მოყვრებს“ ე.ი. რძლის ან სიძის ნათესავებს. თითოეული ეს სახელწოდება დიდ სითბოს, სიყვარულს და სიკეთეს გამოხატავდა, ან თუნდაც „ჩვენებურები“. ასევე, ქართლში ხშირად გაიგებდით ვინმე ახლობელზე საუბრისას – „ჩვენებიანთ“ ესა და ესო.

მე როგორც მეჩვენება, ადრე უფრო თბილი იყო ადამიანთა შორის დამოკიდებულებაც. გვერდში დგომით, გატანით, ხელის გამართვით, შემწყნარებლობითა თუ ერთმანეთისადმი პატივისცემით. საქონელსაც კი მეტ ყურადღებას უთმობდნენ, მათ მოვლას და მათდამი რაღაც სხვა ერთგვარ ვალდებულებასაც კი იჩენდნენ, უყვარდათ და ამას გამოხატავდნენ კიდეც; საურველით წმენდნენ ხშირად, რომელიც იქვე ეკიდა, გომურს ხშირად ასუფთავებდნენ საქონლის საბალახოდ გარეკვისას. ამ ბოლო დროს კი ერთხელ შარაზე ვნახე შემხმარი ნეხვით ნახევრად მოსვრილი ძროხა, ასეთი რამ ადრე არ შემინიშნავს.

ჩვენ მოპირდაპირედ მცხოვრებ ოსება ძიას კამეჩები ჰყავდა, მეწველიც და გამწევიც. მათი სადგომი გზის პირას იყო. ზაფხულობით პირუტყვი გარეთ იწვა ღამით და იცოხნებოდა. ხშირად მინახავს, ოსება ძია მარილით როგორ უმასპინძლდებოდა კამეჩებს. თურმე ისე ყვარებიათ მარილი, როგორც ბავშვებს კანფეტი. არც მოფერებას აკლებდა თავის მარჩენალ კამეჩებს. მათი მაწვნით ზოგჯერ მეზობლებსაც უმასპინძლდებოდა.

გიგუცა ძია სოფლის თავკაცივით იყო, ჭირსა თუ ლხინში თამადობას და თანადგომას თვითონვე ივალებდა. არადა, მრავლისმნახველი იყო. სამამულო ომგამოვლილი (თუ არ ვცდები, ფინეთსა თუ ბალტიისპირეთის მხარეს). ჩამოსვლა ცოტა შეაგვიანდა, მაგრამ რომ ჩამოვიდა, ზოგი რაღაცეების კეთება იქაურ ყაიდაზე დაიწყო. მაგალითად, ორთქლის აბანო გააკეთა: ერთ პატარა ოთახში ცალ მხარეს პატარა ტახტი დადგა, მეორე მხარეს კი, დაბალ სადგამზე შემოაწყო უზარმაზარი ქვის ლოდები, რომლებსაც ადულებულ ქაფქაფა მდუღარე

წყალს ასხამდა. შედეგად კაბინასავით დაბალ ოთახში ისეთი ოთრქლის ბუღი იდგა, სუნთქვა ჭირდა. იქვე ცაცხვის ცოცხები ჰქონდა შეკრულ-მომარაგებული შიშველ ტანზე სატყაპუნოდ. საცხოვრებელი სახლიც თავის ყაიდაზე მოაწყო, თვითონ აიშენ-დაიმშვენა. გარდა ამისა, ტაძრისკენ მიმავალ გზაზე ნაკვეთი შემოღობა და შინ მოუსვლელთა ხეივანი მოაწყო. ხე-ივანში იმ სოფლიდან წასული ყველა მეომარი ჯარისკაცის სახელზე ხეები დარგო და უვლიდა კიდეც სიცოცხლის ბოლომდე.

ორმოცდაათიან წლებში გაჭირვებული ხალხი ფაბრიკული წარმოების სამოსის შეძენას ყოველთვის ვერ ახერხებდა. ამიტომ, უფრო სოფლებში თავად ქსოვდნენ ჯემპრებს სხვადასხვა ზომის და ფორმის აუზრულ შალებს, კაშნებს, თავსაბურავებს და სხვა... მახსოვს, როგორ ღებავდნენ ნაქსოვებს კაკლის წენგოში ხაკისფრად. მცენარეულ საღებავებსაც ხმარობდნენ – ენდროს, ხავის ფურცელს... მინახავს, როგორ ჩეჩავდნენ ცხვრის შერჩეულ მატყლს საჩეჩელზე: სამკუთხა ფიცრისაგნ შეკრულ საჩეჩელს ორი კუთხის შესართავთან სავარცხლის მსგავსი ლითონის მახათივით შვერილები ჰქონდა. თუ დაბლა იჯდა მჩეჩავი, ფეხებშუა მოიქცევდა საჩეჩელს, ცალ მხარეს გარეცხილი მატყლი ედო და მეორე მხარეს უკვე ხელის ზომის ფაფუქ ფთილებს ალაგებდნენ ერთმანეთზე. საჩეჩელზე სხვა-დასხვაგვარი მოძრაობითა და ხანგრძლივობით ჩეჩავდნენ და აფთილებდნენ, წმენდნენ ხიჭვებისგან და კორძებისგან. შემდეგ ძაფის სართავ ჯოხს – „თითისტარს“ – მსხვილ ბოლოსკენ წამოაცმევდნენ პატარა მრგვალ რგოლს – „კვირისტავს“. ჯამში ჩადებდნენ „კვირისტავის“ მხრიდან, მეორე დაწვრილებულ ბოლოს კი აბზრიალებდნენ. მას შემდეგ, რაც ფთილას წვერს უბოვიდნენ, ჯოხს დაამაგრებდნენ. ნელ-ნელა ბზრიალით ცალ ხელში ფთილას წევდნენ ზემოთ ფრთხილად ძაფი რომ წამოსულიყო და თან არ გაწყვეტილიყო. მეორე ხელით კი ჯოხს ნელ-ნელა აბზრიალებდნენ, ახალ-წამოსული ძაფი ჯოხზე რომ დახვეულიყო. ბრუნვისას უნდა მოესწროთ, ძაფს თუ მატყლის-

გან რაიმე კორძი გაჰყვებოდა, იმის მოცილებაც.

ასე აგროვებდნენ ახალდართულ „ფთილა“ ძაფს, რომელ-საც შემდეგ კვლავ კვირისტავიან თითისტარზე „ძახავდნენ“, ე. ი. გრეხდნენ ფთილის ძაფს, რათა სიმტკიცე და გამძლეობა ჰქონიდა, საქსოვად გამომდგარიყო.

სოფლებში ძირითადად თავის შეკერილ ფეხსაცმელს მოიხ-მარდნენ. ტექსტილის ნაჭრის რამდენიმე ფენას (ზოგჯერ ნახ-მარი ჩასაცმლის საღ, გაუცვეთავ ქსოვილსაც) იყენებდნენ საპირედ. გამოჭრიდნენ და რამდენიმე ფენას, ორი-სამი მილი-მეტრის ზომაზე ზოლებად, წვრილად აგვირისტებდნენ. ამ ე. წ. „ჩუსტებს“, საცვეთ ადგილებზე – ნინ ჭვინტზე და უკან ქუსლ-თან გადაბმის ადგილზე – ტყავის საპირე პატარა სამკუთხედს და ზოლს აკერებდნენ გამძლეობისთვის. შემდეგ სატვირთო ავტომობილის გამოყენებულ ძველ საბურავს ფეხის ზომაზე საძირედ გამოჭრიდნენ და უკვე უკან შეერთებულ საპირეს, საძირეს მიაკერებდნენ სადგისით და გასანთლული ძაფის დახ-მარებით.

სახლში კერავდნენ აგრეთვე, სასკოლო ჩანთებს. მამკაცე-ბი, ზოგჯერ არასამხედროებიც, შინელს ხმარობდნენ პალტოს მაგივრად. კერავდნენ „ტელეგრუიკებსაც“ და იყენებდნენ. სო-ფლად კაბებს რომ იკერავდნენ, ხშირად უგროვდებოდათ სხვა-დასხვა ფერის და მოხატულობის ნაკუნძები. აი, ამ ნაკუნძებსაც აკერებდნენ ერთმანეთს და საბნის გულებად იყენებდნენ.

მახსოვს ფართალს სახელდახელოდ, ხელ-მხარ-ცხვირზე ზომავდნენ.

არ ვიცი იქ ვინმეს შეუნიშნავს თუ არა (ყოველ შემთხვევაში მე არავისგან გამიგია) მაგრამ მე ყოველთვის მიკვირდა, როცა სოფლის თავზე საქონლის ნაფლოქვარში ლურჯ, მომწვანო, მოისფრო და მეწამულ ალმაცერ სპექტრად ელავდა წყალივ-ით გამჭვირვალე სითხე, რომელსაც საშინელი ნავთის სუნი ჰქონდა. დღესაც ვფიქრობ, ზოგჯერ იმ მიდამოებში ნავთის მარაგი ხომ არ არის, ან რატომ არავინ აქცევდა ამას ყურ-ადლებას. არც ბავშვებს მიუქცევიათ ამისთვის ყურადღება,

თუმცა ბოლო დროს აღარ შემინიშნავს.

და კიდევ, ლაშეხევს ზემოთ რომ გაუყვებოდი, ისე იყო ჩახერგილი ხეებით, გაუვალს ჰეგვდა, მაგრამ ჩვენ, პატარა ბავშვები, მაინც ვძვრებოდით. საკმაოდ ზემოთ, იქ ერთი პატარა წყარო იყო დაგუბებული, მუქი ლურჯი ფერის, უფრო შაბიამნის ფერი და თან გამჭვირვალე იყო. ბავშვები ამ წყაროს ვსვამდით მიუხედავად იმისა, რომ საშინლად მყრალი სუნი უდიოდა, ალბათ გოგირდის. უფროსებისგან გვსმენია, რომ მყრალია, მაგრამ ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგიაო. ამ წყაროს ფერმა ერთი რამ გამახსენა: ბავშვობაში დედამ რამდენჯერმე თონეში გამომცხვარი ლურჯი, საკმაოდ ლურჯი ფერის პური მომცა... მე გამიკვირდა, რატომაა ასეთი ლურჯი, მეთქი?! – ვკითხე, დედამ მიპასუხა: შვილო, ეს მახობელაოო. ეს მახობელა პური გემოთი მაინც და მაინც არ გასხვავდებოდა ჩვეულებრივი პურისგან, მაგრამ, ალბათ, მის ფერსა და შემადგენლობას რაღაც განმასხვავებელი თვისებები ჰქონდა. ასევე, მახსოვს გამხმარ და შემდეგ დაფქვილ ალაოს პურს ლუმელის ფურნაკში რომ აცხობდნენ, ცოტა თხევადი ცომი იყო და ამიტომ თუნუქის ლუმლის ფურნაკის მართულთხა მაღალ „უარონებში“ ასხამდნენ. ტკბილი ნამცხვარივით გამოდიოდა, ოლონდ რაღაც გემო და სუნიც დაჟყვებოდა. მე მაინც და მაინც არ მიყვარდა, მაგრამ ბავშვები ნამცხვარივით სანსლავდნენ. მე უფრო ფურნაკში გამომცხვარი და წითლად დაბრანული ყველის მოზრდილ ნაჭრებიანი, მუჭისოდენა მჭადის გუნდები მიყვარდა. ზოგჯერ ღორის შაშხის ნაჭრებსაც დებდნენ და არც ის იყო ურიგო.

კაკალი რომ შემოვიდოდა სოფლის ბავშვები სულ დამურული დადიოდნენ, კაკლისგული თავიდან ხომ რბილი იყო, უელესმაგვარი, ამიტომ როგორც კი შემაგრდებოდა, სანამ კაკალი დაიწყებდა დაკროლვას, წენგოს მოცილებას, ბავშვები უკვე ივსებდნენ უბეებს ასეთი კაკლით. დანას მუდამ თან დაატარებდნენ, სადმე ისე ისხდნენ თუ მიდი-მოდიოდნენ, უბიდან წენგოიან, ოდნავ შემაგრებულ ლებნებიან კაკალს კუჭავდნენ და მიირთ-

მევდნენ ან ვინმესთვის აგროვებდნენ. მართლა გემრიელი იყო ნედლი ნიგოზი. წენგოიან კაკალს ჯერ ორად აპობდნენ დანით, შემდეგ ნეხევარსფეროებიდან ამოიღებდნენ ორლებნიან ნანილებს, კანს აცლიდნენ და შეექცეოდნენ. ამასობაში სწავლაც იწყებოდა და შეწუხებული მშობლები ჩხუბობდნენ გაშავებული ხელებით სკოლაში არ დაგიშვებენო, მაგრამ ეს დააკავებდა ბავშვებს?!

მე კუჭვა არ შემეძლო, მაგრამ ტუჩებზე მაინც ვისვამდი წენგოს, გამიმუქდება და მომიხდება-მეთქი. მაგრამ ზოგჯერ მეტი მომდიოდა რადგან წასმისთანავე არ მუქდებოდა, კანი მეპრუწებოდა, მეწვოდა და ზოგჯერ მიტყავდებოდა კიდეც.

კაკლის ბერტყყვისას სოფელში არ მიხდებოდა ყოფნა, მაგრამ ერთხელ მაინც შევესწარი კაკლის ბერტყვას, ვხედავდი, როგორ მარჯვედ იქნევდა მბერტყყავი კაკლის საბერტყ ხალას. ისე, რა ამის პასუხია და ბავშვობაში ისეთი მაღალი და გამხდარი ვიყავი (კაკლის ხალაც ბევრჯერ დაუძახიათ). თბილისში კი რამდენიმე ონავარი ბიჭი, რომ გავებრაზებინე, წეროს და ყანჩას მეძახდა. მე ვბრაზდებოდი და განვიცდიდი. რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემზე გამხდარი და მაღალი გოგონები პოდიუმზე მოიწონებდნენ თავს. მაშინ მოდელობა, ასე ვთქვათ, არ იყო მოდაში. მოდელებს მანეკენებს უწოდებდნენ და არც თუ ისე კარგი რუპუტაციით სარგებლობდნენ, – რატომ, არ ვიცი.

მაშინ ხომ მრგვალი ფორმები და ფერხორციანი ქალები იყო მოდაში, თეძოებდამშვენებული. მე კი ლავინის ძვლები როგორ დამემალა, არ ვიცოდი. მაღალი რომ ვიყავი, ზოგჯერ მოხროლი დავდიოდი, მეგონა, უფრო დაბალი გამოვჩნდები-მეთქი. თუ გამხდარი იყო ვინმე – „ფიცარივითააო“, ამბობდნენ, თუ ოდნავ მომსხო ტუჩები ჰქონდათ – „სამწვადე ტუჩები აქვსო“. ახლა ნემსებით და ოპერაციით იბერავენ ტუჩებს, და სულ დიეტაზე სხედან. მოკლედ, რომ იტყვიან „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, ისეა.

სიგამხდრის როგორილაც შიშიც ჰქონდათ, იქნებ იმ დროისთ-

ვის მძვინვარე დაავადების – ჭლექის გამოც. ამ დაავადებისას ხომ ძალიან იკლებდნენ წონაში, ხდებოდნენ. ზოგჯერ ვინმეს რომ „ამკობდნენ“, უთქვამთ, „რა გამხდარია, ჭლექიანს, გავ-სო...“ ახლა სოფელშიც აღარ უნდათ ფერხორციანი რძლები. შემორჩია კი სარძლოებ-სასიძოები და საერთოდ, ახალგაზრ-დები სოფლად?! ყველა ქალაქში წამოვიდა ან საზღვარგარეთ გაემგზავრა, მსოფლიოს მოედვნენ. რა თქმა უნდა, ეს ცხოვრებამ და გაჭირვებამ მოიტანა, თუმც სხვა მიზეზიც უნდა არსებობდეს. მე ისეთ დროს შევესწარი, როცა ხანგრძლივი ომისგან გაჭირვებულ, გაჩანაგებულ ქვეყანაში ღირსების და თავმოყვარეობის, ზრდილობისა და სიდარბაისლის, პატიოსნების და გულისხმიერების დონე გაცილებით მაღლა იდგა სოფლადაც და ქალაქადაც. მართალია მაშინ საზღვრები ჩაკეტილი იყო და უცხოეთში გასვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ მანამდეც ხომ იყო დრო, როცა შეეძლოთ გასვლა და გადიოდნენ კიდეც, მაგრამ არა ასე მასობრივად. ერთეულები მიზანიმართულად მიდიოდნენ, უფრო სასწავლებლად და უკან განათლება-მიღებული ბრუნდებოდნენ. ახლა მთლიანად სოფლებია აყრილი, იქაური მაცხოვრებლები მოხუცთა მომვლელად ან შინამოსამ-სახურებად ეწყობიან უცხოეთში. გულდასაწვეტი კი ის არის, რომ უკან იშვიათად ბრუნდებიან.

ოთხმოცდაათიან წლებში მოსახლეობამ ქალაქშიც და სოფლადაც საშინელი შიმშილი და სიცივე გადაიტანა, მაგრამ სულ მგონია, სოფლებში მეტი გასაქანი იყო მაშინ. მწვანილს მაინც მოიყვანდნენ თავისითვის და ხეს დარგავდნენ, რომელ-საც დიდი მოვლა და შრომა არ უნდოდა; ხილის ნატრული მაინც არ ეყოლებოდათ ბავშვები ქალაქელებივით.

ახლად დარიგებულ მინის დიდ ნაკვეთებს, ზოგ შემთხვევაში გამართულ ვენახებს ან ხეხილის ბალებსა თუ სახ-ნავ-სათეს მიწებს მოვლა სჭირდებოდა. მოვლას თუ ვერ შესძლებდნენ, საკარმიდამოში თავისი საკმარისი ბოსტნეულის გარდა ერთი ან ორი ძირი კაკლის გამოყენებაც შეიძლებოდა საკმაზად სადილისთვის, ზოგი გაიყიდებოდა კიდეც. ორი პა-

ტარა გოჭი თუნდაც გაჭირვებით რომ გაეზარდათ საოჯახო პროდუქტების ნარჩენებით, მაინც შეღავათი იქნებოდა. რა თქმა უნდა დამატება დასჭირდებოდათ. ერთს თუ დაკლავდნენ მთელს ზამთარს ხომ გაჰყვებოდათ, მეორეს კი გაყიდდნენ და ცოტაოდენ ფულს იშოვიდნენ.

პრივატიზაციის დროს, როგორც კი ქალაქად გადაეცათ ბინები საკუთრებაში, სოფლადაც ხომ მიწები შემოემატა მოსახლეობას, მანამდე საკუთრებაში არსებულ მიწების მეოთხედიც რომ დაემუშავებინათ, ასე თუ ისე ოჯხაებს უზრუნველყოფნენ. მე, გამოცდილ სოფლელებს ვერაფერს ვასნავლი, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ თუ ამ გამოუცდელმა რაღაც გზების ძებნა დავიწყე გაჭირვებიდან გამოსასვლელად და ვიპოვე კიდეც. სოფლის მკვიდრებს ხომ გაცილებით მეტი ცოდნა, გასაქანიც ჰქონდათ, მაგრამ...

იქნებ როგორლაც და რატომლაც გული აუყარეს სოფლის ხალხს, ხელი ჩააქნევინეს და ამიტომაც ვეღარ დაუდეს შრომას გული. ქალებმა საზღვარგარეთ წასვლის გზა გამონახეს. შვილების მოვლა, აღზრდა და მათ გვერდით ყოფნა, რაც ყველაზე მეტად იყო საჭირო ბავშვების პიროვნული ჩამოყალიბებისთვის უკანა პლანზე გადავიდა.

მე მაპატიეთ, თუ ჩვენი ქვეყნისთვის ძნელბედობის უამსქალაქად და სოფლად თავის გატანისა და გადარჩენის გზა სწორად ვერ დავინახე. მაგრამ ჩვენი ოჯახის შესახებ ერთი რამ მინდა მოგახსენოთ: იმ ავადმოსაგონარ ოთხმოცდაათიან წლებში ჩემს სიძეს – გადასახლება მოუხდა რაიონში. სიძე ტრადიციული ექიმების ოჯახიდან იყო, მეოთხე თაობის ექიმი. მისი ბებია სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით კახეთის ერთ-ერთ ქალაქში გააგზავნეს. მაშინ ხომ თავად ინსტიტუტი ანაწილებდა კურსდამთავრებულებს სამუშაოდ, ძირითადად რაიონებში. ბებია კარგა ხნის მუშაობის შემდეგ, იქვე დასახლდა, მეუღლეც ექიმი გახლდათ და ისიც გადავიდა თბილისიდან იმავე ქალაქში. ჩემი სიძე სწორედ ბებია-ბაბუასეულ მიტოვებულ სახლში დაპრუნდა მეუღლით

და სამი მცირებლოვანი შვილით. ქალაქში დაბადებულ-გაზ-რდილ ცოლ-ქმარს სოფელთან არასოდეს შეხება არ ჰქონია და მაინც გადასახლდნენ რაიონში, სადაც არც წყალი იყო, არც შუქი. წყალს შორიდან ეზიდებოდნენ ყოველდღე დიდი ბალონებით. ლამფა ენთოთ და პირველ სართულზე თუნუქის ღუმელი ედგათ. ეს ხდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. წინ საკარმილამო ნაკვეთში ყველანაირი მწვანილი, კიტრი, პომიდორი მოჰყავდათ. წყალი თვეში რამოდენიმეჯერ მოდიოდა ორი-სამი საათით. თან რწყავდნენ, თან ინახავდნენ წყლის რეზერვუარში. კრუხიც კი დასვეს ერთხელ თვრამეტ კვერცხზე, თექვსმეტი წინილა გამოიჩეა. მართალია, ყველა მოპარეს, მაგრამ ხომ ცდილობდნენ?! ზამთრისთვისაც იმარაგებდნენ კომპოტ-კონსერვებს, ვაზის ფოთოლს ბეჭდავდნენ სატოლმედ ზამთრისთვის, ტყემალ-სანებლებს ამზადებდნენ და ასე გაჟ-ქონდათ თავი, იმ მძიმე წლებში. მახსოვს, მიწაც კი აიღეს იჯარით და მზესუმზირა მოიყვანეს ორჯერ. ხორბლის დათეს-ვაც უნდოდათ, მაგრამ ქალაქელ კაცს, სოფლის მეურნეობაში ნაკლებად გათვითცნობიერებულს, მაინც და მაინც მომგები-ანად ვერ გამოუვიდა და ამიტომ თავის პროფესიას დასჯერდა.

უქმე დღეებსა და შვებულების დროს მიწევდა მათთან ჩასვლა. ერთხელ, მახსოვს, მეზობელი შემოვიდა და საუბარში ვკითხე, თქვენ ხომ ნაკვეთებიც გაქვთ და იქიდან, არანაირი შემოსავალი არ გაქვთ, მეთქი? კი, ვენახები გაგვინაწილეს, გამართული ვენახი, მაგრამ ალაზნის პირზე არის და ვერ ვუ-ვლითო. კრეფის დროს ჩავდივართ, ვკრეფთ და მოგვაქვს, მა-გრამ მოვლით ვერ ვუვლით, შორიათ. ვენახიც ალარ იძლევა იმდენ მოსავალს, რადგან მწარე ძირებზეა დამყნილი, ძირები წამოვიდა უკვე და ბალახმაც გადაფარა ვენახიო.

ცნობილია, რომ ერთ დროს საქართველოში იმდენი ხორბალი მოჰყავდათ, ქვეყნის გარეთაც გაჟქონდათ გასაყიდად, არც ტექნიკა იყო მაშინ და არც არანაირი შეღავათი არსებობდა. ხარებიც კი არ ჰყავდა ყველას, მაგრამ მორიგეობით, ალბათ, მთვარიანი ღამის განმავლობაში გუთნით ხნავდნენ,

ფიზიკურად ძალიან უჭირდათ და ძნელიც იყო იმ მიწების და-მუშავება... მითუმეტეს, ხელმოკლე გლეხებისთვის, მაგრამ ასე გულხელდაკრეფილი ხომ არ ისხდნენ...

ადრე ბაზრებში გამყიდველი გლეხი არასდროს ატყუებდა წონაში ან ხარისხში მყიდველს, არც თვალებს უბრიალებდა პატარა შევაჭრებაზე. ახლა გლეხების მაგივრად გადამყიდ-ველები არიან. ერთი პერიოდი უსასწოროდ აღარავინ დადიო-და ბაზარში, ისე უღმერთოდ იტყუებოდნენ, თან ისე ეჭირათ თავი, ვერც გაუბედავდი რამეს, ან დაგცინებდნენ ან გაგლანდ-ლავდნენ. ახლა შედარებით შეიცვალა მდგომარეობა, ისე აღარ ცრუობენ, თუ შევაჭრე, „სამაგიეროდ მე წონაზე არ ვმუშაო“ – პასუხობს. წონაზე მუშაობა – წონაში მოტყუებას ნიშნავს.

ძალიან შეიცვალა ადმიანთა ურთიერთობები. ყოფის, მე-ტყველების კულტურა და ზოგადად რაღაც წილად ზნეობაც კი.

ამ ოცდაათწლიანმა ქაოსმა, გაცრუებულმა იმედებმა ყვე-ლა სფეროში დაისადგურა. უნესრიგობამ, უიმედობამ, უს-ამართლობამ, ძალმომრეობამ, ლირსების შელახვამ შეცვალა ქალაქური ცხოვრების სახეც, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც.

როცა ადამიანი თავის გადარჩენაზე ფიქრობს ზნეო-ბრივ-მორალური ფასეულობები ცოტა ხუნდება.

ქალაქური ცხოვრების სახე იმიტომაც შეიცვალა, რომ სო-ფლებიდან თუ რაიონებიდან ერთბაშად წამოსულმა დიდმა მა-სამ და ყოველნაირად გაუსაძლისმა პერიოდმა თავისი ასახვა ჰპოვა. უნინ მახსოვს, სოფლის მოსახლეობას პასპორტებს არ აძლევდნენ. ეს რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების შეზღუდ-ვა იყო, მაგრამ მაშინაც უჭირდა ეკონომიკურად ალბათ, ჯერ ახალ რელსებზე გადაყვანილ ქვეყანას – ჩვენთვის მოსაწონს თუ არ მოსაწონს... და შემდეგ, კი ომგამოვლილ, ომისგან შე-ჭირვებულს, ამიტომაც იყო შეზღუდვა პასპორტებზე. მაგრამ ყველას არ ზღუდავდნენ. ძირითადად, ვინც სასწავლებლად ჩა-მოდიოდა ან ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ, ასევე, არსებობდა

თბილისში დროებითი ჩაწერაც.

ამიტომ, მხოლოდ მიზანმიმართულად ჩამოდიოდნენ და არა მასობრივად. მკვიდრდებოდნენ, ქალაქურ ყოფას ითვისებდნენ და ეწერებოდნენ ქალაქურ ცხოვრებაში. ხშირად ქალაქელებს კულტურით, განათლებით, მდგომარეობით ეწეოდნენ და უსწრებდნენ კიდეც. ერთეულები დიდ, ქალაქურ მასაში ითქვიფებოდნენ. აქ უკვე თავად ქალაქი სთავაზობდა ქალაქური ცხოვრების წესს. ჩამოსულთა მონდომება, ნიჭი და შრომის-მოყვარეობა ხშირად აყალიბებდა მათ მისაბად პიროვნებებადაც კი. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. თითქოს პირიქით ხდება: ლამის თავად უკარნახონ ცხოვრების წესი... იგრძნობა კიდეც არაგეგმაზომიერი მოწყდომა, ე. წ. ურბანიზაცია ქალაქურ ცხოვრებაში.

ჩაწერის ინსტიტუტის მოშლაც უკვე აღარ ზღუდავს და ველარც ამცირებს მოზღვავებულ ნაკადს. ქალაქმა ვეღარ შეძლო ამ ხალხის ქალაქურად მოქცევა. არც მთავრობა იღებს საამისოდ რაიმე ზომას. არ ინტერესდება მათი ცხოვრებით და ერთიანად აყრის მიზეზებით. არადა, სოფლების დაცლა ტრაგედია.

რა თქმა უნდა ზოგიერთი შეზღუდვა, მაგალითად ის რომ ახალციხეში, აბასთუმანში და საერთოდ მესხეთ-ჯავახეთში საშვის გარეშე ვერ წახვიდოდი, საკუთარი ოჯახის წევრის დაკრძალვაზეც კი, და ეს საშვი ყოველ წასელაზე იყო საჭირო და აუცილებელი. ეს საკმაო დისკომფორტს უქმნიდა ხალხს, მაგრამ ასეთი კანონი იყო მაშინ.

ადრე სოფლის მაცხოვრებლებს გარდა იმისა, რომ პასპორტებს არ ურიგებდნენ, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, პენსიაც არ ეძლეოდათ ხრუშჩოვის რეფორმამდე. ნ. ს. ხრუშჩოვმა კოლმეურნეობები გააუქმა და „სოვნარხოზებად“ – საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნა. ადრე თუ სოფლის მოსახლე კოლმეურნე მთელი საერთო მოსავლიდან თავის გამომუშავებულ წილს ნატურით იღებდა, რეფორმის შემდეგ გლეხებიც ხელფასზე გადავიდნენ. მანამდე, როგორც აღვნიშნე, ხელფასი

და პენსია არ არსებობდა სოფლად. კუთვნილ ნაკვეთებზე რა მოსავალსაც მოიწევდნენ, ან შინაური ცხოველებით ისარგებლებდნენ კოლმეურნები, საერთო წლიური ჭირნახულის ნატურით მიღებულ წილთან ერთად ამას კმარობდნენ.

ადრე სოფელი დიდი ძალა იყო. ის ასაზრდოებდა ქალაქს. სოფელმა ბევრი რამ შემოინახა ღირებული, მარტო ქართულ ტრადიციებს არ ვგულისხმობ. სოფელში მეტი სისუფთავე და სიხალასე იყო. ამასთან ერთად ბევრი ჩვენი დიდი და სასიქადულო ადამიანი სწორედ სოფელში დაიბადა. ნიჭმა ხომ თავისი ჰქნა, ხომ გამოიკვლია გზა. ნიჭთან ერთად ადამიანს წინსვლაში დიდად ეხმარება შინაგანი კულტურა. სოფლიდან წამოსულ გამოჩენილ მოლვანეთა დიდი ნაწილი მეტრებადაც კი გვევლინებიან ამა თუ იმ სფეროში. ნიჭს საფუძვლად უდებდნენ უდიდეს შრომისმოყვარეობას, დიდ მიზნებს ისახავდნენ და კიდეც ანხორციელებდნენ. ეს მიზანი, ნიჭსა, შრომისმოყვარეობასა და კეთილსინდისიერებაზე იყო დაფუძნებული და ამიტომაც იყვნენ ასე პატივცემულნი, აღიარებულნი და სამაგალითონი. დიახ, იყვნენ სამაგალითო და მისაბაძი ადამიანები და ხალხიც მიაგებდა ღირსეულ პატივს. ახლაც არიან ასეთები, თუმცა არ ჩანან. მართალია, ხალხი ყველას ეჭვის თვალით უყურებს. საერთო იმედგაცრუების ფონზე, მაგრამ მალე მათი დაფასების დროც მოვა.

ახლა ყველა პოლიტიკას ეტანება. ვინც როგორ მოახერხებს და რამდენზე „გაიქაჩება“. ქმნიან უამრავ პარტიას, მთელი ძალლონით ცდილობენ, ხალხთან თავი გამოიჩინონ და ამ მცდელობას პრობლემურ საკითხებზე გაუთავებელი ლაპარაკით და დაპირებებით გამოხატავენ. თუ როგორმე მოახერხეს პარლამენტში მოხვედრა, შემდეგ იწყება საამური და უზრუნველი ცხოვრება, ყველა მიმართებით ინთება მწვანე შუქი. უჩნდებათ ახალ-ახალი ამბიციები. თუ პარლამენტში შესვლა ვერ მოახერხეს, ასეთი ადამიანები ოპოზიციურ პარტიებშიც კარგად გრძნობენ თავს. აქვთ დაფინანსება და ნორმალური პირობები ჩვეულებრივ „მოკვდავებთან“ შედარებით. საკუთარი პროფე-

სიით მუშაობას ასეთი პოლიტიკოსობა ურჩევნიათ...

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ რამდენი კუთხეცაა, იმდენი განსხვავებული წეს-ჩვეულებაა, ამა თუ იმ საგნის, პიროვნებისა თუ მოვლენის აღმნიშვნელი სპეციფიური სიტყვა და ტერმინი არსებობს. ასევე, ზედმეტსახელები, შემოგთავაზებთ ქართლში გაგონილ სხვადასხვა გამოთქმას. სოფლის მაცხოვრებელ ხანდაზმულთ, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ეცოდინებათ. მაგალითიად:

„საიუზსტრანი“ – რაიონებში დამავალ ავტობუსებს ეძახდნენ.

- „დელექტორი“ – დირექტორი
- „ბაშტორტი“ – პასპორტი
- „ბრიგადელი“ – ბრიგადირი
- „ხილურგი“ – ქირურგი
- „ჩლუქი“ – წინდა
- „დოხტური“ – ექიმი
- „ზაოდი“ – ქარხანა
- „პროკლოვი“ – პროკურორი...
- მოლოზანი – მონაზონი

ასევე თავისუბრად წარმოთქვამდნენ დაავადებებს და ორგანოებს.

მაგალითად:

- „ჭაჭები“ – თირკმელები
- „ფერდი“ – გვერდი (ფერდები მტკიცაო)
- „ხორველა“ – ქოლერა
- „ჭლექი“ – ტუბერკულოზი
- „ჭვალი“ – ჩხვლეტა (ჭვალი მაღგასო).
- „ქარები“ – რევმატიზმი
- „კიგარი“ – შიგნეული
- „კანჭი“ – ნვივი
- „ყანყარატო“ – საყლაპავი მილი

„კინკრიხო“ – თავეისრის მიმდებარე ადგილი
„კუკუზნაკი“ – კუდუსუნი
„არაქათი“ – ძალა, ენერგია.
„მაჭიკი“ – კუჭი საქონლის

ასევე:

„ტანტარა“ – უქვედასაცვლო
„ჩოხაფლეთია“ – მოუწესრიგებელი ბავშვი
„მორბედი“ – დასასაქმებელი ასაკის ბავშვი
„პადრუკები“ – ქორნილში ქალ-მაყრები
„თალხნი“ (თალხნად მაქვსო, – თავიუსუფლად მაქვსო) ე. ი.
თავისუფლად.
„ხიხრიკაობა“ – ადრე გაზაფხულზე, ზამთრისთვის მომარ-
აგებულ საკვების ამონტურვისას – დროებითი კრიზისი, ახლის
შემოსვლამდე.
„ბაქმაზები“ – სხვადასხვა სახის მცენარეული სოუსი
„ხოხოზიკი“ ან ხორავიჭი“ – ქონისთვის გადამდნარი ღორის
მსუქანი დაბრანული ნაჭრები
„ნაგერალა“ – წინა წელს აღებულის შემდეგ მიწაში ჩარჩე-
ნილი მოსავლიდან ამოსული ბოსტნეული.
„აჯილლა“ – ცხენის მაგივრად, ზნეობრივად და ფიზიკურად
გაუწინასწორებელ, აშვებულ ქალს ეძახდნენ.
„ჩარბუზანა“ – ერთად თავმოყრილთა ლიზლიზ-ხორხოცი –
„ეს რა ჩარბუზანა გაგიმართავთო?“
„ბოლდარა“ – უმეთვალყურეოდ, განუკითხავად გაჩანაგე-
ბა-განიავება, არევდარევა – „რას გააბოლდარეთ აქაურობაო?“
„ადათი“ – ხალხში დაკანონებული წეს-ჩვეულუბა
„ოდოში“ – ჭყინტი სიმინდის ტარო
„დოშაკი“ – ლეიბი
„ჭავლი“ – გარდა წყლის ნაკადისა, ლითონის ან ხის
ნაწვეტებულ შვერილსაც უწოდებდნენ.
„ჭვინტი“ – ფეხსაცმლის წინა წვერი (ცხვირი).
„ნატამალი“ – რაღაც, ნაწილი, ან გარკვეული ნაწილი, (მემ-

კვიდრეობა-შთამომავალზეც ითქმის).

„ილაჯი“ – სასიცოცხლო ძალა, ენერგია.

„იშტა“ – განწყობითი სურვილი, „ახლა ისეთ იშტაზე ვარო“;

„ჯეელი“ – ახალგაზრდა;

„მაყუთი“ – ფული;

„ლაჯი“ – ბარძაყი;

„ხალა“ – კაკლის საბერტყი.

თუ ვინმესადმი წყრომას გამოხატავდნენ ქართლის ამ სოფელში ასე მიმართავდნენ:

„შე ოჯახქორო“, „ოჯახეტიანო“, „ღმერთგამწყრალი“, „კეთილძალლო“, „სახლ-კარ კეტიანო“, „მკვდარძალლო“, „ღმერთძალლო“, „შე კერაგაციებულო“, „შე კერაგაცხელებულო“, „სულძალლო“, „სულკეტიანო“, „კურკინონიავ“ (ძუნნს მიმართავდნენ ასე).

რა თქმა უნდა, არც ესენი ჟღერს საამურად, ან კი სალანძღვი სიტყვა როგორ იქნება საამური, მაგრამ დღეს რომ სამსართულებიანი გინება ისმის ყოველ ნაბიჯზე და არც ბინძურ სიტყვებს ერიდებიან, ეკრანიდანაც კი, მსგავსი რამ არც მაგონდება და არც გამიგია არასდროს.

მახსოვს, უკიდურესად გამნარებულის ყველაზე საშინელი გინება ასეთი იყო: „ჰაი, ძალლებს დავაკლამ (ამის და იმის) მამა-ჰაპას საფლავზეო“.

მაშინდელი გავრცელებული სახელები იყო: კოლა, წყალობა, გოლა, ქუჯი, პელო, გერისო, ღვთისო, მაკინე, თეკლე, კატო, მათე, თომა, ვარდო, კეკე, მართა და სხვა.

ამ უბნის მაცხოვრებელთა ზედმეტი სახელები: „ბაბრა“, „ჭიჭილო“, „დუდუწი“, „ტრუნჭა“, „ღენდერა“, „ხამფერა“, „ფანდურა“, „კვირმა“, „ნეკერაული“, „ტადა“, „მინახულე“, „ყვიციანი“, „ოსე“, „ტამაზი“ – (აյ ქალის სახელია).

სახმარი ჭურჭლის სახელები: ვარცლი, გობი, გეჯა, გორდა, ორომი, თუნგი, ჩაფი, კოკა, ხელადა, სურა, დოქი, თანგირაქვაბი, კეცი, ცხრილი, ქოთანი, სამტკეცი საცერი, სადლვებელი,

საარყე ქვაბი, „ასტამი“, ზედადგარი, ჩანახი, გოდორი და სხვები.

ასევე: საურველი, აპეური, ტაბიკი, ყავარი, ფინალი, ხალა, არტახი, ლახტები, თახჩა, განჯინა, „ნავი“ (საწნახელი), „ამბარი“ (ბელელი), ჩინჩხვარი, ახო, ფერდა, კალო, ტიკი (კუპრით დამუშავებული ცხოველის მთლიანი ტყავის ჭურჭელი), მაჭიკი, „ბაჩონკა“ (ხის თამასებისგან შეკრული სამგზავრო პატარა კასრი სახელურით), ტაბლა, როდინი და სხვა.

ყველაფერზე, რაზეც აქ ვისაუბრე, როგორც მოგახსენეთ, ძირითადად ერთი სოფლის მაგალითზეა დანახულ-გადმოცემული, თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ სოფელში არ მიცხოვრია, ალბათ ბევრი რამ, არანაკლებ საინტერესო და აღსანიშნავი გამომრჩა.

წარმომიდგენია ამ პატარა, მაგრამ მრავალფეროვან და მრავალკუთხოვან ქვეყანაში რამდენი და რამდენად საინტერესო ყოფითი წესჩვეულებები და ტრადიცია – რიტუალები არსებობდა სულ ახლო წარსულში, რაც ბევრ არამარტო ხანდაზმულთ, შუა ხანს გადაცილებულებსაც ეცნობათ და ემახსოვრებათ.

ჩემი პავონის სოფლის სურათები

ო, როგორ მიყვარს გახსენება ჩემი ბავშვობის,
გაზაფხულიდან შემოდგომამდე არდადეგები
სოფელში ქართლის,
ნაკვერჩხალებზე შემწვარი სოკო ფოთლოვან ტყეში
და, შებრანული ოდოშების ნაზი სურნელი.
ფეხებშიშველი სიარული ორღობეებში,
ყანაში ჩუმად შეპარული ცერცველასათვის,
უბეები კი გავსებული დაკროლილ თხილით.
მეველის შიში მოპარული სიმინდის და ყანის თელვისთვის,
კაკლის კუჭვისას წენგოსფერად შელებილი ტუჩების ფერი,
– მწყერების ქვითქვითი,
რიკულებიან აივანზე ზაფხულში ძილი,
ყანებიდან და მინდვრებიდან მონაბერი ნიავი გრილი,
და მოტანილი მუსიკის ხმა კუტკალიების თუ,
ორკესტრები ჭრიჭინობლების
რომელსაც ერთვის აივნის პირად ჩამავალი მდინარის ხმა
თუ, ბანი ხევის
დირიჟორია –ზაფხულის ღამე, მაესტრო დიდი თიბათვის ღამის,
მოგონებებმა ისე გამართეს, წლები წამართვან
ნაგროვნი ლამის,
მდინარეებზე ანწლის ღერებით დაგუბებული გუბელები
ჩახრიალები,
სურათებია ჩემი დროის ბავშვობისა და, სოფლის
ქართლის.
სიმინდისათვის დაწნული ჯინი და მარგილებზე ჩამოცმული
ქოთნების რიგი.
შემოდგომაზე მარნის ჭერზე დაკიდული ჯაგნები და აკიდოები
ტოტები კომშის,
ხახვისა და ნივრის გალები თუ კიდობანში დამწიფებულ
გროვები ზღმარტლის.
გიხტუნავიათ,
შემოდგომით საბძლის ძელიდან თივას და ბზებში,

დაგილევიათ ტყეში პირქვე მწოლს მდინარის თუ ნაკადულის
ანკარა წყალი,
გამოგიხდიათ დიდ, სიპ ქვაზე ნაძვის კოკობა,
ან გიჭამიათ, თივის ღერზე აცმული მარწყვი,
გითამაშიათ, ან გიყურებიათ დანაობისთვის.
გიკენჭამიათ მდინარის პირას ან ხეების ჩრდილში
წვიმის მოსვლისას ფეხსაცმელი თუ გაგიხდიათ,
მწვანე ბალახზე ან გზა შარაზე ფეხებშიშვლებს
თუ გაგივლიათ,
ასკილის ტოტის სალამური თუ გაგითლიათ,
ან მაყვლოვანში ხელპირი თუ გაგიმურიათ,
თუ გაგიფცევნიათ, გიგემიათ, სახრით ნაცელი ნარეკალები,
გიკეთებიათ ყაყაჩოსგან დედოფალები,
შეგიკვრიათ კი სათონე ფიჩხი თხილის წენელებით,
ან გიძებნიათ ჭანჭურებზე თეთრი ბოყვები.
არ გშინებიათ, ქუხილისა ტრიალ მინდორში
ან წვიმებისას – ადიდებულ მდინარეთა ზათქის, ლრიალის,
ასდევნებიხართ ციცინათელებს ღამის წყვდიადში
თუ მოგყოლიათ პირში გემო ასკილის ფურცლის.
ან შემოდგომის პურის ცხობის დამთავრებისას
თონებში რომ ჩაუდგამთ ღოღნოშოების,
ტყემლებისა და ჭანჭურების
დიდი ქილები,
თეთრ-ნაცრისფერი თათრული გოგრა თუ
შავ-ყვითელა ჭრელი კვახები
მეორე დღეს კი მიგირთმევიათ თიხის ჯამებით ქლიავის წუა,
და ბაქმაზები.
მომდევნო დღეს კი ეზო-მიდამო გავსებულია
ტყლაპის ფიცრებით,
გათუთქულ კერკის წნული ლასტებით.
ბავშვებისათვის სადგისით ხვრეტენ დაკროლილ კაკლებს,
რათა აუბან
კრიალოსნად ძაფზე აბმული
მძივ-ხრიალები.

ღამა ყინცურა ხევში

ყინცურა მოანგრევს ხმაურით მიდამოს
ჭინკები ნავარდობენ ხევში,
ციცინათელები არღვევენ უკუნეთს
ჭინკებს უძვრებიან თმებში.
უსურვაზების ჰამაკში ნებივრობს
მაისის ღამე და მთვარე.
მიკიოტს შეუძრავს კივილით მიდამო
სიზმრებში ეყვინთა ღამეს.
სიპ კლდეებს გაურბის ყინცურა სრიალით
ჩახრიალებზე ეშვება ზათქით,
სად გარბის ასეთი თავგამოდებული
თავის დაღწევას რად ცდილობს ღამით.

სოფლურ სოფელები

სოფელში მინდა, ტყის პირეთში
ან, ტყესთან ახლოს
ხის ძველი სახლით,
წარმოსკუპულს ქვითვირის
სადგომს,
ლამაზ აივნით, რიკულებით,
სამერცხულებით,
რიკულებს ზემოთ, არშიებით,
ხის მაქმანებით.
სადმე ახლოს რომ ნაკადული
მორავრაკებდეს
ან გვიან ღამით მდინარის ხმა
მოხმიანობდეს.
ზაფხულის ხვატში მონაბერი
სიო მინდვრიდან
ყვავილთა სურნელს ანიავებდეს
იმავ მინდვრიდან გვიან ღამით
კუტკალიების,
თუ ჭრიჭინების ხმა ხმიანებდეს
ორლობებში გაბნეული ფშატის ხეები,
სასიამოვნო სურნელს აფრქვევდეს,
აივაზზე ძილს, ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ
– აბა მითხარით, რა უნდა ჯობდეს
დილა სისხამზე ნახირის ხმა,
მენახირის შეძახილები,
სოფლური დილის გათენებას
ასე გვამცნობდეს.

მერცხლები ხომ პრუნდებიან თავის გუდეში

მიტოვებული ზამთრის სოფელი
თეთრი სუდარით დამშვენებული
თოვლის კუბოში ჩასვენებული
მკვდრულ სიჩუმეში გარინდებული
საკვამურები უკვამლობით
გაუქმებული
ეზო-ყურე კი უძალლობით
დადუმებული
არც გადაძახილ-გადმოძახილი
არც სატირალი და არც ქორწილი,
დავიწყებული მამლის ყივილი.
ბევრის მნახველი ოდა სახლები
აქა-იქ უკვე ნასახლარები
ჭირის და ლხინის გადამტანები
მოლოდინებით განაწამები
ზამთრობით ბოქლომ-ჩარაზულები
ეჭვით ელიან განაბულები
ნეტავ თუ მოვლენ უმადურები
ჩვენ უბეებში გამოზრდილები

.....

მერცხლები ხომ ყოველთვის ბრუნდებიან.

ყინვეისის ნიმუში ნიკოლოზის ფაქტი

მზე ჩაუგორდაო
თითქოს კალთაში
მწვანით შემოსილ მთებს,
ცისკენ მიმავალ მუქ სიმწვანეში
თეთრი გუმბათი თვლემს,
ყინწვისის ტაძრის წმინდა ნიკოლოზს
დიდი ნათელი სდევს,
მის გარეშემო კედელ-კუთხეებს
ჩუმი ამბორი ცვეთს.
საკურთხეველთან დადგმულ შანდლებში
წმინდა სანთელი ღვენთს,
ძველი ფრესკები დიდი თამარის
კვლავ ინარჩუნებს ფერს,
თავისი ქვეყნის წაბორძიკებას
ისავ ავედრებს ღმერთს.

ოთხმოცდაათიანი წლები

ოთხმოცდაათიანი წლების მძიმე ყოფას უკვალოდ არ ჩაუვლია. მდგომარეობის ასე თუ ისე გამოსწორების შემდეგაც. ეს აისახა ადამიანების ფსიქიკაზე და ამ პერიოდის საერთო ჯანმრთელობაზეც. ბევრის სიცოცხლე შეენირა. ზოგს ქვეყნის დატოვებაც მოუხდა შიმშილის, სიცივის, უსამართლობის, განუკითხაობის, დაუცველობისა და კიდევ მრავალ მიზეზთა გამო.

ქუჩაში თვეობით ეყარა მთებად დაგროვილი ნაგავი. ნაგავში ადამიანები იქექებოდნენ. ნაგვის გროვები კი უამრავი იყო, თითქმის ყოველ ნაბიჯზე და განსაკუთრებით მასივებში. მომრავლებული – ვირთხები სახლში გვივარდებოდნენ. მეთოთხმეტე სართულზე ერთ ოთახიანი ბინები გამჭოლი არ იყო. ცხელ ზაფხულში გაგრილებაც და ორპირით ბინის განიავებაც შესასვლელი კარის გაღებით იყო შესაძლებელი. დიდი ვირთხა ერთხელ მეთოთოხმეტე სართულის ბინიდან სამეზობლოს დახმარებით ძლივს გამოდევნეს. საერთოდ საშიში იყო ლია კარის მცირე ხნითაც კი უმეთვალყურეოდ დატოვება.

რაც შეეხება განათლების საქმეს, სრული ქაოსი იყო. ლამის ყველა სადარბაზოში უმაღლეს სასწავლებელს ხსნიდნენ, ლიცენზირებულს თუ ულიცენზიოს, მთავარი ფულის შეტანა იყო და არა სწავლება. თან ამ სასწავლებლებს ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტებს და მგონი აკადემიასაც კი არქმევდნენ. ნებისმიერი ფაკულტეტის დიპლომს, სახელმწიფო უნივერსიტეტი-საც კი, მიზერულ ფასად სთავაზობდნენ გამყალბებლები, რა მანქანებით ახერხებდნენ არ ვიცი. აგრეთვე ვადამდელ პენსიის დანიშვნას და ინვალიდობის დამადასტურებელ საბუთს, ფასს კი ჯგუფების მიხედვით ადებდნენ, და არცთუ ძვირს.

მანამდე კი, სსრკ-ის არსებობის ბოლო ათწლეულში, რუსეთში თანდათან მოიშალა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წესრიგი. კანონების უგულებელყოფა და გვერდის ავლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ბევრ სფეროში. რუსეთის რიგ

ქალაქებში უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად მასობრივად ჩადიოდნენ ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და სოფლიდან. მოწყობა „ჩაწყობით“ მიზერულ ფასად ხდებოდა. იმასაც ამბობდნენ, ამისთვის ერთი ყუთი კონიაკიც საკმარისი იყო. მაშინ ქართველები კონიაკებით მართლაც აგვარებდნენ საქმეს „დიდ რუსეთში“. და ეს ყველამ იცოდა. თუმც მოწყობას – ალბათ ცოტა მეტი ჭირდებოდა.

მთავარი იყო რუსული დიპლომის მიღება და რადგან სტუდენტების ერთმა ნაწილმა სალაპარაკო რუსულიც არ იცოდა გამართულად, ამიტომ ქართველებს მასობრივად შეჰყავდათ ბავშვები რუსულ სკოლებში. ამავე მიზნით საბავშვო ბაღებშიც კი რუსულ ჯგუფში შეჰყავდათ პატარები. ხშირად ქართველები იმდენად ჭარბობდნენ, რომ რუსი ბავშვები ძლივსლა აგებინებდნენ სათქმელს მშობლებს რუსულად.

საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ ხალხი უზარმაზარი სსრკ-იდან სულ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხეს, მაგრამ, რადგან სრულფასოვანი სწავლება არც აქ იყო, იმ დროის კურთსდამთავრებულთა უმეტესობა უცოდინარი იყო, ამბიცია კი დიდი ჰქონდათ, რადგან დიპლომს ფლობდნენ. ბევრი მათგანი საკმაოდ კარგადაც მოეწყო სამსახურში პროტექციით, ფულით... მაგრამ ცოდნას მოწყურებულ-მონადინებულიც ბევრი იყო. ახალგაზრდების ეს ნაწილი გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოშიც და რუსეთშიც. მათი განათლების მაღალი დონე მაღევე მუდავნდებოდა.

ოთხმოცდათიან წლებში ასეთი კურიოზი მოხდა: საზღვარგარეთ მივფრინავდი. აეროპორტში მგზავრთა სიხალვათე იგრძნობოდა, ფრენა რამდენჯერმე გადაიდო. იმის გამო, რომ თვითმფრინავი არ შეივსო ხალხით, შიგადაშიგ ეკიპაჟის მომსახურე პერსონალი მგზავრებს ჩამოუვლიდა და სთხოვდა რომ მათ რეიის გაჰყოლოდნენ და მერე გადამჯდარიყვნენ მათთვის სასურველი მიმართულებით. ეს გაუგონარი ამბავი იყო. გაფრენა იმდენ ხანს დააგვიანეს ვიდრე თვითფრინავი მართლა არ „გაიძეგა“ ხალხით და ბარგით. სამწუხაროდ, ჩაფრენიდან

კარგა ხნის ინტერვალის შემდეგ მიმავალ მატარებელსაც ვეღარ მივუსწარით. მატარებლის გაუქმებული ბილეთების ღირებულება რა თქმა უნდა, არავის აუნაზღაურებია. შევიძინეთ ახალი ბილეთები, ის ლამე მოსაცდელში გავათენეთ და მეორე საღამოს გავემგზავრეთ. იქედან რომ ვბრუნდებოდით, მოსკოვშიც იგივე დაგვემართა, მაშინ ხომ საზღვარგარეთ მგზავრობა მხოლოდ მოსკოვის გავლით იყო შესაძლებელი. სხვანაირად ვერც უცხოეთში მოხვდებოდით და ვერც სამშობლოში დაბრუნდებოდით. ეს მგზავრობა ტურისტულ სააგენტოში იყო ორგანიზებული და ყოველგვარი მომსახურება გადახდილი გვქონდა თბილისიდან თბილისამდე. ეს იყო იტალიის, საფრანგეთ-მონაკოს საგზური.

როგორც უკვე აღვნიშნე, მოსკოვშიც რამდენიმე დღე ველოდით თბილისის რეიის, ლამით სიცივეს ვეღარ ვუძლებდით, თან ფულიც გველეოდა ამდენი გაუთვალისწინებელი ხარჯის გამო და იძულებული გავხდით, მატარებელს გამოვყოლოდით. მატარებელში არც გათბობა იყო და არც არანაირი პირობები. ლითონს კუპეში ხელით ვერ ვეხებოდით, რადგან კანი ეწებებოდა გაყინულ რკინას. ვერც ვიძინებდით, რომ არ გავყინულიყავით, არადა გვიანი შემოდგომა კი იყო, მაგრამ რატომ ყინავდა რუსეთში ასე ძალიან ასეთ დროს, არ ვიცი. იმ დროისთვის არანაირი საქალაქთაშორისო კომუნიკაცია არ არსებობდა, თბილისის გარეთ შეუძლებელი იყო ტელეფონით ან ფოსტით სარგებლობა.

... სამოციან წლებში ორმოცდაათიან წლებთან შედარებით, თანდათანობით გამოსწორდა ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების დონეც გაუმჯობესდა. ვინც მუშაობდა, არ შიმშილობდა, სამსახური მრავლად იყო, რადგანაც ქალაქში უამრავი ფაბრიკა-ქარხანა და კომპინატი, აგრეთვე, სხვადასხვა სახის სამცნიერო, კულტურული დაწესებულება თუ ორგანიზაცია იყო.

ცხოვრება ასე თუ ისე სტაბილური გახდა. რა ჩარჩოც დაგვინესეს, იმ ჩარჩოდან არც გამოსვლის შანსი გვქონდა და

არც მცდელობა, რაც გვქონდა იმას ვჯერდებოდით. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს კი იყო პერიოდი, როცა პური ძნელად იშოვებოდა. ხალხი რიგებში აღამებდა და ათენ-ებდა. პურიც უხარისხო იყო, კაუჩუკივით ან ქატოსავით იფ-შვნებოდა.

ოთხმოცდაათიან ავადმოსაგონარ წლებში ყველაფერი ტალ-ონით იყიდებოდა ისე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს. პურის რიგში დამის ორ საათზე ან სამის ნახევარზე ყინვაში გავდიოდი. ტალონის მიხედვით ვაგზლის მოედანზე მდებარე დიდ გასტრონომზე ვიყავი მიმაგრებული – სულ 600 გრამი პური მეკუთვნოდა. პური დილით უნდა მოეტანათ მაღაზიაში. ზოგი რიგს იკავებდა და დასაძინებლად მიდიოდა. დილით გა-მოძინებული მოდიოდა თან წინ ლამის ახალმოსულ ათ კაცს იყენებდა, მე კი, დამენათევი, ქუჩაში გაყინულ-გათოშილი ზო-გჯერ იმ ერთ პურსაც ვერ ვიღებდი, რადგან პური მალე თავ-დებოდა. აყალმაყალის, ჩხუბის და ლანძღვა-გინების თავი არ მქონდა და არც შემეძლო... შემდეგ ფქვილი ვიყიდე და როცა უპუროდ ვრჩებოდი, ვცდილობდი სახლში გამომეცხო. მაგრამ არც ეს იყო იოლი. შუა ქალაქში შეშა სად უნდა გვეშოვა და თუ ვიშოვიდით, მეზობლები ცეცხლს ეზოში ვანთებდით, ჩაის წყა-ლი მაინც რომ აგვედულებინა. დენი იშვიათად მოკლე დროით მოდიოდა და ჩასაფრებული ვიყავით. ყველა კუსტარული ელე-ქტროლუმელის შეძენაზე გადავიდა. მოუმზადებელი ვიყავით ამ გასაჭირისთვის, ნავთქურა ზოგს ნანახიც კი არ ჰქონდა და სახლში ვის ექნებოდა. მაღაზიაშიც მოგვიანებით გამოჩნდა.

ასევე, მოგვიანებით შემოილეს დენისა და წყლის მიწოდების გრაფიკი, მაგრამ, როცა ყველა ოჯახში ერთდროულად ჩაირთ-ვებოდა ელექტროლუმელი, სადენები ველარ უძლებდა დატ-ვირთვას და მოძველებული ე. წ. „ფიდერები“ წამდაუნუმ ფეთქდებოდა. დენის მოსვლისას უბნებში ან კორპუსის ეზოებ-ში უცებ ბავშვების გამაყურებელი ყიუინა გაისმოდა. ბევრმა ვისაც შეშის შოვნა-შეძენის საშუალება ჰქონდა, უფრო კერძო ბინებში, თუნუქის კუსტარული შეშის ღუმელი დაიდგა. თუმცა

მრავალსართულიანი კორპუსის სარკმლებიდანაც „იმზირებოდა“ ზედა ფანჯრებისკენ მიმართული თუნუქის მიღები.

ქუჩაში ხშირად დაინახავდით შეშით დატვირთულ ხელის ურიკას ან ბავშვის გადაკეთებულ ეტლს, რომლებსაც ადამიანები მიაგორებდნენ. ნავთის წერტთან უგრძელესი რიგი იდგა. ურიცხვი ბალონით თუ ბიდონით. მაშინაც კი, როცა ნავთი არ იყო იდგნენ და ელოდნენ. არადა ნავთზე თანდათან გაიზარდა მოთხოვნილება, მაღაზიაში სხვადასხვანაირი ნავთქურის შემოტანაც დაიწყეს.

წყალიც გრაფიკით გვეძლეოდა, თან რაღაც მოკლე დროით. ვცდილობდით, მოგვემარაგებინა, რამდენსაც მოვასწრებდით. მასივებში უფრო ცუდად იყო საქმე: ზოგჯერ გრაფიკიც ირლვეოდა, ან გვიან მოდიოდა ღამის პირველ, ორ საათზე და ისიც მცირე ხნით.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში მძიმე ჰაერი იდგა ცენტრალური გათბობისა და ცხელი წყლის არარსებობის გამო. მერე და მერე ბაზარზე გამოჩენდა გენერატორები, რომლის ენერგია მხოლოდ ტელევიზორს და რამდენიმე ნათურას ყოფნიდა. ეს ფუფუნებაც მარტო შეძლებულთა ხვედრი იყო.

მრავალსართულიან კორპუსებში ლიფტებს ხშირად ძარცვავდნენ, იპარავდნენ ძრავებს, აგრეთვე სადენებს, განსაკუთრებით სპილენძისას და ჯართში აბარებდნენ. გაუსაძლისი იყო ფეხით ბარგით თუ უბარგოთ ასვლა-ჩასვლა. გახშირდა დაყაჩალება, ბინების გაქურდვა. ჩვეულებრივ ამბად იქცა დაუთოვება – ბევრი რომ არ ეძებნათ ფული და ძვირფასეულობა – შესვლისთანავე უთოს რთავდნენ და ხალხს აწამებდნენ, ასე მოექცნენ ჩემს ასაკოვან მძახალს, ღვანლმოსილ ექიმ მეან-გინეკოლოგს... ზოგჯერ ქუჩაშივე ხდიდნენ ტანსაცმელს, იტაცებდნენ ხელჩანთებს, ოქროს სამკაულებს.

ავტობუსის მარშრუტებზე განაწილებული იყო ჯიბის ქუდების რამდენიმეკაციანი ჯგუფები. ზოგჯერ, გვიან ღამით მგზავრობისას, ვატმანსაც კი აშინებდნენ, ურიგდებოდნენ და წილშიც გაჰყავდათ თურმე. ეს მე ერთი ურცხვი ყოფილი ვატ-

მანისაგან მოვისმინე. ჩანთიდან, ჯიბიდან აცლიდნენ ფულს, ხელჩანთებს უსერავდნენ სამართებლით. ისე იყო ხალხი დაშინებული განუკითხაობით და უსამართლობით, რომ ბევრი მხდალი თვალსაც არიდებდა, როცა ქურდები ჩავიდოდნენ, მხოლოდ მაშინ გაიკრიფებოდნენ ენად. ზოგი, გამიგია, გვიან მგ ზავრობისას სპეციალურად ყიდულობდა და ატარებდა ოქროსფერ და ოქროს მსგავს უბრალო ლითონის ბეჭდებს, არქონებისთვის რომ არ ეცემათ.

ვაღუტის გადასახურდავებელ ჯიხურებში სპეციალური ტექნოლოგიები შეიმუშავეს, თუ როგორ უნდა მოეტყუებინათ. მე პირადად, ასი დოლარის გადახურდავებისას 50 ლარით ნაკლები მომცეს. თვალწინ კი დამითვალეს, მაგრამ მოლარე ისე ღრმად იჯდა ჯიხურში, რომ მე სარკმელიდან მხოლოდ ხელებს ვხედავდი, თან ზედა მხრიდან. დათვლისას თურმე შიგადშიგ კუპიურებს დაბლა ყრიდა, რასაც ჩემი მზერა ვერ სწვდებოდა. ცოტა ხანში უკან რომ მივუბრუნდი და მივაკითხე. ლამის მასხრად ამიგდო – წადი და ინსპექტორთან მიჩივლეო. მივაკითხე ინსპექტორს – აბა, როგორ დაუმტკიცებ, იქნებ შენ მატყუებო. შემდეგ თვითონ მითხრეს, შენ როგორ ფიქრობ, მარტო ჩვენ ვჭამთ ამით პურს, ან რატომ არ გვეშინიაო. მართლაც, იმ ტერიტორიაზე თურმე სულ ხუთი ჯიხური „მუშაობდა“ ასე ინსპექტორის წილში გაყვანით.

უკანონობის დაკანონებით თუ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით შეღონებულმა და გასავათებულმა ხალხმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლით დაიმედა თავი. შევარდნაძე ცნობილი პოლიტიკოსი იყო, დიდი გავლენაც ჰქონდა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას სასიკეთო პირი არ უჩანდა, სწორედ მაშინ მოიკიდა ფეხი ყოველგვარმა მანკიერებამ, გახშირდა არამარტო მანქანების, ადამიანების გატაცებაც. ჩემ სიძეს ორჯერ მოპარეს მანქანა და ორჯერვე გამოსასყიდით დაუბრუნეს. ე. ი. საკუთარი მანქანა ორჯერ აყიდვინეს. აი, მესამედ კი ქვემო ქართლის ტრასაზე ავტომატიანმა „ვაჟუაცებმა“ მანქანიდან ჩამოსვა ორი ადამიანი, იქვე მუხლამდე

წყალში შეიყვანეს ხელებაზეული, ჰაერში დააცალეს ავტომატის ჯერი და მერე მანქანიანად გაქუსლეს.

იმ პერიოდში ჩემი სამსახური მოსკოვს ექვემდებარებოდა. გამოცხადდა თუ არა დამოუკიდებლობა, მეორე დღესვე სამსახურში აღარ შემიშვეს და დავრჩი უმუშევარი. ხან ვქარგავდი, ხან ვხატავდი, სამკაულებსაც ვაკეთებდი და სამხატვრო სალონში ვაბარებდი. ზოგმა ნამცხვრების ცხობა და ჩაბარება დაიწყო. მაგრამ საკმარისი მაინც არ იყო და გადავწყვიტე, ქალიშვილის გათხოვების შემდეგ, სამ ოთახიან ბინაში ერთი ოთახი გამექირავებინა ვინმე სტუდენტ გოგონაზე. მართლაც, მოვიდა კლიენტი, ცოტა გვიანი იყო, საღამო ხანი. – მე ლტოლვილი ვარ სოხუმიდან, ელიავას ბაზრობაზე ვმუშაობ და ვერ ვიცლი გვიანამდეო, ძალიან დავინტერესდი თქვენი ბინითო. ხელში ერთი ბოთლი „ფანტა“ ეკავა. ისე უცებ მოშინაურდა, ოთახებში სირბილი დაიწყო, სურათების და ჭურჭლის ფასს და ხარისხს მეკითხებოდა, გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე, ხომ არიან ზედმეტად ცნობისმოყვარე, მეტიჩარა ქალებიც მეთქი. 34 წლის ვარო მითხრა. შემდეგ ჭიქის მოტანა მთხოვა, ისეთი დაღლილი და მშიერი ვარ, ცოტა აზრზე მოვალო. შემეცოდა ახალგზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი, თან ლტოლვილი და შრომით გასავათებული. თვითონ მე შევთავაზე, – მე კი დაგასწარი და შენ გავახშებ მეთქი. უცებ დამთანხმდა და მეც სახელდახელოდ გავუშალე სუფრა. მან ჩემთვისაც დაასხა ჭიქაში „ფანტა“. მერე რაღაცის მოტანა მთხოვა და ვიდრე მოვპრუნდებოდი, ჭიქაში რაღაც ჩაუშვა, როგორც შემდეგ გაირკვა, კლოფელინი იყო... მან „ფანტის“ დალევა დამაძალა, ობოლ ძმისშვილს ვზრდიო, დღეს მისი დაბადების დღეა, მისი ხათრით მაინც მიირთვიო, რა თქმა უნდა დავლიე. მახსოვს, ხელში მისი მოწოდებული სურათები მეჭირა და ვუყურებდი. უცებ ყველა ხელიდან გამივარდა. მაშინ იგი წამოხტა და ისევ დამაჭერინა, მაგრამ ხელებიც სურათებიანად რომ ჩამომივარდა, ისლა მახსოვს, როგორ ჩამაფრინდა მხრებში და ტახტან მიმათრია. გავითიშე. მეორე დღეს ცოტა გონს რომ მოვედი,

წამოვპარბაცდი. მთელი სახლი დაცლილ-დარბეული დამხვდა. თურმე ქვემოთ ელოდებონენ ნიშანს და შემდეგ სულ საგულადაგულოდ შეფუთული გაზიდეს ყველაფერი. მხოლოდ რამდენიმე ფუთა და ტელევიზორი იდო კართან. თურმე ელე-ქტროდენი გათიშულა შუაღამით და მეორედ ვეღარ გაბედს ამოსვლა. მეზობლებმა შეიძლება იმ განუკითხაობის პერიოდის გამო, დუმილი არჩიეს. ნლების მერე გავიგე, თურმე ჩემს მოპირდაპირედ ლტოლვილებს ეყიდათ ბინა, მაგრამ ერთი დღეც არ უცხოვრიათ იქ, რუსეთში წასულან საცხოვრებლად. იმ ბინაში კი ნაცნობი თუ ნათესავი ლტოლვილები შეუსახლებიათ, სამი სული – დედა ორი შვილით. დედა მთელი დღე მუშაობდა სადღაც ჯიხურში, შვილები კი 30 და 34 წლის უსაქმური და-ძმა დედის ხარჯზე ცხოვრობდა, ქალიშვილი მთელი დღე 16-სართულიანი სახლის თითქმის ყველა მეზობლის მოუნატრებელი სტუმარი იყო. მე ეკონომისტი ვარ და ჯიხურში ვერ დავვჯდებიო. წარბებანეული ამბობდა. მე შორს მეჭირა თავი ამ უსაქმური და ჭორიკანა ქალისგან, მაგრამ უარს ვერ ვეუბნებოდი ტელეფონით სარგებლობაზე, რადგან ახლო-მახლო მარტო მე მქონდა. მას ხშირად უწევდა ტელეფონის გამო შემოსვლა. თურმე ეს ქალბატონი ნაციხარიც ყოფილა. როცა გადავიდნენ იმ ბინიდან, მერე მითხრა გამომძიებელმა, ჩემს... „ამშენებელ ქალზე“. – სოხუმიდანაა და ისიც ნაციხარია. მივხვდი, ვისგან მოდიოდა ჩემი ბინის გაძარცვის იდეა. მდიდარი არ ვიყავი, მაგრამ იმ გაჭირვებაში ყველაფერი ფული ლირდა. თანაც მაშინ საბჭოთა კავშირის დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში, არც ისე იოლი იყო მოხვედრა. მე კი, რადგან ჩემი სამსახური, როგორც მოგახსენეთ, მოსკოვს ექვემდებარებოდა, ხშირად მიწევდა სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა. ვცდილობდი, რაღაც საინტერესო ჩამომეტანა ოჯახისთვის (ჩაშინ დოლარი 62 კაპიკი ლირდა) ჩემს ლტოლვილ მეზობელს კი, როგოც ჩანს, ჩემთან ყველაფერი აღრიცხული პქონდა. ერთა-დერთი, რასაც ვერ მიაგნეს, ოქროული იყო. ბურღულეულის ქილები, რაც ხელში მოხვდათ სულ იატაკზე იყო მოპირქვავე-

ბული და მაინც ვერ იპოვეს. ამიტომ გაიმეორეს, ამჯერადაც ჩემი სახლში არ ყოფნის დროს და არამარტო ჩემი, სართულზე კიდევ ხუთი მოსახლის არყოფნისას. ამჯერად კაცი მოქმედებდა, მაგრამ მოულოდნელად გვერდითი მეზობელი დაბრუნდა და კარის ხმაზე შეშინებული ისე გაიქცა ვერაფრის წალება მოასწრო, ლიფტსაც აღარ დაელოდა თურმე და მეთოხმეტე სართულიდან თავპირის მტვრევით დაეშვა კიბეებზე. სახლი კი სულ ყირაზე დამხვდა. მესამედ, ქალაქში არ ვიყავი მთელი ორი თვე, მაშინაც გატეხილი დამხვდა კარი, თან წინა ღამით, რადგან გვიან გაიგეს ჩემი ქალაქში არ ყოფნა. ბოლომდე ვერ მოასწრეს გაღება. ის ერთი საკეტი სულ „ზუბილით“ იყო გამომტკვრეული. გასაძარცვად მეორე დღისთვის გამზადებული, რა იცოდნენ, ორი თვის შემდეგ ზუსტად მათ დაგეგმილ დროს თუ ჩამოვიდოდი. გამოძიებას დიდად არ შეუწუხებია თავი. მერე გავიგე, კიდევ ერთი ოჯახი გაუძარცვავთ ასევე მონამ-ვლით და შემდეგ რუსეთში გაქცეულან.

ეს ის დრო იყო, როცა ბაზარში უსასწოროდ ვერ დავდიოდით. გადამყიდველები (გლეხი აღარ დადიოდა ბაზარში) ერთ კილოგრამზე ლამის ნახევარს იტყუებოდნენ. გაუბედავდი რა-მეს და ბოლო ხმაზე გამოგლანძლავდნენ; თუ არ გაეცლებოდი და ენასაც შეუბრუნებდი, ალბათ ხელითაც შეგეხებოდნენ.

ნამდვილი ლტოლვილები მართლა ძალიან იყვნენ გალი-ზიანებულ-გამწარებული, მაგრამ ნახევარზე მეტი ალბათ ლტოლვილობას იბრალებდა. სოხუმში გადაამოწმებდნენ თუ რა... მერე კი ყველა კუთხიდან დაიძრა თბილისისკენ ხალხი და ამ ყიდვა-გაყიდვით დასაქმდა ბაზრებზე და არამარტო ბაზრებზე, ქუჩის ყველა მონაკვეთზე რაღაცას ყიდდნენ. ზოგიერთს პირდაპირ მინაზე ჰქონდა გაშლილი გასაყიდი პროდუქტები.

ამ ჰერიოდში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მიცვალებულის ნორმალურად გაპატიოსნების საშუალებაც არ ჰქონდა. ერთ მეზობელს იატაკის გამონაცვალი ფიცრებით შეუკრეს ჩასასვენებელი კუბო. როგორც ამბობდნენ, ზოგს, ძალზედ შეჭირვებულს ცელოფინით შეხვეულს დიდ პარკებში ასაფლა-

ვებდნენო...

გახშირდა სამშობიაროებიდან ჩვილ ბავშვთა საავადმყოფოდან გაყიდვა. მშობიარეს ატყუებდნენ, რომ დაიღუპა ახალშობილი, ბავშვს კი ყიდდნენ. თუ პატრონი მიცვალებულს მოიკითხავდა, უკვე დავმარხეთო, უუბნებოდნენ. თუ ჩაეძიებოდა, მაცივარში სათადარიგოდ გაყინულ სხვა გვამს აძლევდნენ დახურული ყუთით.

ამ „ბიზნესმა“ დაახლოებით ოთხმოციანი წლებიდან და ალბათ ცოტა ადრეც ისე მოიკიდა ფეხი, რომ უკვე მასობრივად სჩადიოდნენ ამ საშინელებას.

ბოლო დროს საავადმყოფოები ნახევრად ცარიელი იყო, რადგან უფულოდ ავადმყოფს აღარსად ღებულობდნენ. დაიწყეს საავადმყოფოს შენობის გაყიდვა. დარჩენილ პალატებში სრული ანტისანტარია სუფევდა, ჭერიდან და კედლებიდან ბათქაში ცვიოდა. ზამთარში თავად ავადმყოფს უნდა ეზრუნა გათბობაზე. რაიონებიდან ჩამოსულები, კიდევ უფრო ცუდ დღეში იყვნენ, კუსტარულ ღუმელებს, ე. წ. „პლიტებს“ ყიდულობდნენ გასათბობად, წამლები, ბამბა, შესახვევი თავად ავადმყოფს უნდა მიეტანა. ყველაზე საშინელება ის იყო, რომ ზოგჯერ ექთანი ძვირადლირებული წამლის ნაცვლად იაფთასიან აბს სთავაზობდა ავადმყოფს. ან ძნელად ნაშოვნ ძვირიან წამლის მაგიერ, ნემსით გამოხდილ წყალს უშხაპუნებდა. ასეთმა გაუგონარმა სიყალბემ გამოიწვია ის, რომ ექთანი იძულებული გახადეს ავადმყოფის თვალწინ მისივე თანხით ნაყიდი წამლით შეევსო შპრიცი. საბედნიეროდ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

გააუქმეს ყველა ლაბორატორია, სადაც შემოტანილი თუ აქაური პროდუქტი მოწმდებოდა და საერთოდ, ყოველგვარი კონტროლი და პასუხისმგებლობა მოიშალა. ხალხი დაუცველი დარჩა, თანაც ყოველმხრივ, მარტო წამლების ფასის კატასტროფულად ასე ზრდამ წელში გაწყვიტა ხალხი.

უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის კიდევ ერთ შემთხვევა მინდა გავიხსენო. ოთხმოცდაათიან წლებში საგ-

ზურით წყალტუბოს სანტორიუმს ვეწვიე დასასვენებლად როდონის აპაზანის მისაღებად. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ კურორტით, ჯერ კიდევ სარგებლობდა. მაშინ ულამაზესი იყო წყალტუბო. თითქმის ქუთაისზე გადაბმულს საერთო ტრანსპორტი ემსახურებოდა. ტროლეიბუსი ისე მოძრაობდა წყალტუბოდან ქუთაისში და პირიქითაც, როგორც ერთი ქალაქის ორ სხვადასხვა უბანში. რუს დამსვენებლებში ქალბატონები სჭარბობდნენ. ისინი მთელი დღე ეცნობოდნენ მათვის უცხო მხარეს, საღამოს კი ერთობოდნენ. ქალაქის დიდი საცეკვაო მოედანი ყოველთვის გადავსებული იყო რუსი ქალბატონებით და მათი ჩვენებური კავალრებით. საკურორტო მოკლევადიანი რომანებიც ხშირი იყო.

მე ჩემი რეჟიმი მქონდა შედგენილი. ერთსულიან ნომერში მარტო ვცხოვრობდი და საუზმის შემდეგ ქალაქში არცთუ ურიგო ბიბლიოთეკაში უურნალ-გაზეთების გარდა ჩემთვის საინტერესო წიგნებიც აღმოვაჩინე. ეს ჩემი ყოველდღიური რეჟიმი იყო. თურმე ისე კარგად ჰქონდა შესწავლილი იქ მომსახურე პერსონალს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ბილიოთეკიდან ჩვეულებრივზე ადრე დავბრუნდი, კარი ვერ გავაღე. დიდი წვალების შემდეგ გასაღების ჭუჭრუტანაში შევიხედე და რას ვხედავ – ჩემ საწოლზე ერთმანეთს ჩაცვეული, რუსი ქალბატონი და ჩვენებური ვაჟბატონი წვანან და საამოდ ფშვინავენ. ამ ყმაწვილს მაგიდიდან ჩემი ხილით სავსე ვაზა აუღია და საწოლთან მიუჩირებია პარტნიორისთვის გასამასპინძლებლად. კარი კი შიგნიდან ჩაურაზავთ.

ჯერ თავზარი დამეცა, მერე ვიფიქრე ალბათ ოთახი შემე-შალა-მეთქი და გვერდითი ოთახებიც შევამოწმე, როცა მივხვდი, რაშიც იყო საქმე, ყვირილს და აყალმაყალს მოვერიდე და დირექტორის კაბინეტს მივაშურე. კაბინეტში დირექტორი ორიოდ თანამშრომელთან საამურად მასლაათობდა. აღარ მოვრიდებივარ, რადგან თვითონაც არ ჩათვალეს საჭიროდ კაბინეტის დატოვება და აღმფოთებულმა ვუთხარი , რაც ხდე-

ბოდა. ყველას სიცილი აუგარდა, მე კი გაოცებული ვუყურებდი თითოეულ მათგანს, უცებ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მეგონა ჩემზე მეტად აღშფოთდებოდნენ ან გაიკვირვებდნენ მაინც, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს მათთვის ახალი ამბავი არ იყო: შეიძლება თავადაც მიართვეს ჩემი ოთახი და ლოგინი სანებივროდ იმ კაცს ან მიაქირავეს. გაოგნებულს რომ შემხედეს, ჩემი დამშვიდება დაიწყეს – ქალბატონო, ნუ დელავთ ახლავე გამოგიცვლით თეთრეულსო, ორჯერ თუ სამჯერ გამიმეორეს, თითქოს დიდი პატივი იყო მათი მხრიდან. მიხვდი იმასაც, რომ მათთან მორალზე ლაპარაკი სავსებით ზედმეტი იყო...

იმ დროის გაჭირვებამ სამზარეულოებშიც შემოიხედა და კულინარიაში ბევრი ახალი რეცეპტი შეიქმნა. უხორცო კატ-ლეტები – კარტოფილის და ნინიბურისგან მზადდებოდა, ზოგიერთი შავი პურითაც აკეთებდა. ტოლმას მხოლოდ ბრინჯითა და მწვანილებით მიირთმევდნენ. თუ კვერცხიც არ ჰქონდათ, წყალში დასველებულ პურის ნაჭრებს მარილ მოყრილს ზეთიან ტაფაზეც ბრანავდნენ. იყო აგრეთვე უკვერცხო ნამცხვრები, უკარაქოდ, ზეთზე გამზადებული. „უყველაფრო“ კანფეტები, ზოგ უყველაფრო ნამცხვარს „სიგუას ნამცხვარს“ ეძახდნენ და სხვა „უყველაფრო“ რეცეპტიც ბევრი იყო.

უცხოეთიდან დახმარების მიზნით აგრეთვე შემოჰქონდათ (სილარიბის ზღვარზე მყოფთათვის) ჰუმანიტარული პაკეტები, რომელშიც შედიოდა: ზეთი საშინელი სუნით, ე. წ. „კატლეტის“ ფხვნილი გენმოდიფიცირებული სოიოსგან დამზადებული, რძის ფხვნილი, სიმინდის ფქვილი, – ნებოვნება საერთოდ რომ არ ჰქონდა სილასავით იყო, ასეთივე ლობით და რომელი-ლაც წვრილი პარკოსანი მცენარის მარცვალი პარკებში. ჰუმანიტარული პაკეტები უფასოდ იყო დასარიგებელი აღრიცხვაზე მყოფთათვის, მაგრამ არანაკლებ გაჭირვებულებზე ყიდდნენ. ერთი პაკეტი ჯერ 20 ლარი ლირდა, შემდეგ 25.

მოსახლების დიდ ნაწილს და მათ შორის არამდიდრებსაც კი თითქმის ყველას ჰქონდა რაღაც განსაზღვრული თანხა შემნახველ სალაროებში, ასევე ანაბრები, მათ შორის მოხუცე-

ბულებსაც – სამკვდრო, „დასამარხ ფულს“ რომ ეძახდნენ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ყველას უარი ეთქვა დანაზოგზე. ზოგს სახლის გაყიდვის თანხა ახლის ყიდვამდე მოკლე ვადით რომ ჰქონდა შეტანილი, ქუჩაში დარჩა. ასე უცებ ააღებინეს ხელი საკუთარ ფულზე. ის, ვისაც ძალიან ცოტა ჰქონდა, იყოჩაღა და არც დაიზარა, სალაროებთან ლამეს ათენებდა რიგში. ლამე ცეცხლს ანთებდნენ რომ არ გაყინულიყვნენ და 500 მანეთამდე მაინც გამოეტანათ. და ეს ლამენათევები ექვს საათა-მდე ელოდნენ, რომ კომუნალური ქირების შენატანით რაღაც თანხა დაგროვებულიყო და ნაწილი მაინც მიეღოთ. მეც ბევრი ლამე ვათენე და რაღაც თანხა გამოვიტანე.

საბჭოთა კავშირის დაშლამდეც, არამარტო საქართველოში, რუსეთშიც დიდი ქაოსი იყო. ბრეუნევის მმართველობის დროიდან გაბატონებული იყო კორუფცია, ეს ჩვენთან უფრო იგრძნობოდა. ყველა ცდილობდა, ხელფასის გარდა „სახალ-ტურე“ შემოსავალი ჰქონოდა, ფაბრიკა-ქარხნებიდან იქ შექმნილი ნაწარმის გარდა, სულ სახლში ეზიდებოდნენ, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ ყველაფერს. ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ.. გაიგონებდით კიდეც: „ნეტავ ხელფასით ვიღა ცხოვ-რობს დღესო“.

ქალაქზე საუბრისასაც აღვნიშნე, რომ ქალაქის ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე ერთმანეთის მიჯრით მომრავლდა აფთიაქები ან სააფთიაქო ჯიხურები. ჯიხურებში მუშაობდნენ არასპე-ციალისტები, მათ მედიცინასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, არც რეცეპტი არსებობდა განსაკუთრებულ მედიკამენტებზე, არამედ ისინი მარტო ფულის კეთებაზე იყვნენ გადასული. ასევე, მომრავლდა სხვადასხვა დასახელების ბანკებიც.

ქუჩები გაივსო მათხოვრებით. ადამიანებს აღარანაირი საარსებო წყარო აღარ გააჩნდათ. პენსია პირველად თუ არ ვცდები სამი კუპონი იყო, მერე შვიდი, შემდეგ თოთხმეტი... ასობით დაწესებულების დახურვის გამო უმუშევართა რიცხ-ვი კატასტროფულად გაიზარდა. ადრე ხშირად გაიგონებდით ასეთ გამოთქმას: „მე არავის მოსამსახურე ვარო“, ან „შენი

მოსამსახურე კი არ ვარო“. შემოსავლის წყაროდ სხვის მსახურებას თაკილობდნენ, თითქოს ღირსება ელახებოდათ. ასე ფიქრობდა საზოგადოების ერთი ნაწილი.

შრომისუნარიანი ადამიანები თუნდაც ნაკლები შეძლების მქონენი, არქონებაზე წუნუნს ერიდებოდენ. ვინ იფიქრებდა, რომ ეს შრომისმოყვარე და ამაყი ქართველები მთელ მსოფლიოში მოსამსახურებად დასაქმდებოდნენ. ისინი ზოგადად ვაჭრობასაც თაკილობდნენ, მართალია მუშაობდნენ სავაჭრო დაწესებულებებში, მაგრამ ეს დარგი არასოდეს ხიბლავდათ. ჩვენს არაქართველ თანამოქალაქეებს ვაჭრობა და ხელოსნობა უფრო კარგად გამოსდიოდათ, ვიდრე ქართველებს და დასაქმებულიც იყვნენ ამ დარგში.

ქურთები და იეზიდები ლამის ქალაქის კოლორიტებად იქცნენ. ძირითადად ისინი ზრუნავდნენ ქალაქის სისუფთავეზე. მხოლოდ მერე და მერე გამოერივნენ ქართველები. ასევე, თავის საქმით გამოირჩეოდნენ ჩვენი აისორები, ბერძნები, აზერბაიჯანელები ხომ ძირითადად სასოფლო მეურნეობას მისდევდნენ, უნინ მილიციაში კი, ძირითადად ოსები მუშაობდნენ.

თბილისის თბილისური სახე და იერი, თბილისური ჩვეულებები ოთხმოცდაათიან წლებამდეც ნელ-ნელა ქრებოდა, ოთხმოცდაათიან წლებიდან კი განსაკუთრებით გაცივდა. სამეზობლოში და კორპუსში ხალხი ერთმანეთს ვეღარ სცნობდა. მკვიდრი მოსახლეობა გარბოდა არამარტო სოფლებიდან, არამედ თბილისიდანაც. ზოგიერთი თავის გადასარჩენად, ზოგი ვალების გამო, ზოგი თავის ნიჭისა და საქმიანობის სარეალიზაციოდ. მათ ბინებში კი ახალი ადამიანები, ძირითადად სოფლიდან და რაიონიდან ჩამოსულნი სახლდებოდნენ. მათი ოჯახის წევრები საზღვარგარეთ ნაშრომ-ნაშოვნ ფულს თბილისში ბინისთვის საგულდაგულოდ აგროვებდნენ. ზოგიერთი კი იძულებული გახდა უბანი შეეცვალა და პრესტიულიდან გარეუბანში დასახლებულიყო, თუმც პირიქითაც ხდებოდა. მაგრამ ახალგადმოსულებთან ურთიერთობები ძველებურად, თბილისურად ჯერ-ჯერობით ვერ მყარდებოდა. ვინ იცის, ეგებ ეს

დროისა და ცხოვრების გამოცდაა?!

იქნებ სამი ათეული წლის მანძილზე, ქვეყნის მართვის არასწორმა გეზმა და პოლიტიკამ, დაქვეითებული, დაკნინებული ცხოვრების დონემ წარმოშვა პოლიტიკური აზროვნების, პროფესიონალიზმის, მოქალაქეობრივი ადამიანური შეგნების დეფიციტი.

დასასრულს, მე პატიებას ვთხოვ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩენილ პატიოსან ადამიანებს: ექიმებს, პედაგოგებს, ბიზნესმენებს, მთავრობის მოხელეებს და ამა თუ იმ სფეროში მომუშავე პერსონალს, რომელთაც არ უკადრია მსგავსი უსინდისობა. ეს მათ არანაირად არ ეხებათ, პირიქით მათნაირებზელა დგას ეს ქვეყანა.

